

საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-
პრაქტიკული ჟურნალი

International Scientific-Practical Referenced Journal

**Международный Реферированный Научно-
Практический**

Журнал - „Юрист“

ISSN 2449-2701

იურისტი – Lawyer

№6

თბილისი – Tbilisi

2018

საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“ დაფუძნებულია ა(ა)იპ საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად პროფესორ შოთა ფაფიაშვილის მიერ.

International Scientific-Practical Referenced Journal “Lawyer” is based with Academy of Legal Sciences of Georgia By Shota Papiashvili.



ჟურნალი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მხარდაჭერით

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ
იურიდიული მისამართი: თბილისი,
ვაჟა-ფშაველას გამზირი №75,
ფაქტობრივი მისამართი: კოსტავას №77
სტუ მე-6 კორპუსი, ოთახი 903 ა, ტ.: +995 99940 114
ელ-ფოსტა: Law.academy@mail.ru

The journal is published four times in a year.
Address: Tbilisi, Vazha-Pshavela Avenue, №75
Actusi Address: Tbilisi, Kostava street, №77, STU,
6 block Room 903 a, T., 599 940 114
E-mail: Law.academy@mail.ru

ISSN 9772449270009

© ავტორები

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“ 2017

ჟურნალ „იურისტი“-ს მთავარი რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **შოთა ფაფიაშვილი**.

რედაქტორის მოადგილე პროფესორი -**ჯემალ გაბელია**.

სარედაქციო კოლეგია

ლევან ალექსიძე – პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

ჯონი ხეცურიანი – პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

არჩილ ფრანგიშვილი – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;

შოთა ფაფიაშვილი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (თავმჯდომარე);

ჯემალ გახოკიძე – პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპიკერი;

ირაკლი გაბისონია – პროფესორი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის დეკანი;

ლადო ჭანტურია – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ელჩი გერმანიაში;

ზაზა რუხაძე – პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დეკანი;

ჯემალ გაბელია – პროფესორი, სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

გენადი ხოხრიაკოვი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – მოსკოვი;

მიხეილ მამნიაშვილი – პროფესორი;

ნიკოლა ბელიაევი – პროფესორი, სანკტ-პეტერბურგი;

იანეს გრანცი – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლუბლიანას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (სლოვენია). საპატიო დოქტორი (პუატიე, საფრანგეთი)

ჰანს იორგ ალბრეხტი – გერმანიის მსოფლიო საერთაშორისო სისხლის სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

პეტერ იურგენ გრაფი – გერმანიის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი;

რომან შენგელია – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ვეფხვია გვარამია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ივანე ჯაგოდნიშვილი – სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის მედიატექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გივი ლობჯანიძე – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

შენგელი ფიცხელაური – პროფესორი; გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.

ლალი ფაფიაშვილი – პროფესორი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

ელიკო ნიკლაური-ლამიხი – პროფესორი – გერმანია.

კორექტორი – დავით სოლომნიშვილი – ისტორიის დოქტორი.

კომპიუტერული უზრუნველყოფა – თამარ ბარამია,

თარგმანი- ეკა რუსიეშვილი

დიზაინი და დაკაბადონება – თამარ ქიტუაშვილი

Executive Managing Editor, Doctor of Law Science, Professor – Shota Papiashvili

Managing Editor. Professor –Jemal Gabelia

EDITORIAL BOARD

Levan Aleksidze – Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia

Joni Khetsuriani – Academician; Editorial Board, Academy of National Sciences of Georgia

Archil Prangishvili – Professor, Rector of GTU, Academiein of National Science of Georgia;

Shota Papiashvili- Doctor of Law Science, Professor. (Chairman)

Jemal Gakhokidze – Professor, Speaker of Georgian Technical University, General;

Irakli Gabisonia – Professor, Dean of Law and International Relations Faculty in Georgian Technical University;

Lado Tchanturia – Professor, Tbilisi State University, Ambassador of Georgia in Germany;

Zaza Rukhadze – Professor, Dean of Georgian-American University;

Genadi Khokhriakov – Professor, PhD of cLaw - Moscow

Mikheil Mamniashvili – Professor;

Jemal gabelia- Professor, Deputy Dean of Law and International Relations in Faculty Georgian Technical University;

Nikola Believi – Professor. St. Petersburg;

Janez Kranjc - Doctor of legal Sciences, dr.h.c.)(polotiers, France)Full Professor of The University of Ljubljana Faculty of law;

Hans Jorg Albrekht - Director of the Max Planck Institute of German Criminal Law, Professor;

Peter Jurgen Graf-German Supreme Court Deputy Chairperson of the Senate, Professor;

Roman Shengelia- Doctor of Law Science, Professor;

Vepkhvia Gvaramia – Professor, Sokhumi State University, Dean of Juridical Faculty

Ivane Jagodnishvili – Dean of Engineering economy, Media an social Sciences Faculty, Doctor of Philology, Professor;

Givi Lobzhanidze – Doctor of Law Science, Professor;

Shengeli Pitskhelauri – Professor, Guram Tavartkiladze’s University, Dean of Juridical Faculty;

Lali Papiashvili – Professor, Deputy Chairman of Georgian Constitutional Court;

Eliko Tsiklauri-Lamikhi - Professor, Germany.

Corrector – Davit Solomnishvili - Doctor of History.

Computer Software – Tamar Baramia

Translation - Eka Rusieshvili

book layout design – Tamari Kituashvili

სარჩევი

შოთა ფაფიაშვილი - მოძღვრება იურისტის ცნებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ.....8

საერთაშორისო პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები

1.ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია - ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია-უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი.....17
2.თეა ძონენიძე- ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში.....26

საგადასახადო სამართალი

1.ირაკლი გაბისონია, თამარ ბარამია- საგადასახადო სისტემის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური მახასიათებლები.....33

სამოქალაქო სამართალი

1.კარლო ბიშვილი- მორალური ზიანის ანაზღაურება.....50
2.ია ხარაზი - რამდენიმე მოსაზრება საქართველოს კანონთან „დაგროვებითი პენსიის შესახებ“-დაკავშირებით.....57
3.Екатерина Нинуа, Каролина Оссирова - Основные проблемы защиты прав интеллектуальной собственности по законодательству Российской Федерации.....69

სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი

1.ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილი-სამართლიანობის საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.....76
2.მალხაზ ბაძალუა, მიხეილ მამნიაშვილი- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნასთან დაკავშირებული წინადადებები.....86
3.ნინო ფაფიაშვილი- მტკიცებულება და მტკიცება სისხლის სამართლის პროცესში.....89
4.მამუკა ეგუტიძე-ნარკოტიკული დანაშაული.....96
5.მამუკა ეგუტიძე-ადევნება.....101
6.უშანგი ვარდანაშვილი-მიზეზობრივი კავშირის სისხლის სამართალში.....114

ზოგად-თეორიული პრობლემები

1.გივი ლობჯანიძე- ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და ეპისტემოლოგიური კვლევის მეთოდები სამართალში.....121
2.ირმა კეცხოველი- გლობალიზაცია და ეროვნული კულტურის სტრუქტურული მოდელის საკითხისათვის.....127
3.ნათელა მაისურაძე- დანაშაულის არსის გნოსეოლოგიური ფაქტორები.....135

გამოსმაურება

გივი აბაშიძე- დიდი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი..... 140

მილოცვები

ირაკლი გაბისონია..... 145
შოთა ფაფიაშვილი..... 146
გივილობუანიძე..... 147

სამძიმარი

დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე..... 148

Contents

1.Shota Papiashvili - Doctrine of the lawyer's concept and professional activities.....8

International Political-Legal Aspects

1.Irakli, Gabisonia, Jemal Gabelia - Conception of National Security, Basis of Security Policy.....17
2.Tea Dzotsenidze- The Role and Importance of the Convention on the Rights of the Child in Modern International Politics.....26

Revenue Law

1.Irakli Gabisonia, Tamar Baramia- Legal-political and economic characteristics of the tax system.....33

Civil Law

1.KarloBzishvili-Remunerationofmoral damages.....50
2.IaKharazi- A few thoughts in relation to the Georgian law - "Accumulative Pension".....57
3.Ekaterine Ninua, Carolina Osirrova - The main problems of intellectual property rights protection under the laws of the Russian Federation.....69

Criminal law, Criminal Law Process

1.Irakli Gabisonia, Aleksandre Taliashvili, Salome Khizanishvili- The issues of justice in the Georgian Criminal Procedure Legislation.....76
2.Malkhaz Badzagua, Mikheil Mamniashvili - Proposals regarding the article 236 of the Criminal Code of Georgia.....86

3.Nino Papiashvili- Evidence and proof in criminal law process.....	89
4.Mamuka Egutidze – Drug Smuggling.....	96
5.Mamuka Egutidze – Follow.....	101
6.Ushangi Vardanashvili – Casual relationship in criminal law.....	114

General-Theoretical Problems

1.Givi Lobjanidze- Research Methods of Ontological, Gynecological and Eunistic in Law....	121
2.Irma Ketskhoveli - To a question of globalization and structural models of national culture.....	127
3.Natela Maisuradze - Gnomeological factors of the nature of the crime.....	135

Replies

Givi Abashidze - Great scientist, a worthy patriot.....	140
---	-----

Congratulations

Irakli Gabisonia.....	145
Shota Papiashvili.....	146
Givi Lobzhanidze.....	147

Condescension

Great scientist and public figure.....	148
--	-----

1. მოქმედება იურისტის ცნებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ

პროფესორი
შოთა ფაფიაშვილი

სიტყვა „იურისტი“ ნიშნავს იურიდიული განათლების მქონე სამართლის დარგის სპეციალისტს, სამართლისმცოდნეს, რომელსაც დადგენილი წესით მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია. ყოველივე ეს კი ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის პირი შეიძლება მუშაობდეს და თავის პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდეს იურიდიული მიმართულებით არსებულ საქმიანობას, მაგრამ სპეციალობით არ იყოს იურისტი. ამის უხვ მაგალითებს იძლევა ჩვენი საზოგადოებრიობის განვითარების დღევანდელი მდგომარეობა, როცა ჯერ კიდევ არაჯეროვნადაა შეფასებული იურისტის პროფესიული ცოდნა და კომპეტენტურობა, როცა იურისტების ჭარბწარმოების მიუხედავად, სახელმწიფო აპარატის სტრუქტურებში იურისტებისათვის განკუთვნილ ზოგიერთ თანამდებობაზე კვლავ სხვა დარგის სპეციალისტი გვევლინება და უარყოფითი შედეგებიც მალე ვლინდება.

ეს შეიმჩნევა არა მარტო პრაქტიკულ, არამედ კანონმემოქმედებით საქმიანობაშიც, როცა კანონპროექტების შემუშავება – განხილვაში არ იწვევენ მაღალკვალიფიციურ იურისტებს, არ ითვალისწინებენ იმას, თუ რა მძიმე შედეგები შეიძლება მოჰყვეს ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის შეუფერებელი, არასწორი კანონების მიღებასა და პრაქტიკაში დანერგვას. ივინყებენ იმასაც, რომ დღეს ბიზნესი, რომელზეც ძირითადად დამყარებულია მთელი ქვეყნისა და ხალხის ეკონომიკური აღმავლობა, სწორი სამართლიანი კანონების გარეშე ვერ განვითარდება.

პირის იურისტად აღიარებისათვის საჭიროა მას ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლების სრული კურსის დამთავრების დამადასტურებელი საბუთი- დიპლომი, რომ მას საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია. თუმცა შეიძლება ისეც იყოს, რომ პირს ჰქონდეს იურისტის დიპლომი, მაგრამ არ ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა. ამიტომ საჭიროა დიპლომთან ერთად პირი საფუძვლიანად ფლობდეს თავისი სპეციალობით არჩეული სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის ან სამართლის სხვა მიმართულების რომელიმე დარგს, განვითარებული ჰქონდეს საღი იურიდიული აზროვნება და შეეძლოს სამართლის ცალკეული ნორმების პრაქტიკაში სწორად შერჩევა – გამოყენება.

იურისტი თავისი პროფესიული საქმიანობით აქტიურად უნდა მონაწილეობდეს კანონმემოქმედებით საქმიანობასა და საგამოცდო – სასამართლო რეფორმის მიმდინარეობაში; ხელს უწყობდეს სახელმწიფო წყობის განმტკიცებას; იცავს მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს; კანონიერებასა და მართლმსაჯულებას; დევნის საზოგადოებისაგან დამნაშავე ელემენტებს; ახორციელებს მართლმსაჯულებას; ახდენდეს დანაშაულის სწრაფ – სრულ გახსნასა და დამნაშავე პირთა სამართლიან დასჯას; სწავლობდეს დანაშაულის გამომწვევ მიზეზებსა და ხელშემწყობ გარემოებებს და ატარებს მათი თავიდან ასაცილებელ ღონისძიებებს; ხელს უწყობდეს სახელმწიფო პოლიტიკური რეჟიმის სრულყოფა-გაუმჯობესებას მთელი თავისი მრავალმხრივი განმტკიცებით და თავისი მჭევრმეტყველური, საფუძვლიანი გამოსვლებით ხელს უწყობდეს მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდას.

ცნობილია, რომ სწორედ სასამართლო მჭევრმეტყველებამ ჩაუყარა საფუძველი ორატორულ ხელოვნებას. ძველი რომის ეპოქის დიდი იურისტი, საზოგადო მოღვაწე და მწერალი ციცერონი თავის ტრაქტატებში ავითარებს აზრს, რომლითაც სასამართლოს გარეშე წარმოებული ზოგადი ორატორული ხელოვნება ბავშვურ თამაშადაა მიჩ-

ნეული. და, რომ იურისტის მჭევრმეტყველება ყველაზე დიდ ჭეშმარიტ მნიშვნელობას იძენს სასამართლო კამათის დროს.

სამართლის მეცნიერების განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ იურიდიულმა სამსახურმა გარკვეულად შეუწყო ხელი არა მარტო მჭევრმეტყველების თეორიის განვითარებას, არამედ სიტყვიერი დამწერლობის კულტურის განვითარებასაც, რადგან წარსულში, საერთო დამწერლობის განვითარებას წინ უსწრებდა, სამართლის წერილობითი ძეგლების შექმნა.

მაგალითად, ცნობილია, რომ ძველ რომში ბავშვებს კითხვას სამართლის დოკუმენტებზე ასწავლიდნენ, კერძოდ კი, თორმეტი ტაბულის კანონების მიხედვით.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ იურიდიული პროფესიის მქონე სპეციალისტები: გამომძიებლის, პროკურორის, სასამართლოსა და ადვოკატის სახით ხელს უწყობდეს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით ჩადენილ საიდუმლოებით მოცულ ადამიანთა კონფლიქტურ სიტუაციებში აღმოცენებული გარემოებების ახსნას, ადგენს და დღის სინათლეზე გამოაქვს მომხდარი გამოსაკვლევი ფაქტების აღმოცენების ჭეშმარიტი მიზეზები და ხელშემწყობი გარემოებები; არკვევს ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილე პირთა ბრალეულობის საკითხს; ადგენს და განსაზღვრავს დანაშაულში მხილებულ პირთათვის გამოსაყენებელი სასჯელის სხვაობასა და ზომას.

ზემოაღნიშნულის გარდა, ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა სასამართლოში საჯარო განხილვა ხელს უწყობს არა მარტო განსახილველ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, არამედ ენობრივი კულტურის ამაღლებასაც ზუსტი იურიდიული ფორმულირების სახით და სხვ.

არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იურისტი თავისი პროფესიული საქმიანობით ხელს უწყობს სახელმწიფო წყობის განვითარებასა და განმტკიცებას; სახელმწიფო, კერძო და კოლექტიური საკუთრების დაცვას; სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა კერძო საკუთრების სამართლებრივი უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვას და სხვ.

იურიდიული სპეციალობა მიეკუთვნება იმ პროფესიათა განსაკუთრებულ ჯგუფს, რომელიც მონოდებულია დაიცვას საზოგადოებაში კანონიერება და მართლწესრიგი, დაიცვას და განამტკიცოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, აქტიურად ჩაებას კანონშემოქმედებით საქმიანობასა და საგამოძიებო სასამართლო რეფორმის გატარებაში, მოახდინოს დანაშაულის სწრაფი, სრული გახსნა და ხელი შეუწყოს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, ნამდვილი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობასა და ჭეშმარიტად სწორი სახელმწიფო მმართველობის უზრუნველყოფას ფართო გაგებით.

არ შეიძლება უარყოფა, რომ იურიდიული სამსახური - ესაა სახელმწიფო მმართველობის განსაკუთრებული საქმიანობა და მას არ უნდა მიენიჭოს იმაზე მეტი მნიშვნელობა, რაც მას ეკუთვნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იურიდიული სამსახური, იურიდიული პროფესია კი არაა თავისთავად სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მმართველობა, არამედ სამართალმცოდნე პირების მიერ მისი სწორი ორგანიზებულობა და თვით მართვის სისტემაში დაშვებული ყოველგვარი ანომალიისა და დარღვევების აღკვეთა, ადამიანთა სულიერი, კულტურული და სამართლებრივი აღზრდა, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის დაჩქარება და მისი შემდგომი უზრუნველყოფა.

იურისტის პროფესიული საქმიანობა გარკვეულწილად, ემსგავსება ექიმისა და სხვა დარგის სპეციალისტების პრაქტიკულ საქმიანობას. მათი პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნის მსგავსება, უპირველეს ყოვლისა, იმაში

მდგომარეობს, რომ ისევე, როგორც ექიმს, იურისტსაც საქმე აქვს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან. მაგრამ, ექიმისაგან განსხვავებით, იურისტის საქმიანობა ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში ეხება არა ცალკეულ ინდივიდს, არამედ მთელი საზოგადოების “ჯანმრთელობას”, საზოგადოებრიობის ხელოვნურ გაჯანსაღებას, ადამიანის სულიერი ცხოვრების განმედას და სხვა.

ამიტომაც ვამბობთ, რომ ისევე, როგორც ექიმი, იურისტიც თავისი ყოველდღიური საქმიანობით, გარკვეულწილად განკურნავს საზოგადოებრიობას მახინჯი, მანკიერი მოვლენებისაგან, ახდენს გზად აცდენილ დამნაშავე ელემენტების გამოვლინებას, მათ სამართლიან დასჯას, გამოსწორებასა და ხელახალ აღზრდას, ადამიანთა უფლებების განუხრელ დაცვას, სახელმწიფოსა და საზოგადოების მართვის აპარატის გაუმჯობესებას და ამით მთელი საზოგადოებრიობის გაჯანსაღებასა და ადამიანთა სულიერ განკურნებას. სწორედ ამასია იურისტისა და ექიმის პროფესიული საქმიანობის ჰუმანიტარული მიმართულებების მსგავსება.

იურიდიული სპეციალობით მომუშავე ნებისმიერი იურისტის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის, ნოტარიუსის, ადვოკატის, სახელმწიფოთა აპარატში მოქმედ სხვა დიდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მომუშავე იურისტების პროფესიული საქმიანობის საერთო დამახასიათებელ ნიშნებად მიჩნეული ისაა, რომ იურისტის პროფესია გარკვეულწილად დაკავშირებულია პოლიტიკასთან, რომ იგი ზუსტი, ცოცხალი და ჰუმანური, შემოქმედებითი და რომანტიკული ხასიათის პროფესიაა, და, რომ, ამასთან მისი პროფესიული საქმიანობა ხასიათდება განსაკუთრებული ორგანიზებულობითა და დამოუკიდებლობით.

ნათქვამის საილუსტრაციოდ საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ იურისტის პროფესიისათვის დამახასიათებელ ზემოთ დასახელებული ძირითადი ნიშნების ზოგიერთ თავისებურებაზე:

ა) იურისტის პროფესიული საქმიანობა, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეულ წილად დაკავშირებულია პოლიტიკასთან ამაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მთელი მისი სამსახურებრივი საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატის საქმიანობასთან, სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასთან, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა-განმტკიცებასთან, სახელმწიფო და სამოქალაქო დისციპლინის დაცვასთან, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან, კანონშემოქმედებით საქმიანობასა და ქვეყნად სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებასთან. ამიტომ თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური იურისტი იმავდროულად შეიძლება იყოს კარგი პოლიტიკოსიც.

სხვა პროფესიისაგან განსხვავებით, თვით იურიდიული პროფესიის უშუალო პოლიტიკური ხასიათი განსაზღვრავს იურისტის სახელმწიფო-სამართლებრივ სტატუსს, რამდენადაც მთელ რიგ შემთხვევებში, თავიანთი პროფესიითა და თანამდებობით თვითონ იურისტები არიან სახელმწიფო აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, ხელისუფლების უმაღლესი უფლებამოსილებით აღჭურვილნი და უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფო პოლიტიკური კურსის შემუშავებასა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში.

ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ისეთ სახელმწიფო მოხელე თანამდებობის პირებსაც როგორცაა: საქართველოს პარლამენტისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე და თვით პარლამენტის წევრი, რომელთა უმრავლესობა აუცილებლად სრულყოფილი იურისტი უნდა იყოს. ასევე აუცილებლად იურისტი უდა იყოს საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი ქვემდგომი პროკურორები, მოსამართლეები, გამომძიებლები და ადვოკატები.

მიზანშეწონილია იურისტი იყოს აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, უშიშროებისა და შსს მინისტრი, მათი მოადგილეები და სამმართველოს უფროსები, სახელმწიფოს საელჩოს წარმომადგენლები. სხვანაირად დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ..

მაშასადამე, იურისტს უნდა ახასიათებდეს პოლიტიკური სიმნიფე, რაც პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ იგი პოლიტიკურადაც კარგად უნდა იყოს მომზადებული და პროფესიული სიმარჯვითა და ოსტატობით შეეძლოს ნებისმიერ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში სწორი ორიენტირების განსაზღვრა და მასზე დაკისრებული სახელმწიფო – საზოგადოებრივი საქმიანობის კარგად წარმართვა.

თუ იურისტი პროფესიულ ცოდნასთან ერთად პოლიტიკურადაც არ არის მომზადებული, თავისი სამსახურებრივი თანამდებობრივი მდგომარეობით შეიძლება დაუშვას გამოუსწორებელი შეცდომა, რადგან იგი, როგორც აღვნიშნეთ მთელ რიგ შემთხვევებში, თავისი სამსახურებრივი საქმიანობით უშუალო კავშირშია სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასთან, ხალხის სამსახურთან, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვასთან, კანონშემოქმედებით საქმიანობასთან, კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა – დაცვა განმტკიცებასთან, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციების განხორციელებასთან.

ბ) იურიდიული მეცნიერება და პრაქტიკა თავისი ბუნებითა და შინაარსით ზუსტი მეცნიერებაა. ეს საკითხი ჩემს სამართალშეგნებაში აისახა და პირველად გაკვირვებაც გამოიწვია მაშინ, როცა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სისხლის სამართლის კათედრაზე მიმინვიეს და ლაბორანტის მოვალეობას ვასრულებდი, კათედრის სხდომის დამთავრების შემდეგ კათედრის გამგემ, ფრიად განსწავლულმა, ყოფილმა თავადის შვილმა, პროფესორმა ალექსანდრე ვაჩიშვილმა კათედრაზე მასთან მისულ ტანად მოხდენილ მედიდურ ქალბატონს, რომელმაც წაიკითხა ქალაქზე დაბეჭდილი, მაგიდაზე მინის ქვეშ მოთავსებული სტუდენტთა საკურსო და სადიპლომო ნაშრომების თემების სახელწოდებები [მკვლევლობა, ძარცვა, ყაჩაღობა, გაუპატიურება, ხულიგნობა, ქურდობა, თაღლითობა, მექრთამეობა, გამოძალვა და სხვ.], გაოცებულმა კათედრის გამგეს ჰკითხა:

– რა არის ეს ბატონო ალექსანდრე?

პროფესორმა მას თავისი ჩვეული სიდიდით უპასუხა:

– ეს სტუდენტთა სადილომო ნაშრომების თემების დასახელებაა.

ამ პასუხის მოსმენით გულმოსულმა ქალბატონმა მედიდურად გადახედა ბატონ ალექსანდრეს და უთხრა:

– ამას ასწავლით სტუდენტებს? ესაა თქვენი მეცნიერება? შემირცხვენისხართ თქვენც და ეგ თქვენი მეცნიერებაც?

ამ სიტყვებთან ერთად უკმაყოფილოდ წამოდგა და კარებისაკენ გაემართა. ბატონმა ალექსანდრემ კი მშვიდად მიაძახა:

– დიახ, დიახ. ესაა ნამდვილი, ზუსტი მეცნიერება..

პროფესორის ასეთმა პასუხმა ცოტა გამაკვირვა და ერთგვარ ხუმრობადაც მივიჩნიე, რადგან ვიცოდი, რომ ზუსტი მეცნიერებას მხოლოდ ტექნიკურ დარგებს მიაკუთვნენ. მაგრამ, შემდეგ ჩემმა მეცნიერულმა და პრაქტიკული საქმიანობამ დამარწმუნა, რომ პოზიტიური სამართლის მიმართებაში ეს ნამდვილად ასეა.

პოზიტიური სამართლის დარგის მეცნიერება და, აქედან გამომდინარე, იურისტის პროფესია თავისი შინაარსით იმდენადაა ზუსტი, რამდენადაც იურისტის სამსახურებრივი საქმიანობა დამყარებულია დადგენილ სამართლის ნორმებზე და ახდენს ამ ნორმების პრაქტიკულ რეალიზაციას, მათ დაცვასა და სწორად გამოყენებას, კანონიერ-

რების დაცვა-განმტკიცებას. ამასთან, იურისტების პროფესიული საქმიანობა უშუალო სამსახურებრივი უფლებამოსილებით და ფუნქციები განსაზღვრულია კანონით და უნდა მოქმედებდნენ მისი ზუსტი შესაბამისობით და კანონით გათვალისწინებული გარემოების დაუცველობის შემთხვევაში, მათ მიერ შესრულებული ასეთი მოქმედება ან უმოქმედობა კანონის უხეშ დარღვევად ჩაითვლება.

მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილია, რომ თუ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც საქმისწარმოება მიმდინარეობს, საჭიროა გამოძიებელმა, პროკურორმა ან მოსამართლემ მოინვიოს თარჯიმანი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება კანონის უხეშ დარღვევა, რაც თავისთავად გამოიწვევს მიღებული მონაცემების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევას..

კანონის მოთხოვნათა ზუსტი შესაბამისობით უნდა ვანარმოთ აგრეთვე მომხდარი ფაქტების ფიქსაცია, რომლის დროსაც ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი გახდეს უზუსტესი სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში ზუსტი შესაბამისობით უნდა აღინეროს არა მარტო იქ აღმოჩენილი მტკიცებები, მათი პირვანდელი მდგომარეობა და დამუშავების ხერხები და მეთოდები, არამედ მათი გაზომვებისათვის გამოყენებული ზუსტი საზომი ხელსაწყოებიც. საჭიროა მოხდეს აგრეთვე მათი ფოტოგადაღებები საგამოძიებო ფოტოგრაფიაში შემუშავებული სპეციალური ხერხებითა და მეთოდებით. ამასთან, აუცილებელია, რომ დათვალიერების ოქმთან ერთად შედგეს შემთხვევის ადგილის სქემები და გეგმები, კინო და ვიდეო გადაღებები, მათემატიკური ფორმულების გამოყენებით შეიძლება მოხდეს შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი დამუხრუჭების შედეგად აღმოცენებული ავტომანქანის საბურავების კვალის მიხედვით ავტომანქანის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრა; დადგინდეს ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაცია და სხვ.

მაგალითად, თუ იურიდიული თვალთახედვით ერთიმეორისაგან ვერ განვასხვავებთ თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და თაღლითობას, ძარცვასა და მექრთამეობას, განზრახ მკვლელობასა და გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობას და სხვ., ყოველივე ამით დაუშვებლად უხეშ შეცდომას და პიროვნების არა მართებულ მსჯავრდებას.

იურისტის ასეთი პროფესიული საქმიანობა, კანონით განსაზღვრული წესითა და კანონის ფარგლებში, უდაოდ ზუსტ მეცნიერებას მიეკუთვნება.

გ) იურისტის პროფესია და პრაქტიკული საქმიანობა ცხოვრებისეულია, თუნდაც იმიტომ, რომ მთელი მისი საქმიანობა პირდაპირ დაკავშირებულია საზოგადოებებისა და ადამიანთა ცხოვრების, ადამიანთა ურთიერთობის ყველა მხარესთან. უფრო ხატოვნად რომ ვთქვათ, იურისტის პროფესია, მისი ყოველდღიური სამსახურებრივი საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანთა ცხოვრების „სამზარეულოსთან“, ადამიანთა ყოველგვარი ურთიერთობის ამსახველ ფაქტებთან, მათ პირად, ოჯახურ, სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან, ადამიანთა ცხოვრებასთან.

მაგალითად, გაუპატიურების ფაქტების გამოკვლევისას გამოძიებელი, პროკურორი და მოსამართლე, რომლებიც იმავე დროს თავიანთი პროფესიით იურისტები არიან, საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, აუცილებელია ჩანვდნენ მათი ინტიმური ცხოვრების ყოველ მხარეს, ყოველმხრივ გამოიკვლიონ იგი და მიღებული მონაცემების საფუძველზე მოახდინონ სწორი, იურიდიული შეფასება.

ასევე, ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე აღმოცენებული დანაშაულებრივი ფაქტის გამოკვლევისას საჭიროა კონფლიქტური სიტუაციის გამომწვევი მიზეზების დადგენაც, რათა დაზუსტდეს თითოეული მხარის ბრალეულობა და ამასთან დაკავშირებით

მოახდინოს მთელი რიგი სახის წერილობითი დოკუმენტების შედგენა და სხვ. თავისი ასეთი საზოგადოებრივ-ცხოვრებისეული თავისებურების გამო, იურისტის პროფესია გარკვეულწილად ემსგავსება და ახლო დგას ჟურნალისტისა და მწერლის პროფესიასთან.

მაშასადამე, იურისტის პროფესია ცხოვრებისეულია იმ გაგებით, რომ იურისტის საქმიანობა უმეტესად დაკავშირებულია ადამიანთა ურთიერთობების ახსნასთან, კონკრეტული პირების ცხოვრებასთან, მათ საზოგადოებრივ საქმიანობასთან, რადროსაც მას თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უხდება ღრმად ჩანვდეს ამ ადამიანების ინტიმურ ცხოვრებასა და საქმიანობას, მათ კონფლიქტურ სიტუაციებს, შეიჭრას მათი სულიერი ცხოვრების სამყაროში, ჩანვდეს მათ ფსიქოლოგიურ განცდებს, მოახდინოს მოპოვებული ფაქტობრივი მასალების სწორი ანალიზი და გამოსაკვლევი ან გამოსაძიებელი ფაქტის ირგვლივ დაადგინოს ობიექტური ჭეშმარიტება.

დ) იურისტის საქმიანობის ორგანიზატორული ხასიათი განსაკუთრებით თავს იჩენს მოსახლეობის ფართო ფენების აქტიურ ჩაბმაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და თავიდან ასაცილებელ ღონისძიებათა შემუშავებაში, დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიმართებით წარმოებულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩაბმაში და სხვ.

იურისტის პროფესიის დამახასიათებელი ეს უმნიშვნელოვანესი ნიშანი, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლოს ადამიანთა მობილიზება, სამართლებრივი ნორმების ცხოვრებაში გასატარებლად დარაზმოს ადამიანები კანონიერების დაცვის უზრუნველყოფის ამოცანის შესასრულებლად. ამასთან, მან უნდა შეძლოს სათანადო კავშირების დამყარება წარმოება-დანესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. ცალკეულ მოქალაქეებთან და მათთან ერთად დარაზმოს მოსახლეობის ფართო ფენები ერთი საერთო-სახელმწიფოებრივი მიზნის განსახორციელებლად.

მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, გამომძიებელმა უნდა შეძლოს საზოგადოებრიობის აქტიური ჩაბმა რთული დანაშაულებრივი ფაქტების გამოძიებაში, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გამოსაძიებელ საქმეზე გამოიყენოს ეს უშრეტი ძალა და მიაღწიოს დანაშაულის გახსნას, მის აღკვეთასა და თავიდან აცილებას.

ე) იურისტის პროფესიული საქმიანობა, რომ შემოქმედებითი ხასიათისაა ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ იგი შემოქმედებითად იყენებს თავის პროფესიულ ცოდნას კანონიერების დაცვა-განმტკიცების საქმეში. მაგრამ, ცხადია, მისი ეს შემოქმედებითი ხასიათი არ ნიშნავს იმას, რომ იგი თავისი პროფესიული, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იჩენდეს კანონის მოთხოვნების შესრულებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას, ქარაფშუტობას, კანონის გვერდის ავლას და მოქმედებდეს თავისი ფანტაზიითა და უნაყოფო საქმიანობით.

იურისტი თავისი პროფესიული შემოქმედებისას უნდა ემყარებოდეს კანონსა და ფაქტებს, ამ ფაქტების ირგვლივ შეკრებილი მონაცემების საფუძველზე აგებდეს საგამომძიებო ვერსიებს, ანუ თავის სავარაუდო მოსაზრებებს მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების ან მისი რომელიმე გარემოების ახსნის შესახებ, ახდენდეს მოპოვებული მასალების ზუსტ ანალიზს და მის შესაბამისად აკეთებდეს სწორ იურიდიულ დასკვნებს.

მაგალითად, გამოძიების პირველსავე ეტაპზე მოპოვებული ფაქტიური მონაცემების საფუძველზე შეიძლება წამოყენებულ იქნეს ვერსია იმის შესახებ, თუ რა გარემოებას ჰქონდა ადგილი, მკვლელობას თუ მკვლელობის ინსცენირებას; ქურდობას თუ ქურდობის ინსცენირებას და სხვ.

ვ) იურისტის პროფესიული საქმიანობა დამოუკიდებელი ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი კანონის საფუძველზე იღებს მთელ რიგ დამოუკიდებელ გადაწყვე-

ტილებებსა და პასუხს აგებს მხოლოდ კანონის წინაშე. იურისტის პროფესიული საქმიანობის ეს დამახასიათებელი ნიშანი განსაკუთრებით შეიმჩნევა პროკურორისა და მოსამართლის საქმიანობაში, რადგან ისინი სამართალწარმოებაში მოქმედებენ კანონის შესაბამისად დამოუკიდებლად და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

მაშასადამე, მოსამართლენი დამოუკიდებელნი არიან და სასამართლოში განსახილველად შესულ საქმეებს წყვეტენ კანონის საფუძველზე და არავის წინაშე არ არიან ანგარიშვალდებულნი. ასევე, პროკურორი თავის უფლებამოსილებას სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში ახორციელებს ყოველგვარი ორგანოსა და თანამდებობის პირისაგან დამოუკიდებლად და იერარქიულად ქვემდგომი პროკურორი ემორჩილება ზემდგომ პროკურორს, გენერალური პროკურორი კი მხოლოდ კანონს.

არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ახსნა – განმარტება იმის შესახებ, თუ მან საქმის განხილვის დროს მისი შეფასებული საბოლოო დოკუმენტი – განაჩენი ან გადაწყვეტილება რატომ გამოიტანა ასეთი და არა სხვანაირი. იურისტი მთელი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას საჭიროა ხელმძღვანელობდეს კანონით, რადგან იგი გვევლინება, როგორც კანონიერების დაცვის ერთგვარი წარმომადგენელი და თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი პირი. ამიტომ იგი პასუხს აგებს კანონის წინაშე მის მიერ ჩადენილი არასწორი, კანონსაწინააღმდეგო ქმედებისა და მიღებული გადაწყვეტილებისათვის.

ზ) იურისტის პროფესიული საქმიანობა გარკვეულ წილად რომანტიკულიცაა და ეს შეიძლება ზოგიერთს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ეს ნიშანი ნამდვილად არის დამახასიათებელი იურიდიული პროფესიისათვის, რადგან მან ნამდვილად იცის თავდაუზოგავი გატაცება და ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ოპერატიული – სამძებრო სამსახურის მუშაკების – დეტექტივებისა და გამომძიებლების საქმიანობაში, ორი დაინტერესებული მხარის (ერთის მხრივ, დანაშაულის ჩამდენი პირების, რომ არ მოხდეს მათი მხილება – დანაშაულის სრული გახსნა და, მეორე მხრივ, საგამომძიებო ორგანოს სურვილი და გატაცება, რაც შეიძლება სწრაფად და სრულად მოახდინოს საქმის გახსნა და მასზე ჭეშმარიტების დადგენა) შეჯიბრებითობის პროცესში, რა დროსაც ოპერატიული მუშაკისა და გამომძიებლის მთელი პროფესიული საქმიანობა მიმდინარეობს შესაცნობი პროცესების კვლევა-ძიებაში, საქმეზე საჭირო მტკიცებულებების მოპოვებისათვის საჭირო სამეცნიერო – ტექნიკური, ტაქტიკურ – ფსიქოლოგიური ხერხებისა და მეთოდების შერჩევა-გამოყენებაში, მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტის შემეცნების ლოგიკური აზროვნების კანონებისა და მიღებული შედეგების სწორად გაანალიზების აზრთა ჭიდილში. ყოველივე ეს, ცხადია, მოითხოვს დაკვირვებას, დიდ გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას, გამოსაძიებელ საქმეზე მტკიცებულებათა შეკრებას, მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების ახსნას და ამ მიმართებით ლოგიკური აზროვნების კანონების გამოყენებას, შეკრებილი მასალების ღრმა გაანალიზებასა და მის საფუძველზე სწორი, დასაბუთებული დასკვნების გამოტანას და სხვ.

სხვადასხვა სახით შენიღბული დანაშაულებრივი ქმედობის შეცნობისა და მათი აღმოცენება-განვითარების კანონზომიერებით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მთლიანი მექანიზმის შეცნობისაკენ რომანტიკული ლტოლვა დამახასიათებელია არა მარტო ოპერატიული სამსახურის მუშაკებისა და გამომძიებლებისათვის, არამედ თითქმის ყველა იურიდიული სამსახურის სპეციალისტებისათვის. კერძოდ, პროკურორის, მოსამართლის, ადვოკატის, ნოტარიუსის, საფინანსო პოლიციისა და საგადასახადო ორგანოს მუშაკებისა და სხვა დარგებში მომუშავეთა იურისტების საქმიანობისათვის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, იურისტის მთელი საქმიანობა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანთა ურთიერთობებთან და მათ შორის აღმოცენებულ სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტური გარემოებების სრულ, ყოველმხრივ გამოკვლევასთან.

წარსულში მომხდარი შენიღბული დანაშაულებრივი ფაქტების გახსნა, მათი სრული,

ყოველმხრივი გამოკვლევა და ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა იურისტისგან მოითხოვს არა მარტო კანონების ზედმინევენით ცოდნას, არამედ საკუთარ შემოქმედებით უნარს, მტკიცე ნებისყოფას, მოუსყიდაობას და დამნაშავეობასთან ბრძოლის სამეცნიერო – ტექნიკური საშუალებების, ტაქტიკური ხერხებისა და მეთოდების სწორად გამოყენების შესაძლებლობას.

ისევე, როგორც სხვა რომანტიკული სახის პროფესიისათვის, იურიდიული პროფესიის რომანტიკულობისათვის, პირველ რიგში, დამახასიათებელი ისაა, რომ იგი ეხება იურისტის ურთულეს საქმიანობას, რომელიც მოითხოვს სისტემატურ ძიებას, დაკვირვებას, ყურადღების დაძაბვას, გამოსაკვლევნი ფაქტის ან მისი რომელიმე გარემოების შესახებ საჭირო მტკიცებულებების მოპოვებასა და გაანალიზებას. ამის მიღწევა კი შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც თავის სამსახურებრივ საქმიანობას ასრულებს არა მარტო თავისი მოვალეობის, სამსახურებრივი ვალდებულების ფორმალურად მოხდისათვის, არამედ იმას, ვინც მთელი თავისი ფიზიკური შესაძლებლობით, ფსიქოლოგიური განწყობითა და გატაცებით მთლიანად ჩაეფლოა ამ შრომატევად საქმიანობაში.

იურიდიული პროფესიის რომანტიზმი თავის უმაღლეს გამოხატულებას პოულობს სიმართლის, კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენის გამარჯვებაში. კერძოდ, გამომძიებლის თავისებური წარმატებაა მაშინ, როცა მის მიერ გამოძიებულ საქმეს სასამართლო მიიჩნევს სწორად, სრულყოფილად და დანაშაულში მხილებულ პირებს სამართლიან განაჩენს გამოუტანს და იხეიმებს სწორი, სამართლიანი მართლმსაჯულება

საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობების შესაბამისად, საჭიროა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს იურიდიული კადრების მომზადება, დაიხვეწოს კანონმდებლობა, გარდაიქმნას და გაფართოვდეს იურიდიული სამსახური, მეტი ყურადღება მიექცეს მაღალკვალიფიციური იურისტების ჩაბმას კანონშემოქმედებით საქმიანობაში. მიღწეული იქნას მომხდარი დანაშაულებრივი ფაქტების სწრაფი, სრული გახსნა, გამოსაძიებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და ამაღლდეს იურისტების ავტორიტეტი.

იურისტის ყოველმხრივ პროფესიონალურ მომზადებასა და ამ მიმართებით მათი კვალიფიკაციის ყოველდღიურ ამაღლებას აქვს არა მარტო წმინდა თეორიული მნიშვნელობა, არამედ დიდი პრაქტიკული და პოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იურისტის პროფესიული საქმიანობა გარკვეულწილად დაკავშირებულია სახელმწიფო პოლიტიკის გატარებასთან.

თ) იურისტის მთელ საქმიანობას წითელ ზოლად უნდა გასდევდეს პატიოსნება, მოუსყიდაობა, პრინციპულობა, ობიექტურობა, პროფესიული ოსტატობა, ხალხისა და თავისი პროფესიული საქმიანობის სიყვარული და პატივისცემა.

იურისტის პროფესიული ოსტატობა ნიშნავს მის მაღალ კვალიფიკაციას, იმას, რომ იგი სრულყოფილად ფლობს თავის სპეციალობას, თავის პროფესიულ ხელოვნებას, კანონებს, კარგად ერკვევა საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მიღწევებში და შეუძლია პრაქტიკაში მათი სწორად გამოყენება, იყოს დამნაშავეობის წინააღმდეგ აქტიური პროფესიული მეზრძოლი; ფლობდეს დანაშაულთა გახსნისა და თავიდან აცილების სპეციალურ სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, ხერხებსა და მეთოდებს, შეეძლოს შემთხვევის ადგილზე არსებული ნეგატიური და უჩინარი კვლების გამოვლინება, მათი ამოღება, გამოკვლევა, სწორი საგამოძიებო ვერსიების აგება – შემონიშვნა და ნებისმიერი შენიღბული, ლატენტური დანაშაულის გამოვლინება-აღკვეთა, მისი დროული გახსნა და თავიდან აცილება; პატიოსნება, სინამდვიდე, მოუსყიდაობა და ობიექტურობა უნდა იყოს იურისტის ყოველდღიური საქმიანობის თანმდევი, მისი განუყრელი თვისება, მაღალი კულტურა და ადამიანებისადმი პატივისცემა. ამასთან, ვინაიდან მისი ყოველდღიური საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანებ-

თან, მათ ცხოვრებასა და ყოფიერებასთან, უნდა შეეძლოს მათთან სწორი კონტაქტის დამყარება, მათი ნდობისა და პატივისცემის მოპოვება. იყოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი და პატიოსანი შემსრულებელი და არ ივინყებდეს დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძის შეგონებას: „პატიოსნება, კაი-კაცობა უფრო მკვიდრი განძია ადამიანისათვის, ვიდრე დროებითი ხეირი ავკაცობისა“.

იურისტის შეუვალობა, პრინციპულობა, მოუსყიდავობა და ობიექტურობა ნიშნავს იმას, რომ თავის რთულ პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობდეს კანონით და საკუთარი მართლშეგნებით, არ მოექცეს ვინმეს ზეგავლენის ქვეშ, იყოს პრინციპული, მოუსყიდავი და შეეძლოს თავის სამსახურებრივ საქმიანობაში შემაჯავალი ნებისმიერი საკითხის ობიექტურად გადანყვეტა.

ხალხისა და პროფესიისადმი სიყვარული და პატივისცემა, ნიშნავს იმას, რომ იურისტი უნდა ამაყოფილოს თავისი სპეციალობით, უფრო ხილდებოდეს და პატივს სცემდეს მას თავისი ყოველდღიური საქმიანობით, იჩენდეს მაღალ პრინციპულობას, ობიექტურობას, იყოს შეურიგებელი მეზობელი ბიუროკრატიზმისა და ყოველგვარი სახის უსამართლობისადმი, იყოს სამართლიანობის, ქვეყნისა და ხალხის კანონიერი ინტერესების ნამდვილი, ჭეშმარიტი დამცველი.

ვფიქრობ, მხოლოდ ესეთი სამართლებრივი უნარ-ჩვევებისა და ქართული, პოზიტიური ტრადიციული იდეებისა და სხვა დადებითი თვისებებით შემკულ იურისტს შეუძლია წარმატებით გაართვას თავი რთულ პროფესიულ საქმიანობას, იყოს ობიექტური შემფასებელი და მსაჯული ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მომხდარი მოვლენებისა და მოიპოვოს ხალხის ნდობა და სიყვარული.

ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა იურისტების აღზრდა- ჩამოყალიბებაც სწორედ ამ ნიშან-თვისებებითა და იურიდიული პროფესიისადმი სიყვარულითა და იურისტის სახელმწიფო პატივისცემის სულისკვეთებით უნდა წარიმართოს..

რეზიუმე

ნაშრომში გამოკვეთილი და განხილულია იურისტის პროფესიული საქმიანობის როლი და მნიშვნელობა დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის, ადამიანის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა – განმტკიცების, კანონშემოქმედების, საგამოძიებო – სასამართლო რეფორმისა და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაში.

RESUME

The role and significance of lawyer's professional activity in the development of independent, democratic, legal state and in protection of human rights and freedom, in lawmaking, in conducting investigation-court reforms and fair justice, are discussed in this work.

РЕЗЮМЕ

В работе рассмотрена роль и значение профессиональной деятельности юриста в деле построения демократического, независимого, правового государства, на защиты и укрепления законных прав и свободу человека, в законотворческой деятельности, в проведении следственно – судебной реформы и осуществлении справедливого правосудия.

1. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია- უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი

**პროფესორები:
ირაკლი გაბისონია,
ჯემალ გაბელია**

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სისტემის ფარგლებში და საკუთარი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში. საქართველო ევროატლანტიკურ თანამეგობრობის ფასეულობათა ერთიან სისტემასთან ერთად კოლექტიურ თავდაცვის პრინციპებსაც იზიარებს. მართალია საქართველოს მის უსაფრთხოებაზე მოქმედი გლობალური ფაქტორების კონტროლი არ შეუძლია, მაგრამ ის კვლავ რჩება დასავლეთის ყველაზე სტაბილურ და სანდო სტრატეგიულ პარტნიორად რეგიონში.

სტრატეგიული ურთიერთობის ფარგლებში განსაკუთრებით აღსანიშნავია 2018 წლის 13 ივლისს აშშ-ს ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტის ჩანაწერი, რომლის მიხედვით საქართველო ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში შავი ზღვისა და ბალტიის ქვეყნებთან ერთად მოაზრებულია როგორც აშშ-ის მოკავშირე და პარტნიორი ქვეყანა. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ნატოსთან მჭიდრო კოორდინაციით ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებისა და პარტიონერების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს წარმოადგენს და ის ჩრდილო ატლანტიკური შეთანხმებით ნაკისრი ურყევი ვალდებულებების შესრულებას ემსახურება. რაც თავის მხრივ, რუსეთის აგრესიის შეკავების კომპლექსურ სტრატეგიას წარმოადგენს. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გზავნილებსაც შეიცავს. უფრო კონკრეტულად, საუბარია იმაზე რომ ევროპაში აშშ-ს მოკავშირეებისა და პარტნიორების გასაძლიერებლად ქვეყნის თავდაცვის მდივანმა სახელმწიფო მდივანთან და ევროპაში აშშ-ს სარდლობასთან კოორდინაციით ხელი უნდა შეუწყოს საქართველოსთვის უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვანი დახმარების განწევას. მათ შორის, ლეტალური თავდაცვითი შესაძლებლობებით, რაც გააძლიერებს საქართველოს თავდაცვითუნარიანობას და გააუმჯობესებს ნატოს ძალებთან თავსებადობას. ამასთანავე, კანონი მოუწოდებს ადმინისტრაციას შეიმუშავოს და განახორციელოს უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ყოველისმომცველი სტრატეგია, რომელიც ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებისა და პარტნიორების განსაკუთრებით რუსული აგრესიისა და საზიანო გავლენის უშუალო სამიზნე ქვეყნების მხარდაჭერას მოიცავს. დოკუმენტი ასევე ხაზს უსვამს საქართველოსა და უკრაინის მონაწილეობით შავ ზღვაში ნატოსა და სხვა მრავალეროვნული ფორმატის წვრთნების ჩატარების სიხშირის მასშტაბისა და სცენარების გაფართოვების მნიშვნელობას. კანონში დაფიქსირებულია ნატოს „ღია კარის“ პოლიტიკის, მათ შორის, საქართველოს ნატოში განწევრიანების მხარდაჭერა. საკანონმდებლო დონეზე საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების თემების გათვალისწინება კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების მნიშვნელობას ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის პოლიტიკურ დღის წესრიგში.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2008 წლის ომის დროს, როდესაც ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდებოდა ამერიკის დაუყოვნებელი დახმარება, ის აღარ გამოჩნდა. აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი იხსენებს, რომ რუსული ინ-

ტერვენციისადმი შესაძლო გამოპასუხების განხილვისას ეროვნული უსაფრთხოების საბჭოზე, ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველმა სტივენ ჰედმინ დასვა კითხვა: „მინდა გკითხოთ ვართ თუ არა მზად იმისათვის, რომ დავიწყოთ ომი რუსეთთან საქართველოს გამო?“¹ რა თქმა უნდა, არსებობდა სხვა გზებიც, რითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლო რუსეთის დასჯა (მაგალითად, უარი ეთქვა რუსეთის მხარდაჭერაზე და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განევრიანების საკითხში ან/და დაეკისრებინა სხვა ტიპის სანქციები, როგორც ეს უკრაინასთან მიმართებით მოხდა) მაგრამ ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს.²

საკომპენსაციოდ, შემუშავდა აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.³ იგი განსაზღვრავს თავდაცვის საკითხში თანამშრომლობის გაძლიერებას. მაგრამ, ქარტია ნაკლებად შეიცავს რაიმე კონკრეტულ ქმედებას ან მნიშვნელოვან ვალდებულებას საქართველოს უსაფრთხოების მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცოტა არ იყოს გადაჭარბებულია იმაზე საუბარი, რომ აშშ-ი საკუთარ თავზე აიღებს მატერიალურ პასუხისმგებლობას საქართველოს უსაფრთხოებაზე. მართალია, აშშ-ი იზიარებს საქართველოს პოზიციას ტერიტორიული მთლიანობის და უკანონო ოკუპაციის შესახებ. მაგრამ, რეალურად მას არ სურს რუსეთთან უთანხმოება საქართველოს გამო. რაც ხელს შეუშლიდა აშშ-რუსეთის ურთიერთობას უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე (იარაღის კონტროლი, ბირთვული შეიარაღება, ჩრდილოეთ კორეა, სირია, უკრაინა, ირანი და სხვა). ამას ემატება ისიც, რომ ამერიკას აქვს საკუთარი უსაფრთხოების ძალიან გადატვირთული დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს ტერორიზმის პერმანენტულ საფრთხეებს, აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთის გაზრდილ დომინანტობას, ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო ბოლო პერიოდში გაღრმავებულ კრიზისს, პრობლემებს ევროზონის კრიზისთან დაკავშირებით და რუსეთთან არსებულ სირთულეებს.

რუსეთის ქმედებები არ იყო პროვოცირებული და იყო აგრესიული, როგორც ეს სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმა აღნიშნა: „ჩვენ უნდა ვუთხრათ უარი რუსეთის იმ სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც საქართველოში დემოკრატიას უთხრის ძირს, სამხედრო ძალის გამოყენებით საქართველოს ინფრასტრუქტურის დაზიანება და ზოგ შემთხვევაში განადგურება სურს და არის ქართული სახელმწიფოს დასუსტების მცდელობა.“⁴ ამასობაში, ნატომ არათუ გადაწყვიტა, არამედ გარკვეული ვადით გადადო უკრაინისა და საქართველოს ალიანსში მიღების საკითხი. მართალია, იგი ინარჩუნებს მათ კანდიდატურებს დღის წესრიგში, მაგრამ არ დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს ამ ქვეყნებთან მიმართებით.⁵

რუსეთი რჩება აგრესორად და ექსპანსიონისტად და იგი არ არის მზად მეზობლებთან მშვიდობიანი ცხოვრებისათვის- აღნიშნავენ ნატოს გაფართოების მომხრეები, ახლა, როგორც არასდროს საქართველოს და უკრაინას სჭირდება ნატოში განევრიანება. საკუთრივ ნატოს სანდოობაც საფრთხის ქვეშ დგას. ნატოს გაფართოების მონინალმდეგეები კი აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი შეკავებას იმდენად არ გააძლიერებს, რამდენადაც რუსეთის პროვოცირებას გამოიწვევს.⁶ მეორე არგუმენტი გულისხმობს, რომ ეს პროცესი ორგანიზაციის შიდა ერთიანობას და ეფექტურ ფუნქციონირებას

1 Condoleezza Rice, A Memoir of my Extraordinary Ordinary Family and Me (New York: Random House, 2010), pp. 688–89

2 ს. ნილ მარკლფარლენი, საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება, თბ, 2012, გვ. 35

3 <http://www.state.gov/p/eur/rls/or/121029.htm>.

4 Condoleezza Rice, Remarks en Route To Brussels, Belgium, August 18, 2008,

5 ბრუს ჯენტლესონი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თბ, 2015, გვ. 643

6 Bruce W. Jentleson, “The Atlantic Alliance in a Post-American World”, Journal Of Transatlantic Studies 7.1. (march 2009):61-72

შეაფერხებს. კერძოდ, როცა ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა იზრდება, გადაწყვეტილების მიღება და კონკრეტული პოლიტიკის გატარება უფრო რთულდება. თუკი ერთი მეორის მიყოლებით ყველა ქვეყანას მივიღებთ ორგანიზაციაში, ის აღარ იქნება დღევანდელივით ეფექტიანი და შეკრული. ნატო დაემსგავსება ერთა ლიგის მსგავს სუსტ ერთეულს⁷ -განაცხადა ნატოში აშშ-ს ყოფილმა ელჩმა. რაც შეეხება ევროკავშირს, მან უნდა აჩვენოს მსოფლიოს, რომ ის ძალიან სერიოზული პარტნიორია, თუ არა და მოუწევს შეგუება ფაქტთან, რომ თამაშგარე აღმოჩნდება.⁸

ასეთ პირობებში, პირველი რიგის ამოცანაა განისაზღვროს საქართველოსათვის სტრატეგიულად პარტნიორი და მოწინააღმდეგე ქვეყნები, ასევე ის ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის ან პირიქით, მათთან თანამშრომლობითა და პარტნიორობით შესაძლებელია მაქსიმალურად იქნეს მიღწეული უსაფრთხო გარემო.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები (აზერბაიჯანი, სომხეთი) და თურქეთი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით მოიაზრებიან საქართველოს პარტნიორ ქვეყნებად. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომხეთი და რუსეთი არიან სტრატეგიული პარტნიორები. სომხეთში განლაგებულია რუსული სამხედრო ბაზა. არ არის გამორიცხული სამხრეთ კავკასიაში სიტუაციის ესკალაციის შემთხვევაში საქართველო გახდეს არაპირდაპირი პოტენციური მოწინააღმდეგე. რაც შეეხება ირანს მისი მთავარი სამიზნე არის დასავლეთი. შეერთებული შტატები და ისრაელი. თუმცა, მას გააჩნია თავისი მუდმივი ინტერესი კავკასიაში. ამას ემატება ისიც, რომ ირანი არის რუსეთის სტრატეგიული პარტნიორი ისინი დღემდე თანამშრომლობენ ბირთვულ საკითხებში, რაც თავის მხრივ დიდ უკმაყოფილებას იწვევს შეერთებული შტატებსა და ევროკავშირში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო აქტიურად მიისწრაფვის ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციისაკენ, შესაძლებელია საქართველო აღმოჩნდეს ირანის „მოწინააღმდეგეთა ბანაკში“.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ანალიზიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული ძალის გამოყენება ირანთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია განვიხილოთ მოვლენების განვითარების ორი სავარაუდო სცენარი. პირველი, საუბარია საზღვაო და საჰაერო თავდასხმაზე, შესაძლებელია ირანმა გადაწყვიტოს ორმუხის სრუტის ჩაკეტვა, თუმცა ეს ნაბიჯი ირანის მხრიდან გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვქონდეს ეკონომიკურ თვითმკვლელობასთან, რადგანაც ძალზე დიდია სრუტის მეშვეობით ქვეყნის მიერ წარმოებული ექსპორტი.

ირანმა უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ აშშ-ს შესწევს ძალა საჭიროების შემთხვევაში გახსნას სრუტე. ამაში ჩართული იქნება საზღვაო და საჰაერო სამხედრო ძალები. ვფიქრობთ, რომ ამისათვის აშშ-ს არ დასჭირდება კავკასიის გამოყენება. მეორე ვარიანტი- მას შემდეგ რაც აშშ-მ დატოვა ადრე გაფორმებული ხელშეკრულება, არ არის გამორიცხული სამხედრო მოქმედება ირანის ბირთვული გამდიდრების პროგრამის განადგურებისათვის. თუმცა, წინასწარ იმის თქმა იქნება, თუ არა ამგვარი ოპერაციები წარმატებული ძნელია, თუმცა შესაძლებელია გავაკეთოთ გარკვეული დასკვნა, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც არ იქნება საჭირო, კავკასიის რეგიონის გამოყენება აღნიშნული ოპერაციისათვის.

სამწუხაროდ, არც ისაა ცხადი, მოისურვებენ თუ არა კავკასიის რეგიონის ქვეყნები (საქართველოს ჩათვლით) ამ პროცესებში ჩართვას. ამგვარ ოპერაციებში მო-

7 David Abshire, "A debate Der 16 Parliaments," Washington Post, February 19, 1997, A21.

8 ჯოვანი გრევი, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განახლება, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თბ, 2015, გვ.798

ნაწილეობა მტრულად განაწყობს ირანის მთავრობას.⁹ მაგალითად, აზერბაიჯანის ამ ოპერაციებში მონაწილეობას შესაძლოა სამაგიეროს გადახდა მოჰყვეს საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორის მიმართ.¹⁰ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამგვარ ოპერაციებში ჩართულობა სტრატეგიულ საფრთხეს წარმოადგენს უფრო მეტიც, არც ის იქნება გონივრული, რომ რეგიონი დასავლეთის საყრდენ ბაზად განიხილონ. თუმცა, დაბალანსების პოლიტიკაზე საუბარი ძალზე ძნელია. ერთი მხრივ, სახეზეა რუსეთის დომინანტობა ძალთა ბალანსში და მეორეს მხრივ დასავლეთის განცხადებები ამ პროცესში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით. საქართველოს მცდელობამ განევრიანდეს ნატოში მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოს ურთიერთობა იმ ქვეყანასთან, რომელიც მის ყველაზე მძლავრ სტრატეგიულ საფრთხეს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, რუსეთისგან გაუცხოების პოლიტიკა და თითქოსდა დასავლეთთან დაბალანსება რისკის შემცველია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია იმის თქმა, რომ საქართველომ ის მიიღოს დასავლეთისგან რასაც ელოდება. ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა გერმანიის კანცლერის ვიზიტმა და მის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა, სამწუხაროდ მან სტუდენტებთან შეხვედრაზე პირველად ახსენა სიტყვა ოკუპაცია, რაც შეეხება ნატოში განევრიანებას, ამასთან დაკავშირებით ახალი არაფერი თქმულა. უფრო მეტიც, კანცლერმა ღიად განაცხადა „სწრაფ ნევრობას ნატოში ვერ ვხედავო“. ჩვენი მოლოდინიც, სამწუხაროდ, რეალობას მოკლებულია. რუსეთი კი უფრო და უფრო აგრესიული ხდება. ასეთ ვითარებაში, რუსეთთან ურთიერთობების თანმიმდევრული ნორმალიზაცია უფრო კეთილგონიერი ნაბიჯია. ეს სულაც არ გულისხმობს საქართველოს ნატოსკენ სწრაფვაზე უარის თქმას. ის გულისხმობს მრავალვექტორულ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში უფრო ფართო ჩართვას და უფრო მეტად რეგიონზე კონცენტრირებულ პოლიტიკას. სამწუხაროდ, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას უფრო მეტად პოლიტიკური დატვირთვა აქვს. რუსეთისადმი დამოკიდებულებას კონცეფცია ემსახურება, მმართველი პარტიის სტრატეგიას საკუთარი პოზიციის ლეგიტიმაცია მოახდინოს და შეასუსტოს ოპოზიციურად განწყობილი ძალები.

მართებულად მიგვაჩნია, ს. ნილ. მაკფარლენის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს და არა საშინაო პოლიტიკური დებატების იარაღი, მას სჭირდება საღი და ობიექტური ანალიზი, შეცდომის ფასი საკმაოდ მაღალია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორც საქართველო.¹¹

უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ძალთა ახალ განლაგებაში ქვეყანამ შეძლოს ისეთი პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავება, რომელიც როგორც რეგიონალური, ისე გლობალური პოლიტიკის თვალსაზრისით დაპირისპირებული ძალების დაბალანსებას მყარ საფუძველს შეუქნის.¹² ამიტომ, ჩვენი აზრით, განუწყვეტელი ხაზგასმა „პროდასავლურ, ანდა „პრორუსულ“, ან „პროამერიკულ“ ორიენტაციაზე, თავიდანვე ნამგებიანი პოზიციაა. რადიკალიზმი არც აქ მოუტანს სიკეთეს ქართულ პოლიტიკას. ეს ნათლად აჩვენა 90-იანი წლების დასაწყისმა. თანამედროვე საერთაშორისო ვითარება და ინტეგრაციული პროცესები თანდათანობით ისეთ ხასიათს იღებს, რომ მარტო ჩვენ კი არ გვჭირდება დასავლეთის თუ აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის თუ სამხრეთის ორიენტირები და კავშირურთიერთობები, არამედ ჩვენც ვჭირდებით ჩვენს უშუალო და შორეულ მეზობლებს თავიანთი სტრატეგიული გეოპოლიტიკური ინტე-

9 ს. ნილ მაკფარლენი, საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება, თბ, 2012, გვ. 45

10 იქვე

11 იქვე, გვ.39-40

12 ჯ.გახოკიძე. ისტორიული გეოგრაფია და ქვეყნის უსაფრთხოება. ჟურნ. „ეკონომიკური პოლიტიკის და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი“ 2002, N1

რესების რეალიზაციისათვის მთელი ევრაზიული სივრცის მასშტაბით.

ამიტომ დღეს მთავარი ისაა, რომ მაქსიმალური ეფექტურობით გამოვიყენოთ ჩვენი გეოპოლიტიკური პოზიციები და ამით ასეთივე მაქსიმალური ეფექტურობით ჩავეერთოთ რეგიონალური და გლობალური ინტეგრაციის პროცესებში. ასეთია დღეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის მთავარი მიმართულება და ასეთივე მოიაზრება იგი 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულებშიც. მხოლოდ ამ გზით განვამტკიცებთ ჩვენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი წინადადების არსიც ისაა, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, მისმა საგარეო-პოლიტიკურმა და საგარეო-ეკონომიკურმა უწყებებმა შეიმუშაონ ამ სტრატეგიის რეალიზაციის მიზანმიმართული სამუშაო პროგრამა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ყველა ძირითადი მიმართულებისათვის. უმთავრესი ორიენტირი უნდა გახდეს აშშ-სთან ურთიერთობის კიდევ უფრო მეტად გააქტიურება და მისი ამაღლება სამხედრო-პოლიტიკურ კავშირამდე ნატოს ფარგლებში.

იმისათვის რომ გავცეთ პასუხი კითხვაზე, თუ რა შეიძლება განვიხილოთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებად დღეს არსებულ სიტუაციებთან შესაბამისობაში, უნდა დავაკვირდეთ, ერთი მხრივ, უსაფრთხოების, როგორც კონცეფციის ევოლუციის პროცესს, მეორე მხრივ, უსაფრთხოების შესწავლაში არსებულ რიგ თანამედროვე მიდგომებს. ყურადღება უნდა მივაქციოთ ასევე იმას, თუ რა სტრუქტურული ცვლილებები მოხდა მსოფლიო მმართველობის არქიტექტურაში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში და როგორ გავლენას იქონიებს უსაფრთხოების კონცეფციის დღევანდელ აღქმაზე – თუ ვინ და როგორ უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოებას თანამედროვე სამყაროში.¹³

საქართველოსთვის, ისევე როგორც ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, რაც გულისხმობს ქვეყნის წინაშე მდგარი რისკებისა და გამონწვევების დროულ იდენტიფიცირებას, ზუსტ შეფასებას და მათი პრევენციის მიზნით სწორი პოლიტიკის შემუშავებას. აღნიშნული პროცესის განხორციელება უწყვეტი და თანმიმდევრული საქმიანობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით, რუსეთი და მისი ქმედებები ისევ წარმოადგენს საფრთხეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის, მათ შორის კიბერსივრცის დაცულობის მიმართულებითაც. ასევე შეიძლება მომავალში საფრთხის შემცველი გახდეს სომხეთი და ირანი, რომლებიც მოიაზრებიან რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირეებად და გააჩნიათ თავისი მუდმივი ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. შესაბამისად, მოცემული ქვეყნები შეიძლება განხილულ იქნას როგორც პოტენციური მონინააღმდეგეები კიბერ სივრცის დაცულობის მიმართულებითაც¹⁴. ასევე საფრთხედ შეიძლება შეფასდეს ჰაკერული დაჯგუფებები და ორგანიზაციები „ახლო აღმოსავლეთის კიბერ არმია“ (the Middle Eastern Cyber Army - MECA), Fallaga Hackers Team და Cyber Caliphate, „სირიის ელექტრონული არმია“ (SEA).

რაც შეეხება ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და კიბერშეტევას საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ განმარტავს შემდეგნაირად: „ინფორმაციული უსაფრთხოება – საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციისა და

13 ა.იურიანი, უსაფრთხოების კონცეფციის გააზრებისათვის, ვინ და როგორ განსაზღვრავს საფრთხეს დღეს?, სტატია, 2016 წელი.იხ: <http://regional-dialogue.com/security-2/>

14 სომხეთი კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს ნაკლებად საინტერესო ქვეყანას, ვინაიდან მისი კიბერსივრცის დაცულობა და ამ მიმართულებით აქტიურობა დიდად არის დამოკიდებული რუსეთზე

ინფორმაციული სისტემების წვდომის, ერთიანობის, ავთენტიფიკაციის, კონფიდენციალურობისა და განგრძობადი მუშაობის დაცვას; კიბერშეტევა – ქმედება, როდესაც ელექტრონული მონოპოლიზაცია ან/და მასთან დაკავშირებული ქსელი ან სისტემა გამოიყენება კრიტიკულ ინფორმაციულ სისტემაში შემავალი სისტემების, ქონების ან ფუნქციების მთლიანობის დარღვევის, შეფერხების ან განადგურების ან ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების გზით.”¹⁵

კიბერსივრცეში დღეს არსებული მდგომარეობა სულ უფრო შესაშფოთებელია. უფრო მეტიც, დიდი ქვეყნები თავიანთ პროგრამებს აგებენ კიბერომის წარმოების შესაძლებლობებზე. კიბერ-ომი წარმოადგენს უფრო დახვეწილ საშუალებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გაცილებით დიდი ზარალი და მონინააღმდეგეს მიაყენოს კოლოსალური ზიანი. ფაქტიურად კიბერომმა მინიმალური დანახარჯებითა და ძალისხმევით, ტრადიციული ომის მსგავსად შეიძლება გამოიწვიოს მასიურად ადამიანთა ფიზიკური განადგურება.

2008-2014 წლებში საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური თუ კერძო საიტები არაერთხელ გახდა რუსეთის მხრიდან შეტევის ობიექტი. მსგავსი კიბერშეტევები ხორციელდებოდა უშუალოდ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ძირითადად სოხუმიდან.¹⁶ უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში არსებული არასტაბილური ვითარება საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონფლიქტებში უშუალოდ ჩართულ ქვეყნებს, არამედ საქართველოს უსაფრთხოებასაც.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების ნაწილი გახდა ტერორიზმთან ბრძოლა. სიტყვა „ტერორიზმი“ ლათინური წარმოშობისაა და შიშს, საშინელებას ნიშნავს. იგი დიდი ხანია არსებობს. ამ სიტყვას იყენებდნენ ჯერ კიდევ რომის რესპუბლიკაში ჩვენს ერამდე. პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ძნელია არ დაეთანხმო დან კოლდეულს, რომელიც თავის წიგნში კონფლიქტის მორევი წერს, რომ ტერორიზმი ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობის დაწერილი ისტორია.¹⁷

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ძალთა ახალი თანაფარდობა, ახალი საფრთხეები. მიმდინარეობს ამ საფრთხეებზე ადეკვატური პასუხების ძიება. უფრო მეტიც, საფუძველი ჩაეყარა ახალ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც მსოფლიო გახდა ნაკლებად უსაფრთხო, უფრო ანარქიული და ნაკლებად პროგნოზირებადი.¹⁸

საერთაშორისო ტერორიზმი მთელი მსოფლიოს უსაფრთხოების თვალსაზრისით განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, ვერც საქართველო იქნება. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი ქვეყნის ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების ფარგლებს გასცდა და გლობალურ საფრთხედ იქცა. ცხადია, მასთან ბრძოლის ტაქტიკაც უნდა დაიხვეწოს, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც.¹⁹

ტერორიზმი გადის რა კონკრეტულად აღებული ქვეყნების ფარგლებს გარეთ, იღებს საერთაშორისო ხასიათს და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო თანამეგობრობას; გაეროს 2001 წლის 1373 რეზოლუციის თანახმად, „საერთაშორისო ტერორიზმი, რომელსაც მოყვება უდანაშაულო ადამიანების მასობრივი განადგურება და უმძიმესი მატერიალური ზარალი, დღეს განიხილება ისეთ ქმედებად, რომელიც ხელყოფს

15 „საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1679424>

16 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, <http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx>

17 Dan Caldwell, *Vortex of Conflict: U.S. Policy Toward Afghanistan, Pakistan, and Iraq* (Stanford: Stanfords University Press, 2011), 71 and Chapter 5.

18 ე. გვენეტაძე, საერთაშორისო უშიშროების ასპექტები, თბ, 2017, გვ:113

19 ნ. ლომიძე, დისერტაცია, „გლობალური საფრთხეები და საქართველო“, თბ. 2011, გვ:145.

საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას²⁰. იგი წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო საზოგადოებამ დღემდე ვერ შეიმუშავა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი კონცეფცია. ყველა ქვეყანა ცდილობს თავისებურად ახსნას და ეროვნულ კანონმდებლობაში თავისებური განსაზღვრება მისცეს, ან ჩამოთვალოს ის ძირითადი ნიშნები, რომელიც ტერორიზმს ახასიათებს. სპეციალისტები, რომლებიც ანალიზებენ სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციებისა და ჯგუფების საქმიანობას „ექსპერტთა აზრით“, ასეთი ტიპის გაერთიანებების რიცხვი მსოფლიოში 500-ს აღწევს“. გამოყოფენ მათი მხრიდან პიროვნებისა და საზოგადოებაზე ძალადობის რამდენიმე სახეობას, ფიზიკურს, ქონებრივს და მორალურ ფსიქოლოგიურს. ტერორისტების მხრიდან, ფიზიკური ძალადობის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საქმიანობიდან ჩამოცილება, მათი განეიტრალების (მათ შორის ლიკვიდაციის) გზით პოლიტიკის კურსის შეცვლა. ფიზიკური ძალადობის მეთოდი შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო სიცოცხლის ხელყოფით, არამედ ჯანმრთელობის ისეთი სერიოზული დაზიანებით ან თავისუფლების იმ დონემდე შეზღუდვით, როდესაც დაზარალებულს პრაქტიკულად აღარ შეუძლია იმ საქმიანობის შესრულება, რომელსაც მანამდე ასრულებდა.²¹

გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში არასდროს უნდა დაგვაავიწყდეს, რომ საბოლოო ჯამში ვიბრძვით ჩვენი დემოკრატიული ღირებულებებისა და ცხოვრების წესისთვის. თავისუფლება და შიში ერთმანეთს ებრძვის. ეს კონფლიქტი არ დასრულდება არც სწრაფად და არც უმტკივნეულოდ.²²

ტერორიზმი გამუდმებით განიცდის ევოლუციას და სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, იზრდება მისი მოქმედების არეალი და მასშტაბები, იცვლება ტერორიზმის მეთოდები და მიზნები. ტერორიზმა, როგორც გლობალურმა საფრთხემ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მოიცვა და მილიონობით დაღუპული, დაზარალებული და ლტოლვილი ადამიანის სტატუსი დაამკვიდრა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმით გამოწვეული პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადამიანურ დანაკარგებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.²³

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტერორიზმი არ არის მხოლოდ ხელისუფლებისა და უსაფრთხოების სამსახურის გამოწვევა არსად, მათ შორის, ცხადია, ჩვენს ქვეყანაშიც, უნდა მოხდეს იმის გაცნობიერება, რომ ტერორიზმი საფრთხეს მხოლოდ ხელისუფლებას კი არ უქმნის არამედ, თითოეულ ჩვენგანს, ჩვენს შვილებს, ჩვენი ქვეყნის საერთო მომავალს უქმნის საფრთხეს. თუ ამის გაცნობიერება არ მოხდება მაშინ, ჩვენ ბევრ რამეზე მოგვიწევს უარის თქმა.. უარის თქმა მოგვიწევს ჩვენს მომავალზე, პერსპექტივებზე, სტაბილურობაზე. ამიტომ, როდესაც საუბარია ტერორიზმზე აქ ყველას გვმართებს ერთიანობა. არა მხოლოდ პოლიტიკურ სპექტრზეა საუბარი ამ შემთხვევაში, რომელიც არასწორად იქცევა როდესაც ამ ურთულეს თემას საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკური სპეკულაციისთვის იყენებს. უფრო მეტიც, მთელ რიგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხოების ხარჯზე ისეთ განცხადებებს აკეთებენ, რომელიც თითქოსდა ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული, რეალურად კი სახელმწიფოს ებრძვიან.

პრობლემები მართლაც არსებობს და ისიც სერიოზულია, ამგვარ პირობებში ჩვენი უსაფრთხოება ყველა-ქართველს ავალდებულებს იყოს წინდახედული და უდრეკი,

20 გაეროს უშიშროების საბჭო, (2001 წელი). რეზოლუცია #1373, პრეამბულა.

21 ირაკლი გაბისონია, ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათი და მასშტაბები, იურისტი #5, თბ, 2018. გვ.124

22 ბრუს ჯენტლესონი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბ, 2015, გვ. 789

23 ირაკლი გაბისონია, ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათი და მასშტაბები, ჟურნალი იურისტი #5, თბ, 2018, გვ: 108

იყოს მზად საჭიროების შემთხვევაში წინმსწრები ქმედებებისათვის ჩვენი თავისუფლებისა და სიცოცხლის დასაცავად. კიდევ ერთხელ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე ყოველთვის მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება რუსეთ-ამერიკის კონფლიქტს, მაგრამ უახლესი ათწლეულების ისტორიამ დაადასტურა რომ კავკასიაში მშვიდობის დამყარებისათვის აუცილებელია შეერთებული შტატების ძალიან აქტიური ჩართულობა.

ტერორიზმისგან თავდაცვის ძლიერი მექანიზმის შესაქმნელად და ასამოქმედებლად აუცილებელია ყველა სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციების საერთო, უნივერსალური თანამშრომლობა საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, რათა ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მყისიერი გაცვლის მექანიზმების შექმნით და საერთო კოორდინირებული მუშაობით მოხდეს ტერორიზმის პრევენცია. როგორც ავლნიშნეთ, თანამედროვე ტერორიზმი სერიოზული პრობლემაა. საფრთხე უფრო იზრდება: ბირთვული ტერორიზმი უკვე რეალურია. ცხადია, ტერორიზმი და დემოკრატია ერთმანეთის მტრები არიან. დემოკრატიული ქვეყნები გარკვეული სირთულეების წინაშე არიან ტერორიზმთან ბრძოლაში, რადგანაც ერთდროულად უნდა უზრუნველყონ ეროვნული უსაფრთხოების დაცვა და ინდივიდუალური თავისუფლების შენარჩუნება. ტერორიზმის საფრთხე სამოქალაქო თავისუფლებებსა და ინდივიდუალურ უფლებებზე მაღლა წესრიგსა და სახელმწიფო უსაფრთხოებას აყენებს.²⁴

საქართველოს უსაფრთხოების გარემო კომპლექსურია და სწრაფად ცვალებადია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებასა და სტაბილურობაზე. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, საგარეო აგრესიის განახლება, ოკუპირებული ტერიტორიების არსებობა და საზღვრის მიმდებარე ადგილებში პროვოკაციების მონყოლა, ჩრდილო კავკასიიდან პოტენციური კონფლიქტების საქართველოს ტერიტორიაზე გამოდინების შესაძლებლობა ართულებს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მონესრიგებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საფრთხეების სწორი შეფასებისა და განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია მისი ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ ქრილში გააზრება.

დღეს ინდივიდუალური ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მხოლოდ ცალკე აღებულ ერთი სახელმწიფოს მიერ შეუძლებელია სხვა სახელმწიფოების მხრიდან საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვის გაუთვალისწინებლად. აქედან გამომდინარე, საუბარია ინდივიდუალური ეროვნული უსაფრთხოების ურთიერთქმედებაზე- ორმხრივ ბლოკურ, რეგიონალურ, გლობალურ სისტემებში, რომლებიც ამგვარ სისტემებში მეტნაკლებად უზრუნველყოფენ ყველასა და თითოეულის უსაფრთხოებას. ხშირად ამგვარ უსაფრთხოებას უწოდებენ კოლექტიურ უსაფრთხოებას, თანამედროვე პირობებში ბევრი გამოთქვამს თავის ვარაუდს ახალი ტერმინის „გლობალურ უსაფრთხოების“ სრულყოფასთან დაკავშირებით. აღნიშნული იმით აიხსნება, რომ საერთაშორისო უსაფრთხოება ტრადიციულად ხაზს უსვამს პირველ რიგში, სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოების საკითხებში ურთიერთობებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი გლობალური ურთიერთმოქმედების და ურთიერთდამოკიდებულების პირობებში საუბარი უნდა იყოს გლობალურ უსაფრთხოებაზე. ვინაიდან, სამყაროს გლობალიზაცია სვამს გლობალური უსაფრთხოების შემდგომი უზრუნველყოფის ამოცანას, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო პერიოდში უფრო მრავალსუბიექტიანი და განუყოფელი ხდება.

24 ი.გოგოლაძე, უსაფრთხოების დილემა და გლობალური გამოწვევები, თბ, 2015, გვ: 7 <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/.../GogolidzeIrma.pdf>

რეზიუმე

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული ჩრდილო კავკასიიდან მომდინარე საფრთხეზე და სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ურთიერთობების შემდგომი სრულყოფის საკითხებზე. პირველი რიგის ამოცანად მიჩნეულია გლობალური გამოწვევების სწორი შეფასება და მისი ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ ქრილში გააზრება. საქართველოსათვის სტრატეგიულად პარტნიორი და მონინააღმდეგე ქვეყნების, ასევე იმ ორგანიზაციების განსაზღვრა, რომლებიც წარმოადგენენ საფრთხეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის ან პირიქით: გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ მათთან თანამშრომლობითა და პარტნიორობით შესაძლებელია მაქსიმალურად იქნეს მიღწეული უსაფრთხო გარემო.

Resume

The work focuses on the dangers of the North Caucasus and the further improvement of relations between the states. The first step is to evaluate the correct global challenges and to understand it in its local, regional and global context. Determining strategic partner and adversarial states for Georgia as well as those organizations that threaten national security or vice versa: conclusion that cooperation and partnership with them can be achieved in the safe environment as much as possible.

Резюме

Работа посвящена опасностям Северного Кавказа и дальнейшему улучшению отношений между государствами. Первый шаг - оценить правильные глобальные проблемы и понять их в своем местном, региональном и глобальном контексте. Определение стратегических партнеров и состязательных государств для Грузии, а также тех организаций, которые угрожают национальной безопасности, или наоборот: вывод о том, что сотрудничество и партнерство с ними могут быть достигнуты как можно более безопасная среда.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1679424>,
2. გაეროს უშიშროების საბჭო, (2001 წელი). რეზოლუცია #1373, პრეამბულა
3. ირაკლი გაბისონია, ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათი და მასშტაბები, იურისტი #5, თბ, 2018
4. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx
5. ს. ნილ მარკლფარლენი, საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება, თბ, 2012,
6. ბრუს ჯენტლესონი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თბ, 2015,
7. ჯოვანი გრევი, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განახლება, ამერიკის საგარეო პოლიტიკა, თბ, 2015,
8. ჯ.გახოკიძე. ისტორიული გეოგრაფია და ქვეყნის უსაფრთხოება. ჟურნ. „ეკონომიკური პოლიტიკის და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი“ 2002, N1

9. ა.იურიანი, უსაფრთხოების კონცეფციის გააზრებისათვის, ვინ და როგორ განსაზღვრავს საფრთხეს დღეს?, სტატია, 2016 წელი.იხ: <http://regional-dialogue.com/security-2/>
10. ე. გვენეტაძე, საერთაშორისო უშიშროების ასპექტები, თბ, 2017
11. ნ. ლომიძე, დისერტაცია, „გლობალური საფრთხეები და საქართველო“, თბ. 2011,
12. ი.გოგოლაძე, უსაფრთხოების დილემა და გლობალური გამოწვევები, თბ, 2015, <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/.../GogolidzeIrma.pdf>
13. Condoleezza Rice, Remarks en Route To Brussels, Belgium, August 18, 2008,
14. Condoleezza Rice, A Memoir of my Extraordinary Ordinary Family and Me (New York: Random House, 2010),
15. Bruce W. Jentleson, “The Atlantic Alliance in a Post-American World”, Journal Of Transatlantic Studies 7.1. (march 009):
16. David Abshire, “A debate Der 16 Parliaments, “ Washington Post, February 19, 1997
17. Dan Caldwell, Vortex of Conflict: U.S. Policy Toward Afghanistan, Pakistan, and Iraq (Stanford: Stanfords University Press, 2011), 71 and Chapter 5.
18. <http://www.state.gov/p/eur/rls/or/121029.htm>.

2. გავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში

**დოქტორანტი
თეა ძონენიძე**

1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია, რომელიც 1990 წლის 2 სექტემბერს შევიდა ძალაში²⁵. კონვენციის მიღებას ხელი შეუწყო, როგორც საერთაშორისო საზოგადოების მიერ ბავშვთა უფლებების აღიარების მზარდმა და განსაკუთრებულმა ყურადღებამ, ისევე, ზოგადად, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის განვითარებამ. 2018 წლის მონაცემებით, კონვენციის რატიფიცირება 196-მა სახელმწიფომ მოახდინა;²⁶ აღსანიშნავია, რომ აშშ, რომელიც კონვენციის შექმნის მოსამზადებელ ეტაპზე (*travaux preparatoires*), ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა - ერთადერთი გამონაკლისი სახელმწიფოა, რომელმაც კონვენციას ხელი მოაწერა, თუმცა რატიფიცირება არ მოუხდენია.²⁷ კონვენციაში თავმოყრილია, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ უფლებათა ფართო ნუსხა, რაც აღნიშნული დოკუმენტის უნიკალურობას დამატებით უსვამს ხაზს.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადე შემესწავლა, გამომეკვლია და მომეხდინა კონვენციის საერთაშორისო პოლიტიკური ასპექტების ზოგადი ანალიზი. გამოვიკვლიე კონვენციის შემუშავების ისტორიულ-პოლიტიკური წინაპირობები, კონვენციის ძირითადი მხარდამჭერი არგუმენტები, მისი როლი და დანიშნულება თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში. ბოლოს ხსენებული საკითხის ნათლად იდენტიფიცირებისა-

²⁵ Convention on the Rights of the Child, 44/25 (მიღებულია გაეროს მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს).

²⁶ Status of Ratification interactive dashboard, Database of the United Nations Office of Legal Affairs. იხ. <<http://indicators.ohchr.org/>> [17.01.2018].

²⁷ Engle E., the Convention on the Rights of the Child, Quinnipiac Law Review, Volume 29, 2011, 793.

თვის განხილულ იქნება კონვენციის ძირითადი პრინციპები, კონვენციით გარანტირებული უფლებები და სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულებები; ამასთანავე, ნაშრომის დასკვნით ნაწილში, კონვენციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილდება ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო მიღწევებზე, კრიტიკასა და გამონწვევებზე.

კონვენციის უპრეცედენტო აღიარება, როგორც უკვე აღინიშნა, ნათლად გამოხატავს ბავშვის უფლებებისადმი სახელმწიფოთა დამოკიდებულებას, პრობლემების ფართოდ აღიარებას და შესაბამისი საკითხების გლობალურად გააზრებას. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის შემუშავების შემდგომ შეიქმნა ისეთი რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, როგორცაა ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების განხორციელებაზე²⁸, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გამო, პირველად ხსენებული კონვენცია წარმოადგენს უნიკალურ ინსტრუმენტს, რომელიც ყველაზე კონკრეტულად და სრულყოფილად ადგენს სტანდარტებს, რომლისკენაც უნდა ისწრაფოდეს ყველა სახელმწიფო, ბავშვის უფლებების რეალიზაციისათვის. კონვენციის მეშვეობით იქმნება საერთაშორისო კონცეფცია, ბავშვთა უფლებების დასაცავად, რომელსაც ხელმომწერი სახელმწიფოები საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის გზით იზიარებენ.

კონვენციის როლი ბავშვის უფლებების აღიარებასა და გააზრების პროცესში განუზომელია. კონვენციის საყოველთაო მიმღებლობა ცხადყოფს, რომ კონვენციით ხერხდება განსხვავებული რელიგიების, ეთნიკური კუთვნილების, გეოგრაფიული წარმომადგენლობის, სამართლებრივი სისტემებისა და კულტურული ტრადიციებისა მქონე ქვეყნების გაერთიანება ბავშვის უფლებების დასაცავად. კონვენცია ყველა ხელმომწერი სახელმწიფოს პოლიტიკის დღის წესრიგში აყენებს ბავშვის უფლებების დაცვას, სახელმწიფოებს ანგარიშვალდებულს ხდის საერთაშორისო საზოგადოების წინაშე მათ მიერ გადადგმული ნაბიჯებისა თუ მიღწევებისათვის. ყველა პოლიტიკურ კონფლიქტში კონვენცია წარმოადგენს ერთგვარ შემაკავებელ მექანიზმს ბავშვთა უფლებების დასაცავად.

კონვენციის როლი ვლინდება საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობაში. სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გარდა, მნიშვნელოვანია კონვენციის ფუნქციის გააზრება საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებითაც, რომლებიც მოცემული კონვენციის დამცველებად და ფუნქციურ განმხორციელებლებად წარმოდგებიან და რომელთა საქმიანობაც უდიდეს გავლენას ახდენს ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხზე. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია გაეროს ბავშვთა ფონდი, რომელიც აღჭურვილია მანდატით დაიცვას ბავშვთა უფლებები. ხსენებული ფუნქციის შესასრულებლად გაეროს ბავშვთა ფონდი უმთავრეს საერთაშორისო სახელმძღვანელო აქტს კონვენცია წარმოადგენს²⁹. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ორგანიზაციები პოლიტიკურ დღის წესრიგში აყენებენ რელევანტურ საკითხებს, ახდენენ პრობლემების ადვოკატირებას და, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოს მაკონტროლებელ ფუნქციასაც კი ახორციელებენ.

კონვენციის პოლიტიკურ და სამართლებრივ მნიშვნელობაზე საუბრისას, აუცილებელია, განხილულ იქნეს კონვენციის ფაკულტატიური ოქმები, რომლებიც პასუხობს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის გამონწვევებს. მე-20 საუკუნის მიწურულს, მსოფლიო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოების პოლიტიკურ დღის წესრიგში დგება

28 European Convention on the Exercise of Children's Rights, ETS No.160 (მიღებულია 1996 წლის 25 იანვარს, ძალაში შევიდა 2000 წლის პირველ ივლისს). იხ. <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/160>> [21.01.2018].

29 The UNICEF Vision and Mission for Children - Mission Statement, 2015, 5. იხ. <[https://www.unicef.org/publicpartnerships/files/UNICEF_Mission\(1\).pdf](https://www.unicef.org/publicpartnerships/files/UNICEF_Mission(1).pdf)> [21.01.2018].

ისეთი გამოწვევები, როგორცაა ტრეფიკინგი, ბავშვების ექსპლოატაცია, ბავშვების პორნოგრაფია და ბავშვთა შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობა. ხსენებული დანაშაულების მასშტაბებისა და მოცულობის გათვალისწინებით, იზრდება საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა და ერთიანი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავების საჭიროება. აღნიშნულის საპასუხოდ გაერომ შეიმუშავა „ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატიური ოქმი ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“³⁰ და „ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატიური ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“³¹.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი აღიარებს, რომ გარკვეული ჯგუფები საჭიროებენ დამატებით ან განსაკუთრებულ დაცვას. ტრეფიკინგის კონტექსტში, ასეთ ჯგუფებს განეკუთვნებიან ბავშვები, რომლებიც, ქალების შემდგომ, ყველაზე მეტად ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლი³².

ბავშვის ექსპლოატაცია, პროსტიტუცია, პორნოგრაფიაში ჩართვა და ბავშვით ვაჭრობა მონობის თანამედროვე ფორმებია, რომლებიც უხეშად არღვევს ბავშვის ფუნდამენტალურ უფლებებს. აღნიშნულ დანაშაულებთან საბრძოლველად სოციალური ტოლერანტობა, დაუსჯელობა, კორუფცია და უკიდურესი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს განსაკუთრებულ დაბრკოლებებს. აღნიშნულ დანაშაულებთან ბრძოლა მოითხოვს მულტიდისციპლინარულ მიდგომებს პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში, მზარდ კოორდინაციას ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე.³³ აღნიშნული დანაშაულების თავიდან ასაცილებლად, ფაკულტატიური ოქმით განისაზღვრა საერთაშორისო თანამშრომლობის ვალდებულება, ბავშვის ტრეფიკინგისა და სექსუალური ექსპლოატაციის შემთხვევების გამოძიებაზე, ექსტრადაციაზე, დანაშაულის პრევენციაზე, მსხვერპლ ბავშვზე ყოვლისმომცველ ზრუნვაზე, დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებებზე.³⁴

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საერთაშორისო აქტებით სახელმწიფოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულება ისედაც ეკისრებოდა, მაგრამ მოცემული დოკუმენტი აწესებს უფლების დაცვის შედარებით მაღალ სტანდარტს, ითვალისწინებს სახელმწიფოს გაზრდილ ვალდებულებას, უფლების დაცვის ნაწილში. კერძოდ, სახელმწიფოს პრიორიტეტი გახდა ბავშვთა საუკეთესო ინტერესები, რომლებიც არ შეიძლება გადაწონოს სხვა საზოგადოებრივმა ინტერესებმა და საჭიროებებმა.³⁵

კონფლიქტის დროს ბავშვების რეკრუტირება და მათი გამოყენება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გამოვლენილ ექვს უმძიმეს დარღვევათაგან ერთ-ერთია.³⁶ შეიარაღებული

30 Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on the sale of children, child prostitution and child pornography, A/RES/54/263 (მიღებულ იქნა გაეროს მიერ 2000 წლის 25 მაისს, ძალაში შევიდა 2002 წლის 18 თებერვალს). იხ. <<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/OPSCCRC.aspx>> [21.01.2018].

31 Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on the involvement of children in armed conflict, A/RES/54/263 (მიღებულ იქნა გაეროს მიერ 2000 წლის 25 მაისს, ძალაში შევიდა 2002 წლის 12 თებერვალს). იხ. <<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/OPACRC.aspx>> [21.01.2018].

32 Global Report on Trafficking in Persons, United Nations Office on Drugs and Crime, United Nations publication, Sales NoE.16.IV.6, Vienna, 2016, 23. იხ. <https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/glotip/2016_Global_Report_on_Trafficking_in_Persons.pdf> [21.01.2018].

33 Najat Maalla M'jid, Report of the Special Rapporteur on the sale of children, child prostitution and child pornography, Human Rights Council, United Nations General Assembly, A/HRC/25/48, 2013, 22. იხ. <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/RegularSessions/Session25/Documents/A-HRC-25-48_en.doc> [22.01.2018].

34 Najat Maalla M'jid, United Nations Special Rapporteur on the sale of children, child prostitution and child pornography, 25 years of fighting the sale and sexual exploitation of children: addressing new challenges, 8-10. იხ. <<http://www.ohchr.org/Documents/Issues/Children/SR/25YearsMandate.pdf>> [22.01.2018].

35 Human Rights and Human Trafficking Fact Sheet No. 36, United Nations, New York and Geneva, 2014, 7. იხ. <http://www.ohchr.org/Documents/Publications/FS36_en.pdf> [21.01.2018].

36 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იხ. <<https://childrenandarmedconflict.un.org/effects-of-conflict/six-grave-violations/>> [22.01.2018].

რადებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ ფაკულტატიური ოქმის ძირითად მიზანს შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის აკრძალვა და მათი რეაბილიტაცია და სოციალური ინტეგრაცია წარმოადგენს. ოქმით განისაზღვრა საომარ საქმიანობაში მონაწილეობისა და სამხედრო სამსახურში განწვევის მინიმალური ასაკი, 18 წელი.³⁷

ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირების შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვების რეკრუტირება საომარი მოქმედებების არეალში; აგრეთვე სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ იძულებით რეკრუტირებული და საომარ მოქმედებებში გამოყენებული ბავშვების დემობილიზაცია და უზრუნველყონ ფიზიკური და ფსიქოლოგიური აღდგენის მომსახურება. ქვეყნის შეიარაღებულ ჯგუფებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მოახდინონ ბავშვების რეკრუტირება ან/და საომარი მიზნებისათვის გამოყენება.³⁸

ზემო აღნიშნული მიზნების უზრუნველყოფისათვის სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამის პოლიტიკაზე ორიენტირებული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული ოქმის მიღებას წინ უძღვოდა პოლიტიკური კონფლიქტები, რომლის შედეგებიც სტატისტიკაში აისახა. სხვადასხვა მონაცემებით, ყოველწლიურად, დაახლოებით 300 000 ბავშვი იბრძვის ჯარისკაცის ამპლუაში.³⁹ გამომდინარე იქიდან, რომ საომარი ზონები არაკონტროლირებადია, ეს რიცხვიც მხოლოდ მიახლოებითია. ბავშვი ჯარისკაცები, მათი მომზადების დაბალი დონიდან გამომდინარე, უფრო ხშირად ხდებიან მსხვერპლნი, გადარჩენილები განიცდიან ფსიქოლოგიურ ტრავმებს, როგორც იძულებითი და საშინელი დანაშაულის მონაწილე, ან უმეტეს შემთხვევაში ხდებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი.⁴⁰ რაც მეტხანს გრძელდება კონფლიქტი, მით მეტი ახალგაზრდის რეკრუტირება ხდება საჭირო⁴¹. აღნიშნულის მაგალითად ჩრდილოეთ უგანდაში, სადაც კონფლიქტი 20 წელიწადზე მეტია მიმდინარეობს გატაცებული ბავშვების რიცხვი 20 000 აღემატება;⁴²

დამატებითი ოქმი წარმოადგენს ცივილური სახელმწიფოების პასუხსა და მცდელობას ბავშვთა უფლებების დასაცავად. მნიშვნელოვანია, რომ მისი რატიფიცირება იმ შემთხვევაშიც შეუძლია სახელმწიფოს თუ ის მიერთებული არ არის კონვენციასთან. აღნიშნული პოლიტიკის მოტივები აშშ-ისა და გაეროს ურთიერთთანამშრომლობაში ვლინდება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს არ მოუხდენია კონვენციის რატიფიცირება, ისინი ახდენენ ამ დამატებითი ოქმის რატიფიკაციას.⁴³

კონვენციის დამატებითი ოქმი „მეტყობინების პროცედურების შესახებ“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც გა-

37 Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on the involvement of children in armed conflict, A/RES/54/263 (მიღებულ იქნა გაეროს მიერ 2000 წლის 25 მაისს, ძალაში შევიდა 2002 წლის 12 თებერვალს). იხ. <<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/OPACCR.C.aspx>> [21.01.2018], პირველი და მე-2 მუხლები.

38 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. <<https://childrenandarmedconflict.un.org/effects-of-conflict/six-grave-violations/child-soldiers/>> [22.01.2018].

39 Adult Wars, Child Soldiers, Voices of Children Involved in Armed Conflict in the East Asia and Pacific Region, UNICEF Report, 8. იხ. <<https://www.unicef.org/eapro/AdultWarsChildSoldiers.pdf>> [21.01.2018].

40 Revaz C. R., The Optional Protocols to the UN Convention on the Rights of the Child on Sex Trafficking and Child Soldiers; Human Rights Brief 9, №1, 2001, 13.

41 Abbott A. B., Child Soldiers - The Use of Children as Instruments of War, №23 Suffolk Transnational Law Review, 2000, 520.

42 Child soldiers the shadow of their existence, 2007, 10. იხ. <<https://resourcecentre.savethechildren.net/node/4066/pdf/4066.pdf>> [21.01.2018].

43 Southwick M., Political Challenges behind the Implementation of the Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child, Cornell International Law Journal, 2003, 12.

ნამტკიცებს კომიტეტისათვის შეტყობინების მექანიზმს.⁴⁴ აღნიშნული მექანიზმი გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ თავად ბავშვებს აძლევს შესაძლებლობას ბავშვთა უფლებების დარღვევაზე რეაგირებისათვის მიმართონ საერთაშორისო ორგანიზაციას - ბავშვის უფლებების კომიტეტს. ზემო აღნიშნული ოქმის სულისკვეთება იკითხება კონვენციის მე-12 მუხლში, რომელიც ბავშვს აძლევს უფლებას გამოხატოს საკუთარი პოზიცია, ხოლო სახელმწიფოებისათვის აჩენს ვალდებულებას, მოსმენილი იყოს ბავშვის აზრი და თავად ჩაერთოს ის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ფაკულტატური ოქმით ამ პრინციპის, განმტკიცება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ბავშვის, როგორც უფლების მატარებელი სუბიექტის კონცეფციას.

ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის დიდი პოლიტიკურ-პრაქტიკული მნიშვნელობის მიუხედავად, კონვენციას ხშირად აკრიტიკებენ სამეცნიერო ლიტერატურაში. კრიტიკის უმთავრეს საგანს წარმოადგენს კონვენციის არაეფექტურობა. კონვენციის რატიფიკაციის შემდგომ, შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საგანია მისი აღსრულება, აღსრულებისთვის სათანადო ბერკეტების შექმნა და ადეკვატური დაფინანსება. სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი ანალიზები ცხადყოფს, რომ ბავშვის უფლებები ყოველდღიურად ირღვევა ყველა სახელმწიფოში. კონვენციის არაეფექტურობას განაპირობებს აღსრულების მექანიზმების არარსებობა. კონვენციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ გაეროს გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები კონვენციით აღიარებული უფლებების დამკვიდრებისათვის მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ და აღნიშნულ უფლებათა განხორციელებაში მიღწეული პროგრესის შესახებ. თუმცა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონვენცია არ ითვალისწინებს რაიმე სახის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და იძულებით ღონისძიებებს.

საერთაშორისო საზოგადოებაში კონვენციის უმთავრეს მიღწევას წარმოადგენს ბავშვის, როგორც უფლებების მქონე ინდივიდის კონცეფციის დამკვიდრება საერთაშორისო სამართალში და სახელმწიფოთა შიდაეროვნულ კანონმდებლობებში. კონვენციის ძირითად მიღწევებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად საერთოა ყველა მონაწილე სახელმწიფოსათვის, წარმოადგენს მსოფლიოს ყველა კუთხეში ბავშვთა უფლებების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სპეციალური ინსტიტუტები, სტრუქტურები, განხორციელებული ღონისძიებები და ღონისძიებები, ხელისუფლების ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ; საბიუჯეტო უფლებების განვითარების მზარდი პრაქტიკა; სახელმწიფოებმა დაიწყეს რეაგირება ბავშვებზე უკიდურეს ძალადობაზე, სასტიკ მოპყრობაზე, ექსპლოატაციაზე, ძალადობაზე და ბავშვების უგულვებელყოფაზე; სახელმწიფოებმა უზრუნველყვეს ტერმინ „ბავშვის“ განმარტება კონვენციით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად; სახელმწიფოებმა შეიმუშავეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემები, რომლებიც ფოკუსირებული არიან ბავშვების საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე, აგრეთვე სახელმწიფოებმა თავიდან აიცილეს, სადაც შესაძლებელი იყო, ბავშვების კრიმინალიზაცია და თავისუფლების აღკვეთა და სხვ.⁴⁵

საერთაშორისო პოლიტიკა ყოველთვის გარდამტეხ როლს თამაშობს ადამიანის უფლებებისთვის ახალი საფრთხეებისა თუ გამონწვევების შექმნის თვალსაზრისით. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებებიც, რომელზეც პირდაპირ აისახება თანამედროვე საზოგადოების განვითარების დინამიკა, სადაც იქმნება ახალი რისკები

44 Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on a communications procedure, A/RES/66/138 (მიღებულია გაეროს მიერ 2011 წლის 19 დეკემბერს, ძალაში შევიდა 2014 წლის 14 აპრილს). იხ. <<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/OPICCRC.aspx>> [21.01.2018].

45 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. <https://www.unicef.org/crc/index_30223.html> [22.01.2018].

და წარმოიშობა ახალი კითხვები. კონვენციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ბავშვებისათვის, განსაკუთრებით კი გოგონებისათვის, განვითარებად სახელმწიფოებში დაწყებითი განათლების მიღების უზრუნველყოფა; მილიარდზე მეტი ადამიანისათვის არაა ხელმისაწვდომი წყლით უსაფრთხო სარგებლობა; გადაჭარბებულად სადამსჯელო სისტემები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში; ბავშვთა სახლებში განთავსებული ბავშვების ადეკვატური ჯანდაცვა და საგანმანათლებლო სისტემები.

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომით განხილული და გამოკვეთილი ბავშვის უფლებების დაცვის კონვენციის საერთაშორისო პოლიტიკური ასპექტები სხვადასხვა თვალსაზრისით, რომელთა ერთობლიობამაც კონვენციის შემუშავებიდან დღემდე გარდამტეხი ზეგავლენა იქონია როგორც კონვენციის, აგრეთვე კონვენციის ფაკულტატიური ოქმების შემუშავებაზე და შემდგომ იმპლემენტაციაზე.

კონვენცია წარმოადგენს ბავშვის უფლებების დაცვის და უზრუნველყოფის უნიკალურ, საყოველთაო მიმღებლობის მქონე საერთაშორისო ინსტრუმენტს, რომელიც განამტკიცებს ბავშვის შესახებ თანამედროვე მორალურ ღირებულებებს და სამართლებრივ უფლებებს.

RESUME

The present work is reviewed and highlighted the Convention of the Child Rights in international political aspects of the different points of view, which, in combination, the Convention was drafted to turning affected by the Convention, as well as the optional protocols to the Convention on the development and subsequent implementation.

The Convention is an international instrument with the unique and universal recipient of child protection, which strengthens modern moral values and legal rights of the child.

РЕЗЮМЕ

Международно-политические аспекты Конвенции о защите прав ребенка в отношении обзора и дискриминации настоящим документом по-другому, с которого Конвенция была изменена после принятия Конвенции в целях разработки, а также Факультативных протоколов Конвенции и дальнейшего осуществления.

Конвенция является международным документом с уникальным, универсальным получателем защиты прав ребенка.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Convention on the Rights of the Child, 44/25 (მიღებულია გაეროს მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს, ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს).
2. Status of Ratification interactive dashboard, Database of the United Nations Office of Legal Affairs. იხ. <<http://indicators.ohchr.org/>> [17.01.2018].
3. Engle E., the Convention on the Rights of the Child, Quinnipiac Law Review, Volume 29, 2011, 793.
4. European Convention on the Exercise of Children's Rights, ETS No.160 (მიღებულია 1996 წლის 25 იანვარს, ძალაში შევიდა 2000 წლის პირველ ივლისს). იხ. <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/160>> [21.01.2018].
5. The UNICEF Vision and Mission for Children - Mission Statement, 2015, 5. იხ. <[https://www.unicef.org/publicpartnerships/files/UNICEF_Mission\(1\).pdf](https://www.unicef.org/publicpartnerships/files/UNICEF_Mission(1).pdf)> [21.01.2018].
6. Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on the involvement of children in armed conflict, A/RES/54/263 (მიღებულ იქნა გაეროს მიერ 2000 წლის 25 მაისს, ძალაში შევიდა 2002 წლის 12 თებერვალს). იხ. <<http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/OPACGCRC.aspx>> [21.01.2018].
7. Global Report on Trafficking in Persons, United Nations Office on Drugs and Crime, United Nations publication, Sales NoE.16.IV.6, Vienna, 2016, 23. იხ. <https://www.unodc.org/documents/data-and-analysis/glotip/2016_Global_Report_on_Trafficking_in_Persons.pdf> [21.01.2018].
8. Najat Maalla M'jid, Report of the Special Rapporteur on the sale of children, child prostitution and child pornography, Human Rights Council, United Nations General Assembly, A/HRC/25/48, 2013, 22. იხ. <http://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/RegularSessions/Session25/Documents/A-HRC-25-48_en.doc> [22.01.2018].
9. Human Rights and Human Trafficking Fact Sheet No. 36, United Nations, New York and Geneva, 2014, 7. იხ. <http://www.ohchr.org/Documents/Publications/FS36_en.pdf> [21.01.2018].
10. <<https://childrenandarmedconflict.un.org/effects-of-conflict/six-grave-violations/>> [22.01.2018]
11. Adult Wars, Child Soldiers, Voices of Children Involved in Armed Conflict in the East Asia and Pacific Region, UNICEF Report, 8. იხ. <<https://www.unicef.org/eapro/AdultWarsChildSoldiers.pdf>> [21.01.2018].
12. Revaz C. R., The Optional Protocols to the UN Convention on the Rights of the Child on Sex Trafficking and Child Soldiers; Human Rights Brief 9, №1, 2001, 13.
13. Abbott A. B., Child Soldiers - The Use of Children as Instruments of War, №23 Suffolk Transnational Law Review, 2000, 520.
14. Child soldiers the shadow of their existence, 2007, 10. იხ. <<https://resourcecentre.savethechildren.net/node/4066/pdf/4066.pdf>> [21.01.2018].
15. Southwick M., Political Challenges behind the Implementation of the Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child, Cornell International Law Journal, 2003, 12.
16. <https://www.unicef.org/crc/index_30223.html> [22.01.2018].

1. საგადასახადო სისტემის სამართლებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლები

პროფესორი
ირაკლი გაბისონია,
სამართლის მაგისტრი
თამარ ბარამია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში ბიზნესის განვითარება, საზღვარგარეთიდან რაც შეიძლება მეტი ინვესტიციების მოზიდვა, მენარმეებისათვის ხელსაყრელი და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რაც ბუნებრივია, პროდუქციის ზრდაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე სასიკეთოდ აისახება, ამიტომაც, დღის წესრიგში დგას არსებული საგადასახადო სისტემის სრულყოფა. ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ცვლილებასთან ერთად საგადასახადო სისტემაც ვითარდებოდა, სახეს იცვლის. ქართული საგადასახადო სისტემის ნიშნები ჯერ კიდევ ფეოდალურ საქართველოში გაჩნდა, დღეს კი ჩვენ უკვე საკმაოდ დახვეწილ საგადასახადო კანონმდებლობას ვხვდებით, რომელსაც ყველა ის ძირითადი ნიშან-თვისება ახასიათებს, რაც ქვეყნის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვისაა აუცილებელი.⁴⁶

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მართებულად მიგვაჩნია ე. სოკოლოვის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მთავარი ამოცანაა არა მარტო საგადასახადო სისტემის განსაზღვრა, არამედ ის, თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, სოციალურ მდგომარეობაზე და სხვ.⁴⁷

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციური ნორმები განსაზღვრავენ სახელმწიფოს ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის, მათ შორის, საგადასახადო პოლიტიკის რეგულირების საფუძვლებს. გადასახადები კი სახელმწიფოს მიერ ფინანსურ-სამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ კონსტიტუციით დადგენილი გადასახადების გადახდის ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფს სახელმწიფოში ყველა დონის ბიუჯეტის ფორმირებას.⁴⁸ კანონით დანესებული გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება, ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, ვინაიდან, თვით სახელმწიფოს არსებობა განუყოფლად დაკავშირებული გადასახადებთან.

გადასახადი ნებისმიერი სახელმწიფოს უცილობელი ატრიბუტია⁴⁹, თომა აქვინელის შეხედულებით „გადასახადი-ძარცვის ნებადართული ფორმაა“, სახელმწიფო სწორედ ამ გზით ახორციელებს მთელი რიგი სოციალური სისტემების უზრუნველყოფას⁵⁰ და იკმაყოფილებს ფინანსურ მოთხოვნილებებს, რომლის მეშვეობითაც ეფექტურად ას-

46 ირაკლი გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ, 2013, გვ:10

47 См. подр соколова э. Д. к вопросу о понятии налоговой системы, //Финансовое право, 2011.#1. С.28-31

48 ირაკლი გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ, 2013, გვ:10

49 გადასახადისაგან თავის არიდება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შედარებითი ანალიზი, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაცია, თბ, 2012, გვ5.

50 Grundsätze der Steuerepolitik, <https://www.bpd.de/izpb/147061/grundsatzeder-steuerpolitiki/p=all>

რულებს ხალხის მიერ მასზე დაკისრებულ ამოცანებს.⁵¹ გადასახადების მნიშვნელობაზე კარლ მარქსი წერდა რომ „გადასახადი ეს არის მეხუთე ღმერთი კერძო საკუთრებასთან, ოჯახთან, წესრიგთან და რელიგიასთან ერთად“.⁵²

როგორც აღვნიშნეთ, საგადასახადო ურთიერთობებზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი უნდა გავაკეთოთ საგადასახადო სისტემის მნიშვნელობასა და ელემენტებზე. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების გადახდევინების პრინციპებს, ფორმებს, მეთოდებს, საგადასახადო ორგანოებს, საგადასახადო კონტროლს და საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების ერთობლიობას.⁵³ საგადასახადო სისტემა განისაზღვრება სახელმწიფო წყობილების მიხედვით და ასევე სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილების უფლებამოსილებით.⁵⁴ იგი არის მოცემული ქვეყნის საგადასახადო ორგანოების, გადასახადების სახეებისა და საგადასახადო ადმინისტრირების მეთოდების, სახელმწიფოს მიერ ამოსაღები გადასახადების და მეთოდების ერთობლიობა.⁵⁵ უფრო მეტიც, სხვადასხვა ქვეყნებში საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედებს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებიც კი.⁵⁶ ამკარაა, რომ საგადასახადო სისტემის ბუნების განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალურია გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის სრულყოფილი სამართლებრივი საფუძვლების შესაქმნელად. საგადასახადო სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ცალკეული ელემენტების ერთობლიობა, მათ შორის გადასახადებისა და მოსაკრებლების სისტემა, იგი ფორმირდება საუკუნეების მანძილზე და იცვლება ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად.⁵⁷

რაც შეეხება საგადასახადო კანონმდებლობას, იგი წარმოადგენს სხვადასხვა დოზით ნორმატიული აქტების ურთიერთდაკავშირებულ ერთობლიობას, რომლებიც შეიცავენ საგადასახადო ნორმებს. თავის მხრივ, კი საგადასახადო ნორმა წარმოადგენს ფორმალურად დადგენილ ქცევის წესს, რომელიც არეგულირებს საგადასახადო სფეროში წარმოშობილ ამა თუ იმ ურთიერთობებს.⁵⁸ ცხადია, სახელმწიფო მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების უზრუნველსაყოფად ადგენს საკანონმდებლო ჩარჩოებს, რომლის მიხედვითაც ფუნქციონირებს ქვეყნის ეკონომიკური სივრცე.⁵⁹

ვინაიდან, საგადასახადო კანონმდებლობის სტაბილურობა ბიზნეს-გარემოს სტაბილურობის უმთავრესი წინაპირობაა,⁶⁰ საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით მნიშვნელოვანია საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწა, რომელიც ხელს შეუწყ-

51 ირაკლი გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ, 2003. გვ7

52 ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა, გადასახადის იდეა: სიკვდილი, ეშმაკი, თუ მეხუთე ღმერთი? კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი Centre for Training and Consultancy, თბ, 2007 გვ89

53 საქართველოს 2010 წლის საგადასახადო კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია, მუხლი 2.

54 Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017. ст. 45

55 გონერ ურიდია, საგადასახადო ენციკლოპედია, გამომცემლობა :მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ310

56 გიორგი ყუფარაძე, საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, (მონოგრაფია), თბ, 2013, გვ:17

57 См. подр соколова э. Д. к вопросу о понятии налоговой системы , //Финансовое право ,2011.#1. С.28-31

58 ზვიად როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ, 2002, გვ60

59 გადასახადისაგან თავის არიდება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შედარებითი ანალიზი, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაცია, თბ, 2012, გვ7

60 ბიზნეს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, თბ, 2012, გვ16.

ობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური ამალღების მყარი გარანტი იქნება.

სწორედ ამაზეა საუბარი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის 2012-2015 წლების ანგარიშში, რომელშიც ბიზნესის წარმომადგენლებმა არსებულ ყველაზე პრობლემურ ფაქტორებს შორის სახელდება საგადასახადო რეგულაციები და შემდეგ მოდის გადასახადის განაკვეთები, თუმცა გადასახადის განაკვეთი იმდენად პრობლემური არ არის, რამდენადაც მათი ადმინისტრირების წესები, სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა სწრაფი და ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებით კი მთავრობა იღებს ვალდებულებას განახორციელოს სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა გარე რისკების დასაძლევად.⁶¹

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგადასახადო კანონმდებლობის განხილვის პროცესში საწარმოების მონაწილეობა შეზღუდულია. გადამხდელების უმრავლესობას (95%) ბოლო 2 წლის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია საგადასახადო კანონმდებლობის განხილვაში. თავის მხრივ, ის გადამხდელები, რომლებიც მონაწილეობდნენ მსგავს პროცესში ძირითადად მსხვილი გადამხდელები წარმოადგენენ უმეტესად ვაჭრობის სფეროში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ განხილვაში მონაწილეობაზე სხვა გადამხდელებს ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ეს მდგომარეობა საქართველოსათვის უნიკალურ მოვლენას არ წარმოადგენს. როგორც წესი, მსხვილი ბიზნესი გაცილებით აქტიურადაა ჩართული მსგავს პროცესებში. აღსანიშნავია, რომ ბიზნესი გაერთიანებების წევრობა რაიმე განსაკუთრებულ ეფექტს არ ახდენს კანონმდებლობის განხილვის პროცესში მონაწილეობაზე. კერძოდ, ასოციაციების წევრი 53 კომპანიიდან, მხოლოდ 10-მა განაცხადა, რომ მონაწილეობა მიუღია მსგავს განხილვაში.⁶² ასეთ პირობებში, აუცილებელია კანონმდებლის მიერ გათავისებულები იქნეს ის გარემოება, რომ რაც, უნდა კარგად იცვლებოდეს საგადასახადო ადმინისტრირების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები და მათი უმეტესობა ბიზნესისთვის სასიკეთო იყოს, ხშირი ცვლილებები მაინც არაჯანსაღი პროცესია. ჩვენი აზრით, შესაბამისმა სამსახურებმა უნდა გააცნობიერონ, თუ რამდენი დრო და ფული სჭირდება ბიზნესს იმისთვის, რომ გაეცნოს, გააანალიზოს და შემდეგ გამოყენება დაიწყოს თითოეული ცვლილების.⁶³

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დონეზე აღიარებულია საქართველოს ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა, გადასახადის გადამხდელების დამოკიდებულება საგადასახადო კანონმდებლობის მიმართ უფრო ნეგატიურია, ვიდრე პოზიტიური. აღნიშნულის მიზეზი საგადასახადო კოდექსის ხშირი ცვლილება და ბუნდოვანი ჩანაწერებია, ასევე გადასახადების რაოდენობა და განაკვეთი.⁶⁴

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საგადასახადო კოდექსის გამარტივება ძირითადად გულისხმობს ისეთ ცვლილებებს, როგორცაა გარდამავალი დებულებების გაუქმება და ორაზროვანი დებულებების გამარტივება. აღნიშნულზე საუბარია ადრე ჩატარებულ კვლევებშიც, რომლის მიხედვითაც საგადასახადო კოდექსის თითოეულ ძირითად მუხლს ორი ან სამი განსხვავებული ახსნა მოეძებნება, რაც შეცდომების აღ-

61 საქართველოს ფისკალური პოლიტიკა დამართვა დამისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, თბ, 2016, გვ24.

62 ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი “მმართველობა განვითარებისთვის”, თბ, 2016., გვ14

63 როდიონ ქორჩილავა, საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამალღების ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, დისერტაცია, თბილისი, 2014, გვ148

64 ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი “მმართველობა განვითარებისთვის”, თბ, 2016., გვ16

ბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.⁶⁵ მოცემული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ აღნიშნული საკითხი კვლავ პრობლემად რჩება საქართველოში.⁶⁶

სამართალშეფარდების პროცესში პრობლემატურია სამართლის ნორმის განმარტების საკითხს. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია სხვადასხვა მიდგომა, თუმცა, მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ის სამართლის ნორმის სწორედ გამოყენების ძირითადი პირობაა, რადგან „კანონის ინტერპრეტაცია ნიშნავს კანონის სიტყვათა მნიშვნელობის გაგებას, მაშასადამე, იმ ფაქტობრივი, ღირებულებითი და ჯერარსული წარმოდგენების დადგენას, რასაც კანონის სიტყვები გამოხატავენ“⁶⁷ სამართლის მოთხოვნები უნდა იყოს მორალურად გამართული. ანუ სამართალი უნდა იზიარებდეს ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებულ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებსა და ღირებულებებს. ასეთი სამართლის არსებობას შეუძლია დაარწმუნოს ადამიანი, რომ მისი მოთხოვნები სწორია და ხალხის ინტერესებში შედის. საგადასახადო კოდექსი კარგი მაგალითია, ვინაიდან, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანია, გადაახდევინო პირს გადასახადი იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიდგომარეობაში მყოფი სხვა პირი ამ გადასახადს იხდის. ადამიანების შეთანხმების (გადაიხადონ გადასახადები) მიუხედავად, მხოლოდ კანონს შეუძლია დაადგინოს, რა ოდენობის უნდა იყოს იგი. ამ მხრივ კანონი და მორალური მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა და ავსებს.⁶⁸

რაც შეეხება საგადასახადო სისტემას უნდა აღინიშნოს, რომ „საგადასახადო სისტემა“ როგორც ცნება არსებითად განსხვავდება „გადასახადების სისტემისგან“, უმთავრეს განმასხვავებელ ნიშანს კი წარმოადგენს ის, რომ საგადასახადო სისტემას გააჩნია გარკვეული სახის ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები.

საგადასახადო სისტემა არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური ერთიანობის მქონე ცალკეული გადასახადების ერთობლიობა, ხოლო გადასახადების სისტემის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ერთიანობა გადასახადის სახეებისა და მათი იურიდიული შემადგენლობის ძირითადი ელემენტების დანესების ცენტრალიზებული წესია.⁶⁹

თავის მხრივ, ძალზედ მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის ელემენტები, კერძოდ: გადასახადებით დაბეგვრის პრინციპები, გადასახადების დანესების, შეცვლისა და გაუქმების წესი, გადასახადების სისტემა, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შენატანების განაწილების წესი, საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეთა უფლებები და ვალდებულებები, საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები, საგადასახადო ურთიერთობების მონაწილეთა პასუხისმგებლობა, გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებები, საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის პრობლემების გადანყვეტისადმი მიდგომები და სხვა.⁷⁰

უნდა აღვნიშნოთ, რომ საგადასახადო სისტემის პოლიტიკურ-სამართლებრივ მახასიათებელს წარმოადგენს ხელისუფლების კომპეტენციის რეგულირება საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების საქმეში. აღნიშნულთან მიმართებაში მნიშვნელოვანია განვიხილოთ ხელისუფლების წყაროს-ხალხის როლი გადასახადების შემოღებისა და დანესების საკითხში.

65 დანვრილებით იხილეთ: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა, 2010.

66 ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი “მმართველობა განვითარებისთვის, თბ, 2016., გვ.12

67 რაინოლდ ციპელიუსი, იურიდიული მოძღვრება, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006, გვ.52,

68 ტონო ონორე, მოკლე შესავალი სამართალმცოდნეობაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, თბ, გვ 15

69 ზვიად როგავა, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი პირველი, თბ, 2018, გვ.36

70 იქვე:37

საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის შინაარსი საზოგადოებას ანიჭებს უფლებას თვითონ განსაზღვროს საგადასახადო პოლიტიკა. სწორედ, რომ დემოკრატიულ, სამართლიან, სოციალურ სახელმწიფოში ხალხი რეფერენდუმის გზით წყვეტს და იღებს მათთვის სასიკეთო გადაწყვეტილებებს.⁷¹ კონსტიტუციის ზემოთხსენებული დებულების მიზანია განაპირობოს გადასახადებით დაბეგვრის სტაბილურობა, განამტკიცოს გადასახადის გადამხდელის რწმენა სახელმწიფოში სამართლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობის შესახებ⁷². საქართველოს ისტორიის ბოლო ათწლეულის განმავლობაში სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის გზაზე ქვეყანაში წარმოიშვა მრავალი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სხვა სახის პრობლემები.⁷³ 2011 წლის 1 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“, რომელშიც ხორციელდება ზემოთხსენებული დებულების კონკრეტიზაცია, კერძოდ, ჩამოთვლილია საქართველოში დღეს მოქმედი გადასახადის სახეები და მითითებულია, რომ „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება გადასახადის შემოღება ან ცვლილება, რომელიც არსებული გადასახადის ალტერნატივა ან ანაცვლებს მას და ამავე დროს არ ზრდის საგადასახადო ტვირთს. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებად ან ზღვრული განაკვეთის გაზრდად არ ჩაითვლება აგრეთვე გადასახადის სახის მიხედვით არსებული ზღვრული განაკვეთის ფარგლებში ცვლილება.“⁷⁴

საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ სრულყოფს ეკონომიკურ უფლებებს და თავისუფლებებს.⁷⁵ მასში განისაზღვრა ქვეყნის ფისკალური წესები. ხარჯების წესების გარდა (რომლითაც საბიუჯეტო ხარჯები მშპ-ის 30%-მდე შეიზღუდა), დაინერგა დაბალანსებული საბიუჯეტო წესი (საბიუჯეტო დეფიციტი 3%-მდე შეიზღუდა), ვალის წესი (სახელმწიფო ვალი მშპ-ის 60%-მდე შეიზღუდა) და შემოსავლების წესი და აიკრძალა რეფერენდუმის გარეშე ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდა (აქციზის გარდა) და გადასახადების სახეების დამატება.⁷⁶ სწორედ რომ ამ კანონით საქართველოს მოქალაქენი ადგენენ დღევანდელი და მომავალი თაობების ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიებს.

როგორც ვხედავთ, საგადასახადო სფეროში გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის საშუალებები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საგადასახადო კოდექსით და საქართველოს ორგანული კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. აღნიშნულ ნორმას ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია, ამასთანავე, იგი განსაზღვრავს საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, ანუ სახელმწიფოს უდგენს გარკვეულ შეზღუდვას, რომლის დაძლევის გარეშე ვერ განახორციელებს ახალი გადასახადის შემოღებას, ან უკვე არსებული გადასახადის განაკვეთის გაზრდას. ამ პროცესის უფრო დეტალური განერისთვის შეიქმნა ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“. საქართველოს ეკონომიკურ თავისუფლებას სწორედ რომ ეს კანონი განსაზღვრავს და იგი გულისხმობს

71 ირაკლი გაბისონია, თამარ ბარამია, საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიზანშეწონილობის ასპექტები, ჟურნალი „იურისტი“ #3, თბ, 2017, გვ 15

72 ირაკლი გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ, 2013, გვ12.

73 ლ. იზორია, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, გამომც. ბონა კაუზა, თბ, 2006, გვ28.

74 საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ 01/07/2011-ის რედაქცია.

75 საქართველოს ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ პრეამბულა 01/07/2011-ის რედაქცია.

76 საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბ, 2017, გვ:44-46

საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით საქართველოს მოქალაქეების ეკონომიკური უფლებების და თავისუფლების გარანტიების დადგენას. ეს საკანონმდებლო ნორმა არის გარანტი, რომ ქვეყანაში მოსახლეობის თანხმობის გარეშე მთავრობა გადასახადებს არ გაზრდის⁷⁷.

საგადასახადო სისტემის დასახასიათებლად ასევე გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის თანაფარდობა. მოცემული თანაფარდობა დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების დონეზე. ვინაიდან, არაპირდაპირი გადასახადების აკრეფა არ მოითხოვს საგადასახადო აპარატის განვითარებას და გადასახადების გამომგარიშების დახვეწილ სისტემას.⁷⁸ აქვე განსახილველია საგადასახადო ტვირთი, ანუ ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე (მაკრო, მიკრო) გამოხატავს გადასახდელი გადასახადებისა და საგადასახადო ბაზის თანაფარდობის სიმძიმეს. მაკროეკონომიკური ასპექტით საგადასახადო ტვირთი შეიძლება იყოს გადასახადების თანხის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტებთან.⁷⁹ თავის მხრივ, საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდენებისმიერი სახელმწიფოს პრობლემაა. ზოგჯერ, როგორც სპეციალურ, ასევე პუბლიცისტურ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რაც უფრო დაბალია საგადასახადო ტვირთი, მით უფრო დინამიურად ვითარდება სახელმწიფოს ეკონომიკა, რაც ნაკლებია გადასახადები, მით მაღალია ეკონომიკის ზრდის ტემპი.⁸⁰ აღნიშნულს ამყარებს ამერიკელი ეკონომისტის არტურ ლაფერის შეხედულება, „რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთები, მით უფრო ძლიერია ინდივიდების მიერ გადასახადების გადახდისგან თავის არიდების მოტივაცია. ადამიანები იმის გამო არ მუშაობენ რომ გადასახადები გადაიხადონ“. საგადასახადო წნეხის, ტვირთის განხილვისას მხედველობაში მისაღებაა ის გარემოება, რომ სუბიექტის სურვილი, თავი აარიდოს გადასახადის გადახდას, იზრდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია საგადასახადო წნეხი.

მაგალითად, გერმანიაში საგადასახადო სისტემა ეფუძნება შემდეგ მნიშვნელოვან პრინციპებს: გადასახადები უნდა იყოს შესაძლებლობის მიხედვით მინიმალური; დანახარჯები მათ ამოღებაზე უნდა იყოს ასევე მინიმალური; გადასახადებმა არ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოს კონკურენციას; გადასახადები უნდა შეესაბამებოდეს სტრუქტურულ პოლიტიკას; გადასახადები გამიზნულია შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე; საგადასახადო სისტემა უნდა აიგოს ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემაზე.⁸¹

საგადასახადო პოლიტიკა ფისკალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. საგადასახადო პოლიტიკის მთავარი ამოცანებია შემოსავლების ზრდა და ეკონომიკური და სოციალური მიზნების ადვოკატირება. გადასახადები გამოიყენება სასურველ სოციალურ და ეკონომიკურ მიზნებზე ზეგავლენის მოსახდელად. მაგალითად, მექანიზაციის და ავტომატიზაციის სფეროში ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით მთავრობა უფლებას აძლევს, მოახდინოს ძირითადი კაპიტალის სწრაფი ამორტიზაცია. შობადობის ნახალისების მიზნით, საგადასახადო შეღავათებს იღებს ის ოჯახი, რომელშიც იბადება პირველი და მეოთხე ბავშვი.⁸²

77 ირაკლი გაბისონია, თამარ ბარამია, საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიზანშეწონილობის ასპექტები, ჟურნალი „იურისტი“ #3, თბ, 2017, გვ14

78 ზვიად როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ, 2002, გვ81

79 გონერ ურიდია, საგადასახადო ენციკლოპედია, გამომცემლობა:მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ311

80 ზვიად როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ, 2002, გვ79

81 Fiscal Incentive Effects of the German Equalization System, Sven Jari Stehn and Annalisa Fedelino, IMF Working Paper, 2009

82 სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია, სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისათვის?, თბ, 2012. გვ 16

საქართველო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. შესაბამისად, კერძო სექტორის განვითარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.⁸³ ქვეყანაში ძალიან მცირეა მრეწველობით დაკავებული ბიზნესის წილი. კომპანიების დიდი ნაწილი დაკავებულია ვაჭრობით და სერვისით. მიუხედავად ხელისუფლების გაცხადებული სტრატეგიისა, კვლავაც პრობლემად რჩება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობა, მართალია, იზრდება, თუმცა, მათი წვლილი დასაქმების, მთლიანი შიდა პროდუქტისა და საერთო ბრუნვის მაჩვენებლებში ჯერ კიდევ დაბალია.⁸⁴

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში საგადასახადო ტვირთი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. ფორბსის მონაცემებით საქართველო რიგით მეოთხე ადგილზეა გადასახადების სიმცირის მიხედვით. გადასახადებს საქართველოში უფრო მეტად საშუალოდ აღიქვამს 28%, მძიმედ 26% და/ან ძალიან მძიმე ტვირთად 20%-სთვის აღიქმება. მათი ნახევარი ვინც გადასახადების ტვირთს მძიმედ აფასებს, ვაჭრობის სფეროშია მოქცეული. უფრო ზუსტად, კომპანიები გადასახადების სიმძიმეზე საუბრობენ შემდეგ სფეროებში: ტრანსპორტი/ლოჯისტიკა, სასტუმრო და რესტორნები და საკვები პროდუქტების წარმოება⁸⁵.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა⁸⁶ თანმიმდევრულად იყო მიმართული კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნაზე, ასევე, ბიზნესის წამოწყებასა და გაფართოებაზე. ყოველივე ეს ხორციელდებოდა როგორც საგადასახადო სისტემის სიმარტივის, სიცხადის, უნივერსალურობის, სამართლიანობისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად, ისე გადასახადის განაკვეთების ოპტიმალური დონის დასაწესებლად. ხსენებული საგადასახადო პოლიტიკის მიზნების შესაბამისად, 2008 წელს ისევ განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო განაკვეთების დახვეწის მიმართულებით.⁸⁷ 2005 წლიდან კი საქართველოში ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა, რომლის გაცხადებული მიზანი ლიბერალური საინვესტიციო გარემოს მხარდაჭერაა. ამ მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსი უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს მნიშვნელოვან შეღავათებს სთავაზობს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ლიბერალური პოლიტიკის კიდევ ერთი დამატებითი ინსტრუმენტია „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმებები, რომლებიც დადებულია ქვეყნის ძირითად სავაჭრო და ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნებთან. ქვეყანაში ინვესტირების მოცულობის ზრდა და მის მიმართ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები ჩვენი ქვეყნის აქტუალურ საკითხთა რიგს მიეკუთვნება.⁸⁸

უფრო მეტიც, ქვეყნის საგადასახადო კოდექსში ასახული პოლიტიკა ქმნის სტიმულებს დაზოგვისა და ინვესტირებისათვის, ხოლო უცხოელ ინვესტორთათვის შექმნილი დამატებითი შეღავათები ამ უკანასკნელის ზრდის ძირითადი ფაქტორია სხვა თანაბარ პირობებში. მართალია, 2005 წლიდან საქართველოში სახეზე გვაქვს ერთის

83 ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი “მმართველობა განვითარებისთვის, თბ, 2016., გვ7

84 http://geostat.ge/?action=page&p_id=211&lang=geo

85 ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი “მმართველობა განვითარებისთვის, თბ, 2016., გვ12

86 სახელმწიფოს მიერ საგადასახადო ტვირთის განაწილების ღონისძიებათა სისტემა იმ პირობის მიმართ, რომლებიც ექვემდებარებიან მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციას. დაწვრილებით იხილეთ: გონერ ურიდია, საგადასახადო ენციკლოპედია, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2016, გვ307

87 საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბ, 2017, გვ:44-46

88 გიორგი ყუფარაძე, საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, (მონოგრაფია), თბ, 2013, გვ:10

მხრივ საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია, საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება, ხოლო მეორეს მხრივ ამ პერიოდიდან მოყოლებული ფიქსირდება ინვესტიციების მოცულობის ზრდა. ეკონომიკურ კვლევებში არის აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორია საგადასახადო საკითხები ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების მოცულობის ზრდისათვის, ეს განსაკუთრებით ეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვას. აღნიშნულს ქვემოთ ნახსენები ფაქტორთა ნაკრები განაპირობებს.⁸⁹

ჰუმანური განვითარების ინდექსის 75-ე რეიტინგმა დაადასტურა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაცია 2004-დან 2008 წლამდე პერიოდში, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ამ პერიოდში ქვეყანამ განიცადა მდგრადი ეკონომიკური ზრდა, რომლის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 6.8% შეადგინა.⁹⁰

საერთაშორისო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჯერ კიდევ წარმოადგენენ ორ ძირითად გზას საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისათვის⁹¹ საქართველოში საინვესტიციო გარემოს შეფასებისას მხედველობაში მიიღება გადასახადების გადახდებთან დაკავშირებული პროცედურები. დღემდე გატარებული რეფორმების შედეგად დანერგილი ელექტრონული სერვისები და დაბალი განაკვეთები მნიშვნელოვანია ბიზნესისთვის, თუმცა, კვლავ არსებობს მრავალი საკითხი, რის გამოც ხშირად წარმოიქმნება უთანხმოება კერძო კომპანიებსა და სახელმწიფოს შორის.⁹²

უფრო მეტიც, ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც სიღარიბეში ცხოვრობს.⁹³ ეკონომიკური კეთილდღეობა ქვეყანაში არათანაბრადაა განაწილებული.⁹⁴ სიღარიბის დაძლევა კვლავაც რჩება საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. 2016 წელს, ყოველი მეშვიდე ოჯახი ქვეყანაში საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარდა. ამასთან, 2012-2014 წლებში მნიშვნელოვანი კლების შემდეგ, 2015-2016 წლებში სიღარიბის დონე არსებითად არ შეცვლილა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული კლება შეიძლება ეპიზოდურ ხასიათს ატარებდეს და სინამდვილეში არსებობს სიღარიბის მასშტაბის ზრდის სერიოზული რისკი. ვითარებას ართულებს ისიც, რომ 2014-2016 წლებში შეჩერდა ყველაზე მდიდარი და ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლების დონეებს შორის განსხვავების შემცირების ტენდენცია, რომელიც წინა წლებში შეინიშნებოდა. ყოველივე ეს სიღარიბის და უთანაბრობის პრობლემების შემდგომი ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევისა და სიღარიბის შემსუბუქების უფრო ქმედითი პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე მეტყველებს.⁹⁵

გასაკვირი არაა, რომ გადასახადების გამო უკმაყოფილება დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. ექსპერტთა აზრით, განვითარებად ქვეყნებში საგადასახადო სისტემები

89 გიორგი ყუფარაძე, საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, (მონოგრაფია), თბ, 2013, გვ:10

90 ფრანჩესკა გასმანი, გიორგი ბერულავა, მიხეილ თოქმაზიშვილი, ეკონომიკური და სოციალური მონაცვლადობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, თბ, 2013, გვ22

91 ნატო ჩადუნელი, ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში, თბ, 2013, გვ33

92 საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური გზები, საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაცია, თბ, 2012, გვ2

93 ფრანჩესკა გასმანი, გიორგი ბერულავა, მიხეილ თოქმაზიშვილი, ეკონომიკური და სოციალური მონაცვლადობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, თბ, 2013, გვ22

94 დაწვრილებით ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ანალიზი იხილეთ: ფრანჩესკა გასმანი, გიორგი ბერულავა, მიხეილ თოქმაზიშვილი, ეკონომიკური და სოციალური მონაცვლადობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, თბ, 2013, გვ21

95 მერაბ კაკულია, ნოდარ კაპანაძე, ლალი ქურხული, ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში, ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა, თბ, 2017, გვ:5

„არაეფექტიანი“ და „არასამართლიანია“. დღეს, საქართველომ, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, რომელიც 2014 წელს გაფორმდა, რამდენიმე ვალდებულება იკისრა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის კანონმდებლობა უნდა დაუახლოვდეს ევროკავშირის დირექტივებსა და საერთაშორისო იურიდიულ ინსტრუმენტებს.⁹⁶ დასავლეთის გამოცდილების გათვალისწინებით, ევროკავშირთან შეთანხმების ფარგლებში საჭიროა საგადასახადო პოლიტიკის ჰარმონიზაცია. პირველ რიგში, საგადასახადო კულტურის განვითარებაა საჭირო, რაც საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რადგან ამის ბევრი ხელშემშლელი ფაქტორი არსებობს. მათ შორის პირველი ადგილი უკავია, მოსახლეობის უნდობლობას სახელმწიფო ორგანოებისა და მათი ფუნქციის მატარებელი თანამდებობის პირების მიმართ, რაც გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში ხელისუფლების არასტაბილურობით იყო გამოწვეული და დღემდე გრძელდება.⁹⁷

სამწუხაროდ, ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში არსებული საერთაშორისო საგადასახადო ურთიერთობები რთული და არაერთგვაროვანია. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გადასახადების დაბეგვრასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ურთიერთობებში სხვადასხვა სუბიექტები, კერძოდ, სუვერენული სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ფიზიკური და იურიდიული პირები, სხვადასხვა სახელმწიფოს კერძო სამართლის სხვა სუბიექტები მონაწილეობენ.⁹⁸

უფრო მეტიც, თანამედროვე ეკონომიკის გლობალიზაცია, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების გაფართოება, მრავალმხრივ ოპერაციებში სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყნის მონაწილეობა სახელმწიფოთა საგადასახადო სისტემებში მუდმივად ცვლილებების შეტანის აუცილებლობას იწვევს. სახელმწიფოების საგადასახადო სისტემებში არსებული განსხვავებები ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, საგარეო კონკურენტუნარიანობაზე ახდენს ზეგავლენას.⁹⁹

საგადასახადო სისტემის სამართლებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლების შემდგომი სრულყოფის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ უცხო ქვეყნების საგადასახადო სისტემები, რადგან გავერკვეთ საგადასახადო სისტემის განვითარების კანონზომიერებაში.

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები ყალიბდებოდნენ სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით. გადასახადების სახეებით, მათი სტრუქტურით, აკრეფის საშუალებებით, განაკვეთებით, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური უფლებამოსილებით, საგადასახადო ბაზით, გადასახადების მოქმედების სფეროთი, საგადასახადო შეღავათებით საგადასახადო სისტემები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.¹⁰⁰

აუცილებელია აღინიშნოს საგადასახადო რეფორმების თანმიმდევრული და ეკოლოგიური ხასიათი. არც ერთი მათგანი არ განხორციელებულა ერთდროულად. მაგალითად, აშშ-ში რეფორმა განხორციელდა ორ ეტაპად: 1981 და 1986 წლებში¹⁰¹. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის საგადასახადო სისტემა მსოფლიოში ცნობილია როგორც

96 საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბ, 2017, გვ: 44-46

97 ირაკლი გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ, 2013, გვ:7-8

98 ზვიად როგავა, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, ნიგნი პირველი, თბ, 2018, გვ 467

99 იქვე

100 ზვიად როგავა, მიხეილ სხიერელი, საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბ, 2003, გვ7

101 იქვე:8

ყველაზე რთული საგადასახადო სისტემა. არსებობის გადასახადების სამი დონე: ფედერალური გადასახადები, რომელიც დგინდება ფედერალურ დონეზე. გადასახადი, რომელიც რეგულირდება ცალკეული შტატების მიერ და ქალაქის, ოლქის ან რაიონის ადგილობრივი გადასახადები.¹⁰²

როგორც აღნიშნავს ი.ი. კუჩეროვი, ფედერალური სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის მონყობას საფუძვლად უდევს ფედერალური გადასახადები, რომელიც თავიც მხრივ წარმოადგენს სისტემის პრინციპსა და კომპეტენციის დელეგირებას ცენტრალურსა და რეგიონალურ ხელისუფლებას შორის საგადასახადო ურთიერთობების სფეროში.¹⁰³ ფედერალური გადასახადები მიიღება ერთნაირად მთელ ქვეყანაში, ხოლო ადგილობრივი და შტატის გადასახადები შედარებით განსხვავდება ერთმანეთისგან და ზოგან არც არსებობენ. ყველა საკითხით, რომელიც დაკავშირებულია გადასახადების გადახდასთან დაკავებულია Internal Revenue Service (IRS) აშშ-ის საგადასახადო სამსახური.¹⁰⁴

აღსანიშნავია, რომ ამერიკის უზენაესი სასამართლოს მიერ ფორმულირებულია შტატების უფლებების ზოგიერთი შეზღუდვები გადასახადის დაწესებისას, კერძოდ, შტატს შეუძლია გადასახადები დააწესოს შემდეგი წესების დაცვით: გადასახადი წესდება შტატთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, თანაბრადაა განაწილებული, შტატებს შორის არსებული გადასახადები არ ქმნიან დისკრიმინაციულ პირობებს.¹⁰⁵

გადასახადების მოცულობას განსაზღვრავს არა მარტო განაკვეთის ოდენობა, არამედ გადამხდელთა რეალური შემოსავალი. სხვა მხრივ, ბიზნესის განვითარებისთვის ყველაზე საუკეთესო საგადასახადო კლიმატია ვაიომინგის, სამხრეთ დაკოტას, ალასკის შტატებში, ყველაზე უარესი კი როდ-აილენდის შტატში. მთლიანობაში, ის შტატები, რომლებიც საკუთარი მაცხოვრებლებისთვის მაღალ გადასახადებს აწესებენ, ბიზნესის განვითარების მხრივ რეიტინგში დაბალ ადგილებს იკავებენ. მაგალითისთვის, კონექტიკუტის შტატმა 50 შტატს შორის 37-ე ადგილი, ნიუ-ჯერსიმ 48-ე, მასაჩუსეტსმა 36-ე ადგილი დაიკავა.¹⁰⁶

აშშ-ში შტატებს გააჩნიათ ფართო ავტონომია საგადასახადო სისტემის ცვლილების საკითხში, ამასთან ზოგიერი გადასახადი, როგორცაა მაგალითად კორპორაციული და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადი პარალელურად განისაზღვრება ფედერაციისა და შტატის დონეზე.¹⁰⁷

შტატების მიერ დაწესებულ გადასახადებს შორის ამერიკელების 39 %-მა “შეიძულა” ქონების გადასახადი, 20%-მა საშემოსავლო გადასახადი, გაყიდვებზე დაწესებული გადასახადი 18%-მა. გარდა ამისა, ამერიკელთა 80% თვლის, რომ საგადასახადო ნორმატივები გართულებულია და რეფორმებს საჭიროებს. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში ამერიკის საგადასახადო სისტემა საკმაოდ წარმატებით მოქმედებს. ამ ქვეყნის ეკონომიკის მოცულობა ამჟამად, 13 ტრილიონ დოლარად შეაფასეს, ხოლო ყველა საგადასახადო სტრუქტურის შენახვა და გადასახადების ამოღების პროცესის დაფინანსება წელიწადში საშუალოდ 10 მილიარდი დოლარი ჯდება.¹⁰⁸

ამერიკელების საგადასახადო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას რთუ-

102 <http://nygeorgians.com/?ts=>

103 Кучеров И. И. налоговое право зарубежных стран М Юринфор, 2003, 113

104 აშშ-ს საგადასახადო სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.irs.gov/individuals/get-transcript>

105 Килинкарлова Е. В. Налоговое право для зарубежных стран: учебник для бакалавриата и магистратуры М. Юрайт.2014, с41

106 ვეფხია სამსონიძე, ამერიკული გადასახადები №7(91), 2007, თბ, <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=968>

107 См.подр соколова э д к вопросу о понятии налоговой системы, //Финансовое право ,2011.#1. С.28-31

108 იქვე

ლი საგადასახადო კანონმდებლობა წარმოადგენს. მიჩიგანის უნივერსიტეტთან არსებული საგადასახადო პოლიტიკის კვლევითი სამმართველო იუნყება: „ყოველ წელს აშშ-ში გადამხდელებს სამ მილიარდზე მეტი საათი ეხარჯებათ თავიანთი საშემოსავლო დეკლარაციების შევსებაზე . . . დრო და ფული, რომელიც აშშ-ში საშემოსავლო გადასახადების გადამხდელებს (დეკლარაციების შევსებაზე) მისდით, ყოველწლიურად 100 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც ამოღებული გადასახადების თითქმის 10 პროცენტის ტოლია. ის, რომ საგადასახადო კანონების დაცვის გამო უზარმაზარი თანხა იკარგება, საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული უსაშველოდ რთული კანონმდებლობის შედეგია“.¹⁰⁹ Urban Institute-ს გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ზედმეტად გართულების გამო გადამხდელებისთვის გადასახადის მოცულობა (ღირებულება) იზრდება. ისინი იძულებულნი არიან სპეციალისტებს დამატებითი თანხები გადაუხადონ. ამ დროს მცირდება საგადასახადო სისტემისადმი ნდობის ხარისხი. ამერიკელ მოქალაქეებს ეჭვი შეაქვთ ამ სისტემის სამართლიანობასა და გამჭვირვალობაში. საბოლოო ჯამში, ამგვარი სიტუაცია სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობას ძალზე ართულებს.¹¹⁰

აშშ-ის საგადასახადო სისტემა პროგრესიულია, დაუბეგრავი მინიმუმისა და გამოქვითვების ჩათვლით. ამასთან, გადახდა ხდება, როგორც ინდივიდის შემოსავლების მიხედვით, ასევე სურვილის შესაბამისად ოჯახის შემოსავლების მიხედვით. ფიზიკური პირის ან ოჯახის ერთობლივ შემოსავალს აკლდება მის მისაღებად განუღებელი ხარჯები და სხვადასხვა გამოქვითვები. კერძოდ, ერთობლივ შემოსავალში შედის ხელფასი, პენსია, დახმარება, ფასიანი ქაღალდებიდან შემოსავალი, ქონების რეალიზაციიდან შემოსავალი. გამოქვითვას ექვემდებარება: დაუბეგრავი მინიმუმი, შენატანები საქველმოქმედო ფონდებში, სამედიცინო ხარჯები და სხვა.¹¹¹

ნიგნის «დიქტატურისა და დემოკრატიის ეკონომიკური ფესვები» ავტორები დერონ აჩემოლლუ და ჯეიმს მორისონი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოები, რომელთა მაცხოვრებლები მაღალ გადასახადებს იხდიან, გამოირჩევიან დემოკრატიული და პოლიტიკური თავისუფლების მაღალი დონით. ნაწილობრივ, ეს იმით აიხსნება, რომ თუკი ადამიანი თვლის, რომ საკუთარი საგადასახადო შენატანები მაღალ დონეს აღწევს, ის უფროა დაინტერესებული, შეამოწმოს როგორ ხარჯავს სახელმწიფო ამ ფულს. სხვა მხრივ, დიქტატურის მქონე სახელმწიფოები დრაკონულ გადასახადებს იყენებენ. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დემოკრატიის პირობებში ძირითადი საგადასახადო ტვირთი მოდის მრავალრიცხოვან, ძლიერ საშუალო კლასზე, ხოლო დიქტატურის დროს ამ ტვირთს ზიდავს ყველაზე ღარიბი, ან ყველაზე მდიდარი მოქალაქეები.¹¹²

რაც შეეხება ჩინეთს, იგი უნიტარული სახელმწიფოა და ამიტომაც მას გააჩნია ორ დონიანი გადასახადებისა და მოსაკრებლების სისტემა. სახელმწიფო და ადგილობრივი. ჩინეთის განსაკუთრებულობა მდგომარეობს სწორედ ამ სისტემაში პრინციპით „ერთი სახელმწიფო ორი სისტემა“.¹¹³

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საგადასახადო სისტემას არეგულირებს 1500-მდე ნორმატიული აქტი, რომელიც მიღებულია ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფოს ცენტრალური საგადასახადო სამმართველოს მიერ¹¹⁴. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად გადასახადს საწარმოთა და ორგანიზაციათა მოგების გადასა-

109 გადასახადები „ცივილიზებული საზოგადოების“ საფასური? <https://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102003882>

110 <https://www.urban.org/policy-centers/cross-center-initiatives/tax-policy-and-charities>

111 გონერ ურიდია, საშემოსავლო გადასახადის მოდელის საკითხისათვის #10(154), 2012, <http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=154&rubr=3&mas=1501>

112 <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=968>

113 Шепенко Р.А. Налоговое право Китая Источники и субъекты: М. Статут, 2004, С. 20-21

114 СМ Баженова веденте бизнеса в Китае правовые аспекты Вып 1 обзор провови среды для бизнеса 2015,

ხადი წარმოადგენს. იგი შედგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან. საერთო-სახელმწიფოებრივი მოგების გადასახადის განაკვეთი 30%-ს, ხოლო ადგილობრივი მოგების გადასახადის განაკვეთი- 3%-ს შეადგენს. სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში გამოიყენება 15%-იანი განაკვეთი.¹¹⁵

მისასაღებელია ის ფაქტი, რომ ჩინეთში დღგ-ს დაბრუნების სისტემა გამოიყენება საგადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტად, მთავრობა ახდენს ექსპორტიორებისას დღგ-ს მთლიანადაც დაბრუნების შესაძლებლობას იმ საქმიანობაზე, რომლებზეც განზრახული აქ გაუნიოს სტიმულირება და არ უბრუნებს იმათ საქმიანობის სფეროებს, რომელიც არ შედის მის ინტერესებში.¹¹⁶

რაც შეეხება იაპონიის საგადასახადო სისტემას, იგი მიმართულია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის სოციალური დაცვის კუთხით. პროგრესიული გადასახადის განაკვეთები არის 10-დან 50 პროცენტამდე, ხოლო დაბეგვრის სუბიექტს 4 ტიპის ოჯახი წარმოადგენს. ესენია: უცოლოები, უშვილო მეუღლეები, ოჯახი ერთი შვილით და ოჯახი ორი და მეტი შვილით. დაუბეგრავე მინიმუმი ბავშვიან ოჯახებზე შეადგენს 15400 აშშ დოლარს, ხოლო უცოლოებსა და უშვილოებს - 7700 აშშ დოლარს. სხვა საგადასახადო შეღავათებთან ერთად საშემოსავლო გადასახადის ეს სისტემა ქმნის საშუალოდ 5,8%-იან საშემოსავლო გადასახადის სისტემას, რომლის საფუძველზეც ამ გადასახადისაგან საერთოდ თავისუფლდება შვიდი დასაქმებული იაპონელიდან - ერთი.¹¹⁷

საინტერესოა შვედეთის საშემოსავლო გადასახადის სისტემა. შვედეთში დაბალშემოსავლიანები იხდიან ნაკლებს, ბიუჯეტიდან ლებულობენ მეტს, ხოლო მაღალშემოსავლიანებს ბიუჯეტში შეაქვთ მნიშვნელოვანი თანხები. აქაც მოქმედებს საშემოსავლო გადასახადის პროგრესიული სისტემა დაუბეგრავე მინიმუმისა და გამოქვითვების სქემით. ამასთან, რაც ყველაზე საინტერესოა ჩვენი დაბეგვრის სისტემასთან შედარებით შვედეთში ყველა მოქალაქეს აქვს საკუთარი ანგარიშსწორების ანგარიში (პირადი ბარათით), რომელზეც აღირიცხება მოქალაქის მიერ გადახდილი გადასახადები და ბიუჯეტიდან მიღებული (დაბრუნებული) თანხები. ამასთან, საგადასახადო ორგანოს ხელი მიუწვდება პირის ყველა შემოსავლის წყაროსთან და შესაბამისად, საგადასახადო დეკლარაციის შევსებას და გადასახადების გამოანგარიშებას ახორციელებს საგადასახადო ორგანო. გადასახადის გადამხდელი მხოლოდ ხელმოწერით ამონებს მას.¹¹⁸

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში მოქმედებს დაბეგვრის პროგრესული მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომელიც ჰარმონიზებულია დაუბეგრავე მინიმუმისა და სოციალური ხარჯების გამოქვითვების სისტემასთან. ამასთან, პროგრესული გადასახადის შემოღების დროს მნიშვნელოვანია გადასახადების ფისკალური და სოციალური სამართლიანობის ფუნქციების შეთანასწორება (მაღალშემოსავლიანი პირები იხდიან მეტს აბსოლუტური ოდენობის თვალსაზრისით). ამ შემთხვევაში, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაუბეგრაობა ხელს უწყობს გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდას. ვინაიდან ასეთი თანხები პირდაპირ ფულის მიმოქცევის არხებში გადადის.¹¹⁹

115 ზვიად როგავა, მიხეილ სხიერელი, საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბ, 2003, გვ.174

116 Brys B. et al. (2013), “tax polici and tax reform in the people’s republic of china” oecd taxation working papers, no. 18, oecd publishing // [Http://dx.doi.org/10.1787/5k3014dlmnzwen.C.54](http://dx.doi.org/10.1787/5k3014dlmnzwen.C.54).

117 გონერ ურიდია, საშემოსავლო გადასახადის მოდელის საკითხისათვის #10(154), 2012, <http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=154&rubr=3&mas=1501>

118 გონერ ურიდია, საშემოსავლო გადასახადის მოდელის საკითხისათვის #10(154), 2012, <http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=154&rubr=3&mas=1501>

119 იქვე

პროგრესული საგადასახადო სისტემები მოქმედებს სკანდინავიაში, საფრანგეთში, ჩინეთში და კიდევ ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, გერმანიაში ყველა ის პირი, ვისი წლიური შემოსავალიც წელიწადში 8130 ევროზე ნაკლებია, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება. ბევრ ქვეყანაში პროგრესული გადასახადით იბეგრება მოგება, უძრავი ქონება, ფუფუნების ძვირადღირებულ ნივთები და ა.შ.¹²⁰

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა. დღესდღეობით არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო, სადაც მუდმივად არ დაობდნენ საგადასახადო პოლიტიკის თაობაზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საგადასახადო სისტემა უნდა ესადაგებოდეს ქვეყნის რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობას და ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. გამომდინარე აქედან, საგადასახადო კანონმდებლობა მუდმივ ცვალებადობასა და სრულყოფას უნდა განიცდიდეს.¹²¹

არსებული სტატისტიკის თანახმად, საქართველოში სოციალური უთანასწორობა თითქმის ყოველწლიურად იზრდება. საქსტატის მონაცემებით, 2016 წელს „ჯინის“ კოეფიციენტი 40 ნიშნულს მიაღწია. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან საქართველოზე უარესი მაჩვენებელი მხოლოდ რუსეთს აქვს. იმავე 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 21% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.¹²²

მიგვაჩნია, რომ საშემოსავლო გადასახადის პროგრესული სისტემის შემოღება გამოიწვევს შესაბამის მასტიმულირებელ მაკროეკონომიკურ შედეგებს. კერძოდ, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მაღალი გადასახადებით არ დაბეგვრა ხელს შეუწყობს გადახდისუნარიანი მოთხოვნის ზრდას, სტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკა სწრაფი და ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა.

საქართველოს საგადასახადო სისტემისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზმა გვიჩვენა რომ საქართველოსთვის, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს განვითარებად ქვეყანას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დიდი ხვედრითი წილით, მიზანშეწონილია პროგრესული ხასიათის გადასახადების ფართოდ გამოყენება და ამ სფეროში მაღალგანვითარებული, ცივილიზებული სახელმწიფოების მდიდარი გამოცდილების გათვალისწინება.

საქართველოს საგადასახადო გარემო კომპლექსურია და სწრაფად ცვალებადი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებასა და სტაბილურობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მოქნილი, სამართლიანი და სრულყოფილი საგადასახადო სისტემის შესაქმნელად აუცილებელია დაბეგვრის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ოპტიმალური შეთანაწყობა, რაც ჩვენი აზრით პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის შკალის შემოღებით მიიღწევა. როდესაც საუბარია სოციალური მხარდაჭერის რეალიზებაზე უპირველეს ყოვლისა საჭიროა სახელმწიფომ გაითავისოს იმ ქვეყნების საგადასახადო სისტემა, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია დიფერენცირებული დაბეგვრის გზით, საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთის დაწესებაზე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შემოსავლების გამოთანაბრებაზე, აღნიშნული კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს საგადასახადო სფეროში თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვას.

120 <https://m2b.ge/post/179926-gadasaxadebi-da-socialuri-mdgomareoba-saqartvelosi>

121 ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია, საგადასახადო დანაშაულებრივი ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემა, ჟურნალი „იურისტი“ #1, 2016, გვ:59

122 <https://m2b.ge/post/179926-gadasaxadebi-da-socialuri-mdgomareoba-saqartvelosi>

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საგადასახადო სისტემების პოლიტიკურ-სამართლებრივი და ეკონომიკური მახასიათებლები. ყურადღება გამახვილებულია საგადასახადო სისტემის როლზე, თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და სოციალურ მდგომარეობაზე.

საგადასახადო ურთიერთობებზე მსჯელობისას ძირითადი აქცენტი გადატანილია საგადასახადო სისტემის მნიშვნელობასა და ელემენტებზე. სტატიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს, რის საფუძველზეც გაანალიზებულია საკანონმდებლო ხარვეზები.

პოლიტიკურ-სამართლებრივი მახასიათებლის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების საქმეში ხელისუფლების კომპეტენციის რეგულირებაზე კერძოდ, კი გადასახადების შემოღებისა და დაწესების საკითხზე. შესწავლილია როგორც საგადასახადო სფეროში გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის საშუალებები, ასევე პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის საკითხი.

საქართველოს საგადასახადო სისტემისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე საგადასახადო სისტემისა და კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით ავტორთა მიერ შემოთავაზებულია გარკვეული სახის რეკომენდაციები.

RESUME

The article discusses political-legal and economic characteristics of tax systems. The focus is on the role of the tax system on the effectiveness of state policy, economy and social status.

In discussing tax relations, the main focus is on the importance of the tax system and the elements. An important part of the article was devoted to the improvement of tax legislation, which analyzed legislative shortcomings.

In considering the political-legal characteristic, the focus is on regulating the competence of the government in the formation of a tax system, in particular the issue of taxation and establishment of taxes. The means of taxpayers' rights protection in tax sphere as well as direct and indirect taxes are studied.

Some of the recommendations are proposed by the authors to improve the tax system and legislation based on the interpretation and analysis of the Georgian tax system and foreign countries.

РЕЗЮМЕ

В статье рассматриваются политико-правовые и экономические характеристики налоговых систем. Основное внимание уделяется роли налоговой системы в эффективности государственной политики, экономики и социального статуса.

При обсуждении налоговых отношений основное внимание уделяется важности налоговой системы и элементов. Важная часть статьи была посвящена совершенствованию налогового законодательства, в котором были проанализированы законодательные недостатки.

Рассматривая политико-правовую характеристику, основное внимание уделяется регулированию компетенции правительства в формировании налоговой системы, в частности вопросу налогообложения и установления налогов. Изучаются средства защиты

прав налогоплательщиков в налоговой сфере, а также прямые и косвенные налоги.

Некоторые рекомендации предлагаются авторами для совершенствования налоговой системы и законодательства на основе интерпретации и анализа налоговой системы Грузии и зарубежных стран.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია-არსებული მდგომარეობით;
2. საქართველოს 2010 წლის საგადასახადო კოდექსი, კოდიფიცირებული ვერსია;
3. საქართველოს 2011 წლის ორგანული კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“;
4. ირაკლი გაბისონია, საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, „იურისტების სამყარო“ თბ, 2013;
5. ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია, საგადასახადო დანაშაულებრივი ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემა, ჟურნალი „იურისტი“ #1, 2016;
6. ირაკლი გაბისონია, თამარ ბარამია, საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიზანშეწონილობის ასპექტები, ჟურნალი „იურისტი“ #3, თბ, 2017;
7. ტონო ონორე, მოკლე შესავალი სამართალმცოდნეობაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ, 2018,;
8. მერაბ კაკულია, ნოდარ კაპანაძე, ლალი ქურხული, ქრონიკული სიდარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში, ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა, თბ, 2017;
9. გადასახადისაგან თავის არიდება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შედარებითი ანალიზი, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაცია, თბ, 2012;
10. ევროპული იდეების ისტორია და ქართული კულტურა, გადასახადის იდეა: სიკვდილი, ეშმაკი, თუ მებუთე ღმერთი? კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი Centrer for Training and Conultancy, თბ, 2007;
11. ბიზნეს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, თბ, 2012;
12. გიორგი ყუფარაძე, საგადასახადო პოლიტიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, (მონოგრაფია), თბ, 2013;
13. გონერ ურიდია, საგადასახადო ენციკლოპედია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016;
14. საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან, თბ, 2016;
15. ბიზნესის დამოკიდებულება საგადასახადო სისტემისადმი საქართველოში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისთვის“, თბ, 2016;
16. რაინოლდ ციპელიუსი, იურიდიული მოძღვრება, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006;
17. ზვიად როგავა, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი პირველი, თბ, 2018;
18. ზვიად როგავა, მიხეილ სხიერელი, საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო

- სისტემები, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“ თბ, 2003;
19. ზვიად როგავა, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ, 2002;
 20. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბ, 2017;
 21. ლ. იზორია, დემოკრატიის განვითარება საქართველოში, გამომც. ბონა კაუზა, თბ, 2006;
 22. ფრანჩესკა გასმანი, გიორგი ბერულავა, მიხეილ თოქმაზიშვილი, ეკონომიკური და სოციალური მონაცვლადობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, თბ, 2013;
 23. ნატო ჩადუნელი, ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში, თბ, 2013;
 24. საგადასახადო დავების გადაწყვეტის ეფექტური გზები, საგადასახადო სასამართლოები და ალტერნატიული გზები, საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის ასოციაცია, თბ, 2012;
 25. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში, ევროკავშირი საქართველოსთვის, თბ, 2017;
 26. სინგაპური, ესტონეთი, შვეიცარია, სამიზნე მოდელები ქართული ტრანსფორმაციისათვის?, თბ, 2012;
 27. ვეფხია სამსონიძე, ამერიკული გადასახადები №7(91), 2007, თბ, <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=968>;
 28. გონერ ურიდია, საშემოსავლო გადასახადის მოდელის საკითხისათვის #10(154), 2012, <http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=154&rubr=3&mas=1501>;
 29. გადასახადები „ცივილიზებული საზოგადოების“ საფასური? <https://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/102003882>;
 30. როდონ ქორჩილავა, საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობის ამალგების ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, დისერტაცია, თბილისი, 2014;
 31. Grundsätze der Steuerepolitik, <https://www.bpd.de/izpb/147061/grundsatzeder-steuerpolitik/p=all>;
 32. Fiscal Incentive Effects of the German Equalization System, Sven Jari Stehn and Annalisa Fedelino, IMF Working Paper, 2009;
 33. Бурова А, Налоговое Право, 2-е издание, под редакцией И.А. Цинделиани; Проспект, москва, 2017. См.подр соколова э д к вопросу о понятии налоговой системы , // Финансовое право ,2011.#1;
 34. Шепенко Р.А. Налоговое право китая Источникм и суббекты: М. Статут, 2004;
 35. СМ Баженова веденте бизнеса в китае правовыее аспекти Вып 1 обзор провови среды для бизнеса 2015;
 36. Килинкарлова Е. В. Налоговое право для зарувежных стран: учебник для бакалавриата и магистратуры М. Юрайт.2014;
 37. Brys B. et al. (2013), “tax polici and tax reform in the people’s republic of china” oecd taxation working papers, no. 18, oecd publishing // <Http://dx.doi.org/10.1787/5k3014dlmnzwe>;
 38. Кучеров И. И. налоговое право зарувежны стран М Юринфор, 2003;
 39. См.подр соколова э д к вопросу о понятии налоговой системы , //Финансовое право ,2011.#1;

40. აშშ-ს საგადასახადო სამსახურის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.irs.gov/individuals/get-transcript>;
41. <https://www.urban.org/policy-centers/cross-center-initiatives/tax-policy-and-charities>
42. <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=10&mas=968>
43. <http://nygeorgians.com/?ts>
44. <https://m2b.ge/post/179926-gadasaxadebi-da-socialuri-mdgomareoba-saqartvelosi>

1. მორალური ზიანის ანაზღაურება

პროფესორი
კარლო ბზიშვილი

ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვა ფორმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. განასხვავებენ ზიანის ორ სახეს: მატერიალურს ანუ ქონებრივს და მორალურს ანუ არაქონებრივს.¹²³ მოცემული სტატიის მიზანია სამოქალაქო კოდექსში შეტანილი იქნეს ცვლილება იმის შესახებ, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად გარდაცვლილის ოჯახის წევრს (დაზარალებულს) აუნაზღაურდეს მორალური ზიანი.

მორალური (არაქონებრივი) ზიანის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკივილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური ზიანი თავისი ხასიათით და წარმოშობის საფუძვლების მიხედვით შეიძლება იყოს სხვადასხვა.

მორალური ზიანი უნდა გულისხმობდეს „ფიზიკურ და ზნეობრივ - ფსიქოლოგიურ ტანჯვას“, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.¹²⁴

მორალური ზიანი ისეთივე რეალობაა, როგორც მატერიალური, ხოლო ზოგჯერ უფრო მტკივნეული, ვიდრე ეს უკანასკნელი. მორალური ზიანის რეპარაციას იგივე საფუძველი აქვს, რაც მატერიალურ ზიანს. მიუხედავად აღნიშნულისა, მორალური ზიანის რეპარაციისათვის მთლიანად შესაფერისი საშუალება არ არსებობს. ფულადი ანაზღაურება მხოლოდ სუროგატია და არა პირდაპირი სარეპარაციო საშუალება. უკეთესი სანქციის უქონლობის გამო სასამართლო ფულადი თანხის გადახდევინებით უნდა მფარველობდეს იმ უფლებებს, რომელთა შელახვასაც მორალური ზიანი მოსდევს.¹²⁵

ახლობლის გარდაცვალებით განცდილმა მძიმე ფსიქიკურმა ტრამვამ შეიძლება სხვადასხვა გავლენა მოახდინოს დაზარალებულის ჯანმრთელობაზე, რომელიც ქონებრივ ზიანზე უფრო მნიშვნელოვანია. ზოგჯერ მიყენებული ზიანი იმდენად სპეციფიკურია, რომ უშუალოდ ზიანის მიმყენებლის მოქმედების შემდეგ მხოლოდ მისი ნაწილი ვლინდება, სრულად კი იგი მომავალში იჩენს ხოლმე თავს.¹²⁶ მორალური ზიანის ანაზღაურებით გარკვეულწილად აღდგება დაზარალებულის სოციალური მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობა. დაზარალებულის მდგომარეობის რეაბილიტაცია მორალური ზიანის ანაზღაურებით მას ეძლევა შესაძლებლობა სხვა სულიერი და ქონებრივი ინტერესი დაიკმაყოფილოს.¹²⁷

მორალური ზიანის მიყენების ფაქტი დაზარალებულის უარყოფით ემოციურ განწყობილებას, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის უარესისაკენ შეცვლას გულისხმობს. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ზიანის მიმყენებლისათვის ანაზღაურების დაკისრებას მოჰყვება (ან უნდა მოჰყვეს) დაზარალებულის შინაგანი, ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება.

123თ. ნინიძე, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1978, №2, გვ. 45

124 იქვე

125 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, 2007, გვ. 469

126 გ. რცილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1928 №4 გვ. 80 – 81.

127 სახელმძღვანელო სამართალი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 660

რეობის გამოსწორება), მისი დაკმაყოფილება.¹²⁸ ეს ყველაფერი კი, გარკვეულწილად სამართლიანობის აღდგენას, მის რეალურად არსებობის განცდასა და მისდამი რწმენას განამტკიცებს. თუ ანაზღაურება არ იქნება სამართლიანი, ის ვერ უზრუნველყოფს ამ ფუნქციის შესრულებას, ვერ შთაუნერგავს ზიანის მიმყენებელს და მისი მსგავსი კანონისადმი პატივისცემას, არ დააკმაყოფილებს დაზარალებულს და გამოიწვევს საზოგადოების უარყოფით შეფასებას.¹²⁹ მოპასუხეზე დაკისრებული ანაზღაურება ეფექტური უნდა იყოს, რათა მისი შედეგი პირადად განიცადოს როგორც დაზარალებულმა ასევე ზიანის მიმყენებელმა.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.“

მორალური ზიანის ანაზღაურების „გონივრულობა და სამართლიანობა“ უნდა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური ვალდებულების ეს სახე. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: 1. დააკმაყოფილოს დაზარალებული; 2. ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; 3. თავიდან აიცილოს პირველი უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. აღნიშნული სამი - სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული ფუნქციების კომბინაცია წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ერთიან მიზანს, რაც უნდა აისახოს მორალური ზიანის ანაზღაურებაში.¹³⁰

მორალური ზიანის ანაზღაურების პირველ უმთავრეს მიზანს არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია შეადგენს, რომელიც შეუძლებელია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია, არამედ სულიერი თუ ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა. ფულადმა კომპენსაციამ უნდა უზრუნველყოს ახალი დადებითი ემოციების მეშვეობით დაზარალებულის სულიერი განონასწორება და სრულფასოვანი ჩართვა სოციალურ ურთიერთობებში. აღნიშნული შეადგენს მორალური ზიანის სატისფაქციის შინაარსს.¹³¹

ვინაიდან, მორალური ზიანი თავისი ფორმით სპეციფიკური მოვლენაა, შეუძლებელია აქ ანაზღაურების მიზანი იყოს სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ დააბრუნებს დაზარალებულს წარსულში. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება.¹³²

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, როგორც დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ისე ობიექტური გარემოებანი, რითაც შეიძლება მისი ამ კუთხით შეფასება, როგორცაა: ხელყოფილი სიკეთის (სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება და ა. შ.), ცხოვრებისეული მნიშვნელობა; სამართალდარღვევის შედეგთა სიმძიმე (ნათესავის მკვლელობა, სხეულის დაზიანება, დაზარალებულის დაინვალიდება და ა. შ.), დაზარალებულის ცხოვრებისეული პირობები. (სამსახურებრივი, საოჯახო, ყოფითი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა. შ.), ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი, მისი ქონებრივი მდგომარეობა და სხვა პატივსაღები გარემოებანი, როგორცაა დაზარალებულის მკურნალობის ხანგრძლივობა, სპეციფიკურ თვისებათა შე-

128 თ. ნინიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 55

129 Larez, Lehrbuch des Schaldrechts, 12. Auflage. Bd, II, BT. 1981. 681. მითითებულია ნაშრომში მორალური ზიანი და მისი წარმოების პრობლემები.

130 სახელმეკრულებო სამართალი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 672, - 673.თბ. 2012. გვ. 85

131 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი 1 1999, გვ. 74

132 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი 1 1999, გვ. 7

ნარჩუნების შესაძლებლობა და ა. შ.¹³³ ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ არ მოყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება.¹³⁴ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, დელიქტურია მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო და განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანი. ამიტომ პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია სახეზე იყოს: ზიანი, მართლსაწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის და ბრალი.

პიროვნების მიმართ ჩადენილი ნებისმიერი არამართლზომიერი ქმედება წარმოადგენს მორალური ზიანის მიყენების საფუძველს. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ხდება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლების ხელყოფა, რაც სულ უფრო მცირეც კი აუარესებს მის სოციალურ სტატუსს.¹³⁵ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი, ანაზღაურებადი და დაცული ზიანი.¹³⁶

მართლსაწინააღმდეგობად სამოქალაქო სამართალში მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესების ხელყოფა, რომელსაც კიცხავს მოცემული სამართალი.¹³⁷ მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა ყველა არამართლზომიერი მოქმედება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს..¹³⁸

სამოქალაქო კოდექსის 412 - ე მუხლის მიხედვით, „ ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ნებისმიერი პირობა დამდგარი შედეგის მიზეზია, თუ იგი ისეა დაკავშირებული ამ შედეგთან, რომ მის გარეშე არ დადგებოდა“.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მორალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა გულისხმობს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა იყოს ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვის სახით ნეგატიური შედეგის დადგომის აუცილებელი პირობა. არამართლზომიერი ქმედება უნდა იყოს აუცილებელი მიზეზი, რომელიც გარდაუვალად იწვევს მორალური ზიანის მიყენებას.¹³⁹

ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. რომის კლასიკური ეპოქიდან დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: თითოეული პასუხს აგებას მხოლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის.¹⁴⁰

სისხლის სამართლის მსგავსად სამოქალაქო სამართალი განასხვავებს ბრალის ორ ფორმას: განზრახვასა და გაუფრთხილებლობას, მაგრამ ამ დაყოფას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს, რადგან პასუხისმგებლობის უმეტეს შემთხვევაში საკმარისია გაუფრთხილებლობაც.¹⁴¹

განზრახ მოქმედებს ის, ვისაც შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა და სურს ამა თუ იმ შედეგის დადგომა. გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებობას. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა: უხეშ და მარტივ გაუ-

133 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, დასახელებული ნაშრომი გვ. 473. წიგნი 3 1999, გვ. 7

134 მითითებულია საქართველოს კომენტარები ტომი III. გვ. 473 – 474. А. М. Эрделевский Б Компенсация морального вреда в России и зарубежом. М. ст. 59

135 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, გ. 479

136 შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, 1998, გვ. 98

137 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3 გ. 366

138 ლადო ქანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006 გვ. 276

139 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 3 გ. 361

140 ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, გვ. 72

141 ზ. ძლიერიშვილი, ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2011 გვ. 162

ფრთხილებლობად. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. მარტივი გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც აუცილებელი ყურადღებებიანობის მოთხოვნებს არღვევს შედარებით დაბალი დონით.¹⁴²

სამოქალაქო სამართალი იცნობს აგრეთვე ბრალის გარეშე პასუხიმგებლობას, რომელიც წარმოადგენს ბრალეული პასუხიმგებლობის გამონაკლისს.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დადგენილი იქნა, რომ სასამართლოებში გაიზარდა სარჩელების რიცხვი მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, სადაც მოსარჩელებად გარდაცვლილის ახლობლები გამოდიან, მაგრამ სარჩელები არ კმაყოფილდება. საქართველოს უზენაეს სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი დაზარალებულს არ აუნაზღაურდება, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს უზენაეს სასამართლოს პრაქტიკიდან საყურადღებოა მრავალთაგან ერთი გადაწყვეტილების მოტანა: ნ. ნ - მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შ.პ.ს. „ლ - ის“ წინააღმდეგ სარჩოს დაკისრებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: ნ. ნ - ის მეუღლე მუშაობდა შ.პ.ს. „ლ“ - ში დურგლად. 2011 წლის 29 მაისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ნ. ნ. კ. ჩამოვარდა შენობის მეორე სართულის სახურავიდან და გარდაიცვალა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრა სისხლის სამართლის საქმე და დადგა განაჩენი, სადაც მოსარჩელე ნ. ნ. ცნობილი იქნა დაზარალებულად. ორშვილიანი ოჯახის ერთადერთი მარჩენალის გარდაცვალების, მასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური სტრესის შედეგად ნ. ნ. - ს დაუზიანდა ჯანმრთელობა, კერძოდ, დაუდგინდა დეპრესია, რომელიც დღემდე გრძელდება და იგი შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2013 წლის 19 – 20 მარტის შემონმების შედეგად დაზარალებული ნ. ნ. შრომისუუნაროდ იქნა ცნობილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ჯანმრთელობის შედეგად მასზე მიყენებული მორალური ზიანი 100 000 ლარისა და ყოველთვიურად სარჩოს 500 ლარის მოპასუხე შ.პ.ს. „ლ“ - ზე დაკისრება.

სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლომ მიუთითა: რომ ბევრ შემთხვევაში სახელშეკრულებო თუ დელიქტური ურთიერთობის დროს (მითუმეტეს პირის გარდაცვალებისას) შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს მორალური ზიანი, მაგრამ თუ კანონით არაა გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, არ ანაზღაურდება. გარკვეულ სამართლებრივ თუ ცხოვრებისეულ ვითარებაში პირმა შეიძლება განიცადოს ძლიერი სულიერი ტანჯვა. ოჯახის წევრის გარდაცვალება ყოველთვის უკავშირდება მძიმე განცდებს და ფსიქოლოგიურ ტრამვას, რამაც გარკვეულ შემთხვევაში შესაძლებელია ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვიოს. მაგრამ მეორე საკითხია, სამართლებრივად რამდენად შესაძლებელია ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. საკასაციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ მორალური (არაქონებრივი) ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლების სუბიექტს, სხვა პირის (ოჯახის წევრის ან ნათესავის) მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.¹⁴³

142 ლ. ჭანტურია, დასახელებული ნაშრომი გვ. 377.

143 Wolfgang Fikentscher, *Schuldrecht*. 8 Auflage, Berlin, New-York. 1992, p.312

მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი III. 382 – 394

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად: „არაქონებრივი ზიანის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილი იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, პირმა ვინც უშუალოდ განიცადა სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობის მოშლა შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. იბადება კითხვა: იმ შემთხვევაში, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ჯანმრთელობის მოშლა (ვნება) ოჯახის წევრის სიკვდილით არის გამოწვეული, დაზარალებულს აქვს თუ არა უფლება მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება? ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

პროფესორ შალვა ჩიკვაშვილის აზრით: „ჯანმრთელობა პირის სრული ფსიქიკური და ფიზიკური კეთილდღეობაა, ამიტომ უეჭველია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად შვილის, მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ირღვევა ოჯახის წევრის ფსიქოლოგიური კეთილდღეობა, ე. ი. ირღვევა მისი უფლება ჯანმრთელობაზე, რაც შესაბამისად ბადებს მორალური ზიანის კომპენსაციის უფლებას“.¹⁴⁴

პროფესორ ბ. ზოიძის განმარტებით „მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ, თუ კანონით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება იგი არ ანაზღაურდება, ვფიქრობთ, რომ სასამართლოებმა თავად უნდა ამოავსონ კანონის ხარვეზი და დასაბუთებული აუცილებლობისას, შექმნან მორალური ზიანის ანაზღაურების ახალი პრეცედენტები.“¹⁴⁵

პროფესორი დავით სუხიტაშვილი საწინააღმდეგო პოზიციას იკავებს და განმარტავს, „რომ სიკვდილით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ პროფესორების შალვა ჩიკვაშვილისა და ბესარიონ ზოიძის მოსაზრებებს გარდაცვლილის ახლობლისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე“.¹⁴⁶

მაშასადამე, როგორც უზენაეს სასამართლოს, ასევე რიგ მეცნიერ იურისტებს მიაჩნიათ, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ახლობლის სიკვდილით გამოწვეული მორალური ზიანი დაზარალებულს არ აუნაზღაურდება, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ აღნიშნულს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს.

ვფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევაში ირღვევა სამოქალაქო სამართლის უძირითადესი „პირთა თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპი“ .

პროფ. ბ. ზოიძის განმარტებით „სამართალი კანონზე, კანონმდებელზე და შემფარდებელზეც მაღლა დგას“. თუ სასამართლოები მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში ვერ ავსებენ კანონის ხარვეზს ახალი პრეცედენტებით, მაშინ მოქმედი სამართლის ნორმაში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი.

მორალური ზიანის ანაზღაურების დაწესება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეასრულებს მიყენებული ზიანის კომპენსაციას, დაზარალებულის შელახული უფლების აღიარებას, კერძოდ და ზოგადი პრევენციის ფუნქციებს.¹⁴⁷

ზემოთ დასმულ კითხვაზე, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მარტივი, გონივრული და სრულყოფილი პასუხი გაიცემა თუ სამოქალაქო კოდექსის 413 მუხლის მეორე ნაწილში შემდეგი ცვლილება იქნება შეტანილი: გარდაცვალების, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

144 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას- 113 – 108 – 2014 01. 05. 2015; იხ. აგრეთვე სუსგ - №95 – 30 – 2013. 14. 06.. 2013 ;№ ას797 – 940 – 215. 10. 05. 2015; № ას - 594 562- 2015. 6. 11. 2015

145 შ. ჩიკვაშვილი დასახელებული ნაშრომი გვ. 122

146 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები ,ნიგნი 3 გ. 471

147 დ. სუხიტაშვილი და თ. სუხიტაშვილი, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხიმგებლობა. 2016 გვ. 239

რეზიუმე

არაქონებრივი ანუ მორალური ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვა ფორმებს შორის ერთ - ერთი მნიშვნელოვანია.

სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი მიძღვნილია მორალური ზიანის ანაზღაურების სადმი, მაგრამ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, აქვს მხოლოდ იმ პირს, ვისაც უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად მიაღწია სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება. დაზარალებული ამ შემთხვევაში არის უშუალო ქმედების მსხვერპლი, მაგრამ თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად პირი გარდაიცვალა, მისი ოჯახის წევრს ან ახლობელს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არა აქვს, რაც კანონის ხარვეზია. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ხარვეზი არც სასამართლო პრეცედენტით არ იქნა გამოსწორებული. აღნიშნულიდან გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მეორე ნაწილში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: გარდაცვალების, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

RESUME

Compensation for damages non-material or moral one of the important things among other forms of civil responsibility.

The Civil Code article of 413 is about the moral damages compensation, but has the right to demand compensation for non-harm only the person who has been directly responsible for illegal actions suffered a body or health injury. In this case the victim is a victim of immediate action, but if a person has died as a result of illegal action, his family member or relative has no right to claim compensation for non-pecuniary damage, which is the flaw of the law. It is noteworthy that this is a shortcoming it is not corrected for Court precedent. Based on this, in the second part of Article 413 of the Civil Code the amendment should be made and formulated as follows: death, bodily injury or health case of damage, the victim may claim compensation not for property damage.

РЕЗЮМЕ

Компенсация ущерба нематериальным или моральным является одной из важных вещей среди других форм гражданской ответственности.

Статья 413 Гражданского кодекса относится о компенсации морального ущерба, но право требовать нематериальный ущерб имеет только тот человек, который пострадал и непосредственно несет прямую ответственность за незаконные действия, понесшие травма тела или повреждения здоровью. В этом случае жертва является жертвой непосредственной действий, но если лицо умерло в результате незаконных действий, член его семьи или родственник не имеет права требовать компенсации за моральный вред, что является недостаток закона. Следует отметить, что эти недостатки не были исправлены прецедентом Суда. Соответственно, поправка должна быть внесена во вторую часть статьи 413 Гражданского кодекса и сформулировать следующим образом: В случае смерти, телесные повреждения или повреждение здоровья, жертва может потребовать компенсацию за нематериальный ущерб.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ნინიძე, მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1978, №2.
2. გ. რცილაძე, მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1928 №4.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, III, 1999, 2001
4. სახელმძღვანელო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის. 2014
5. შ. ჩიკვაშვილი. მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში. 1998
6. ლ. ჭანტურია. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. 2008
7. ნ. ბარაბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა. 2012
8. დ. სუხიტაშვილი და თ. სუხიტაშვილი. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. 2016
9. Larez, Lehzbach des Schaldrechts, 12. Auflage. Bd, II, BT. 1981. 681.
10. Wolfgang Fikentscher, Schwoldreebt. 8 Auflage, Berlin, New-York. 1992, p.312
11. Эрделевеский, Компенсация морального вреда в России и зарубежом. М. ст. 59

2. რამდენიმე მოსაზრება საქართველოს კანონთან „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ - დაკავშირებით

პროფესორი
ია ხარაზი

საქართველოს პარლამენტმა დაგროვებითი პენსიის შესახებ“ მიიღო კანონი, ხოლო მისი ამოქმედება კი 2019 წლისათვისაა ნაგარაუდები. რას სთავაზობს იგი პენსიონერებს, რომელთათვისაც სიბერეში მიღებული პენსია არა მარტო არსებობის საშუალებაა, ღირსეული სიბერის გარანტიც უნდა გახდეს. ჩადებულია კი ეს ძირითადი პოსტულატი აღნიშნულ კანონში? შევნიშნავდით, რომ საქართველოს მოქალაქის ღირსეული სიბერისათვის საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტშიც უნდა გაჩენილიყო ჩანაწერი საქართველოს მოქალაქეთა ღირსეული სიბერის უზრუნველსაყოფი სამართლებრივი საფუძვლების შესაქმნელად. ფაქტია, რომ საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს კანონმდებლობის კომპეტენციას; კანონები კი განსაზღვრავენ კანონქვემდებარე აქტების გამოცემის კომპეტენციას (მაგ; „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობამ უნდ უზრუნველყოს საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცება 2018 წლის 01 ივნისამდე¹⁴⁸, საქართველოს ეროვნულ ბანკს კი დაევალა, რომ აღნიშნული კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების მიღება 2018 წლის 01 ივნისამდე¹⁴⁹ და ა. შ.

დაგროვებითი პენსიის შესახებ ძირითადი ნორმა მიზნად ისახავს მსგავსად საზღვარგარეთის უმრავლესი ქვეყნებისა, კერძო დანაზოგების სისტემის დანერგვას დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, მოქალაქეებს დამატებითი შემოსავალი გაუჩნდეთ არსებულთან შედარებით უფრო მაღალი ცხოვრების სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კანონის „პენსიის შესახებ“ მე-5 მუხლის 1-2 ნაწილების თანახმად, „პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის - 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან“. იმ შემთხვევაში კი, „თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება კანონით „პენსიის შესახებ“ და სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სარგებელზე, მას აქვს მხოლოდ ერთი, კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება მისივე არჩევით“.

აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის თანახმად კი, „პენსიის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით. პენსიის დაფინანსების წყაროდ კი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ითვლება“. ერთი სიტყვით სახელმწიფო პენსია გათანაბრებითია და იგი 180 ლარს შეადგენს დღეისათვის, რაც ბუნებრივია ვერ უზრუნველყოფს ღირსეულ სიბერეს, გაზრდილი ინფლაციის ცხოვრების ძალზედ დაბალი დონის გათვალისწინებით. ცხადია აღნიშნული მოდელი ძალზედ მოძველებულია და იგი ვერ პასუხობდა თანამედროვე გამოწვევებს.

რას გვპირდება ახალი კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, პასუხობს კი იგი სადღეისო გამოწვევებს და რაც მთავარია იქნება კი მყარი ბერკეტი მოქალაქეთა ღირსეული სიბერისათვის?

პირველ ყოვლისა საინტერესოა ვინ არიან კანონის სუბიექტები? ესენი უპირვე-

148 თ. ნინიძე დასახელებული ნაშრომი გვ. 55

149 სტატიაზე მუშაობისას აღნიშნული სამართლებრივი აქტები იყო მიღებული

ლესად დამსაქმებელი და დასაქმებულია, ასევე კანონი სუბიექტებად მოიაზრებს იმ პირებსაც, რომლებიც დროებით უმუშევრები არიან ან კიდევ არ აქვთ სტაბილური სახელფასო შემოსავალი და ესენი არიან თვითდასაქმებული პირები; საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან/და მოქალაქეობის არმქონე პირები, გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა¹⁵⁰, არარეზიდენტ პირებს, რომლებიც 183 დღეზე ნაკლები ხნის განმავლობაში იმყოფებიან და გადაადგილდებიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ბუნებრივია აღნიშნული კანონის მოქმედება არ შეეხებათ. კანონი განსაზღვრავს ასევე შეზღუდული უნარის მქონე პირების საპენსიო სტატუსსაც, თუმცა არა გამოკვეთით.

„უკანასკნელ პერიოდში, მთავრობის ინიციატივის მიხედვით სოციალური პენსიის ზრდა იდექსირებას დაექვემდებარება. სხვადასხვა ქვეყანაში ინდექსირების განსხვავებული მექანიზმები მოქმედებს. იმ შემთხვევაში, თუ სოციალური პენსიის ოდენობა საშუალო ხელფასის პროპორციულად გაიზრდება, დემოგრაფიული სტრუქტურის მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით ასაკით პენსიონერთა ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაიზრდება და 2060 წლისათვის მიაღწევს მშპ-ს 10%-ს, რაც მთლიანი საბიუჯეტო ხარჯის 33%-ის ტოლფასი იქნება. მსგავსი სცენარის მიხედვით კი აუცილებელი გახდება საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა ასაკით პენსიონერთა უზრუნველყოფის დასაფინანსებლად“¹⁵¹.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მათი უმრავლესობა ცდილობს პენსია გაზარდოს ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციური პროცესების შესაბამისად, რაც ბუნებრივია უნდა გავითვალისწინოთ ჩვენც და ეს ზრდა ერთგვარი გარანტია უნდა გახდეს პენსიის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნებისა და სისტემის ფისკალური მდგრადობისა.

მაინც რა ნოვაციებს გვთავაზობს ახალი კანონი? რამდენად მისაღებია იგი ქვეყნის მოსახლეობისათვის? ვისთვის იქნება ყველაზე მისაღები ეს მოდელი? აი ის ძირითადი კითხვები, რომლებზეც შევეცდებით ამ სტატიაში გავცეთ დამაჯერებელი პასუხი და შევეხოთ იმ საკანონმდებლო ხარვეზებს, რომლებიც არსებობენ კანონში და ერთგვარ „წყალქვეშა ნაღმებს“ წარმოადგენენ მოსახლეობისათვის.

კანონის მიხედვით დაგროვებითი საპენსიო სქემაში ჩართვა სავალდებულოა ყველა დასაქმებულისათვის ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, ხოლო დაგროვებით საპენსიო სქემაში განევრიანება ნებყოფლობითია ყველა თვითდასაქმებულისათვის თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში (კანონის მ. 3. ნ.2-3). გამოდის, რომ, თვითდასაქმებულებიც ხდებიან საპენსიო სქემის მონაწილეები, მხოლოდ ნებყოფლობით, მას შემდეგ რაც პირველ შენატანს განახორციელებენ. რა ასაკიდან ხდებიან პირები დაროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეობაში უფლებამოსილები? დასაქმებული, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალის შემთხვევაში – 55 წელი), ხდება მონაწილე ამ მუხლის ამოქმედების

150 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 34-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქართველოს არარეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ამ მუხლის მიხედვით არ არის რეზიდენტი. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კი, საქართველოს რეზიდენტად, მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში. ასევე რეზიდენტებისა და არარეზიდენტების შესახებ ვრცლად იხ. ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015, 190-192.

151 გულებანი შოთა, „დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხორციელება განუვითარებელი კაპიტალის ბაზრის პირობებში აზრს კარგავს“, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის“ პრეზიდენტი. ყოველკვირეული პერიოდული გამოცემა „ბანკები და ფინანსები“, 2017, 20 ნოემბერი, #516, 10

შემდეგ მის მიერ პირველი ხელფასის მიღებისთანავე. დასაქმებულს უფლება აქვს, უარი თქვას დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე აღნიშნული კანონის შესაბამისად. დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალის შემთხვევაში – 55 წელი), და თვითდასაქმებული მონაწილეები ხდებიან ნებაყოფლობით, ამ კანონის შესაბამისად. დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალის შემთხვევაში – 55 წელი), და თვითდასაქმებული მონაწილეები ხდებიან ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ მათ მიერ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელებისთანავე.

დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 40 წელი და არ სურს იყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, უფლებამოსილია გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან, რისთვისაც იგი წერილობით მიმართავს საპენსიო სააგენტოს განვერიანებიდან 5 თვის განმავლობაში, მაგრამ არანაკლებ 3 თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი რჩება ავტომატურად საპენსიო სქემის მონაწილე. დასაქმებული, რომელიც უარს განაცხადებს თავდაპირველად საპენსიო სქემაში ჩართულობაზე, მას შეუძლია ნებისმიერ დროს განვერიანდეს მასში და განვერიანებულად ითვლება განცხადების შეტანიდან პირველი ხელფასის მიღებისთანავე; საპენსიო სქემის დროებით შეწყვეტისას, დასაქმებულს მისი განახლება შეუძლია ასევე ნებისმიერ დროს. კანონის 23-ე მუხლი (ნ.3) ითვალისწინებს შემთხვევას, როცა „დასაქმებულის მიერ აღნიშნული მუხლის („უარი დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე“), პირველი პუნქტის შესაბამისად¹⁵² დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში: ა) დასაქმებულის სახელით დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული შენატანები დაიბეგრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და დაუბრუნდება დასაქმებულს საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრული წესით; მიმაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა არაკონტიტუციურია და ლახავს მოქალაქის უფლებას, რამეთუ, დასაქმებული, რომელიც კონკრეტულ ადგილზე, კონკრეტულ დამსაქმებელთან მუშაობს და შესაბამისად ერიცხება საპენსიო სქემაში თანხა როგორც საკუთარი ხელფასიდან, ისე დამსაქმებლის ბიუჯეტიდან, არ უნდა იბეგრებოდეს საგადასახადო კანონმდებლობით, რადგან, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა პირი მუშაობდა კონკრეტულ საწარმოში, კანონით მას და დასაქმებულსაც ევალდებოდათ სახელმწიფოსთან თანაშეტანის ვალდებულებით კონკრეტული თანხის შეტანა საპენსიო სქემაში. კანონი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა დასაქმებული აღარ იმუშავებს კონკრეტულ საწარმოში, ამ უკანასკნელს დასაქმებულის ანგარიშზე შეტანილი თანხა უკან უბრუნდება. მიგვაჩნია, რომ დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის ანგარიშზე საპენსიო ფონდში შეტანილი თანხა დასაქმებულის საწარმოს არ უნდა ბრუნდებოდეს უკან (როგორც ეს კანონშია ჩანერილი) და არც უნდა იბეგრებოდეს, იგი მთლიანად უნდა გადავიდეს დასაქმებულის საპენსიო სქემაში, მითუმეტეს, რომ კანონში არ არის ჩამოყალიბებული ის არასაპატიო მიზეზები, რომლის გამოც დასაქმებული ტოვებს სამუშაოს (ვთქვათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ან თუნდაც შრომის გაუსაძლისი პირობების გამო და ა.შ. აღნიშნული თანხა კიდევ ერთხელ ვიმეორებთ კი არ უნდა დაიბეგროს, იგი უნდა აისახოს პირის საპენსიო ანგარიშზე და დაემატოს იმ თანხას, რომელსაც იგი საპენსიო სქემაში შეიტანს ახალ სამუშაო ადგილზე გადასვლისას); ბ) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული შენატანები დაუბრუნდება დამსაქმებელს ან

152 საუბარია ზემოთ უკვე აღნიშნულ დასაქმებულზე, რომელსაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 40 წელი და რომელსაც არ სურს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე იყოს, უფლებამოსილია საპენსიო სააგენტოს მიერ დადგენილი წესების მიხედვით წერილობით მიმართოს სააგენტოს და გავიდეს აღნიშნული სქემიდან სავალდებულოწესით ავტომატურად სქემასი განვერიანებიდან ხუთი (5) თვის განმავლობაში, მაგრამ განვერიანებიდან არანაკლებ სამი (3) თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში დასაქმებული რჩება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე.

მის უფლებამონაცვლეს საპენსიო სააგენტოს¹⁵³ მიერ განსაზღვრული წესით. აღნიშნული პუნქტის გამართულობაც ეჭვს იწვევს¹⁵⁴, რამეთუ, როგორც ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან ჩანს, ალტერნატიულად ან დამსაქმებელს უნდა დაუბრუნდეს ადრე დასაქმებულის სასარგებლოდ გადახდილი თანხა, რაც არაკანონიერად მიგვაჩნია და როგორც „ა“ ქვეპუნქტის განმარტებისას ავლნიშნე, არც ყოფილი დასაქმებულის უფლებამონაცვლის საპენსიო ანგარიშზე უნდა გადავიდეს, ეს მისი უსაფუძვლო გამდიდრება იქნება, რასაც სამოქალაქო კანონმდებლობა კრძალავს, უფლებამონაცვლე ხომ იმ თანხას დაირიცხავს რაც მის აღნიშნულ საწარმოში მისვლამდე სხვას ეკუთვნოდა; გ) დასაქმებულის სასარგებლოდ სახელმწიფოს მიერ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული შენატანები და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო შემოსავალი, შესაბამისი ხარჯების გამოკლებით, გადაირიცხება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე საპენსიო სააგენტოს მიერ განსაზღვრული წესით. არც ამ შემთხვევაში უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან თანხების უკან წაღება, თუ დასაქმებული საკუთარი განცხადებით შეწყვეტს სამუშაოს შესრულებას დასაქმებულთან, კანონით ხომ იღებს ვალდებულებას სახელმწიფო, რომ სამუშაოს შესრულების პერიოდში „დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის სასარგებლოდ მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს ორ (2) პროცენტს... მაგალითის სახით რომ განვიხილოთ აღნიშნული შემთხვევა, შემდეგ სქემას მივიღებთ: „ა“, რომელიც მუშაობს ვთქვათ „ბ“ საწარმოში 2 წელი, იგი თავისი შემოსავლიდან საპენსიო ფონდში ყოველთვიურად „X“ ხელფასის 2%-ს რიცხავს, დამსაქმებელი 2%-ს და 2%-საც სახელმწიფო, ანუ კანონში წერია, „დასაქმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელფასიდან, დამსაქმებლის ბიუჯეტიდან და სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისად 2-2-2 პროცენტის გადარიცხვის შემთხვევაში დასაქმებული იმ კონკრეტულ ვადაში ხომ სამუშაოს ასრულებს, მაშინ რატომ უნდა წაიღოს ის თანხა სახელმწიფომ, დამსაქმებელმა და კიდევ დაიბეგროს, ან კიდევ უფლებამონაცვლე პირმა, რომელიც წინა დასაქმებულს ჩაანაცვლებს, რატომ უნდა გამდიდრდეს სხვის ხარჯზე გაუგებარია, რაც კანონს ბუნდოვანს და გაუგებარს ხდის.

რა სისტემით ხდება კანონმდებლობით დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის დაფინანსება? კანონის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულის შენატანების დაფინანსება განხორციელდება შემდეგი სახით: დამსაქმებელი ხელფასის¹⁵⁵ გაცემისას მონაწილე დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტის ოდენობით; დამსაქმებელი მონაწილე დასაქმებულის სახელით, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით ახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2 პრო-

153 საველურ ფონდთან შეთანხმებული პირობით რომ საპენსიო სააგენტოს ამოქმედება ივლისში მოხდება, რომელიც მთავრობიდან იმ პროცესებს გადაიბარებს, რაც აღნიშნული სისტემის განვითარებისთვის არის საჭირო“. სტატიაზე მუშაობისას აღნიშნული სააგენტო ჩამოყალიბებული არ იყო. კანონში კი პირდაპირ არის მითითებული, რომ საპენსიო სააგენტო იქნება კანონის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (შემდგომში - საპენსიო სააგენტო), რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე.

154 მიგვაჩნია რომ ხარვეზია ფორმულირებაში („ხარვეზი ფორმულირებაში“)

155 ხელფასი - მომსახურების განევით მიღებული ის შემოსავალი, რომელიც იბეგრება გადახდის წყაროსთან, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლით დადგენილი ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი, საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად (გარდა როიალტისა, ქირისა, იჯარისა და საპროცენტო განაკვეთისა). საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, „ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან.

ცენტის ოდენობით; რა ბედი ელით თვითდასაქმებულებს, რომლებსაც სტაბილური შემოსავალი არ გააჩნიათ და მათი სამუშაო ე. წ. „დროებითია“, „სეზონურია“ (მაგალითად, „რეპეტიტორები“, სეზონურად მომუშავეები, ე.წ. ტაქსის მძღოლები, ოჯახში აყვანილი ძიძები, და ა.შ.) ერთი სიტყვით, მათაც აძლევს შანს კანონი დაგროვებით პენსიაზე გადასვლისა, კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაწილე თვითდასაქმებული ახორციელებს საპენსიო შენატანს თავისი წლიური შემოსავლის 4 პროცენტის ოდენობით; ხოლო „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი: სახელმწიფო მონაწილის სასარგებლოდ, მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხავს 2 პროცენტს დასაქმებულის დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც ჯამურად არ აღემატება მონაწილის მიერ წლიური ხელფასის სახით ან/და თვითდასაქმებულის მიერ შემოსავლის სახით მიღებულ 24 000 ლარს, ან 1 პროცენტს, თუ მონაწილის მიერ ხელფასის სახით ან/და თვითდასაქმებულის მიერ შემოსავლის სახით მიღებული თანხა 24 000 ლარიდან 60 000 ლარამდეა. სახელმწიფო საპენსიო შენატანს მას შემდეგ განახორციელებს, რაც საპენსიო სააგენტოს შეტყობინებით დადასტურდება, რომ მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აისახა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით ან/და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპენსიო შენატანები (შენატანი). სახელმწიფო არ განახორციელებს საპენსიო შენატანს დასაქმებულის დასაბეგრი წლიური ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება 60 000 ლარს“.

მონაწილე დასაქმებული, რომელსაც დროებით შეუჩერდება ხელფასის სახით თანხის მიღება, დროებით შეაჩერებს დაგროვებით საპენსიო სქემაში საპენსიო შენატანების განხორციელებას. მონაწილე საპენსიო შენატანების განხორციელებას განაახლებს ხელფასის სახით თანხის მიღების აღდგენისთანავე. თუ მონაწილე შეწყვეტს საპენსიო შენატანების განხორციელებას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შევებული ან დროებითი ან ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო, საპენსიო აქტივები რჩება მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე კანონის შესაბამისად. თვითდასაქმებულ მონაწილეს, რომელიც შეაჩერებს საპენსიო შენატანების განხორციელებას, შეუძლია ნებისმიერ დროს განაახლოს საპენსიო შენატანების განხორციელება. მონაწილეს, რომელიც გადაწყვეტს საქართველოს სამუდამოდ დატოვებას, შეუძლია მოითხოვოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების მიღება ერთიანი გადახდით ან პროგრამული გატანით. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდება იმ პირობით, რომ მონაწილე წარმოადგენს სხვა სახელმწიფოში კანონიერი, მუდმივი ცხოვრების უფლების დამადასტურებელ სათანადოდ დამონმებულ დოკუმენტს.

საინტერესოა ვის საკუთრებას წარმოადგენს საპენსიო აქტივები, რომლებიც დაგროვებითი საპენსიო სქემის თითოეული მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე იქნება? კანონის 24-ე მუხლის თანახმად, „საპენსიო აქტივები, რომლებიც აისახება მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, მონაწილის საკუთრებაა. აღნიშნული საკუთრების განკარგვის უფლება წარმოიშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას ან ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში¹⁵⁶. არ შეიძლება მონაწილის საპენსიო აქტივებზე მისი ქონებრივი უფლებები დაგირავდეს, უფლებრივად დაიტვირთოს, მათზე საკუთრების უფლება მესამე პირს გადაეცეს ან ისინი სხვაგვარად გასხვისდეს მონაწილის მიმართ არსებული რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან უზრუნველსაყოფად. მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივები არ ექვემდებარება აღსრულებას, ვერ იქნება შეტანილი მონაწილის ან საპენსიო სააგენტოს გაკოტრების მასაში და მათზე არ იმოქმედებს რაიმე

156 საპენსიო აქტივების მიღების სხვა შემთხვევებზე მოგვიანებით ვისაუბრებთ

სახის ანგარიშსწორების პროცედურა. საინვესტიციო საბჭო ვალდებულია შეარჩიოს ერთი ან რამდენიმე სპეციალიზირებული დეპოზიტარი, რომელსაც (რომლებსაც) დააკისრებს საპენსიო აქტივების შენახვის ვალდებულებას და ამის თაობაზე დადოს მასთან (მათთან) დეპოზიტარული მომსახურების ხელშეკრულება. სპეციალიზირებული დეპოზიტარი და მის მიერ დასაქმებული პირები, რომლებსაც აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით, კანონის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ მიზნებისათვის არიან ნდობითი ვალდებულების მქონე პირები¹⁵⁷.

საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული მთლიანი საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულება ერთიანი გადახდით ან პროგრამული გატანით. მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს საპენსიო აქტივების ღირებულების სრული მოცულობით მისი ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშიდან, თუ მან საპენსიო ასაკს მიაღწია საპენსიო შენატანის განხორციელების დაწყების თარიღიდან არაუგვიანეს 5 წლისა (კანონის მ. 32, ნ. 1, ნ.4). კანონის თანახმად, მონაწილე, რომელიც გადაწყვეტს, პენსიაზე გავიდეს საპენსიო ასაკის მიღწევისას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს საპენსიო სააგენტოს საპენსიო ასაკის მიღწევისას პენსიაზე გასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და საპენსიო ასაკის მიღწევამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე მოითხოვოს საპენსიო ასაკიდან პენსიის გადახდის დაწყება. მონაწილე უფლებამოსილია გადაავადოს პენსიაზე გასვლის თარიღი და მოითხოვოს პენსიის მიღება საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ ნებისმიერ დროს. ამ შემთხვევაში მონაწილემ წერილობით უნდა შეატყობინოს საპენსიო სააგენტოს პენსიაზე გასვლის თარიღი ასეთი თარიღის დადგომამდე არანაკლებ 30 დღით ადრე. მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში, ცხადია გარდაცვლილის შენატანი საპენსიო ფონდში არ იკარგება და იგი გადადის მემკვიდრეზე, რომელსაც შეუძლია ერთიანი გადახდის სახით მიიღოს უკვე სამემკვიდრეო მასაში გადასული მამკვიდრებლის საპენსიო დაგროვებული თანხა, ოღონდ, მემკვიდრის არჩევანის მიხედვით, ერთიანი გადახდის მოთხოვნისას, აღნიშნული თანხა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დაიბეგრება. ვფიქრობთ ამ შემთხვევაში კანონის 34-ე მუხლის („საპენსიო აქტივების მონაწილის მემკვიდრისათვის გადაცემა“) ფორმულირებაში ხარვეზია და ნორმა უფრო დახვეწილი იქნებოდა თუ იგი შესაბამისობაში მოვიდოდა საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებთან, სადაც განერილია, რომ „საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება; საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება“ და ეს ნორმა ასახული იქნებოდა კანონის 34-ე მუხლში, ასევე ამავე მუხლით განისაზღვებოდა მსგავსად საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლისა ჩამონათვალი მამკვიდრებლის მემკვიდრეთა წრისა, კერძოდ: გ) ქონების ჩუქებისას ან/და ანდერძით მემკვიდრეობისას I, II, III და IV რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან შემდეგი პირები: გ.ა) I რიგის მემკვიდრეებად – მეუღლე, შვილი, ნაშვილები, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი და მისი შვილი, მშობელი და მშვილებელი; გ.ბ) II რიგის მემკვიდრეებად – და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები; გ.გ) III რიგის მემკვიდრეებად – ბებია და პაპა, ბებულის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან; გ.დ) IV რიგის მემკვიდრეებად – ბიძა

157 ნდობითი ვალდებულების მქონე პირი – საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით მონაწილეების მიმართ პასუხისმგებელი პირი, რომელიც: ახორციელებს საპენსიო აქტივების მართვის პროცესში ნებისმიერ უფლებამოსილებას ან კონტროლს, გარდა ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების მიზნებისთვის კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; საპენსიო სააგენტოს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე აძლევს საინვესტიციო რჩევას; აღრიცხავს გარიგებებს და ამუშავებს ამ გარიგებებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, აწარმოებს ან/და ინახავს მონაწილეთა შესახებ ჩანაწერებს

(დედის ძმა და მამის ძმა), დეიდა და მამიდა. აღნიშნული მეტ სიცხადეს შესძენდა 34-ე მუხლს. საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის (გ{2}) ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირთა შემოსავლის შემდეგი სახეები: „...დაგროვებითი პენსია განხორციელებული საპენსიო შენატანების და შესაბამისი სარგებლის ოდენობით, გარდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტით¹⁵⁸ გათვალისწინებული შემთხვევისა“.

საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ მონაწილე ასევე უფლებამოსილია მიმართოს საპენსიო სააგენტოს და მოსთხოვოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე აღრიცხული საპენსიო აქტივებით სადაზღვევო ანუიტეტიური პროდუქტის¹⁵⁹ შექმნა პენსიის მიღების მიზნით“.

კანონი ჩამოთვლის ასევე საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, დაგროვილი თანხის ერთიან გატანაზე უფლებამოსილ პირებს: თუ პირი შეზღუდული შესაძლებლობის გახდა; როგორც ზემოთაღნიშნულ პირმა დატოვა ქვეყანა და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადავიდა; მცირე პერიოდის განმავლობაში დაგროვებულია მცირე რაოდენობის თანხა¹⁶⁰.

აქვე არ შეიძლება არ შეეცხთ ხარვეზს, რომელიც კანონის ფორმულირებაშია დაშვებული იმის შესახებ, რომ 34-ე მუხლში, სადაც საუბარია საპენსიო სქემის მონაწილის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეთა უფლებებზე მამკვიდრების მიერ დაგროვილი პენსიის მიმართ, არაფერია ნახსენები საპენსიო სქემის მონაწილის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ან/და გარდაცვლილად გამოცხადებისას რა ბედი ეწევა მის მიერ დაგროვილ საპენსიო თანხას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კანონის 34-ე მუხლს დაემატოს მე-6 და მე-7 ნაწილები, სადაც ჩაინერება, რომ: „საპენსიო სქემის მონაწილის უგზო-უკვლოდ დაკარგვისას, თუკი მის შესახებ ცნობები არ მოიპოვება 2 წლის განმავლობაში და დაინტერესებული პირების სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველზე იგი გამოცხადდება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, მისი საპენსიო სქემიდან¹⁶¹ მოხდეს გადახდა მისი ვალდებულებებისა“ (ნ.6), ხოლო „საპენსიო სქემის მონაწილის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში, თუ მის შესახებ ცნობები არ მოიპოვება 5 წლის განმავლობაში, უჩვეულო სიტუაციაში დაკარგვიდან 6 თვის განმავლობაში, ხოლო საომარ ან საგანგებო სიტუაციაში დაღუპვისას 2 წლის განმავლობაში, დაინტერესებული პირების განცხადების სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველზე - მის მიერ საპენსიო ფონდში შეტანილი თანხა გადაეცეს მის მემკვიდრეს (მემკვიდრებს)

158 აღნიშნულ პუნქტში საუბარია იმ მონაწილეზე, რომელიც გადანყვეტს საქართველოს სამუდამოდ დატოვებას და მას შეუძლია მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების შესაბამისი ღირებულების მიღება ერთიანი გადახდით ან პრორამული გატანით. ეს მოთხოვნა კი იმ პირობით დაკმაყოფილდება, როცა მონაწილე წარმოადგენს სხვა სახელმწიფოში კანონიერი, მუდმივი ცხოვრების უფლების დამადასტურებელ სათანადოდ დამოწმებულ დოკუმენტს.

159 ანუიტეტიის გრაფიკის შემთხვევაში სესხის ყოველთვიური გადასახადების ოდენობა ფიქსირებულია მთელი პერიოდის განმავლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ, წინასწარ განსაზღვროთ, სესხის ალების შემთხვევაში ყოველთვიურად რა თანხის გადახდა მოგიწევთ და გაითვალისწინოთ ბიუჯეტის დაგეგმვისას. ანუიტეტიის გზით სესხის დაფარვისას, ყოველთვიურად გადასახდელი გვაქვს ერთი და იგივე თანხა: ამ თანხიდან ნაწილი არის სესხის ძირი თანხა, ნაწილი კი – საპროცენტო სარგებელი, მათგან, ძირი თანხის გადახდები ყოველთვიურად ერთი და იგივეა, იცვლება მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის ნაწილი, რომელიც დაფარვის დასაწყისში უფრო დიდია და პერიოდის შემცირებასთან ერთად ნელ-ნელა იკლებს. ამდენად, ანუიტეტიის გრაფიკით დაფარვისას, სესხის ტვირთი თანაბრად არის გადანაწილებული მთელ პერიოდზე – ხშირად მიზანშეწონილია, რომ მიმართოთ სესხის დაფარვის ამ გრაფიკს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დიდი მოცულობის სესხთან გვაქვს საქმე (მაგალითად, იპოთეკური სესხის დროს), რადგან იგი უზრუნველყოფს სტაბილურობას და მარტივად შეგვიძლია განვსაზღვროთ მომავალი ყოველთვიური ხარჯები. ასევე იხ. იხ. „ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ დებულების პროექტი“.

160 კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ არ განსაზღვრავს „მცირე რაოდენობის თანხას“, ალბათ ამას განსაზღვრავს საპენსიო სააგენტო ან სხვა რომელიმე შესაბამისი კომპეტენტური ორგანო.

161 თუ მის საკუთრებაში არსებული ქონება არ იქნება საკმარისი მისი ვალდებულებების დასაფარავად

და საგადასახადო კოდექსის მოხედვით დაიბეგროს“. როგორც კანონიდან იკვეთება, მოსახლეობის მიერ საპენსიო ფონდში შეტანილი ფულით ე.წ. „გრძელი ფული“ იქმნება და ეს გარკვეულწილად ეჭვს ბადებს იმის შესახებ, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ხომ არ იქნება ეს „გრძელი ფული“ ტკბილი ლუკმა ერთის მხრივ საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად, ხოლო მეორეს მხრივ ყველაზე მომგებიანი ბიზნესის -- საბანკო სფეროსათვის დაუსრულებელი ლიკვიდურობის პრობლემის მოსაგვარებლად¹⁶². ამ ფონზე კი გასაკვირი არ იქნება, რომ კანონის თანახმად, პირველ ეტაპზე აკუმულირებული აქტივების ძირითადი ნაწილის ინვესტირება უნდა მოხდეს საზღვარგარეთის მაღალ ლიკვიდურ ფასიან ქალაქებში, ეს კი მათი საფონდო ბირჟების გაძლიერებას შეუწყობს ხელს და არა ჩვენსას.

ისმის კითხვა: განავითარებს კი ეს „გრძელი ლარი“ კაპიტალის ბაზარს, ან კიდევ შეუწყობს კი ხელს ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების გამოცოცხლებას? თუ ამ კითხვას ისევ კანონის ნორმების განმარტებიდან შევხედავთ, რჩება პასუხგაუცემელი კითხვა: როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა, თუკი კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ გვავალდებულებს, რომ მისი ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში საპენსიო აქტივების ინვესტირება მხოლოდ ნაკლებად რისკიან პორტფელში უნდა განხორციელდეს, რაც ბუნებრივია იმას გულისხმობს, რომ ნაკლებად რისკიან პორტფელში აკუმულირებული თანხების საზღვარგარეთის საფონდო ბირჟებზე გადინება მოხდება.

რაც შეეხება ჩვეულებრივ სახელმწიფო პენსიას, ეს კანონი მას ცალსახად არ ეხება, იგი ჩვეულებრივ გაიცემა პირებზე საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე და ისევე დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით, დაგროვებითი პენსია კი იქნება გარანტი იმისა, რომ პირმა (საპენსიო სქემაში განვერიანებულმა) სახელმწიფო პენსიასთან ერთად მიიღოს დაგროვებული პენსია. აქვე ჩნდება ერთი ლეგიტიმური კითხვა: ხომ არ შეუწყობს ამ კანონის ამოქმედება სოციალური უთანასწორობის გაზრდას, რამეთუ რაც მეტი შემოსავალი აქვს პირს, მით მეტ თანხას იღებს კონტრიბუციის სახით სახელმწიფოსაგან, მითუმეტეს, რომ ამ სქემით ვერ სარგებლობენ უმუშევრები. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება კანონის 21-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 ნაწილი: „უმუშევრებს, რომლებსაც არ აქვთ არანაირი შემოსავალი, ან კიდევ ვერ საქმდებიან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპენსიო ფონდში ერიცხება სახელმწიფოს მიერ დადგენილი საშუალო ხელფასის 2%“. თორემ გამოდის, რა? მოწყვლადი ფენები მოსახლეობისა, საპენსიო ასაკის მიღწევისას ღირსეულ სიბერით ვერ იქნებიან უზრუნველყოფილნი.

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონი ცხადია ბევრ სასიკეთოს ჰპირდება საქართველოს მოსახლეობას, მისი მიღება დადებითი მუხტი იქნება მოსახლეობისათვის, რათა მათ ღირსეული სიბერის განცდა ჰქონდეთ, იყვნენ მატერიალურად უზრუნველყოფილნიც, მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ კანონის ზოგიერთი დებულება ბევრ კითხვებს აჩენს, კერძოდ საპენსიო ფონდის შექმნა ხომ არ გაზრდის ჩრდილოვან ეკონომიკას?, ხომ არ შემცირდება დასაქმებულთა რაოდენობა ან კიდევ გაიზრდება ინფლაცია? დამსაქმებელთა ვალდებულება საპენსიო ფონდში დასაქმებულის ანგარიშზე ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით საპენსიო შენატანის საპენსიო ფონდში დასაქმებულზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასიდან 2%-ის ოდენობით ხომ არ გამოიწვევს ხელოვნურად დასაქმებულის ხელფასის შემცირებას დამსაქმებელისაგან? ან კიდევ მომავალში ახალ სამუშაო ადგილზე დასაქმებულის აყვანა ხომ არ იქნება საფუძველი ხელფასის ხელოვნურად შემცირებისა, განსაკუთრებით კომერციულ სტრუქტურებში, როცა მენარმე მოგებაზეა ორიენტი-
162 გულბანი შოთა, „დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხორციელება განუვითარებელი კაპიტალის ბაზრის პირობებში აზრს კარგავს“, „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენტთა ასოციაციის“ პრეზიდენტი. გაზეთი ყოველკვირეული პერიოდული გამოცემა „ბანკები და ფინანსები“, 2017, 20 ნოემბერი, #516, 10.

რი და ყოველი მისი „ჯიბიდან“ გაცემული თანხა მისი მოგების უკუპროპორციულია? ან კიდევ, ხომ არ არის საფრთხე იმისა, რომ კომერციულმა ბანკებმა დაისაკუთრონ საპენსიო ფონდის სახსრები, რაც მათ არ ეკუთვნით?; ხომ არ მოხდება კომერციული ბანკების ფინანსურ ბაზარზე სრული დომინანტის როლის მისაკუთრება მოსახლეობის, ბიზნესის და თუგინდ სახელმწიფოს სანინააღმდეგოდ?. ალბათ ნაკლებ რისკიანი იქნებოდა, რომ თავდაპირველად სახელმწიფოში საპენსიო ფონდი ჩამოყალიბებულიყო საჯარო სამართლის იურიდიული პირად, მანამ, სანამ, ქვეყანაში მომძლავრდებოდა საპენსიო სქემა და ღრმად და საფუძვლიანად მოხდებოდა მისი გათავისება მთავრობის მიერ და სადაც მოხდებოდა მოსახლეობის საპენსიო თანხების აკუმულირება, რამეთუ მათი წლოვით ნაგროვები თანხები „ღირსეული სიბერისთვის“ გარანტირებული ყოფილიყო და კომერციული სტრუქტურების მიერ ამ თანხების არამიზნობრივად მიმართება არ მომხდარიყო, ამის რისკები კი ყოველთვის არსებობს. ერთი სიტყვით, ვფიქრობთ, ამ ეტაპზე, ჩვენი ქვეყნის რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე ეს ყველაზე გარანტირებული და თუ შეიძლება ითქვას მოსახლეობის მხრივ დამამშვიდებელი იქნებოდა, რომ თავიანთი წლოვით ნაგროვები თანხები სახელმწიფოსათვის მიენდოთ, რომელიც მყარი გარანტი იქნებოდა და ერთგვარი პასუხისმგებელიც მოქალაქეებისათვის ფინანსურად ღირსეული სიბერის უზრუნველსაყოფად.

ცხადია მისასაღმებელია დაგროვებითი პენსიის სქემის შემოღება, ალბათ დაგვიანებულიცაა, მაგრამ ცალსახად თუ ვიმსჯელებთ, ხომ არ არის იგი ახალი „საგადასახადო სავალდებულო წნეხი“ მოსახლეობისათვის, რამეთუ როგორც კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილშია განერილი, „დაგროვებითი საპენსიო სქემაში განევრიანება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისათვის, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალის შემთხვევაში - 55 წელი)“, მე-3 ნაწილის მეორე წინადადების თანახმად კი, „თვითდასაქმებულისათვის, თვითდასაქმებულის შემოსავლის ნაწილში“. დასაქმებულის დავალდებულება ზედმეტი წნეხი ხომ არ არის მისთვის ისედაც მცირე შემოსავლის პირობებში? ხომ არ სჯობდა საპენსიო შენატანი კანონმდებლობით უფლებამოსილებად განგვესაზღვრა, ანუ ვისაც სურს საპენსიო ფონდში შეიტანს თანხას, ვისაც არა - მან იცის, რომ დაგროვებითი საპენსიო ფონდიდან დამატებით საპენსიო თანხას ვერ მიიღებს და შესაბამისად, კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო: „დაგროვებითი საპენსიო სქემაში განევრიანება ნებაყოფლობითია ყველა დასაქმებულისათვის, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, მაგრამ მათ რჩებათ უფლება ნებისმიერ დროს განევრიანდნენ საპენსიო სქემაში და საპენსიო შენატანის განხორციელება დაიწყოს განევრიანებიდან ხელფასის პირველი გადახდისთანავე“. თორემ რა გამოვიდა? როგორც ზემოთაც ავლნიშნე, ახალი საგადასახადო ტვირთით ხომ არ ვტვირთავთ მოსახლეობას? დასაქმებულის მიერ ყოველთვიურად გადახდილ საშემოსავლო 20%-იან გადასახადს ემატება კიდევ სავალდებულო 2%-იანი შენატანი საპენსიო ფონდში და გამოდის, საერთო ჯამში საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი საშემოსავლო გადასახადის 20%-ისა, პირი 22%-ს გადაიხდის. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილში განერილია, რომ: „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღება, გარდა აქციზისა, ან საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის სახის მიხედვით არსებული განაკვეთის ზედა ზღვრის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. რეფერენდუმის დანიშვნის ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს მთავრობას თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დასაქმებული საპენსიო ფონდში სახელფასო ანაზღაურების 2%-ის შეტანაზეა ვალდებული, გამოდის, რომ ის საშემოსავლო გადასახადია და როგორც კონსტიტუციის ძირითადი დებულებიდან ირკვევა მის შემოღებაზე რეფერენდუმის

დანიშვნა აუცილებელია. კიდევ ერთიც, კანონში უნდა დაკონკრეტებულიყო დებულება იმის შესახებ, ეხება თუ არა 2%-იანი სავალდებულო შენატანი გარდა სახელფასო შემოსავლებისა, პრემიებისა და დანამატებს. კანონით გათვალისწინებულია პრემიებისა და დანამატების დაბეგვრა, მაგრამ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონი ამაზე კომენტარს არ აკეთებს. მიგვაჩნია, რომ კანონით უნდა განისაზღვროს პრემიებისა და დანამატების მიღების შემთხვევაში შემოსავლიდან შესაბამისად 2%-ის დამატება. მაგ; ვთქვათ დასაქმებულმა ერთ თვეში მიიღო ხელფასის სახით 800 ლარი და დამატებით 100 ლარი პრემია (დანამატი), ცხადია იგი საშემოსავლო 20%-იანი განაკვეთით დაიბეგრება და მას ჩამოეჭრება საპენსიო ფონდში გადასარიცხად 800 ლარის 2%, მაგრამ კანონში არაფერია ნათქვამი 100 ლარის პრემიიდან (დანამატიდან) ჩამოიჭრება თუ არა 2% დასაქმებულის შემოსავლიდან, ანუ გამოდის, რომ 900 ლარიდან (800ლარი+100ლარი). ვფიქრობთ ამას კანონით დაკონკრეტება სჭირდება, სამომავლო წარმოშობილი გაუგებრობის გამო და ა. შ.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას¹⁶³ თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მათი უმრავლესობა ცდილობს პენსია გაზარდოს ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციური პროცესების შესაბამისად, რაც ბუნებრივია უნდა გავითვალისწინოთ ჩვენც და ეს ზრდა ერთგვარი გარანტია უნდა გახდეს პენსიის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნებისა და სისტემის ფისკალური მდგრადობისა.

ცხადია, ერთ სტატიაში შეუძლებელია დეტალურად იმსჯელო დაგროვებითი პენსიის ყველა დეტალზე, მაშინ როცა სტატიაზე მუშაობისას არ იყო ჩამოყალიბებული საპენსიო სააგენტო, არც კანონის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები იყო შემუშავებული, ამიტომ ჩვენ ამ თემას მომავალში კვლავ დავუბრუნდებით.

რეზიუმე

საქართველოს პარლამენტმა დაგროვებითი პენსიის შესახებ“ მიიღო კანონი, ხოლო მისი ამოქმედება კი 2019 წლისათვისაა ნაგარაუდები. მაინც რა ნოვაციებს გვთავაზობს ახალი კანონი? რამდენად მისაღებია იგი ქვეყნის მოსახლეობისათვის? ვისთვის იქნება ყველაზე მისაღები ეს მოდელი? აი ის ძირითადი კითხვები, რომლებზეც სტატიაში დამაჯერელი პასუხებია გაცემული და საუბარია იმ საკანონმდებლო ხარვეზებზე, რომლებიც არსებობენ კანონში და ერთგვარ „წყალქვეშა ნაღმებს“ წარმოადგენენ მოსახლეობისათვის.

დაგროვებითი პენსიის შესახებ ძირითადი ნორმა მიზნად ისახავს მსგავსად საზღვარგარეთის უმრავლესი ქვეყნებისა, კერძო დანაზოგების სისტემის დანერგვას დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, რამეთუ პენსიაზე გასვლის შემდეგ მოქალაქეებს დამატებითი შემოსავალი გაუჩნდეთ არსებულთან შედარებით უფრო მაღალი ცხოვრების სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

სტატიაში გატარებულია მოსაზრება 23-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესახებ, რომელიც არაკონსტიტუციურად მიგვაჩნია, ლახავს მოქალაქის უფლებას, რამეთუ, დასაქმებული, რომელიც კონკრეტულ ადგილზე, კონკრეტულ დამსაქმებელთან მუშაობს და შესაბამისად ერიცხება საპენსიო სქემაში თანხა როგორც საკუთარი ხელფასიდან, ისე დამსაქმებლის ბიუჯეტიდან, არ უნდა იბეგრებოდეს საგადასახადო კანონმდებლობით, რადგან, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა პირი მუშაობდა კონკრეტულ საწარმოში, კანონით მას და დასაქმებულსაც ევალეობდათ სახელმწიფოსთან თანაშეტანის ვლდებულებით კონკრეტული თანხის შეტანა საპენსიო სქემაში და დამსაქმებლის თანხა არ უნდა ბრუნდებოდეს უკან და არც უნდა იბეგრებოდეს, იგი მთლიანად

¹⁶³ საზღვარგარეთის ქვეყნების ე.წ. საპენსიო შენატანების სისტემაზე სხვა სტატიაში გვექნება საუბარი

უნდა გადავიდეს დასაქმებულის საპენსიო სქემაში, მითუმეტეს, რომ კანონში არ არის ჩამოყალიბებული ის არასაპატიო მიზეზები, რომლის გამოც დასაქმებული ტოვებს სამუშაოს (ვთქვათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ან თუნდაც შრომის გაუსაძლისი პირობების გამოდა ა.შ. აღნიშნული თანხა კიდევ ერთხელ ვიმეორებთ კი არ უნდა დაიბეგროს, იგი აისახოს პირის საპენსიო ანაგისზე და დაემატოს იმ თანხას, რომელსაც იგი საპენსიო სქემაში შეიტანს ახალ სამუშაო ადგილზე გადასვლისას;

ასევე, კანონის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ 34-ე მუხლი („საპენსიო აქტივების მონაწილის მემკვიდრისათვის გადაცემა“) უფრო დახვეწილი იქნებოდა თუ იგი შესაბამისობაში მოვიდოდა საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებთან, სადაც განერილია, რომ „საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება“;

RESUME

The Parliament of Georgia adopted law about “Accumulative Pension”, and its entry into force is predicted in 2019. What innovations offer us the new law? How acceptable is it to the country’s population? For whom it will be the most acceptable? Here’s the main questions on which the article responds persuasively. The article is about those legislative gaps which exist in the law and represents a kind of “underwater mines” to the population.

The basic norms about the accumulative pension are aimed at implementation private savings system, similar to most foreign countries, in order to have additional income, since after retirement citizens will have some extra income, comparing to the existing one for ensuring higher living standards.

The article implies the notion about article 23, the subparagraph “a”, which we believe is unconstitutional and humiliates the citizen’s right, because the employed one that works in particular place, with a particular employer, and, accordingly, is credited amount of money in the retirement scheme as from his own salary as well as from the employer’s budget should not be taxed by the tax legislation, because in this particular case, when a person worked for a particular enterprise, according to the law the enterprise and the employ himself were responsible for the state in depositing some specific amount of money in the pension scheme and the employer’s money should not returned back and neither should be taxed, it must be entirely move in employ’s pension scheme, a fortiori in the law are not formulated those inadequate reasons for which employed leaves the job (for example, due to deterioration of health, or even because of labor intolerable circumstances, etc.) The given amount, we repeat, do not even need to be taxed, it should be reflected in a person’s retirement account and should be added to the amount which the person will bring in his/hers pension scheme while moving to new working place; Also article 34 of law on accumulative pension (“Pension assets transfer to the inheritor”) would be more refined if it compliance with the Tax Code, Article 82, paragraph “Z” and “I”, where spelled out that “From income tax exempt during the tax year by the first and second line heirs received as a gift or inherited property value, during the tax year by the third and fourth line heirs received 150 000 gel value, as a gift or inherited property value, and this norm would be reflected in the law article 34, also with this article would be defined list of decedent’s heirs of the circle, and so on, like the Tax Code article 82.

РЕЗЮМЕ

Грузинский парламент принял закон „в связи накопительной пенсии“, который вступает в силу ориентировочно с 2018 года.

Относительно накопительной пенсии, подобно многим зарубежным странам, целью основной нормы является внедрение системы частного накопления для получения дополнительной прибыли, дабы, после выхода на пенсию, у граждан, сравнительно с нынешним, был бы более высокий уровень жизнеобеспечения.

В статье 23 подпункта „А“ просматривается соображение, который неконституционен и ущемляет права граждан. Поскольку работополучатель, который трудится на конкретном месте у конкретного работодателя и соответственно подлежащий по пенсионной схеме отчислению суммы, как с личного заработка, так и из бюджета работодателя, не должен облагаться налоговым законодательством. Когда лицо работает в конкретном предприятии, закон предусматривает, как и работополучатель, так и работодатель обязаны перед государством совместно вносить конкретную сумму по пенсионной схеме и сумма работополучателя не должна облагаться налогом, она полностью должна входить в пенсионную схему работополучателя.

Тем более, что в законе неучтены те неуважительные причины, из – за которых работополучатель уходит с работы (скажем, по состоянию ухудшения здоровья или по причине невозможности условий труда).

Указанная сумма, еще раз повторяю, не должна облагаться налогом, наоборот она должна быть отражена на пенсионном счету лица и добавлена к той сумме, которую он внесет в пенсионную схему с переходом на новое место работы.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717/23/8/2018>
2. საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4280127/23/8/2018>
3. საქართველოს კანონი „პენსიის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/27946/23/8/2018>
4. „ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ დებულების პროექტი, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3345/23/8/2018>
5. ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015
6. გულბანი შოთა, „დაგროვებითი საპენსიო რეფორმის განხორციელება განუვითარებელი კაპიტალის ბაზრის პირობებში აზრს კარგავს“, „ახალგაზრდა ფინანსისტა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ პრეზიდენტი. ყოველკვირეული პერიოდული გამოცემა „ბანკები და ფინანსები“, 2017, 20 ნოემბერი,

3. Основные проблемы защиты прав интеллектуальной собственности по законодательству Российской Федерации

**Ассистент- Профессор
Екатерина Нинова
доктор
Каролина Оссирова**

Обращаясь к понятию интеллектуальной собственности и его содержанию, необходимо отметить, что данная категория обладает достаточно длительной историей своего развития, как, в сущности, и любой иной гражданско-правовой институт, обязанный своим появлением общим закономерностям развития общества, имеющим доминантой эволюционный путь. Этапы развития института интеллектуальной собственности объясняются прежде всего экономическими условиями и правовыми традициями каждой конкретной страны и обусловлены ими. Россия в этом отношении не является исключением.

В российском законодательстве есть одна заповедная зона, куда не только обычные граждане, но и юристы заходят с большой осторожностью. Эта зона – право интеллектуальной собственности¹⁶⁴.

Как отмечают видные юридические деятели современности, в настоящее время общие правила, применимые при регулировании отношений в области интеллектуальной собственности, только создаются. Действующее же законодательство является излишне усложненным. Так, только законодательство в сфере информации охватывает свыше 500 нормативно-правовых актов. Незавершенность законодательства об интеллектуальной собственности подчеркивает и то, что до сих пор ведутся дебаты о проекте раздела о интеллектуальной собственности Гражданского кодекса Российской Федерации. Поэтому, одной из ключевых проблем современной России является правовое и социально-экономическое обеспечение развития и защиты интеллектуальной собственности. Интеллектуальная собственность быстро набирает вес, как фактор роста интеллектуального, культурного, экономического и оборонного потенциала страны.¹⁶⁵ В конце XX - начале XXI вв. мир вступил в стадию глубинной трансформации. Фундаментальные изменения в экономике и социальной структуре общества, крупнейшие прорывы на ключевых направлениях научно-технического прогресса, ведут к переосмыслению места и роли интеллектуальной собственности в экономическом обороте.

Глобальная информационно-коммуникационная система кардинально изменила условия для экономического обмена и взаимодействия, образования, науки, бизнеса, межличностного общения, устраняя пространственные, временные, социальные, языковые и иные барьеры, формируя единое информационное пространство. Именно эти тенденции по всей вероятности и будут определять развитие института интеллектуальной собственности в будущем, открывая новые возможности и предъявляя новые требования к их участникам.

Однако, сформированное сегодня в России правовое поле и правоприменительная практика показывают, что в данной сфере существует много нерешенных вопросов. Часть современных тенденций в экономике и в сфере информационных технологий (ИТ) попросту не

¹⁶⁴ Борохович Л., Монастырская А., Трохова М. Ваша интеллектуальная собственность. – СПб.: Питер. – 2001.

¹⁶⁵ Интеллектуальная собственность: правовое обеспечение // Сборник АКДИ. – 2001

учтена законодателем, ряд проблем порожден несовершенством юридической техники, коллизией правовых норм, слабым контролем со стороны уполномоченных органов за соблюдением авторских и смежных прав и т.д. До сих пор Россия не ратифицировала ряд международных конвенций, регулирующих вопросы интеллектуальной собственности.

Одним из существенных пробелов действующего законодательства России является отсутствие норм поддерживающих защиту интеллектуальной собственности в Интернет.

В настоящее время российское законодательство вообще не содержит специальных норм, регламентирующих деятельность по охране интеллектуальной собственности в сети Интернет. Регулирование этих вопросов осуществляется в рамках существующего законодательства по охране авторских и смежных прав. Хотя правовые нормы об охране авторских и смежных прав вполне применимы к охране доступных в Интернет результатов интеллектуальной деятельности, все же применение их в целях защиты интересов авторов в сети Интернет гораздо уже по сравнению с более традиционными средствами распространения интеллектуальных продуктов. Происходит это в силу того, что масштабы свободного использования произведений без согласия автора, предусмотренные законом «Об авторском праве и смежных правах», применительно к продуктам в сети Интернет намного больше, чем в обычных случаях, и в следствие этого происходит ущемление законных интересов авторов и иных правообладателей. На наш взгляд, использование интеллектуальных продуктов в Интернет должно быть дополнительно регламентировано.

Неурегулированность вопросов защиты интеллектуальной собственности в России является важным фактором невключенности нашей страны в мировой рынок научно-технологической продукции, где уже сложилась четкая специализация разных стран, отрицательно сказывается на развитии в нашей стране науки, изобретательства, создания инновационных продуктов и услуг.

Таким образом, проблемы защиты интеллектуальной собственности приобретают для России едва ли не ключевое значение на пути интеграции в мировое сообщество, развития внутреннего рынка и становления новой «экономики знаний». Охрана интеллектуальной собственности в России гарантируется нормами ст.44-ой Конституции¹⁶⁶. Законодательство об интеллектуальной собственности входит в сферу исключительной компетенции Федерации (п.«о» ст.71-ой Конституции).

Составной частью правовой системы Российской Федерации являются нормы международных договоров. Как правопреемник Советского Союза Россия стала участником Парижской конвенции по охране промышленной собственности 1882 г., Договора о патентной кооперации 1970 г., Мадридской конвенции о международной регистрации товарных знаков 1891 г., а также Всемирной (Женевской) конвенции об авторском праве 1952 г.

В 1995 г. Российская Федерация присоединилась к Бернской конвенции об охране литературных и художественных произведений¹⁶⁷ (устанавливающей более высокий уровень охраны авторских прав по сравнению со Всемирной конвенцией, и к Конвенции об охране интересов производителей фонограмм от незаконного воспроизведения их фонограмм (1971 г.). Кроме того, Россия совместно с рядом других стран СНГ подписала в 1993 г. Соглашение о сотрудничестве в области охраны авторских и смежных прав, а в 1994 г. - Евразийскую патентную конвенцию. Наряду с этим отношения России со многими странами СНГ в области охраны авторских и патентных прав регулируются двусторонними договорами.

Среди нормативных актов национальной системы Российской Федерации об интеллек-

¹⁶⁶ Борохович Л., Монастырская А., Трохова М. Ваша интеллектуальная собственность. – СПб.: Питер. – 2001.

¹⁶⁷ Интеллектуальная собственность: правовое обеспечение // Сборник АКДИ. – 2001

туальной собственности, прежде всего необходимо выделить Гражданский кодекс РФ¹⁶⁸ (ст.138-ая Интеллектуальная собственность), устанавливающий общий принцип закрепления исключительных прав за гражданином или юридическим лицом на объекты интеллектуальной собственности. Однако ГК РФ отсылает к специальным законам, определяющим условия возникновения, использования, защиты этих прав, а также сроки их действия.

Среди специальных законов, во-первых, необходимо выделить Патентный закон, который содержит нормы об использовании и защите исключительных прав на изобретения, полезные модели, промышленные образцы; Закон об авторском праве - о защите авторских и смежных прав.

Во-вторых, к числу основных нормативных актов в сфере защиты результатов интеллектуальной деятельности относятся также Закон о правовой охране программ; Закон о правовой охране топологий интегральных микросхем и Закон РФ «О селекционных достижениях». Средства индивидуализации товаров и их производителей защищаются Законом о товарных знаках, знаках обслуживания и наименованиях мест происхождения товаров.

В связи с тем, что на патентное ведомство Российской Федерации возложена задача по разработке методических материалов по вопросам практики ведения государственной регистрации прав, следует остановиться на ведомственных нормативных актах, принимаемых патентным ведомством.

В отношении таких документов существует общее правило, выраженное в постановлении Правительства Российской Федерации от 13 августа 1997 г. №1009 «Об утверждении Правил подготовки нормативных правовых актов федеральных органов исполнительной власти и их государственной регистрации». Согласно этому акту нормативные акты министерств и ведомств Российской Федерации, затрагивающие права, свободы и законные интересы граждан или носящие межведомственный характер, подлежат государственной регистрации в Министерстве юстиции Российской Федерации и официальному опубликованию в «Российской газете». Официальное опубликование актов осуществляется не позднее десяти дней после их государственной регистрации. При этом акты, не прошедшие государственную регистрацию, а также зарегистрированные, но не опубликованные в установленном порядке, не влекут за собой правовых последствий.

В настоящее время существенное место в системе нормативных актов об охране патентных прав занимают следующие акты патентного ведомства РФ: Правила составления, подачи и рассмотрения заявки на выдачу патента на изобретение, Правила составления, подачи и рассмотрения заявки, на выдачу патента на промышленный образец, утв. Роспатентом 3 октября 1994 г., Правила составления и рассмотрения заявки на выдачу свидетельства на полезную модель, Правила составления, подачи и рассмотрения заявки на регистрацию товарного знака и знака обслуживания от 29 ноября 1995 г.

Наряду с вышеназванными законами и подзаконными нормативными актами, в качестве источников правового регулирования интеллектуальной собственности, необходимо выделить и материалы судебно-арбитражной практики в Российской Федерации. Несмотря на то, что судебная практика не является источником права и тем самым не обязательна в правоприменении (как это принято в англосаксонской системе права), тем не менее, в Российской Федерации нижестоящие суды зачастую пользуются обзорами судебной практики для разбирательств дел.

Итак, анализируя современную систему источников правового регулирования отношений в сфере правовой охраны и использования объектов интеллектуальной собственности, необходимо отметить, что они образуют четыре относительно самостоятельных группы

¹⁶⁸ Интеллектуальная собственность: правовое обеспечение // Сборник АКДИ. – 2001

источников, опосредующих отношения в областях авторского и смежных прав, патентного права, правовой охраны и использования средств индивидуализации, правовой охраны и использования нетрадиционных объектов интеллектуальной собственности, и в основании которых положены нормативно-правовые акты, имеющие характер общезначимых и принципиальных для всех институтов интеллектуальной собственности.

В тоже время важно подчеркнуть, что в настоящее время не существует единого системообразующего нормативно-правового акта, призванного отразить вслед за Конституцией РФ ведущие начала нормотворчества в данной сфере общественных отношений. Поэтому, одним из направлений совершенствования современного законодательства об интеллектуальной собственности, является принятие кодифицированного нормативного акта.

Если обратиться к мировой практике, то можно сделать вывод, что законодательство об интеллектуальной собственности во всех развитых странах мира имеет комплексный характер, т.е. включает положения государственного, административного, финансового, трудового, процессуального и даже уголовного права. Понимание интеллектуальной собственности как комплексного правового института позволяет сделать вывод о том, что эффективное правовое воздействие на рассматриваемые общественные отношения возможно только в единстве и взаимодействии всех составляющих его норм различных отраслей права¹⁶⁹

Исходя из вышеизложенного, появилась объективная необходимость кодифицировать правовую регламентацию отношений в сфере интеллектуальной собственности, объединить обособленные правовые режимы в единую систему, основанную на общих исходных принципах. В этом направлении постепенно эволюционирует законодательство большинства развитых стран мира. В России итоги такой работы должны найти воплощение в разделе V третьей части Гражданского кодекса, посвященном вопросам интеллектуальной собственности.

Возможно часть ГК РФ об интеллектуальной собственности сможет заменить действующие законы - «Об авторском праве и смежных правах», Патентный закон и ряд других. Данный раздел, видимо, составит четвертую часть ГК РФ¹⁶⁹. Есть также мнения о необходимости принятия Кодекса интеллектуальной собственности.

Итак, основным направлением совершенствования «интеллектуального законодательства» станет кодификация. На наш взгляд, более рациональна позиция профессора Близнаца И.А., который говорит о необходимости принятия именно V раздела части третьей ГК РФ. Кроме того, он отмечает, что крайне опасной представляется отстаиваемая идея не ограничиваться общими положениями, относящимися ко всем объектам интеллектуальной собственности, а внести на уровне Гражданского кодекса также новые нормативные положения, отличные от закрепленных в уже действующих законодательных актах и не соответствующие сложившейся многолетней законодательной традиции и правоприменительной практике. Я полагаю, отмечает Близнац И.А., что в ГК РФ должны войти только общие, прошедшие испытание временем и практикой принципы правового регулирования указанных отношений, чтобы оставить возможности для дальнейшего теоретического и законодательного развития.¹⁷⁰

Поэтому говоря о совершенствовании действующего законодательства, представляется целесообразным включить в проект раздела V части третьей ГК РФ только основополагаю-

169 Интервью с И.А. Близнацом, действительным государственным советником Российской Федерации, заместителем руководителя кафедры ЮНЕСКО по авторскому праву и другим отраслям права интеллектуальной собственности // Законодательство. - №7. - июль 2001 г

170 Интервью с И.А. Близнацом, действительным государственным советником Российской Федерации, заместителем руководителя кафедры ЮНЕСКО по авторскому праву и другим отраслям права интеллектуальной собственности // Законодательство. - №7. - июль 2001 г.

щие, базовые положения, общие для всех видов объектов интеллектуальной собственности (произведений литературы и искусства, изобретений, товарных знаков и др.). Такой подход в полной мере соответствует российской законодательной традиции. Благодаря закреплению общих норм конкретизация правового регулирования и его оперативное изменение могут успешно осуществляться на уровне специальных законодательных актов, причем в течение длительного времени не потребуется вносить какие-либо изменения в ГК РФ.

Прежде чем перейти к рассмотрению общих положений защиты прав на объекты интеллектуальной собственности, необходимо отметить, что следует различать охрану прав и защиту прав.

Охрана есть установление общего правового режима, а защита - те меры, которые предпринимаются в случаях, когда гражданские права нарушены или оспорены.¹⁷¹

Поскольку права на объекты интеллектуальной собственности являются гражданскими правами, вопрос о применении мер защиты решает владелец этих прав, а не какой-либо государственный орган: гражданские права - есть частные права.

В юридической литературе выделяют две формы защиты: юрисдикционную и неюрисдикционную. К неюрисдикционной форме относится предусмотренная ст. 14-ой ГК РФ самозащита. В соответствии с законом способы самозащиты должны быть соразмерны нарушению и не выходить за пределы действий, необходимых для его пресечения. Самозащита в основном применима в договорных отношениях, она выражается в том, что сторона, по отношению к которой не были исполнены обязательства, может в свою очередь, приостановить выполнение своих обязательств. Так, например, самозащита может выражаться в уведомлении неправомерно использующих средства индивидуализации третьих лиц о нарушении исключительных прав их владельцев.

Выбирая юрисдикционную форму защиты, лиц, чьи права нарушены или оспариваются, прибегает к помощи правоохранительных органов. Юрисдикционная форма охватывает административный и судебный порядок реализации способов защиты. Но, как мы уже отметили, нормы о защите прав на объекты интеллектуальной собственности содержатся в специальных нормативных актах.

Так, основным нормативным актом, содержащим правила о защите прав на объекты интеллектуальной собственности в настоящее время является Закон «Об авторском праве и смежных правах» (раздел V). Ст.18-ая Закона закрепляет: за нарушение... авторских и смежных прав наступает гражданская, уголовная и административная ответственность в соответствии с законодательством Российской Федерации.

Вообще, фактически для каждого объекта интеллектуальной собственности присущи наличие разноотраслевых способов защиты нарушенных прав. Так, способы защиты прав владельцев средств индивидуализации могут быть гражданско-правовыми и уголовно-правовыми¹⁷². Кроме того, применяются также общие меры гражданской ответственности, предусмотренные ГК РФ. В частности, поскольку нарушение этих прав является деликтом, применимы нормы общих положений о возмещении вреда (ст. 1064-1083-ой ГК РФ). Применимы также общие нормы о защите гражданских прав (ст. 12 -ой ГК РФ).

Поскольку рассматриваемые нарушения могут причинить и моральный вред, подлежат применению нормы ст. 150, 151, 1099-1101-ой ГК РФ.

К договорам, относящимся к использованию авторских и смежных прав, применимы

171 Постатейный комментарий к Закону РФ «Об авторском праве и смежных правах» / Под ред. Гаврилова А.П. - М.: Фонд «Правовая культура». - 1996.

172 Интервью с Е.А. Сухановым, доктором юридических наук, профессором, заведующим кафедрой гражданского права, деканом юридического факультета МГУ им. М.В. Ломоносова // Законодательство. - №8. - август 2001 г.

нормы об ответственности за нарушение обязательств (ст. 393-406-ой ГК РФ). По общему правилу, защита прав на объекты интеллектуальной собственности осуществляется в судебном порядке. Основная масса авторско-правовых споров рассматривается районными, городскими, областными и иными судами общей компетенции. При этом автор освобожден от уплаты гражданско-правовой пошлины.

Если обоими участниками спорного правоотношения являются юридические лица, возникший между ними спор может быть разрешен в арбитражном суде. По соглашению спорящих сторон возникший между ними спор может быть передан также на рассмотрение третейского суда. Нарушение исключительных прав может произойти как в рамках заключенного договора, так и вне рамок договора. Если нарушены условия договора о передаче авторских и смежных прав, применяются санкции, предусмотренные договором.

Юридическое закрепление права интеллектуальной собственности по сути означает осознание государством важности культуры и прогресса для сохранения и развития общества. Охрана результатов творчества, интеллектуальной деятельности непосредственно связана с защитой свободы личности, прав человека. Однако следует учитывать двойственную природу права интеллектуальной собственности - ее «духовную» и экономическую составляющие. Для современности характерны как усиление защиты личных неимущественных («моральных») прав создателей интеллектуальных ценностей, так и дальнейшая коммерциализация имущественных (экономических) прав. Поэтому, только качественная работа всех «профильных» органов государственной власти и заинтересованных организаций позволит обеспечить дальнейшее развитие законодательства Российской Федерации об интеллектуальной собственности. Сначала надо принять отдельные специальные акты (с обязательным соблюдением единых - пусть немногочисленных - принципов), а затем приступить к разработке подлежащих кодификации обобщающих положений. Причем вполне возможно, что в не очень отдаленном будущем можно будет ставить вопрос о создании единого Кодекса интеллектуальной собственности Российской Федерации, но для этого надо прежде всего обеспечить согласованность и динамизм в существующем в данной области правовом регулировании.

რეზიუმე

დღეს რუსეთში ჩამოყალიბებული სამართლებრივი სისტემისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა. ეკონომიკის ამჟამინდელი ტენდენციები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფერო (IT) უბრალოდ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლის მიერ, რიგი პრობლემები წარმოიქმნება არასრულყოფილი სამართლებრივი მეთოდების გამო, კანონის უზენაესობა, საავტორო უფლებებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების დაცვაზე უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან სუსტი კონტროლის განხორციელებით. ინტელექტუალური საკუთრების თანამედროვე კანონმდებლობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალებაა კოდიფიცირებული ნორმატიული აქტის მიღება. საჭიროა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ რუსეთის კანონმდებლობითა და საერთაშორისო შეთანხმებებით აღიარებული, სტაბილური ტერმინოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ სფეროში მოსალოდნელ წინააღმდეგობებს.

RESUME

Intellectual property is rapidly gaining weight as a factor of growth of the country's intellectual, cultural, economic and defense potential. Formed today in Russia, the legal framework and

law enforcement practice show that in this area there are many unresolved issues. Part of the current trends in the economy and the field of information technology (IT) is simply not taken into account by the legislator, a number of problems are generated by imperfect legal techniques, conflict of law rules, weak control by authorized bodies over observance of copyright and related rights, etc. One of the directions for improving modern legislation on intellectual property is the adoption of a codified normative act. It is necessary to apply only the generally recognized, stable terminology fixed in the Russian legislation and international agreements, which will avoid contradictions with them.

РЕЗЮМЕ

Интеллектуальная собственность быстро набирает вес, как фактор роста интеллектуального, культурного, экономического и оборонного потенциала страны. Сформированное сегодня в России правовое поле и правоприменительная практика показывают, что в данной сфере существует много нерешенных вопросов. Часть современных тенденций в экономике и сфере информационных технологий (ИТ) попросту не учтена законодателем, ряд проблем порожден несовершенством юридической техники, коллизией правовых норм, слабым контролем со стороны уполномоченных органов за соблюдением авторских и смежных прав и т.д. Одним из направлений совершенствования современного законодательства об интеллектуальной собственности является принятие кодифицированного нормативного акта. Следует применять только общепризнанную, устойчивую терминологию, закрепленную в российском законодательстве и международных соглашениях, что позволит избежать противоречий с ними.

СПИСОК ЛИТЕРАТУРЫ:

1. Борохович Л., Монастырская А., Трохова М. Ваша интеллектуальная собственность. – СПб.: Питер. – 2001.
2. Интеллектуальная собственность: правовое обеспечение // Сборник АҚДИ. – 2001.
3. Конституция Российской Федерации от 12 декабря 1993 года // Российская газета. – 25 декабря 1993 года.
4. Гражданский кодекс Российской Федерации. Часть 1 от 30 ноября 1994 г. №51-ФЗ // Собрание законодательства Российской Федерации. 1994. - №32.
5. Интервью с И.А. Блинецом, действительным государственным советником Российской Федерации, заместителем руководителя кафедры ЮНЕСКО по авторскому праву и другим отраслям права интеллектуальной собственности // Законодательство. - №7. - июль 2001 г.
6. Интервью с Е.А. Сухановым, доктором юридических наук, профессором, заведующим кафедрой гражданского права, Ломоносова // Законодательство. - №8. - август 2001 г.
7. Интервью с И.А. Блинецом, действительным государственным советником Российской Федерации, заместителем руководителя кафедры ЮНЕСКО по авторскому праву и другим отраслям права интеллектуальной собственности // Законодательство. - №7. - июль 2001 г.
8. Постатейный комментарий к Закону РФ «Об авторском праве и смежных правах» / Под ред. Гаврилова А.П. – М.: Фонд «Правовая культура». – 1996.
9. Борохович Л., Монастырская А., Трохова М. Ваша интеллектуальная собственность. – Пб.: Питер.-2001.

1. სამართლიანობის საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

პროფესორები:
ირაკლი გაბისონია
ალექსანდრე ტალიაშვილი
სალომე ხიზანიშვილი

სამართლიანობა აბსტრაქტული, მორალური და საერთო სამართლებრივი კატეგორიაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. სამართლიანობა სისხლის სამართლის პროცესიალურ მოქმედებებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოიხატება, უფრო მეტიც, ნებისმიერი სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედება შეიძლება შეფასდეს სამართლიანობის პოზიციიდან.

სამართლიანობა არის ობიექტურიც და სუბიექტურიც, მორალურ-ეთიკური შინაარსის გამო იგი ძნელად ექვემდებარება განსაზღვრებას. სამართლიანობა საზოგადოების მაღალი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. შედგა თუ არა მართლმსაჯულება, დამოკიდებულია მოქალაქეთა ნდობაზე, რომელთათვისაც შეფასების ძირითადი კრიტერიუმი მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობაა.

სამართლიანობა სისხლის სამართლის პროცესში მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელისუფლებო ინსტიტუტებთან, რომელთა ლეგიტიმურობაც ასევე ფასდება საზოგადოებისა და ინდივიდების მიერ.

სისხლის სამართლის პროცესი, უპირველესად, სასამართლოს, ბრალმდებლის და ბრალდებულის ურთიერთობაა, რომელიც ეყრდნობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას – ითვლებოდეს უდანაშაულოდ სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენამდე. „დანაშაულის ჩადენაში დადანაშაულებულ ყოველ ადამიანს უფლება აქვს უდანაშაულოდ ითვლებოდეს მანამ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დადასტურდება წესისა და რიგის დაცვით ჩატარებული საჯარო სასამართლო პროცესის შედეგად და ამ პროცესის დროს მას უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს თავის დასაცავად ყველა შესაძლებლობის გამოყენება¹⁷³.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებლად მიიჩნევს მხარეთა შორის ისეთი სამართლიანი ბალანსის დაცვას, რა დროსაც არც ერთი მხარე არ უნდა იყოს ჩაყენებული უარეს მდგომარეობაში თავის ოპონენტთან შედარებით. „სამართლიანობა ვერ მიიღწევა, თუ სისხლის სამართლის პროცესში დაცული არ არის მხარეთა თანასწორობის პრინციპი ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შორის“¹⁷⁴.

სისხლის სამართლებრივი დავის გადაწყვეტის ყველაზე სამართლიან საპროცესო ფორმად მიჩნეულია შეჯიბრებითობის პროცესი, რა დროსაც ბრალდებისა და დაცვის მხარე თანაბარი საპროცესო უფლებებით არიან აღჭურვილი და კერძო და საჯარო ინტერესები თანხვდენილია.

მოცემულ შემთხვევაში საუბარი არ არის სოციალური სამართლიანობის დაცვაზე. მას აქვს ნაკლოვანი მხარეები, მაგრამ მეცნიერები თანხმდებიან, რომ იგი არის სისხლის სამართალწარმოების ყველაზე სამართლიანი ფორმა და დავის გადაწყვეტის უკეთესი მეთოდი არ არსებობს.

173 ჯერედ მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი „ევროპის საბჭო“, გვ. 16, 2011წ.

ევროპის კონვენციის მე-6 მუხლში მითითებულია, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს, ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების წარდგენის დროს ითხოვოს მისაღები ვადის განმავლობაში დამოუკიდებელი და მიუმხრობელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანად და საჯაროდ განხილვა.

გაერთიანებული ერებისა და ევროსაბჭოს წესდებებში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ევროპის კონვენციაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში მითითებულია, რომ სამართლიანობა ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ძირითადი ფუნდამენტი უნდა იყოს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ძირითადად ასახულია ის პრინციპები, რომლებიც სამართლიანი სასამართლო განხილვის შინაარსში იგულისხმება: უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმცია (სსსკ მე-5 მუხლი), სასამართლოს სხდომის საჯაროობა და ზეპირობა (სსსკ მე-10 მუხლი), მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა (სსსკ მე-9 მუხლი), მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა (სსსკ მე-14 მუხლი), ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა (სსსკ მე-6 მუხლი), სამართლიანი პროცესი და სწრაფი მართლმსაჯულება (სსსკ მე-8 მუხლი), კანონიერება და სასამართლოს დამოუკიდებლობა (სსსკ მე-12 მუხლი), მტკიცებულებათა შეფასება (სსსკ 82-ე მუხლი) და სხვა.

ევროპულმა სასამართლომ ფართო განმარტება მისცა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შინაარსს და შეიმუშავა სამართლიანობის სტანდარტები, რომელთა მოქმედება სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე ვრცელდება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები ძირითადად ხორციელდება სასამართლოში, გამოძიების სტადიაზე დარღვეულია თანასწორობის პრინციპები, იგი არ შეესაბამება სამართლიანი პროცესის სტანდარტებს და უსამართლობის ელემენტებს შეიცავს.

როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართალწარმოებისას სამართლიანობის დაცვა გულისხმობს მხარეებისათვის მტკიცებულებების მოპოვების ერთნაირი შესაძლებლობების მიცემას. სამწუხაროდ, გამოძიების სტადიაზე დაცვას არ გააჩნია რეალური მექანიზმი, შეაგროვოს ბრალდებულისათვის სასარგებლო მტკიცებულებები, ამდენად იგი მთლიანად დამოკიდებულია საგამოძიებო ორგანოებზე.

ჩვენ ვეთანხმებით მეცნიერთა აზრს, რომ „თანასწორობისა და შეჯიბრებითობის რეალიზაციას ხელს უშლის პროკურორის და განსაკუთრებით გამომძიებლის სტატუსის არასწორი და, შეიძლება ითქვას, უსამართლო ინტერპრეტაცია სისხლის სამართალწარმოების პროცესში... პრობლემა ისაა, რომ ორივე სუბიექტი (პროკურორი და გამომძიებელი) ბრალდების მხარედ გვევლინება სისხლის სამართლის პროცესში, ამასთან, პროკურორი არა მარტო სისხლის სამართლებრივ დევნას ახორციელებს, არამედ ის გამომძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელია“,¹⁷⁴ ე.ი. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას გამომძიებელი ანგარიშვალდებული და დამოკიდებულია პროკურორზე, რომელსაც შეუძლია დავალების შეუსრულებლობისათვის მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 5 აპრილის *Priebke v. Italy* (dec) 4799/99 დადგენილებაში მითითებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-6

174 ჯემალ გახოკიძე, ირაკლი გაბისონია, მიხეილ მამნიაშვილი, პოლიკარპე (თემურ) მონიავა. საგამომძიებო სამართალი, თბილისი, 2018წ. გვ. 199.

მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიები მხოლოდ იმ სასამართლო ორგანოებს ეხება, რომლებსაც ევალება ბრალეულობის გამოკვლევა და არა ბრალდების მხარეს“. უფრო გასაგები რომ იყოს, ევროპული სასამართლო თვლის, რომ ბრალდების მხარეს (პროკურორს) არ ევალება იყოს მიუკერძოებელი.

საქართველოს საპროცესო კოდექსით, პროკურორიც და გამომძიებელიც ბრალდების მხარეს წარმოადგენენ და ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა იყოს გამომძიებელი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი.

მეცნიერთა აზრით, ჩვენ გვაქვს მოცემულობა, როდესაც ერთ მხარესაა ბრალდების შედეგით დაინტერესებული პროკურორი და მის დაქვემდებარებაში მყოფი გამომძიებელი, რომელთა განკარგულებაშია უზარმაზარი კრიმინალისტური სამეცნიერო ტექნიკური საშუალებანი და პროცესუალური უფლებამოსილება, მეორე მხარეს კი ბრალდებული და მისი დამცველია, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ფინანსური სიძნელეების გამო, მოკლებულია შესაძლებლობას, ჩაატაროს მტკიცებულებების შესაგროვებელი პროცესუალური მოქმედებები (მიმართოს კერძო დეტექტივს და სხვა), ხოლო მთელი რიგი საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილება (საბანკო ანგარიშების მონიტორინგი და სხვა) მას საერთოდ არ გააჩნია.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით იმ ავტორთა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ მხარეები საპროცესო კანონმდებლობით რეალურად თანასწორ უფლებამოსილებას ფლობენ. მიგვაჩნია, რომ მიუხედავად კანონმდებლობით აღიარებული პრინციპებისა, პროცესის ამ სტადიაზე ნამდვილად დარღვეულია სამართლიანობა და ეჭვქვეშ დგას თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპი.

ჩვენ ვიზიარებთ იმ ავტორთა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ გამომძიებელი ბრალდების მხარედ ჩაბმულია ხელოვნურად, რის გამოც, ხშირად, იგი მოქმედებს სამართლიანობის საზიანოდ. გამომძიებელმა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად რომ ანარმოს გამოძიება, ის პროცესში არ უნდა განიხილებოდეს მხარედ. საგამომძიებო ორგანო დაკავებული უნდა იყოს საქმეზე მხოლოდ ობიექტური სიმართლის დადგენით და არ უნდა ასოცირდებოდეს ბრალდების მხარედ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ მოსაზრებას, რომ „ბრალდებისა და გამოძიების ფუნქციები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს, ანუ გამომძიებელს ჩამოსცილდეს ბრალდების ფუნქცია და გახდეს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სახელმწიფო მოხელე, რომელსაც დაეკისრება საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ჩატარება, ე.ი. შეიძლება ერთნაირი გულმოდგინებით მოიპოვოს ბრალდების როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები, პასუხისმგებლობის როგორც დამამძიმებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები“¹⁷⁵.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანობის მოთხოვნები ძირითადად ირღვევა გამოძიების სტადიაზე, როდესაც დაცვის მხარეს არ აქვს საშუალება რეალურად ისარგებლოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლებებით მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის შესახებ. ამ თემით დაინტერესებულ მკითხველს დეტალური ინფორმაციის მისაღებად შეუძლია ისარგებლოს ზემოთ მითითებული ნაშრომით, ამიტომ ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდებით.

სამართლიანობა – ეს სასამართლოს შემოქმედებითი თვისებაა. შესაბამისად, გამოძიების რეფორმირება ისე უნდა ჩატარდეს, რომ საპროცესო მოქმედებების განხორციელებაში სასამართლო თავიდანვე იყოს ჩართული, ამ შემთხვევაში მხარე

175 ჯემალ გახოკიძე, ირაკლი გაბისონია, მიხეილ მამნიაშვილი, პოლიკარპე (თემურ) მონიავა. საგამომძიებო სამართალი, თბილისი, 2018წ. გვ. 202.

რეებს რეალურად მიეცემა შესაძლებლობა დავა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით გადანყვიტონ.

იმისათვის, რომ გავერკვიოთ, თუ რამდენად სამართლიანია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, აუცილებელია განვიხილოთ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, გავანალიზოთ და შევადაროთ იგი არსებულ კანონმდებლობას.

ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო განხილვა უნდა მოხდეს მისაღებ ვადაში სამართლიანად, ზეპირად და საჯაროდ.

ზეპირობა და საჯაროობა ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია სასამართლოს მუშაობისა და ის ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 და მე-10 მუხლებში.

მართლმსაჯულების სამართლიანობაზე საზოგადოება ძირითადად მსჯელობს სასამართლო პროცესის ხარისხიდან გამომდინარე. დახურული სასამართლო პროცესი ხალხში იწვევს უნდობლობას, ადამიანებს სურვილი აქვთ მეტი იცოდნენ სასამართლოს მუშაობაზე, საზოგადოების მოთხოვნაა არსებობდეს დამოუკიდებელი სასამართლო, არ ირღვეოდეს მხარეთა თანასწორობის პრინციპი. როდესაც საჯაროობაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება საზოგადოებისათვის გახსნილი მართლმსაჯულება. საჯაროობა მოიცავს ღია სასამართლო პროცესს, სადაც მხარეები აკონტროლებენ ერთმანეთს, აუდიტორიასთან მსჯელობენ მტკიცებულებებზე, ქმნიან სასამართლო გადანყვიტილების გამოტანის საფუძველს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად, ბრალდებულს აქვს სწრაფი მართლმსაჯულების უფლება კოდექსით დადგენილ ვადებში.

საპროცესო კოდექსი მკაცრად განსაზღვრავს პატიმრობის ვადებს და მიუთითებს მართლმსაჯულების სწრაფ და სამართლიან განხორციელებაზე. სწრაფი მართლმსაჯულება, თავის მხრივ, გულისხმობს პროცესის ყველა მონაწილის სამართლიან საპროცესო უფლებას. კანონის მოთხოვნაა გონივრულ ვადაში, კანონის შესაბამისად სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და სამართლიანობის აღდგენა.

ჩვენი კანონმდებლობისგან განსხვავებით, ევროპის სასამართლო გონივრულ ვადაში საქმის განხილვას არ უკავშირებს ნაციონალური კანონმდებლობით დადგენილ ვადებს (რომელიც შეიძლება განსხვავებული იყოს), არამედ მსჯელობს სისხლის სამართლის საქმის თავისებურებიდან გამომდინარე, რა დროსაც ძირითადი ყურადღება იმას ექცევა, დაირღვა თუ არა პიროვნების უფლებები სამართლიანი პროცესის დროს.

შესაბამისად, პროცესის სამართლიანობის საკითხი დგება არა ხანგრძლივი ვადით საქმის გამოძიებისა და განხილვის დროს, არამედ საქმის გაუმართლებლად გაჭიანურების გამო.

მაგალითად: ევროსასამართლომ 2006 წლის 26 ოქტომბრის გადანყვიტილებით (*Chraidi v. Germany*, 6565/01), განმცხადებლის პატიმრობა, გამოძიებისა და სასამართლოს განხილვის დრო, 5 წელი და 6 თვე, ჩათვალა გონივრულ ვადად, ხოლო იმავე წლის 6 აპრილის გადანყვიტილებით (*Labita v. Italy* 26772/95), პატიმრობა, რომელიც გადანყვიტილების გამოტანამდე გრძელდებოდა ორი წელი და 7 თვე, არ ჩათვალა გონივრულ ვადად და მიუთითა, რომ „დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და საქმე არ იქნა განხილული მისაღებ ვადაში“.

ევროპული კონვენციის გამოყენების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებობს საქმის გონივრულ ვადაში განხილვის შეფასების 4 კრიტერიუმი: 1. განსახილველი საქმის სიძნელე; 2. განმცხადებლის მოქმედებები ხომ არ იყო მიმართული პროცესის ხელოვნურად გასაჭიანურებლად; 3. განსაკუთრებული მდგომარეობის არსებობა; 4. ხელისუფლების მოქმედებები.

ევროპული კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამართლიანი პროცესით ადამიანის უფლებების დაცვას. ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, არავინ შეიძლება აწამონ ან დასაჯონ მისი პიროვნული ღირსების დათრგუნვით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების გზით. ე.ი. ადამიანის უფლებების დაცვა უნდა მოხდეს სამართლიანი პროცესით, რა დროსაც დაუშვებელია მტკიცებულებების მოპოვება არამართლზომიერი საშუალებებით.

სამწუხაროდ, დღეს ზოგიერთი პიროვნება დანაშაულის გახსნისა და სამართლიანობის აღდგენის კეთილშობილურ მიზანზე მითითებით ცდილობს გაამართლოს ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის შემთხვევები, რასაც უახლოეს წარსულში ჰქონდა ჩვენთან ადგილი.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გადავხედოთ ევროპის სასამართლოს პრაქტიკას, რომელსაც ამ საკითხებზე გამოტანილი აქვს არაერთი გადაწყვეტილება, მაგალითად: 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით¹⁷⁶ (*Selmouni v. France* EGs 25803/94), 2003 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება (*Menesheva v. Russia* 59261/00), 2006 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება (*Ribitsch v. Austria*, 18896/91). სასამართლო იმეორებს, რომ გამოძიების მოთხოვნებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დამახასიათებელი უდავო სირთულეების მიუხედავად, არ შეიძლება გამართლდეს პირის ფიზიკური ხელშეუხებლობის შეზღუდვა, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს კატეგორიული დასკვნა, რომ საზოგადოებრივი ინტერესებით არ შეიძლება გამართლებულ იქნას წამების შედეგად მიღებული მტკიცებულებების გამოყენება.

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ წამების შედეგად მიღებული მტკიცებულებები, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა, ყოველთვის ეჭვქვეშ აყენებს ჩატარებული პროცესის სამართლიანობას.

სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა პრინციპული მოთხოვნები: აღიარება, მიღებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მტკიცებულებებად, ასევე არ ჩაითვლება მტკიცებულებებად არაადამიანური მოპყრობის შედეგად მიღებული სხვა მტკიცებულებები. ევროპის სასამართლო თვლის, რომ ეს პრინციპები მოქმედებს მაშინაც, თუ წამება გამოყენებულ იქნა არა განმცხადებლის, არამედ მე-3 პირების მიმართ, რომლებზეც განმცხადებელი მიუთითებს.

ევროპული სასამართლო თვლის, რომ სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც გამოყენებულია წამება ან არასათანადო მოპყრობა, არის უსამართლო და ბრალდების მტკიცებულებები დაუშვებელია.

ევროპული სასამართლო, ერთიანობაში განიხილავს რა მტკიცებულებების დასაშვებულობისა და სამართლიანობის საკითხებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, მტკიცებულებების მიღებისას იყო თუ არა გამოყენებული ძალადობის ელემენტები.

ევროპული სასამართლო თვლის, რომ ისეთი პროცესუალური დარღვევები, რომლებიც ნაკლებ მნიშვნელოვანია და გავლენას არ ახდენს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაზე, განხილული უნდა იყოს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. საქმის განხილველმა მოსამართლემ სამართლიანი სასამართლო განხილვის პროცედურით

¹⁷⁶ *Selmouni v. France* EGs 25803/94, 2003 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება (*Menesheva v. Russia* 59261/00),

უნდა იმსჯელოს, არსებული მტკიცებულებებით რამდენად კანონიერია პიროვნების მსჯავრდება და შეესაბამება თუ არა იგი სამართლიანობის მოთხოვნებს.

სამართლიანობის თვალსაზრისით, კითხვები არსებობს დაზარალებულის საპროცესო მდგომარეობასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სტანდარტებით, დაზარალებულის უფლებები ბრალმდებლის უფლებებთან არის მიახლოებული, რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, აქ დაზარალებულის უფლებები შეზღუდულია, იგი აღარ წარმოადგენს ბრალდების მხარეს და მას არა აქვს შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაიცვას თავისი ინტერესები.

ჩვენ ვეთანხმებით მეცნიერთა აზრს, რომ დღევანდელი ფორმაციით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში „დაზარალებულის სტატუსი თავისი უფლება-მოვალეობებით გათანაბრებულია მონმესთან“¹⁷⁷, და თუ მისგან განსხვავებით გააჩნია რამდენიმე უმნიშვნელო უფლება, ეს ამ მიმართებით ვერაფერს ცვლის.

მიგვაჩნია, რომ სამართლიანი სამართალწარმოების პირობებში, პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება სასამართლოს მიანოდოს თავისი მოსაზრებები, სასამართლო სისხლის სამართლის საქმეს იხილავს ბრალდების ფარგლებში, ბრალდების მხარეს პროკურორთან ერთად უნდა წარმოადგენდეს დაზარალებულიც. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს დებულება არ მიაჩნიათ სადავოდ. მოვიყვანთ მაგალითს ევროპული სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის განაცხადიდან (Jankovic v. Croatia 38478/05), სადაც მითითებულია, რომ „თუ პროკურატურა რაიმე საფუძვლით უარს ამბობს დევნის განხორციელებაზე იმ სისხლის სამართლის დანაშაულთა მიმართ, რომლებზეც დევნა უნდა განახორციელოს სახელმწიფო პროკურატურამ, საკუთარი შუამდგომლობით ან კერძო განცხადების საფუძველზე, დაზარალებულ მხარეს შეუძლია თავად განახორციელოს დევნა, როგორც სუბსიდიურმა პროკურორმა“.

ჩვენ ვთვლით, რომ სასამართლო პროცესში სუბსიდიური ბრალმდებლის ჩართვა სისხლის სამართლის პროცესს უფრო სამართლიანს გახდის, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრება და პროკურორის მიერ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ განცხადების გაკეთების შემთხვევაში, მოითხოვოს საქმის განხილვის გაგრძელება ბრალდების იმ ნაწილში, რომელსაც იგი მხარს უჭერს.

სუბსიდიური ბრალმდებელი ამ შემთხვევაში იცავს არა მარტო თავის პირად ინტერესებს, არამედ იგი წარმოადგენს საზოგადოებას, რომელიც დაინტერესებულია ქვეყნის დადგენითა და დამნაშავეის დასჯით. სამართლიანობის დაცვა მნიშვნელოვანია საქმის განხილვის ყველა ეტაპზე. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის იძენს სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

ცნობილი უნგრელი იურისტი, პროფესორი ლაიოშ ნადი, განიხილავს რა სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის მნიშვნელობას, თვლის, რომ „განაჩენი ნაწილობრივ მიმართულია წარსულისკენ, როდესაც ადგენს ფაქტობრივ გარემოებებს და აფიქსირებს სისხლის სამართლის ნორმებს, რომლებიც მოქმედებდა დანაშაულის ჩადენის დროს; განაჩენი მოქმედებს ანმყოში, როდესაც განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და იძლევა შეფასებებს, ხოლო განაჩენის ნაწილი მიმართულია მომავლისკენ, როდესაც აწესებს სასჯელს და ითვალისწინებს, თუ რამდენად ეფექტურად იმოქმედებს იგი მომავალში“¹⁷⁸.

177 ჯემალ გახოკიძე, ირაკლი გაბისონია, მიხეილ მამნიაშვილი, პოლიკარპე (თემურ) მონიავა. საგამოძიებო სამართალი, თბილისი, 2018წ. გვ. 205.

178 Лайош Надь. Приговор в уголовном процессе. Юридическая литература, Москва, 1982г. стр. 149.

პატივცემულ პროცესორს მიაჩნია, რომ „მართალია, სასჯელი ინიშნება ფაქტების საფუძველზე, კანონის სამართლიანობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგრამ სასჯელის საერთო პრევენციული მოქმედება მსჯავრდებულზე გრძელდება ხანგრძლივი ვადით, ზოგჯერ სასჯელის მოხდის შემდეგაც და მას არ შეიძლება ჰქონდეს ჭეშმარიტების მნიშვნელობა“¹⁷⁹. პროცესორ ლაიომ ნადის აზრით, „დანიშნული სასჯელის სამართლიანობა არ შეიძლება შემონმდეს მეცნიერული მეთოდებით“¹⁸⁰.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. სამართლიანობა განაჩენის აუცილებელი ნიშანია, მისი მეშვეობით განაჩენი იურიდიულ-თან ერთად იძენს მორალურ-ზნეობრივ შინაარსს. სამართლიანობა დაკავშირებულია განაჩენის კანონიერებასთან და დასაბუთებულობასთან, მაგრამ არ შეიძლება მათი გაიგივება, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენი ყოველთვის არ არის სამართლიანი.

განაჩენის სამართლიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ისტორიულ პერიოდში ხდება მისი დადგენა. პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობების შეცვლა გავლენას ახდენს სისხლის სამართლებრივი ქმედების შეფასებაზე. სასჯელის სახეობის საზღვრებსა და ზომას აწესებს კანონი, რომელიც შეფასებისათვის გარკვეულ სივრცეს უტოვებს მოსამართლეს, განაჩენისთვის წარდგენილი მოთხოვნები წარმოადგენს სამართლებრივ (იურიდიულ) სამართლიანობას, მართალია კანონიერებისა და სამართლიანობის მოთხოვნები ერთმანეთს უახლოვდება, მაგრამ მათი გაიგივება არ ხდება.

არსებობს აუცილებელი კავშირი ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას შორის. ჭეშმარიტება ფაქტების რეალურად ასახვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. განაჩენი არ შეიძლება იყოს სამართლიანი, თუ დადგენილი ფაქტები არ არის ობიექტურად გადმოცემული. მაგრამ ჭეშმარიტების შემცველი განაჩენი შეიძლება იყოს უსამართლო: ჭეშმარიტება და სამართლიანობა ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ არა თანხვედრი მოცემულობაა.

მოსამართლის მოვალეობაა განაჩენის დადგენისას იხელმძღვანელოს შინაგანი რწმენით, განსაზღვროს, რა მიაჩნია მას სამართლიანად და რა – არა. განაჩენის სამართლიანობა მიუთითებს, თუ რამდენად ზნეობრივია მიღებული გადაწყვეტილება. იგი გვაძლევს საშუალებას დავინახოთ თანაფარდობა იურიდიულ სიმართლესა და ბოროტებასა და სიკეთეზე საზოგადოების წარმოდგენას შორის. თავისთავად მარტო განაჩენის კანონიერება და დასაბუთებულობა საკმარისი არ არის საზოგადოების დასარწმუნებლად გადაწყვეტილების სისწორეში. განაჩენის დამაჯერებლობისათვის აუცილებელია მოსამართლემ გაითვალისწინოს საზოგადოდ აღიარებული ღირებულებები, რომელთა შორის მთავარი სამართლიანობაა. კანონი შეიძლება იყოს არასამართლიანი ან ნაკლებად სამართლიანი, მოსამართლე კანონის შინაარსის ანალიზმა და შინაგანმარწმენამ უნდა მიიყვანოს სამართლიან გადაწყვეტილებამდე. მოსამართლე მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასებისას, თეორიულ ცოდნასთან ერთად, იყენებს საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს სიკეთესა და ბოროტებაზე, სამართლიანობასა და უსამართლობაზე. მორალი, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ყოველთვის უნდა იყოს ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის საზომი. მართლმსაჯულებას დამაჯერებელს და მისაღებს მხოლოდ საზოგადოებისა და სასამართლო ხელისუფლების ერთიანობა ხდის.

სამართლიანი განაჩენის შესახებ გამოთქმული მოსაზრების გაცნობის შემდეგ, დაუზღუბრუნდეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

179 там же, стр. 129.

180 там же, стр. 161.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ გამოტანილი სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

კანონის ამ მოთხოვნიდან გამომდინარე: განაჩენი არ არის სამართლიანი, თუ: 1. გამოტანილი სასჯელი არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს; 2. გამოტანილი სასჯელი არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას; 3. გამოტანილი სასჯელი არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და მსჯავრდებულის პიროვნებას.

ე.ი. კანონმდებელი განაჩენის სამართლიანობას უკავშირებს მხოლოდ სისხლის სამართლებრივ შედეგებს, უფრო ზუსტად, კანონის შეფარდებასა და სასჯელის გამოტანას.

სამართლიანობა სისხლის სამართლის პროცესში არ შეიძლება გაიგივდეს მხოლოდ განსასჯელის დამნაშავედ ცნობასა და გამოტანილ სასჯელთან. სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც არსებითად წყვეტს სისხლის სამართლებრივ დავას და წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, უნდა შეფასდეს სამართლიანობის თვალსაზრისით. სამართლიანი უნდა იყოს როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი განაჩენი.

განაჩენი არასამართლიანად უნდა ჩაითვალოს, თუ: ა) სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარეობს საქმის გარემოებებიდან; ბ) არსებითად არის დარღვეული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები; გ) განაჩენი გამოტანილია სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში, მაგრამ არის შეუსაბამოდ მკაცრი ან მსუბუქი; დ) დაშვებულია შეცდომები პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებზე მითითებისას და გარემოებებზე, რომლებიც გამორიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც მხარეს მიაჩნია უკანონოდ და დაუსაბუთებლად, შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით.

აპელანტის მოთხოვნით, მეორე ინსტანციის სასამართლო ამონმებს როგორც განაჩენის კანონიერებას, ისე დასაბუთებულობას. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას სააპელაციო წესით აღმოიფხვრას ყველა ის პროცესუალური დარღვევა, რომლებიც არასამართლიანს ხდის სისხლის სამართალწარმოებას (მაგალითად, უკანონო შემადგენლობით საქმის განხილვა, არაქვემდებარე საქმის წარმოებაში მიღება და გადაწყვეტილება და სხვა).

მიუხედავად იმისა, თუ რამ გამოიწვია უსამართლო აქტის მიღება, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელშიც მნიშვნელოვანი გარემოებები არასწორად არის გამოცემული, აუცილებლად უნდა გაუქმდეს. უნდა გაფართოვდეს სააპელაციო წესით საქმის განხილვის ფარგლები. სამართლიანობის მოთხოვნა, განაჩენის გარდა, უნდა გავრცელდეს სხვა შემთხვევებელ გადაწყვეტილებებსა და სააპელაციო განხილვის საფუძვლებზე.

დასასრულს, არ შეიძლება არ შევეხოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 234-ე მუხლის თანახმად, ნაფიცი მსაჯული ფიცს დებს, რომ „გადაწყვეტილება მან უნდა მიიღოს შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც ეს შეეფერება სამართლიან ადამიანს“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი „განმარტებულ კანონსა და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას უნდა ემყარებოდეს“.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავის თავში მოიცავს საზოგადოებრივი აზრის გამოძახილს სამართლიანობაზე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველაზე კარგად გამოხატავს ქვეყნისა და სამართლიანობის ერთიანობას, შეესაბამება ხალხის წარმოდგენას სასამართლო დავის სწორ და სამართლიან გადაწყვეტაზე.

„სამართლიანობა-უსამართლობა ეთიკური კატეგორიაა, მაგრამ ისინი დაცულია საზოგადოებრივი აზრით“¹⁸¹. საზოგადოებისათვის მისაღებია მართლმსაჯულება, როდესაც მოსამართლის რწმენა და განაჩენის დასაბუთებულობა ეყრდნობა სარწმუნო მტკიცებულებებს. განაჩენმა უნდა გაუძლოს კრიტიკას, გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის და მისი სამართლიანობა საზოგადოების ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლიანობის ფილოსოფია და თანამედროვეობის“ ფარგლებში.

სამართლიანობა აბსტრაქტული, მორალური და საერთო სამართლებრივი კატეგორიაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები ძირითადად ხორციელდება სასამართლოში. გამოძიების დროს ეს პრინციპები დარღვეულია, დაცვის მხარეს არ აქვს საშუალება რეალურად ისარგებლოს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებებით, რის გამოც გამოძიების სტადია არ შეესაბამება სამართლიანი პროცესის სტანდარტებს და უსამართლობის ელემენტს შეიცავს.

სამართლიანობა დარღვეულია დაზარალებულთან დაკავშირებით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულის უფლებები შეზღუდულია, იგი აღარ წარმოადგენს ბრალდების მხარეს და მას არ აქვს შესაძლებლობა დაიცვას თავისი ინტერესები.

უნდა გაფართოვდეს სააპელაციო წესით საქმის განხილვის ფარგლები. სამართლიანობის მოთხოვნა, განაჩენის გარდა, უნდა გავრცელდეს სხვა შემთხვევებზე დასაბუთებულ და სააპელაციო განხილვის საფუძვლებზე.

RESUME

The article is prepared in the framework of the scientific-research project “Philosophy of Justice and Modernity” of Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University.

Justice is an abstract, moral and general legal category that holds a prominent place in the criminal procedure legislation.

The principles of equality of rights and competitiveness established by the criminal procedure legislation of Georgia are mainly implemented in the court. During the investigation these principles are contravened, the defense team has no possibilities to actually use the rights envisaged by the procedure legislation as a consequence of which the stage of the investigation does not meet the standards of a fair process and involves elements of unfairness.

181 ირაკლი გაბისონია, ალექსანდრე ტალიაშვილი, სალომე ხიზანიშვილი. სამართლიანობა, სამართალი და სამართალშემოქმედება. ჟურნალი იურისტი №3, 2017, გვ. 24.

The justice is violated in regard to the victim (injured person) as well. According to the criminal procedure legislation of Georgia, the rights of the victim are limited, he/she doesn't not represent the prosecution and has no possibility to protect his/her own interests.

It is necessary to expand the boundaries of case hearing on appeal procedure. The plea for justice, apart from the sentence, also has to be expanded on other final decisions, as well as on the basics of appeal hearing.

РЕЗЮМЕ

Статья подготовлена в рамках исследовательского проекта «Философия правосудия и современность» на факультета юридического и международных отношений Грузинского технического университета.

Справедливость – это абстрактная, моральная и общеправовая категория, которая занимает важное место в уголовно-процессуальном законодательстве.

Установленные уголовно-процессуальным кодексом Грузии принципы равноправия и соревновательности в основном осуществляются в суде. Во время следствия эти принципы нарушены, сторона защиты не имеет возможности реально воспользоваться правами, предусмотренными процессуальным кодексом, вследствие чего стадия расследования не соответствует стандартам справедливого процесса и содержит элементы несправедливости.

Справедливость нарушена и в отношении пострадавшего. Согласно уголовно-процессуальному кодексу Грузии, права пострадавшего ограничены, он не представляет сторону обвинения и не имеет возможности защищать свои интересы.

Необходимо расширить границы рассмотрения дела в апелляционном порядке. Требование справедливости, помимо приговора, должно быть распространено также на остальные заключительные решения и на основы апелляционного рассмотрения.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. გამოცემული 2018 წლის 27 თებერვლის მდგომარეობით.
2. ჯემალ გახოკიძე, ირაკლი გაბისონია, მიხეილ მამნიაშვილი, პოლიკარპე (თემურ) მონიავა. საგამოძიებო სამართალი, თბილისი, 2018წ.
3. ჯერემ მაკბრაიდი. ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. ევროპის საბჭო, 2011წ.
4. ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკა. ამონარიდები ევროკავშირის სასამართლოს რჩეული გადაწყვეტილებებიდან. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), 2010.
5. Лайош Надь. Приговор в уголовном процессе. Москва, «Юридическая литература», 1982г.

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნასთან დაკავშირებული წინადადებები

**პროფესორები:
მალხაზ ბაძალუა,
მიხეილ მამნიაშვილი**

დანაშაულის ჩადენის რისკების თვალსაზრისით, ცეცხლსასროლი იარაღი საზოგადოებისათვის მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს, როგორც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფენ საერთო დანაშაულის, ასევე კონკრეტულად ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით არის ჩადენილი. სტატისტიკური მონაცემებით 2014 წელს რეგისტრირებული საერთო დანაშაულიდან სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა 5,5%-ზე; 2015 წელს - 6,3%-ზე; 2016 წელს - 4,2%-ზე; ხოლო 2017 წელს - 3%-ზე, რაც მეტყველებს აღნიშნული დანაშაულის საგრძნობ ხვედრით წილზე საერთო დანაშაულში და რაც საშუალოდ 5%-მდე მერყეობს. ამასთანავე, საზოგადოებაში დიდი ხანია მუსირებს არცთუ უსაფუძვლო მოსაზრება, იმის შესახებ, რომ განსაკუთრებით 2004-2012 წლებში სამართალდამცავთა მიერ სხვადასხვა მოტივით ცეცხლსასროლ იარაღთან და საბრძოლო მასალასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის გამოყენება მათთვის არასასურველ პირთა მიმართ ხშირად ხდებოდა კანონდარღვევით, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ჩადებით და სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებით.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უმთავრესად დანაშაულის პრევენციის მიზნით საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი ამოღებულია თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან და მხოლოდ მისი ზოგიერთი სახეობის შექმნა, შენახვა და ტარება შესაძლებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ნებართვით. ამდენად ამგვარი ნებართვის გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების შექმნა, შენახვა და ტარება მართლსაწინააღმდეგოა და ისჯება სისხლის სამართლებრივი წესით. ამ დანაშაულისაგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება. დანაშაულის საგანია საბრძოლო გამოყენებისთვის ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღი (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა), საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ნივთიერება ან ასაფეთქებელი მონოპოლიზა.

სისხლისსამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე საზოგადოებრივი უსაფრთხოების უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, აუცილებელია ისეთი თანამედროვე რეგულაციების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ცეცხლსასროლი იარაღის უსაფრთხო ბრუნვას, მოსახლეობაში უკანონო ბრუნვაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღთან დაკავშირებულ შეტყობინებას, მის ამოღებას, წარდგენას, ჩაბარებასა და ლეგალიზაციას და ამ მიმართულებით სამართლებრივი მექანიზმები ხელს შეუწყობს დანაშაულის თავიდან აცილებასა და კონტროლს, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის და აამაღლებს ქვეყანაში მართლწესრიგის დაცვის გარანტიებს.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ბრუნვის სფეროში არსებული გამოწვევების საპასუხოდ მიგვაჩნია, რომ მოსალოდნელ დანაშაულთა თავიდან აცილების მიზნით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მექანიზმების შემდგომი სრულყოფა

შესაძლებელია, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით.

დღეისათვის მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის „ცეცხლსასროლი იარაღის (გარდა სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა (თოფისა), საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მონყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება“ შენიშვნაში აღნიშნულია: „ის ვინც ნებაყოფილობით ჩააბარებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საგნებს, გათავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.“¹ აღნიშნული შენიშვნა წარმოადგენს წამახალისებელ ნორმას, რომელიც პირს კანონის საფუძველზე ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუკი დაცული იქნება ორი პირობა:

1. იარაღთან დაკავშირებული შეტყობინება ან/და წარდგენა, ან/და ჩაბარება უნდა იყოს ნებაყოფილობით;

2. პირის ქმედებაში გარდა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლისა არ უნდა იყოს სხვა დანაშაულის ნიშნები.

ამასთან ერთად იარაღის თაობაზე შეტყობინება ან/და წარდგენა, ან/და ჩაბარება სახელმწიფო სტრუქტურისადმი ნებაყოფილობით ითვლება მაშინ, როცა პირს შეუძლია ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების ან ასაფეთქებელი მონყობილობების შესახებ არ შეატყობინოს, არ წარუდგინოს, ან/და არ ჩააბაროს, ამასთან არავინ აიძულებს ზემოაღნიშნულს, მაგრამ მაინც ახორციელებს მას, თუ რა მოტივით ხელმძღვანელობს პირი კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს.⁶ აღნიშნული წამახალისებელი შენიშვნის შედეგად 2014-2017 წლებში სამართალდამცავ ორგანოებში ჩაბარებულია ასობით ერთეული არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.

ნებაყოფილობით შეტყობინებად, წარდგენად, ჩაბარებად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული საგნების, სხვა პირისადმი გადაცემის ფაქტი ან მათი ადგილსამყოფელის შეტყობინება ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებისათვის, როდესაც გაუცხადებლად შესაძლებელია მისი რეალური შემდგომი შენახვა. საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა ასევე აღიარებს აღნიშნული საგნების, როგორც პირადი ინიციატივით ჩაბარებას ასევე სხვა პირების რჩევით, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლების მითითებით ან დავალებულით.⁵

ნიშანდობლივია ისიც რომ, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნა საბჭოთა საქართველოს 1961 წლის 1 მარტის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის შენიშვნის იდენტურია² რაც სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საბჭოთა პერიოდში ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და სამსახურეობრივ-სამტატო იარაღის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. კანონმდებლობა მოქალაქეების მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის უპირობო ჩაბარებას ან სხვა შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა.

დღეის მდგომარეობით, ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცეცხლსასროლი იარაღის საკუთრების უფლებით რეგისტრაცია დაშვებულია, ამასთანავე 2005 წლის 21 სექტემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესისა და დამატებითი სანებართვო პირობების დადგენის შესახებ“³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიენიჭა უფლებამოსილება უფლებრივად შეუზღუდავი და აულრიცხავი ცეცხლსასროლი იარაღი ანდა გაზის (აირის) იარაღის

ან/და იარაღის ძირითადი ელემენტების ლეგალიზაციის წარმდგენ ფიზიკურ პირზე (მფლობელზე) გასცეს შეძენის ნებართვა და განახორციელოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია (ლეგალიზაცია) მფლობელის მიერ ლეგალიზაციისათვის შესაბამისი განცხადებისა და სხვა დადგენილი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული ნორმატიული აქტიდან გამომდინარე მოქალაქეს ეძლევა დამატებითი უფლება არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარებასთან ერთად მისი წარდგენით ლეგალიზაციის საფუძველზე განახორციელოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. აღნიშნულის ნორმატიული აქტის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2014-2017 წლებში ლეგალიზაციის წესით საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 13 000- ზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნა არსებული სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით სრულყოფილ იქნეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ის ვინც ნებაყოფილობით შეატყობინებს ან/და წარუდგენს ან/და ჩააბარებს სახელმწიფო სტრუქტურებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საგნებს გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნასთან დაკავშირებული წინადადებები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის შენიშვნასთან დაკავშირებული მდგომარეობა თანამედროვე საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციების გათვალისწინებით და მოცემულია წინადადების სახით ზემოაღნიშნული მუხლის შენიშვნის შესაბამისი ვერსია: „ის ვინც ნებაყოფილობით შეატყობინებს ან/და წარუდგენს ან/და ჩააბარებს სახელმწიფო სტრუქტურებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საგნებს გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები“.

RESUME

The article reviews the 236 th Criminal Code of Georgia Condition related to article notes is modern International and national regulations and is given the relevant version of the above-mentioned article as a proposal: „Those who voluntarily notify and / or submit and / or deliver them state structures are subject provided for this article will be released from criminal responsibility if there are no other crimes in its action“.

РЕЗЮМЕ

В статье рассматривается условие связанное с примечания к статье 236 Уголовного кодекса Грузии на основе современными, международными и национальными нормами, и в качестве предложения предоставляется соответствующая версия примечания вышеупомянутой статьи: «Тот, кто добровольно уведомит и / или представит и / или сдаст в государственные структуры, предметы предусмотренной в этой статье, будут освобождены от уголовной ответственности, если в его действии нет других преступлений».

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი;
2. საქართველოს კანონი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1960 წლის 30 დეკემბერი;
3. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 21 სექტემბრის N162 დადგენილება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის წესისა და დამატებითი სანებართვო პირობების დადგენის შესახებ“;
4. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации; Издательская группа „НОРМА – ИНФРА“ ,М ,1999; ст 539;
5. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, „Юрист“ М. 1997, ст 531
6. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I) თავი XIII ნონა თოდუა, მე-3 გამოცემა, თბ. 2008, გვ.560;
7. საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა; www.police.ge

3. მტკიცებულება და მტკიცება სისხლის სამართლის პროცესში

ასოცირებული პროფესორი ნინო ფაფიაშვილი

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე მართლმსაჯულების განხორციელებისას, სასამართლო ყოველთვის ცდილობდა სხვადასხვა გზით და საშუალებით მოეპოვებინა და გამოეკვლია პირისადმი წარდგენილი ბრალდების დამადასტურებელი ან უარყოფელი მტკიცებულება.

სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურების ჩამოყალიბებამდე პირის ბრალეულობის – დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობის საკითხს წყვეტდა თემისა და საგვარეულოს უხუცესთა საბჭო ადათობრივი სამართლის საფუძველზე და იქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა პირის ბრალდებაზე მიმთითებელ სხვადასხვა სახის მონაცემებს, რომელთა შორის უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა ბრალის აღიარებას და ბრალის დასადასტურებლად საკმარისი იყო პირის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენება.

შემდგომში საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვალებადობას, – მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს, ბურჟუაზიულსა და სოციალისტურს, – ყოველთვის თან სდევდა შესაბამისი სამართლის ფორმების ცვალებადობა. სამართალწარმოებაში იცვლებოდა მტკიცებულებათა მოპოვების ხერხები, საშუალებები და მათი დასაშვებობის ფორმები და მეთოდები. მაგრამ, აქაც პირის მიერ ჩადენილი ქმედების აღიარება ითვლებოდა მტკიცებულებათა „დედოფლად“. ბრალის არ აღიარების შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ იყენებდნენ ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და ფიზიკური წამების სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს. სახელმწიფოებრიობის განვითარების შემდგომ ეტაპზე, როდესაც მტკიცებულებათა მოპოვება დარეგულირდა საპროცესო კანონმდებლობით, ბრალის აღიარება მიჩნეულ იქნა ერთ-

ერთი ჩვეულებრივი სახის მტკიცებულებად, რომელიც გამაგრებული უნდა ყოფილიყო საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით. ამასთან სათანადო ყურადღება დაეთმო არა მარტო მტკიცებულებათა მოპოვების, არამედ მათი დასაშვებობის საკითხსაც.

აღსანიშნავია, რომ ადრე ყურადღება არ ექცეოდა მტკიცებულებათა მოპოვების ხერხებსა და საშუალებებს. მაგალითად, ინგლისში, მიუხედავად იმისა რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემუშავებამდე, საკმაოდ კარგად იყო განვითარებული მტკიცებულებითი სამართლის თეორიული საკითხები, საქმის სასამართლოში განხილვის დროს მთავარი ყურადღება ექცეოდა მტკიცებულებების არსებობას და არა მისი მოპოვების ხერხებსა და საშუალებებს. ინგლისის მტკიცებულებითი სამართლისათვის მთავარი იყო, არა მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხის გარკვევა, არამედ თვითონ მტკიცებულების მოპოვება, მისი შინაგანი ხარისხი და უნარი, დაამტკიცოს სასამართლოში საქმის განხილვის დროს დასადგენი საჭირო გარემოება და, რომ მტკიცებულებათა მოპოვება და შემონახვა, დასაშვებობასთან შედარებით, უფრო მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული.¹

მტკიცებულებისა და მტკიცებითი სამართლის საკითხებზე ქართულ იურდიულ ლიტერატურაშიც შექმნილია მრავალი საინტერესო ნაშრომი. მიუხედავად ამისა მის ირგვლივ არსებობს აზრთა სხვაობა და ზოგიერთი საკვანძო საკითხი საკანონმდებლო სახითაც ჯერ კიდევ დასახვეწია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ქვეპუნქტში, მოცემულია მტკიცებულების ვრცელი განმარტება, რომლის თანახმად, „მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რმლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხსმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას“.

აღნიშნულიდან გამომდინარე მტკიცებულებად განიხილება მხოლოდ სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, რადგან „ამგვარი ინფორმაციის მტკიცებულებად გადაქცევა მხოლოდ სასამართლოში წარდგენის გზით ხდება.“ თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, „დოკუმენტი მტკიცებულებაა, თუ ის შეიცავს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დასადგენად საჭირო ცნობას. დოკუმენტად ითვლება ნებისმიერი წყარო, რომელშიც ინფორმაცია აღბეჭდილია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-კინო-ვიდეო-ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიური საშუალების გამოყენებით“²

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის X თავის თერთმეტ მუხლში საკმაოდ ვრცლად და ამომწურავადაა ჩამოყალიბებული მტკიცებულების დასაშვებობისა და მოპოვების პროცესუალური საშუალებები, მტკიცებულებათა შეფასებისა და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული თავი იწყება მტკიცებულების დაუშვებლობის განხილვით და მოიცავს პრეიუდიციის, ბრალდებულის ჩვენების, მონმის ჩვენების, ირიბი ჩვენების, ნივთიერი მტკიცებულების, დოკუმენტის მტკიცებულებითი ძალის, ნივთიერი მტკიცებულების შენახვის, სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე და პროცესის დამთავ-

ვრებისას ნივთიერი მტკიცებულების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის წესის, მტკიცებულების შეფასების და მხარეების მიერ მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის შესაძლო გაცვლის საკითხებს. მტკიცებულებების დიდ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ იგი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპადაა მოხსენიებული. კერძოდ, სსსკ 13-ე მუხლში მითითებულია, რომ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა და ბრალდებულის აღიარება, თუ ის არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით, საკმარისი არ არის მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

მტკიცებულება ყოველთვის იყო და არის სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მთავარი საფუძველი და მისი საკითხების დამუშავებას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემუშავებამდე საკმაოდ სრულყოფილად ჰქონდათ ჩამოყალიბებული მტკიცებულებითი სამართლის თეორიული საკითხები. საქართველოშიც გამოცემულია არაერთი სამეცნიერო ნაშრომი „მტკიცებითი სამართლის“ და „მტკიცებითი თეორიის“ სახელწოდებით. მოცემული თემის დამუშავებას ასევე ფართო ადგილი ეთმობა ქართულ და უცხო ენებზე გამოცემულ სისხლის სამართლის პროცესის სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არა მარტო ადგენს მტკიცებულებას, არამედ ყურადღებას ამახვილებს ამ მტკიცებულებათა კანონიერებაზე და დაუშვებელ მტკიცებულებად თვლის მტკიცებულებას, რომელიც მოპოვებულია საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, „დაუშვებელი მტკიცებულება კი არ შეიძლება საფუძველად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას“ და რომ, „ამ კანონის არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას დაუშვებელია და იურიდიული ძალა არ გააჩნია“. ზემოაღნიშნული პრინციპი აშშ სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინის სახით“ რომლის თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული მტკიცებულებები სასამართლოსთვის მიუღებელია. თუმცა აშშ-ში „მონამლული ხის ნაყოფის დოქტრინა“ არ არის აბსოლუტური ხასიათის და გააჩნია რიგი გამონაკლისები¹⁸².

მტკიცებულებითი საკითხების განხილვისას საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ორი ურთიერთ მომიჯნავე ცნება „მტკიცებულება“ და „მტკიცება“. პროცესუალურ ლიტერატურაში არსებობს „მტკიცებულების“ მრავალსახეობრივი განმარტება, რომელიც მოიცავს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული იმ ყოველგვარი სახის ფაქტობრივ მონაცემებს, რომლითაც გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს დგინდება დანაშაულებრივი ქმედების არსებობა და მისი ჩამდენი პირის (პირთა) ბრალეულობა (დამნაშავეობა) ან არაბრალეულობა (უდანაშაულობა).

მტკიცებულების ამ ზოგად განმარტებაში მხოლოდ ფაქტობრივ მონაცემებზე მიუთითება დღეისათვის საკმარისი არ არის, რადგან საპროცესო კანონმდებლობით მტ-

182 კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი. დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი (თარგმანი), თბ. 2007, გვ.114-116

კიციბულეზად მიჩნეულია აგრეთვე „ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან“.

როგორც აღვნიშნეთ, მტკიცებულების ცნება მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე მუხლში. მტკიცებულების ცნება შედარებით სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული 2013 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგად ნაწილში“, რომლის თანახმად „მტკიცებულება არის მხარეთა მიერ კანონით დადგენილი წესით მოპოვებული და სამართლის მიერ დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნეული ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემი, რომლითაც დგინდება დანაშაულებრივი ფაქტის არსებობა ან არარსებობა და ბრალდებულად ცნობილი პირის უდანაშაულობა ან ბრალეულობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად“.¹⁸³

მტკიცების ცნება კი მოიცავს პირისადმი წარდგენილი ბრალდების ან მისი უდანაშაულობის დადგენის იმ ერთიან უწყვეტ პროცესს, რომლითაც ხდება დასაშვები მტკიცებულებების მოპოვება, მათი პროცესუალური დამაგრება, თანმიმდევრული გამოკვლევა, შეფასება და პირის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობა.

მტკიცებულების მოპოვების მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროცესუალური ნორმების დაცვით მოწმის, დაზარალებულისა და ბრალდებულის დეტალურ-კრიტიკულ გამოკითხვასა და დაკითხვას, შემთხვევის ადგილის სრულ, ყოველმხრივ დათვალიერებასა და გამოკვლევას, ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებათა დროულად ჩატარებას, საქმეზე საჭირო სპეციალური საკითხების დასაადგენად შესაბამისი ექსპერტიზების დანიშვნა-ჩატარებას, ჩვენების ადგილზე შემოწმების მიზნით საგამოძიებო ექსპერიმენტის და ისეთი რთული საგამოძიებო მოქმედებების სრულყოფილად ჩატარებას როგორცაა ჩხრეკა და ამოღება.

მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით მტკიცების პროცესის ასეთი წარმოებით შესაძლებელი ხდება საქმეზე საჭირო მტკიცებულებების სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა და მის საფუძველზე დასაბუთებული და კანონიერი განაჩენის დადგენა. სისხლის სამართლის პროცესუალურ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში დამკვიდრებული ორივე ეს ცნება „მტკიცებულება“ და „მტკიცება“ ერთ საერთო მიზანს ემსახურება. მტკიცებულებისაგან განსხვავებით „მტკიცება“ უშუალოდ დაკავშირებულია საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის ერთიან უწყვეტ პროცესთან და ამიტომაც ეწოდება მტკიცების პროცესი.

საქმის ირგვლივ არსებული დანაშაულებრივი ქმედებისა და მისი ჩამდენი პირის დამადასტურებელი, ფაქტობრივი მტკიცებულების გარეშე არ შეიძლება პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა და არც მისი მსჯავრდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს მტკიცებულებათა შეფასების სამ ძირითად სტანდარტს: დასაბუთებული ვარაუდის, ალბათობის მაღალი ხარისხის და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი არის პირის ბრალდებულად ცნობისათვის და და ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისათვის აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11-ე ქვეპუნქტის თანახმად „დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისათვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყე-

¹⁸³ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი თბ., 2013;

ნებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.“

მტკიცებულებათა შეფასების უფრო მაღალი სტანდარტი არის „ალბათობის მაღალი ხარისხი - მტკიცებულებითი სტანდარტი წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის სახელმძღვანელო სტანდარტი, რომელიც ეყრდნობა სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას და საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისათვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი“

რაც შეეხება მტკიცებულებათა შეფასების ყველაზე მაღალ სტანდარტს ეს არის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი - სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე მოსამართლეთა სახელმძღვანელო სტანდარტი. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, დადგენილია, რომ „გონივრულ ეჭვს მიღმა - სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში“ (სსსკ მე-3 მუხლის მე-13 ქვეპუნქტი)

ამასთანავე, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობს „საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების“ ცნებას, რომლის თანახმად ეს არის მტკიცებულებები, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს ბრალდებულის მიერ დანაშულის ჩადენაში, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებული აღიარებს დანაშულს, სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და უარს ამბობს მისი საქმის არსებით განხილვაზე.

მტკიცებულებების შეფასების ასეთი მაღალი (გონივრულ ეჭვს მიღმა) სტანდარტის დანესება იმაზე მეტყველებს, რომ სასამართლო სათანადო მტკიცებულების გარეშე ვერც გამამტყუნებელ და ვერც გამამართლებელ განაჩენს ვერ დაადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია საქმეზე ჩატარდეს სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიება. საქმეზე სრულყოფილად უნდა მოხდეს ყველა შესაძლო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება. გამოძიება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მოწმეებისა და ბრალდებულის ჩვენებებით და არც მხოლოდ დანაშულებრივი ფაქტის დადგენით. აუცილებელია დანაშულებრივი ქმედების დამადასტურებელი გარემოებების სრული, ყოველმხრივი გამოკვლევა. ამასთან გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცების საგნისა და მტკიცების მომცველი საკითხების სრულყოფილ გამოკვლევას.

ამასთან, რამოდენიმე სიტყვით შევჩერდები მტკიცებულებათა კლასიფიკაციაზე, ვინაიდან სისხლის საპროცესო კანონმდებლობასა და ზოგიერთ პროცესუალურ ლიტერატურაში ამ საკითხზეც არსებობს აზრთა სხვაობა.

სისხლის სამართლის პროცესის განვითარების ადრეულ ეტაპებზე და მე-XX საუკუნის 60-იან წლებშიც პროცესუალურ ლიტერატურაში მტკიცებულებებს ძირითადად ყოფდნენ პიროვნულ და ნივთიერ მტკიცებულებებად. პიროვნულ მტკიცებულებებად მიიჩნევდნენ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ოქმებში მითითებულ ინფორმაციას. ნივთიერ მტკიცებულებად კი მიჩნეული იყო საგანგებო მოქმედებებით მოპოვებული მტკიცებულებები, როგორცაა მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს აღმოჩენილი ცეცხლსასროლი იარაღი, მასრა ან ტყვიის გულა და სხვ.

დღეისათვის ნივთიერი მტკიცებულების დეტალური განმარტება მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში, რომლის თანახმად, „ნივთიერი მტკიცებულება არის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოშობით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე

დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს.“

სისხლის სამართლის პროცესუალურ ლიტერატურაში ავტორთა უმეტესობა ყველა სახის მტკიცებულებას ყოფს სამ ძირითად ჯგუფად. კერძოდ: პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებად; პირდაპირ და ნაწარმოებ მტკიცებულებად; გამამართლებელ და გამამტყუნებელ მტკიცებულებად. სისხლის სამართლის პროცესის ზოგიერთ სახელმძღვანელოში კი კვლავ მტკიცებულებათა ცალკე სახედაა გამოყოფილი პიროვნული და ნივთიერი მტკიცებულება.¹⁸⁴

მტკიცებულებათა ასეთი კლასიფიკაცია, ჩემი აზრით, ზუსტად შეესაბამება მტკიცებულებების ცნებას და მნიშვნელობას. კარგი იქნებოდა თუ იგი აისახებოდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-X თავში მტკიცებულებათა ცალკე სახედ მოხსენებულია: დაუშვებელი მტკიცებულება; პრეიუდიცია და ნივთიერი მტკიცებულება. ამასთანავე, მტკიცებულებებში ცალკე გამოყოფილია ბრალდებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება და ირიბი ჩვენება.

ირიბი ჩვენებად მიჩნეულია მოწმის ისეთი ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. ამასთან ირიბი ჩვენება დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროზე, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლში მითითებულია იმაზეც, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ირიბი ჩვენების მიჩნევა დასაშვებ მტკიცებულებად. კერძოდ, ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება.

ირიბი ჩვენების ასეთი კლასიფიცირება, არასწორია, რადგან სხვა პირთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე აგებული მოწმის ჩვენება არის არა ირიბი, არამედ ნაწარმოები ჩვენება, ვინაიდან იგი ინფორმაციას გვანჯდის არა მის მიერ დანახული და მოსმენილი გარემოების ან ფაქტის შესახებ, არამედ სხვა პირის მიერ მასთან მონათხრობის მიხედვით.

2015 წლის 22 იანვარს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არა კონსტიტუციურად იქნა ცნობილი ირიბი ჩვენების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის და ბრალის დადგენილების დასაბუთებისთვის¹⁸⁵. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვებია მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“.

ირიბი ჩვენების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების და საგამოძიებო ვერსიების შემოწმების, დამატებითი მტკიცებულების მოპოვების, მოწმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების, ჩხრეკა-ამოღების, სამედიცინო დაწესებულებაში პირის მოთავსების და სხვა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლი მოკლებულია ლაკონიურობას და ჩამოყალიბებულია რამოდენიმე გვერდის მოცულობით, რის გამოც სასურველი იქნებოდა მათი დახვეწა. კერძოდ,

184 სისხლის სამართლის სისხლის სამართლის პროცესი, სახელმძღვანელო ავტორთა კოლექტიური თბი., 2002 წ. გვ.124-127

185 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22.01.2015 წლის გადაწყვეტილება საქმეზე N548

ეს ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XV¹ თავს - ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, რომლის მარტო ერთი 143³-ე მუხლი ჩამოყალიბებულია 12 (115-127) გვერდზე 17 ქვეპუნქტით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ასეთი რთული სტრუქტურით ჩამოყალიბებული მუხლები არა მარტო თეორიული, არამედ მათი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისითაც მოუხერხებელია, რის გამოც მიზანშეწონილია კიდექსის ცალკეული ნორმების უფრო დახვეწილი, ლაკონიური და სრულყოფილი სახით ჩამოყალიბება.

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მტკიცებულებისა და მტკიცების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში; მიმოხილულია მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტები. ყურადღება გამახვილებულია მტკიცებულებათა კლასიფიკაციაზე და მტკიცებულებების ამსახველი ნორმების ზოგიერთ არასწორ ფორმულირებაზე. ავტორის აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მტკიცებულების ამსახველი ნორმები დასახვეწია და არ უნდა ატარებდეს კომენტარების სახეს.

Resume

The significance of evidence and proof in Criminal Procedure Code are discussed in this work. Furthermore, evaluation standards of evidences are reviewed here. An attention is payed on classification of evidences and some incorrect formulation of evidence reflecting norms. The author considers that the evidence reflecting some norms of Criminal Procedure Code should be formulated with a more sophisticated and correct formulation and should not be considered as comments.

Резюме

В статье рассматривается важность доказательств и доказательств в уголовном судопроизводстве; Оценка стандартов оценки Основное внимание уделяется классификации доказательств и некорректной формулировке доказательств. По мнению автора, нормы, отражающие доказательство Уголовно-процессуального кодекса, должны быть разрешены и не должны приниматься во внимание.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია 2018 წლის მდგომარეობით;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2018 წლის მდგომარეობით;
3. სისხლის სამართლის პროცესი, სახელმძღვანელო ავტორთა კოლექტივი თბ., 2002 წ.;
4. ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი თბ. 1982 წ.;
5. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი თბ., 2013;
6. კ.ფ.გუცენკო, ლ.გ.გოლოვკო, ბ.ა.ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007;

7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015 წ.
8. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, თბ., 2017;
9. Строгович М. -Курс советского уголовного процесса.М.;1958;
10. Рыжаков А.П.- Уголовный процесс. Учебник М.2003;
11. Орлов Ю.К. Основы теории доказательств в уголовном процессе М. 2000;
12. შტეფან ტრექსელი «ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში», თბილისი, 2009
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22.01.2015 წლის გადაწყვეტილება საქმეზე N548

4. Drug Smuggling

**Doctoral student
Mamuka Egutidze**

Drug addiction is one of the important problems of XXI century world. It has become a problem for a number of countries that threatens not only the health of the population but also the country's national security. Drugs were even known for the old Sumerians and used a drug plant poppy.

“On the clay plates discovered during the excavations in Nipure, city of Sumerians was written recommendations of opium preparation and consumption. Sumerians called it “Gil”, which meant the joy.”¹⁸⁶ The ancient Greeks knew well about drugs, and the who called the consumption of this substance as a drug addiction, which word by word means narkōsis – to freeze and mania – aspiration, madness¹⁸⁶

Drugs were familiar almost for every countries of the world, on the different stage of history it was used for various purposes. It was used as a medication, also as a mean of enjoiment, “delightful” and “elixir of love”, a mean of ritual and other. Many countries of the world were engaged in drug export and it is natural that the Silk Road was one of these export roads, the drugs were passing through Georgia. The temptation of receiving the incomes through drugs was so great that England, for example, exported tons of narcotic substances in China.

In the XIX century became known the problems caused due to drug consumption and its harmfulness, and for the beginning of XX century in 1911-1912 years in Hague had been held Opium International Conference, in the conference participated 12 countries, in the conference was developed the first International Convention of 1912 regarding opium. 58 countries have ratified the Convention. They determined the list of drugs, the Convention envisaged drug use only for medicine and scientific purposes, and assistance to international and governmental organizations in the fight against the drug¹⁸⁶.

¹⁸⁶ Mosulishvili Criminological characterization of drug addiction and aspects of the fight against it. (Dissertation) pp

On 19 February 1925, the International Conference of the League of Nations in Geneva adopted the “Geneva Convention on Opium”, which added cocaine and Indian cannabis to the list of drugs established in the 1912 Convention, with this the participating countries were recommended to obtain normative acts for strict control over the manufacture and distribution of opium.

In 1931 the Geneva Convention by participating 31 countries has once again adopted the Convention on the “Regulation of Restriction and Distribution of Narcotics.”¹⁸⁷

The prohibition of use of drugs without the medical purposes, the imposition of restriction on its production has activated so called black market, the illegal production and sell of narcotics produced “drug Barons”, who have gained a tremendous wealth in drug trade and have tried to influence the country’s governments and governing bodies in a number of countries.

The drug crime has crossed the boundaries of one country and reached international scales. In accordance with the amendments of 1972 in Protocol of 1961 obtained by the United Nations Convention on Narcotics, in the Preamble was indicated “The Parties recognize that drug addiction is a serious evil for individuals and causes social- economic threat to humanity. They think to avoid the humanity from this evil and fight against it is their obligation.” Consequently, the Convention along with the other issues established the restrictions on drug production and import, trade, and distribution (Georgia joined to the mentioned Convention in 2000)¹⁸⁸.

The 1988 Convention (Article 3) of United Nations detailed defined a criminal case, sanctions against this criminal case and indicates that the Parties to the Agreement, in accordance with international law, in their legislation, shall establish the basic principles under which the illicit turnover of narcotic substances is considered criminal action taking into consideration the fact that illegal turnover, transportation, import and export of drugs is a criminal act.¹⁸⁹

On December 5, 2002, the Parliament of Georgia adopted the Law on “Drugs, Psychotropic Substances, Precursors and Narcological Assistance” for the purpose of ensuring healthcare, state and public security and the requirements of international treaties, which was invalid for 5 May 2012 due to the adoption new law with the same title which is applicable up-to-date.

This law regulates issues related to the turnover of narcotic drugs, psychotropic substances and precursors on the territory of Georgia. Determine the legal turnover conditions of these substances and legal grounds of state policy against the illegal turnover. It also regulates the principles of narcological assistance and determines the issues of export-import and transit of these substances.¹⁹⁰

Before the introduction of new Criminal Code of 1999, drug offenses were placed in the head of list of crimes against public safety and public order, but the illegal drug turnover into the territory of Georgia as smuggling was placed in the head of crime against the state.

As so far the new Criminal Code has replaced the article of contraband with the provision of a breach of customs rules in the new Criminal Code of Georgia had been introduced new chapter of drug offenses, illegally importing of narcotics, its analogy or precursor in Georgia, illegal transfers from Georgia or international transit (Article 262) as an independent drug offensive has been pla-

15, 227-228, 228. Tbilisi, 2009 <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000383/amiran%20mosuliSvili%20narkomaniis%20kriminologiuri%20daxasiaTeba%20da%20masTan%20brZolis%20aspeqtebi.pdf>

187 Foreign Words Dictionary, Tbilisi, Publishing House “Ganatleb”.

188 Mosulishvili Criminological characterization of drug addiction and aspects of the fight against it. (Dissertation) pp 15, 227-228, 228. Tbilisi, 2009 227-228] <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000383/amiran%20mosuliSvili%20narkomaniis%20kriminologiuri%20daxasiaTeba%20da%20masTan%20brZolis%20aspeqtebi.pdf>

189 Mosulishvili Criminological characterization of drug addiction and aspects of the fight against it. (Dissertation) pp 15, 227-228, 228. Tbilisi, 2009 <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000383/amiran%20mosuliSvili%20narkomaniis%20kriminologiuri%20daxasiaTeba%20da%20masTan%20brZolis%20aspeqtebi.pdf>

190 UN Convention on Narcotic Substance of 1961 (Georgia was joined in 23. 02. 2000, Resolution N 152) http://police.ge/files/narkopolitika/13_UN_1961_Convention_Geo.pdf

ced in this chapter which is correct because attaching of Customs Rules with this chapter would be legally unjustified. In the same chapter has been placed illegally import-export and transaction of the psychotropic substance, its analogy or strongly active ingredient in Georgia. (Article 263)¹⁹¹

The relationship on the definition of Georgian state border status and its defence including the issues of the movement of persons on the border and the transfer of goods to the border are regulated by the Georgian Law on State Board. According to the given law each person who violated or attempted to violate the state border or exported the good or tried to export the good in violation of the established rule according to the Georgian Legislation is imposed the criminal liability¹⁹².

Thus by the Georgian Legislation the illegal movement of narcotic substances, psychotropic substances and other related substances on the state border of Georgia subjects to the punishment. As according to the Law of Georgia on Drugs, Psychotropic Substances, Precursors and Narcological Assistance (Article 15 Paragraph 3, Subparagraph “b”) is prohibited transit of narcotic substances, which means that the action in all cases is criminal and Article 262 is a punishable act.

In accordance with the given Law the narcotic substances are subjected to the special control. It is placed in four various lists of substances subjected to the special control as dangerous for country population. The control of the turnover of substances included in the mentioned list is conducted by the special authorized governmental bodies.

The legal activities regarding to the substances subjected under the special control shall be conducted based on the special “Licenses and Permissions” in accordance with the Georgian Legislation and Normative Acts. (Article 20)

Only the legal entities having the relevant Licenses and Permissions have right to conduct the import and export of the pharmaceutical products.

Before import and export of narcotic and psychotropic substances, the legal entity is obliged to obtain special Consent and Permission.

In accordance with the Law (Article 30) the list of customs checkpoints located on the territory of Georgia which gives permission to import and export substances which are subjected special control shall be issued by the legal entity of public law of the Ministry of Finance of Georgia – the Revenue Service, in accordance with the Georgian Legislation.

Therefore, narcotic substances, analogous or precursor, as well as psychotropic substance, its analogy or strong substance can be brought or transferred by lawful legal person in accordance with the above-mentioned requirements. In other cases, the action shall be considered as illegal and will impose criminal liability under the legislation. It should be noted that in addition to the legal person, the individuals have right to go through Georgian territory in other countries having narcotic of psychotropic substance with him/her as means of treatment. This person shall have relevant documentation on the mentioned.

On the territory of Georgia illegal import of substances stipulated in Articles 262-263 may be carried out bypassing customs control through fraudulent use of the document or customs identification card, as well as on the customs checkpoints which are not fixed in the list defined by the Revenue Service of Georgia.

The hidden transfer means to hide the narcotic substance which subjects to the special control on the border checkpoint in such way that the controller couldn’t notice it.

In fraudulent use of documents and custom identification cards is stipulated submission of

191 UN Convention on “Fighting against the illegal turnover of narcotic substance and other psychotropic means” of 1988 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2540250>

192 Georgian Law on “Drugs, Psychotropic Substances, Precursors and Narcological Assistance” of 22 05 2012 <https://matsne.gov.ge/ka>

false documentation, with fraudulent data, also illegally obtained, filled or certified documents, fraudulent use of customs identification means, with stamp, seal or other official form.

„The illegal obtain of the document which isn't fraudulent shall be considered as false use of document.“¹⁹³

We meet the crime envisaged by Article 263 of Criminal Code of Georgia if brought narcotic, psychotropic or other substances are in a big amount, which are aggravating signs. The amount of these substances is defined in accordance with the list of Georgian Law on “Drugs, Psychotropic Substances and Narcotic Assistance”.

The aggregative circumstance of the criminal action using the positional power. In the given case it does not matter who abuses the position, the employee, the equal person or any other worker. Who will be able to commit this offense using his/her legal position. This could be a high, average or low-ranking official employee or technical worker.

For drug smuggling crime the citizenship of the person hasn't any importance, any subject elder than 14 shall be considered as criminal.

The offense is intentional; the person is conscious of the nature of crime he/she knows that the offence is the public harmful and wants to achieve the result.

When a person crosses the Georgian border and brings the abovementioned substance in Georgia the criminal action is completed, but if the same person tries to withdraw the substance from Georgia and he/she will be arrested before crossing the state border, but if the same person is withdrawn from Georgia substances crossing the state border then the crime is eliminated at the attempting stage, and thus there isn't completed crime but it is attempt to commit crime.

In 2006 the Parliament of Georgia made amendments in 1999 Law, regarding the crime committed with the aggregative circumstances. In 2007 by adoption of the Law of Georgia on “Fight against the Narcotics Crimes” based on the guilty verdict of court the promotion or dissemination of drugs along with the basis conviction will be deprived driving license and right to work in medical, pharmaceutical, teaching and educational institutions.¹⁹⁴ This is welcome, but these additions in the relevant articles of the Criminal Code shall be justified and convenient for all persons who implements justice.

As a rule, the transfer of other substances subjected to the special control precedes the purchase and storage of these substances. In certain cases the production, transportation and other signs are included in the composition of the crime envisaged by Article 260 of the Criminal Code of Georgia, therefore the qualification should be determined as the joint crime.

The Legislative Acts in Georgia fully regulates the transfer of the narcotic substances and other substances subjected to the special controls on the state border, however, due to the geographical location of Georgia, considering that a large part of Georgian territory is occupied and it is impossible fully control these territories there is created a nourishing environment for the mentioned, therefore the Georgian government shall constantly fight against the drug smuggling and to prevent crime, for the mentioned it is important to strengthen border and customs control. In European and other countries of the world is introduced and implemented special control of narcotic substances. The aim of which is the detection of large drug dealers and the decontamination of the drug network. Taking into consideration the experience of these countries and in accordance with the existing reality in Georgia, it is reasonable to assess the advantages, disadvantages and risks of this action, and to be taken an adequate decisions based on the in-depth analysis.

193 M. Lekveishvili and Authors' Collective Private Part of Criminal Code T.1 pp 617 Tbilisi 2008 Publishing house Meridian

194 Georgian Law on “Fighting against the Drug Offence” of 18.07.2007⁶ <https://www.matsne.gov.ge>

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ნარკოტიკული საშუალებების და სხვა განსაკუთრებულ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გადატანა - გადმოტანის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ნარკოკონტრაბანდის წინააღმდეგ მოქმედი სამართლებრივი ნორმები.

გაანალიზებულია ისტორიის მანძილზე ნარკოტიკულ საშუალებათა ბრუნვის საკითხებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიერ ერთობლივად მიღებული კონვენციები და მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.

საკითხის ანალიზით გამოიკვეთა, რომ საქართველოში ნარკოკონტრაბანდის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილია სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა და სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის სათანადო გაძლიერებით, ამ სტრუქტურების უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის შემთხვევაში შესაძლებელია ამ დანაშაულის აღკვეთა.

მძიმე სიტუაციაა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებზე სადაც ჯერჯერობით ვერ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, აქ შექმნილი ვითარება ქმნის ნარკოტიკების ბრუნვისთვის ხელსაყრელ გარემოს და ნარკოკონტრაბანდის გაძლიერების წინაპირობას.

RESUME

In the given topic is discussed transfer of narcotic substances and other substances subjected to the special control on the board of Georgia, governing law and legal norms against the drug smuggling.

Is analyzed the conventions concluded jointly by the different countries around the world in the history of drug issues and their compliance with the Georgian Legislation.

Through the analysis of the issue has been demonstrated that in Georgia has been created the comprehensive legal base for fighting against narcotic smuggling and is performed proper border and customs control, in case of equipping these structures with the latest technologies it is possible to prevent this crime.

Резюме

В статье обсуждается передача веществ под наркотиками и другие специальные меры контроля на государственной границе Грузии - нормативное законодательство и правовые нормы против контрабанды наркотиков.

Были проанализированы конвенции, заключенные совместно различными странами мира в истории незаконного оборота наркотиков, и их соблюдение законодательства в Грузии.

Был продемонстрирован анализ проблемы, что можно предотвратить всеобъемлющую правовую базу для борьбы с наркоторгонией в Грузии и надлежащего укрепления пограничного и таможенного контроля в случае оснащения этих структур новейшим технологическим транзитом.

На территориях нашей страны, оккупированной Россией, где юрисдикция Грузии еще не применима, существует сложная ситуация, созданная здесь ситуация является предварительным условием для укрепления наркотиков и наркомании.

USING REFERENCES:

1. 1999 Criminal Code of Georgia of 12.07.1999 <https://matsne.gov.ge/ka>
2. Georgian Law on “Drugs, Psychotropic Substances, Precursors and Narcological Assistance” of 22 05 2012 <https://matsne.gov.ge/ka>
3. Georgian Law on “Fighting against the Drug Offence” of 18.07.2007 <https://www.matsne.gov.ge>
4. Georgian Law on “State Board” of 17 07 1998 <https://matsne.gov.ge/ka>
5. UN Convention on Narcotic Substance of 1961 (Georgia was joined in 23. 02. 2000, Resolution N 152) http://police.ge/files/narkopolitika/13_UN_1961_Convention_Geo.pdf
6. UN Convention on “Fighting against the illegal turnover of narcotic substance and other psychotropic means” of 1988 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2540250>
7. M. Lekveishvili and Authors’ Collective Private Part of Criminal Code T.1 pp 617 Tbilisi 2008 Publishing house Meridian
8. Foreign Words Dictionary, Tbilisi, Publishing House “Ganatleb”.
9. Mosulishvili Criminological characterization of drug addiction and aspects of the fight against it. (Dissertation) pp 15, 227-228, 228. Tbilisi, 2009 <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000383/amiran%20mosuliSvili%20narkomaniis%20kriminologiuri%20daxasia-Teba%20da%20masTan%20brZolis%20aspeqtebi.pdf>

5. ადევნება

დოქტორანტი მამუკა ეგუტიძე

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების უპირველესი მოვალეობა და ზრუნვის საგანია. 1971 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა პირველ დეკლარაციად გამოცხადა, სპარსეთის სამეფოს დამაარსებლის კიროს II დიდის მიერ, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 539 წელს გამოცემული, თიხის ფირფიტებზე დატანილი დეკლარაცია, რომლითაც კიროს II დიდმა უარყო მონობა და დიქტატურა.

1776 წლის 4 ივლისს ამერიკაში, ფილადელფიაში ამერიკის ცამეტი გაერთიანებული შტატის წარმომადგენლებმა კონგრესში განიხილეს ამერიკის მესამე პრეზიდენტის მეცნიერის, პოლიტიკოსის და იურისტის ტომას ჯეფერსონის მიერ შედგენილი ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რაც ერთხმად იქნა მიღებული. დეკლარაციის პრეამბულაში ჩაინერა, რომ „ადამიანები შექმნილნი არიან, როგორც თანაბარი არსებანი, რომ მათ ღმერთმა მიანიჭა გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ ლტოლვა.“ /1971 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას დაემატა შესწორებათა სერია, რომელიც ცნობილია როგორც ამერიკის შეერთებული შტატების უფლებათა ბილი, რომელშიც პირველი ათი მუხლი მთლიანად ადამიანის უფლებების დაცვას მიეძღვნა.

საფრანგეთის რევოლუციამ 1789 წლის 26 აგვისტოს ვერსალში შექმნა, ადამიანის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების განმსაზღვრელი „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია.“ სადაც ჩაინერა, რომ ადამიანები იბადებიან და რჩე-

ბიან თავისუფალნი და თანასწორუფლებიანნი, ადამიანის შეუვალ ბუნებრივ უფლებად თავისუფლების, საკუთრების, დესპოტიზმის წინააღმდეგობისა და უსაფრთხოების პრობლემები გამოცხადა აღნიშნულ დეკლარაციათა საფუძვლებზე. 1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის მიერ მიღებული იქნა პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სახით, რომელმაც სიცოცხლის უფლებასთან ერთად პიროვნების უპირატეს უფლებად აღიარა თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

1950 წლის 4 ნოემბერს ევროპის საბჭომ მიიღო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომის კონვენცია, რომლითაც ხაზია გაესვა სახელმწიფოთა მიერ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის სავალდებულობას. უფრო მეტიც კონვენციამ სახელმწიფოს დაავალა უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებების სამართლებრივი დაცვა „ყველას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების უფლება, ვინც თვლის, რომ დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების უფლება, „ვინც თვლის, რომ დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები უნდა ჰქონდეს სამართლიანი დაცვის მოთხოვნისა და მიღების უფლება“ (მუხლი მე-13-ე).

საქართველოს კონსტიტუცია შესაბამისობაშია რა საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ქვეყნის ძირითადი კანონის დონეზე უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. კონსტიტუციის მეორე თავი მთლიანად ეძღვნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებათა გარანტირებული დაცვის საკითხებს. საქართველოს ახალ 2017 წლის კონსტიტუციაში ხაზგასმით ჩაინერა „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო (მუხლი მე-9-ე). საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სამართლებრივი დაცვა გარანტირებულია საქართველოს კანონებით და კანონქვემდებარე აქტებით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეექვსე თავი ემსახურება ადამიანის მისი უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისგან დაცვას. აღნიშნული თავი მთლიანად უზრუნველყოფს სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში, ნეგატიური ვალდებულებებით კანონის ძალით სახელმწიფო აიძულებს პოტენციურ დამნაშავეს თავი შეიკავოს აკრძალული ქმედებისგან, ხოლო პოზიტიური ვალდებულებით იცავს, როგორც საკუთარი მოქალაქეების ასევე მისი ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი სხვა ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არ მქონე პირისუფლებებსა და თავისუფლებებს. საქართველოს სახელმწიფო, როგორც დემოკრატიული თანამეგობრობის ნაწილი თვლის, რომ „სამართლის მოთხოვნები შეიძლება იძულებით განხორციელდეს საზოგადოების იმ წევრების მიმართ ვისთვისაც კანონი „ნაკლებად დამაჯერებელია“ ფიზიკური იძულება ახასიათებს არა ნორმას, არამედ ხელისუფლებას“¹⁹⁵

იძულება პოზიტიური სამართლის თანმდევია და ის მოქმედებს მაშინ თუ ნეგატიური ვალდებულებით პოტენციური დამნაშავე თავს ვერ შეიკავებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისგან.

სახელმწიფოს კანონშემოქმედება ეფუძნება სისტემატიური წესრიგის და კონსტიტუციური ვალდებულებების უზრუნველყოფის ნორმებს კანონმდებელი საკანონმდებლო ბაზის დახვეწით ცდილობს მართლწესრიგის გამტკიცებას სახელმწიფო ხედავს პრობლემას, განსაზღვრავს მისს არსს, და ფაქტების ანალიზისა და მიზნის განსაზღვრის საფუძველზე ახდენს საკანონმდებლო რეაგირებას, აღნიშნულის ნათელი მაგა-

¹⁹⁵ გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, 2004 წელი გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, გვ 116

ლთია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 151¹-ე მუხლის სახით ადევნების ინკრინინირებული დანაშაულის კრინინალიზაცია.

2011 წლის 11 მაისს სტამბოლში მიღებული იქნა „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროსაბჭოს კონვენცია. კონვენციის მიზანია დაიცვას ქალები ძალადობის ყველა ნორმისგან და აღკვეთოს სისხლისსამართლებრივად დევნოს და აღმოფხვრას ძალადობა ქალების მიმართ და ძალადობა ოჯახში.

საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 5 აპრილს N543-III დადგენილებით მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, 19 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოახდინა კონვენციის სარატიფიკაციო სიგელის დეპონირება და კონვენცია საქართველოს მიმართებაში ძალაში შევიდა 1 სექტემბრიდან.

კონვენციის 34-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ კონვენციის ხელმომწერი „მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს“. და ევროსაბჭომ ამ ქმედებას ადევნება უნდა.

კონვენციამ დაგმო ფსიქოლოგიური ძალადობა და მოუწოდა მხარეებს მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს ისეთი წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ადამიანზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს იძულების ან მუქარის გამოყენებით.¹⁹⁶

საქართველოს სახელმწიფო გამოვიდა რა პიროვნების თავისუფლების პრივატული უფლებიდან და კონსტიტუციური ვალდებულებიდან დაიცვას პიროვნების თავისუფლება და არ მისცეს სხვა გარეშე პირს ამ უფლების შელახვის საშუალება, 2017 წლის 25 მაისის კანონით სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 151¹-ე მუხლი ადევნება, რომლის დისპოზიციითაც დასჯადია „პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის.“

ინკრინინირებული დანაშაულისაგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანისათვის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

ყოველ ადამიანს კონსტიტუციით მინიჭებული უფლების ფარგლებში, სრული უფლება აქვს იმოქმედოს ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის გარდა კანონით მკაცრად დადგენილი საფუძვლისა არავის არა აქვს უფლება შეზღუდოს ადამიანის თავისუფლება და აიძულოს შეცვალოს მისთვის სასურველი ცხოვრების წესი.

ობიექტური მხრივ ადევნება გამოიხატება მოქმედებაში პირადად ან მესამე პირის მეშვეობით თვალთვალში, არასასურველი კომუნიკაციის დამყარებაში ტელეფონის ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ნებისმიერ სხვა განზრახ მოქმედებაში, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას, საფუძ-

196 „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678>

ვლიან შიშს და აიძულებს პირს მნიშვნელოვნად შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი, ან ასეთის რეალურ საჭიროებას უქმნის.

დანაშაულის ჩადენის ხერხი, ფორმა რაშიც გამოიხატება მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ის მეთოდები რასაც იყენებს პირი დანაშაულის ჩასადენად არის, უკანონო თვალთვალი, არასასურველი კომუნიკაციის დამყარება, ან ნებისმიერი განზრახი მოქმედება, რომელიც სისტემატიურად ხორციელდება.

დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ დაზარალებულის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონის მიღება უკავშირდება 2011 წლის სტამბულში ევროპის საბჭოს მიერ „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ.“ მიღებულ კონვენციას და საქართველოს ამ კონვენციასთან მიერთებას.

კანონი მიმართული არ არის ადევნებისგან მხოლოდ ქალთა უფლებების დასაცავად და შესაბამისად მსხვერპლი, დაზარალებული შეიძლება იყოს საქართველოში მცხოვრები ან დროებით მყოფი, საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არ მქონე პირი, ან უცხო ქვეყნის მოქალაქე მიუხედავად სქესისა და ასაკისა. ამასთან ადევნების ობიექტია, როგორც უშუალოდ დაზარალებული, ასევე მისი ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი.

საქართველოს სსკ 109-ე მუხლზე დართული შენიშვნის მიხედვით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ახლო ნათესავთა ჩამონათვალი ამომწურავად განსაზღვრულია და ახლო ნათესავად მიიჩნევა, მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე.

ახლო ნათესავთაგან განსხვავებით ოჯახის წევრთა ჩამონათვალი მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განსაზღვრულია საქართველოს სსკ მე-11-ე მუხლზე დართული შენიშვნით ამომწურავად განსაზღვრული არ არის, ოჯახის წევრთა შორის მოიაზრება, როგორც ახლო ნათესავები, ასევე სხვა პირები კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის ოჯახის წევრად ითვლება, „დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.“

ერთიანი საოჯახო მეურნეობის წარმოებაში მოიაზრება საოჯახო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი პირობები, ერთად ერთ ბინაში (სახლში) ცხოვრება, ერთმანეთზე ზრუნვა, საკვები პროდუქტის და სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროების ნივთების ერთობლივად შექმნა, ერთმანეთის უზრუნველყოფისათვის ნებისმიერი სხვა მოქმედება, აქ მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ერთიანი საოჯახო მეურნეობის წარმოებას არ უნდა ჰქონდეს ფრაგმენტული ხასიათი, არამედ ოჯახის წევრად ცნობისთვის ერთიანი საოჯახო მეურნეობის წარმოება უნდა ატარებდეს სისტემატიურ, მუდმივ ხასიათს. ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან, ერთიან საოჯახო მეურნეობას აკმაყოფილებენ თუ არა კანონის მოთხოვნებს რათა ცნობილი იქნან ოჯახის წევრებად გამოძიების მანარმოებელი ორგანოს და სასამართლოს განსჯის საგანია.

თუ რამდენად დროული და მნიშვნელოვანი იყო სისხლის სამართლის კოდექსში 151¹-ე მუხლის შემოტანა ამაზე აღნიშნული მუხლით რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა მეტყველებს განსახილველი მუხლი, როგორც აღინიშნა საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსში შემოტანილი იქნა 2017 წლის 25 მაისს და იმავე წელს ივნისის თვეში პროკურატურამ უკვე დაიწყო დევნა დანაშაულის ერთ ფაქტზე ერთი პირის მიმართ, ხოლო 2017 წლის ივნისიდან 2018 წლის 1 ივნისამდე მოცემული დანაშაულის ჩადენისათვის პროკურატურა დევნას ანარმოებდა 9 სისხლის სამართლის საქმეზე 9 პირის მიმართ. აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წლის 5 თვეში მნიშვნელოვნად გაიზარდა და საქართველოს სსკ 151¹ მუხლით პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ცალკეული თვეების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა.

2018 წლის ხუთ თვეში პროკურატურის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მაჩვენებლებით საქართველოს სსკ 151¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 24 სისხლის სამართლის საქმეზე ოცდაოთხი პირის მიმართ რაც მიუთითებს აღნიშნული დანაშაულის გამოვლენის მზარდ ხასიათზე და ამართლებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ადევნებით დასახელებული 151¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის კრიმინალიზაციას.¹⁹⁷

გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, უკანონო თვალთვალი და აღნიშნული ქმედებით ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა კრიმინალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლით სტალკინგის სახელწოდებით.¹⁹⁸

სტალკინგი (ადევნება, გადაკიდება,) საერთაშორისო სარგებლობის ტერმინია და შინაარსობრივად მოიცავს მართლსაწინააღმდეგო ადევნებას. უკანონო თვალთვალს (ნიდერლანდების სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე ბ მუხლით სტალკინგი განიხილება ადევნებად, უკანონო სისტემატურ თვალთვალად. მალტის სისხლის სამართლის კოდექსით მუხლი 251-ე AA სტალკინგი იგივე მნიშვნელობით არის კრიმინალიზებული.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის დისპოზიციით ამ მუხლით დასჯადი დანაშაულის ადევნების ობიექტური მხარის ერთერთი ხერხია უკანონო თვალთვალი - საქართველოს კანონმდებლობით პირის მიმართ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება განხორციელდეს ვიზუალური კონტროლი იგივე ოპერატიული თვალთვალი, რომელიც ტარდება კონსპირაციულად ოპერატიული მუშაკის, გამომძიებლის ან ოპერატიული სამძებრო საქმიანობის მწარმოებელი ორგანოს მიერ უშედეგოდ ან ოპერატიულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით და რომლის მიზანიცაა დანაშაულის და დამნაშავის გამოვლენა, დანაშაულის აღკვეთა-აცილება. სახელმწიფო უშიშროების დაცვა ან სხვა კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა.

კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფით განხორციელებული ვიზუალური კონტროლის ნებისმიერი ღონისძიება კანონის გარეთ მდგარი ქმედებაა და ისჯება სისხლის სამართლის წესით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151¹-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება უკანონო თვალთვალი ხორციელდება თვითონ დამნაშავის ან მისი თხოვნით მესამე პირის მიერ უშუალოდ ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით არა ფარულად არამედ აშკარად.

უკანონო თვალთვალი შეიძლება განხორციელდეს დაზარალებულზე უკან გაყოლით, ადევნებით დაზარალებულის მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის ნებისმიერი გადაადგილების სისტემატიური გაკონტროლებით. დამნაშავის ყოფნით იმ ადგილებში იმ სივრცეში სადაც დაზარალებული იმყოფება ან მიდის. კინოში, თეატრში, ოპერაში, „ფიტნეს“ კლუბში, სპორტულ მოედანზე, დასასვენებელ პარკებში თუ სხვა ადგილებში. ტექნიკურ საშუალებად შეიძლება გამოყენებული იქნეს ფოტო-ვიდეო გადაღება და სხვა სახის ტექნიკური აპარატურა.

197 სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში <http://www.geostat.ge/?lang=geo>

198 გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p1986

არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, კომპიუტერით ან ელექტრონული სხვა საშუალებებით შეიძლება განხორციელდეს დაზარალებულთან. მის ახლო ნათესავთან ან ოჯახის წევრთან ტელეფონზე დარეკვით და ლაპარაკით, ან ტელეფონზე წერილობითი შეტყობინებების (მესიჯების) გაგზავნით. ეს კონტაქტი დამნაშავემ შეიძლება განახორციელოს როგორც უშუალოდ დაზარალებულის ტელეფონზე დარეკვით, „დამესიჯებით“ ასევე მის ახლობლებთან მეგობრებთან, თანამშრომლებთან, დარეკვით. ელექტრონულ საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნას კომპიუტერით კონტაქტი ელექტრონული ფორმით შეტყობინების გაგზავნა და სხვა.

სხვა საშუალებები შეიძლება იყოს დაზარალებულისათვის მისი ახლო ნათესავისათვის ან ოჯახის წევრისათვის ფოსტის საშუალებით ან სხვა ფორმით წერილის გაგზავნა. მესამე პირის მიგზავნა დაზარალებულთან დამნაშავისათვის სასურველი ინფორმაციის გადასაცემად. დაზარალებულისათვის არასასურველი კომუნიკაცია შეიძლება გამოიხატოს დამნაშავის როგორც პოზიტიურ ასევე ნეგატიურ მოქმედებებში.

დამნაშავე იმ მიზნით, რომ მოიპოვოს სასურველი ქალის სიყვარულში თანაგრძნობა სისტემატიურად ასრულებს დაზარალებულისათვის არასასურველ მოქმედებას და მისი სახლის კართან ტოვებს ძვირფას საჩუქრებს, ან ყვავილების თაიგულს სასიყვარულო წერილებით და ლექსებით ან დაზარალებულზე ზემოქმედების მიზნით მისი სახლის კართან ტოვებს ნაგვით სავსე ურნას, აკეთებს შეურაცხმყოფელ წარწერებს და სხვა.

ყველა ეს მოქმედება დანაშაულად, რომ შეირაცხოს და წარმოშვას დანაშაულის შემადგენლობა საჭიროა მას ჰქონდეს სისტემატური ხასიათი და იწვევდეს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს. რაც პირს დაზარალებულს აიძულებს მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების წესი ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის. აღნიშნულიდან გამომდინარე დანაშაული შედეგდამოკიდებულია, მატერიალურია და მისი დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა ზემოაღნიშნული ერთ-ერთი შედეგის დადგომა.

დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო დაზარალებულისათვის მიუღებელი მოქმედების შედეგად დაზარალებული იმყოფება სტრესულ მდგომარეობაში. ამ დროს ის ეჯახება პრობლემას, რომლის გადაჭრა მის შესაძლებლობებს აღემატება, განსაკუთრებით მძიმე ან შემანუხებელი შეგრძნებების ერთობლიობა იწვევს მის ტანჯვას განიცდის მძიმე დისკომფორტს, შინაგანი დაძაბულობა აღწევს პიკს და ის იძულებული ხდება შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი რათა გაექცეს მისთვის მიუღებელ სისტემატურ ძალადობას.

სისტემატური ნიშნავს განუწყვეტელი, რეგულარული ქმედების განხორციელებას, დამნაშავის თვალთახედვის არეში დაზარალებულის მუდმივ ყოფნას, დაზარალებულის ტელეფონზე სისტემატურ გაუთავებელ რეკვას ან მესიჯების რეგულარულ გაგზავნას, ყოველდღიურად დაზარალებულის უკან გაყოლა. ადევენება და სხვა ნებისმიერი დაზარალებულისათვის არასასურველი კომუნიკაცია უნდა ატარებდეს ხშირ სისტემატურ ხასიათს. დაზარალებულის ყოველი გადაადგილების თუ ნებისმიერ ადგილას ყოფნის განუწყვეტელი კონტროლი, მიუხედავად იმისა თუ რა ფორმით ხორციელდება ასეთი, თუ წარმოადგენს დაზარალებულისათვის არასასურველ კომუნიკაციას შესაბამისად იწვევს მის მორალურ და ფსიქიკურ ტანჯვას, რადგან ასეთი ხორციელდება დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ და თრგუნავს მის თავისუფლებას.

დამნაშავის ქმედება შეიძლება ნაკარნახევი იყოს დაზარალებულის სიყვარულით ან ეჭვიანობით, ეს დანაშაულის, ქმედების გარეგანი მხარეა, სინამდვილეში დამნაშავეს სურს დაზარალებულზე კონტროლის დამყარება, დაზარალებულის ნებელო-

ბის დათრგუნვა და მისი მოძალადის, დამნაშავეს ნებაზე დამორჩილება აღნიშნული ქმედების შედეგად ადევნების მსხვერპლ, დაზარალებულს ეწყება მუდმივი საფრთხის შეგრძნება და შიში, შეიძლება დაეწყოს პანიკური შეტევები, უძილობა, დეპრესია და საბოლოოდ დაზარალებული განიცდის ფსიქიკურ ტანჯვას.

პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიანი შიში -დისპოზიციის შესაბამისად აღნიშნული შიში უნდა მომდინარეობდეს დამნაშავეს ქმედებიდან და უნდა იყოს რეალური საფუძვლიანი დაზარალებულს შიში შეიძლება წარმოეშვას, როგორც დამნაშავეს სიტყვიერი ან ნერილობითი მუქარის საფუძველზე ასევე დამნაშავეს მოქმედების საფუძველზეც, მაგალითად დამნაშავე მესიჯს, ტექსტურ შეტყობინებას უგზავნის დამნაშავეს, „მიყვარხარ, ცოლად უნდა გამომყვე.“ ეს შეტყობინება დაზარალებულისათვის შეიძლება იყოს არასასურველი კომუნიკაცია, მაგრამ მიუხედავად იმპერატიული მოთხოვნისა ვერ ჩაითვლება საფუძვლიანი შიშის გამოწვევად, ხოლო თუ დამნაშავე დაზარალებულს წერს „მიყვარხარ, ცოლად გამომყევი თორემ მოგიტაცებ“ ან „ცოლად გამომყევი თუ გინდა შენ ძმას არ ვავნო“ ეს უკვე საფუძვლიანი შიშის აღმძვრელია დაზარალებულში.

დამნაშავეს თავისი სურვილის თუ მიზნისა და იდეის გამო არ შეიძლება ბრალი წარედგინოს „არ გათხოვდე, მე მიყვარხარ“ „ ან მე გამომყევი ცოლად“ ეს დამნაშავეს იდეაა, სურვილია ამით დაზარალებულს დამნაშავე აცნობს თავის ნებას, „ვაიმე მასაც ვუყვარვარ“ ვერ ჩაითვლება საფუძვლიანი შიშის საფუძველად, ხოლო როცა დამნაშავე დაზარალებულს მის ახლო ნათესავს და ოჯახის წევრს ემუქრება კონკრეტული ძალადობრივი საქციელის ჩადენით და ამ მუქარის საფუძველზე დაზარალებულს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში^ა დაზარალებულის ეწყება ფსიქოლოგიური ტანჯვა, პანიკური შიში, რადგან სისტემატურად ელოდება ძალადობის განხორციელებას. და მისი შიში შესაბამისად ჩაითვლება საფუძვლიანად.

დაზარალებულს საფუძვლიანი შიში შეიძლება გაუჩნდეს დამნაშავეს სიტყვიერი თუ ნერილობითი შეტყობინების გარეშეც, მაგალითად ხედავს, როგორ იშვერს მისი მიმართულებით დამნაშავე იარაღს, ან მისი კუთვნილი ავტომობილის გვერდით, როგორ ანთებს ცეცხლს, ან ფესტიკულაციით დამნაშავე დაზარალებულს ემუქრება ცემით, მოკვლით და სხვაგვარი ძალადობით ამ შემთხვევაში რეალურად აპირებს თუ არა დამნაშავე იმ ქმედების განხორციელებას, რაც დაზარალებულში წარმოშობს საფუძვლიან შიშს ქმედების დანაშაულად შერაცხვისათვის მნიშვნელობა არ აქვს, რადგან შედეგი უკვე მიღწეულია იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულს გაუჩნდა საფუძვლიანი შიშის შეგრძნება, როდესაც დამნაშავე დაზარალებულისგან მუქარის გზით მოითხოვს რაიმე ქმედების შესრულებას, ცოლად გაყოლას, განქორწინებაზე უარის თქმას და სხვა, ის ცდილობს მუქარით დაზარალებულში წარმოშვას საფუძვლიანი შიში, რათა აიძულოს ის შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. ამ მოქმედების ან უმოქმედობიდან თავის დაღწევის მიზნით დაზარალებული იძულებული ხდება მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების წესი. ან ექმნება მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალური საშიშროება.

ცხოვრების წესის შეცვლა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სახით, მაგალითად დაზარალებული იძულებულია აღარ წავიდეს კინოში, თეატრში ან ნებისმიერ სხვა საჯარო ღონისძიებაზე რათა თავიდან აიცილოს დამნაშავეს უკანონო თვალთვალი ან თავი დაიცვას დამნაშავეს მუქარისგან. დამნაშავესგან თავის არიდების მიზნით შეიცვალოს სამსახური, საცხოვრებელი ადგილი, საკუთარ თავს დაუნესოს სხვა შეზღუდვები რაც მნიშვნელოვნად ცვლის მისი ცხოვრების წესს.

საქართველოს სსკ 151¹-ე მუხლის შესაბამისად დამნაშავეს ქმედება, რომ ბრალეულად ჩაითვალოს საკმარისია მისმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ დაზარალებული

წარმოშობილი საფუძვლიანი შიშის საფუძველზე 1. აიძულოს მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების წესი ან 2. საჭიროებას უქმნის, რათა მნიშვნელოვნად შეცვალოს ცხოვრების წესი.

რაც შეეხება საფუძვლიან შიშს ასეთი შეიძლება გამოიწვიოს სსკ 151¹-ე მუხლის დისპოზიციაში აღწერილმა დამნაშავეს განზრახმა მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ 1. რომელიც სისტემატიურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და 2. პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს.

ნებისმიერი ზემოაღნიშნული შედეგებიდან ერთ-ერთის დადგომის შემთხვევაში დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება და მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება სახეზეა. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით „სტალკინგი,“ (ადევნება) ინკრიმინირებულია შემდეგი სახით.

1. ვინც მართლსაწინააღმდეგოდ აედევნება პიროვნებას,

1. მის სიახლოვეს ყოფნის მცდელობით.
2. კავშირის დამყარების მცდელობით. სატელეკომუნიკაციო საშუალებების, კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით ან მესამე პირების მეშვეობით.
3. მისი პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენებით. მისთვის საქონლის ან მომსახურების შეკვეთის მიზნით ან მესამე პირების მასთან დაკავშირების (კონტაქტის) მიზნით.
4. მისი ან მისი ახლობლის დაშინება სიცოცხლის მოსპობის ჯანმრთელობის დაზიანების ან თავისუფლების ხელყოფის ან
5. სხვა მსგავსი ქმედებების ჩადენის გზით და ამგვარად მნიშვნელოვნად დაარღვევს მისი ცხოვრების წესს. მუხლის მე-4-ე და მე-3-ე ნაწილებით განსაზღვრულია მოცემული დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელი გარემოებები.¹⁹⁹

გერმანიის კანონმდებლობა დაშინებას, შიშს საფუძვლიანად მიიჩნევს იმ შემთხვევაში თუ ეს ქმნის სიცოცხლის მოსპობის ჯანმრთელობის დაზიანების ან თავისუფლების ხელყოფის შიშს და შესაბამისად დამნაშავეს ქმედება წარმოშობს ამ შიშის საფუძველს.

საქართველოს სსკ 151¹-ე მუხლით უკანონო თვალთვალი, არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ან სხვაგვარი ქმედება, რომელიც სისტემატიურად ხორციელდება უნდა იყოს პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიანი შიშის გამომწვევი. გერმანიის კანონმდებლობით განსაზღვრული შიშის წარმოშობის კონკრეტული გარემოებებისგან განსხვავებით საქართველოს კანონმდებლობით ზოგადად არის წარმოდგენილი ძალადობის გამოყენების შიში, ამიტომ ეს იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას და თუ რამდენად საფუძვლიანია ძალადობის გამოყენებით წარმოშობილი შიში სასამართლო შეფასების საგანია.

ზოგადად ძალადობაში იგულისხმება ძალის აშკარა ან ფარული გამოყენება იმ მიზნის მისაღწევად რასაც ინდივიდი თავისი ნებით არ თანხმდება. ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური ამ შემთხვევაში ძალადობა პირდაპირია და გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებით ზემოქმედებას, მაგრამ ძალადობა შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური, რომელიც მიმართულია ადამიანის დასამცირებლად, მისი ავტორიტეტის შესაღახად, ადამიანის რეპუტაციისთვის ზიანის მისაყენებლად. ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს შეურაცხყოფის მიყენებაში, დამცირებაში, შანტაჟში, მუქარაში და ნებისმიერ სხვა მოქმედებაში რაც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შე-

¹⁹⁹ იქვე 238: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p1986

ლახვას. ძალადობის გამოყენების საფუძვლიანი შიში შეიძლება წარმოიშვას დამნაშავეის მიერ ამა თუ იმ ფორმით გამოხატული მუქარის შედეგად თუ დამნაშავეის მუქარა იღებს რეალურ ხასიათს, დამნაშავე ასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია, მისგან წარმოშობილი მუქარის რეალიზაციისაკენ, ამ შემთხვევაში დამნაშავე პასუხს აგებს სსკ-ის 151¹-ე მუხლით და იმ დანაშაულის მიზნებისათვის, რომლის რეალიზაციისთვისაც ის იწყებს მზადებას.

ვფიქრობ, რომ საქართველოს სსკ 151¹-ე მუხლის დისპოზიციაში „ძალადობის გამოყენების“ საფუძვლიანი შიში მეტად ზოგადი ცნებაა და საჭიროებს კონკრეტულებს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ნებისმიერი მუქარა დასჯადი არ არის. არ შეიძლება დაისაჯოს ეჭვიანი მეუღლე, ქმარი, რომელიც ითხოვს ცოლისგან შეწყვიტოს ღამის კლუბებში სიარული თორე იმუქრება, რომ განქორწინდება მასთან, ვერც შეყვარებული ვაჟი დაისჯება კოცნით მუქარისთვის, მუქარა დასჯადია თუ ის მიმართულია სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან/და ქონების განადგურებისკენ, მაგრამ თუ ვაჟი გოგონას ემუქრება ცოლად შერთვის მიზნით მოტაცებით ეს წარმოადგენს თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუქარას, არის ფსიქიკური ძალადობა და დაზარალებულში საფუძვლიანი შიშის წარმოშობის გარემოებაა. გერმანიის კანონმდებლობას აღნიშნული გარემოებები გაანალიზებული აქვს და ამიტომ აყალიბებს მუხლის დისპოზიციაში „მისი ან მისი ახლობლის დაშინება სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით ან თავისუფლების ხელყოფით.“

საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის მეორე ნაწილით ქმედების დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება ჩადენილი ა. დამნაშავეისათვის წინაწარი შეცნობით, არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ. ბ.ჯგუფურად. გ.)არაერთგზის. დ. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

არასრულწლოვნად საქართველოს კანონმდებლობით ითვლება პირი, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია, თუმცა საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის მეორე ნაწილით არასრულწლოვანთან მიმართებაში ქმედების კვალიფიკაციისათვის მხოლოდ „არასრულწლოვნების ფაქტის დადგენა საკმარისი არ არის, კანონის მოთხოვნაა ეს გარემოება წინასწარ იყოს შეცნობილი ბრალდებულისათვის. დამნაშავემ უნდა იცოდეს, რომ ის დანაშაულს სჩადის 18 წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვნის მიმართ ეს ინფორმაცია დამნაშავემ შეიძლება მიიღოს, როგორც უშუალოდ დაზარალებულისგან ასევე სხვა მესამე პირისაგან, ან სხვა ფაქტობრივი გარემოებებიდან ნანახი აქვს არასრულწლოვნის ასაკის მიმანიშნებელი ნებისმიერი დოკუმენტაცია, ან ვიზუალური შეხედვით აშკარაა, რომ დაზარალებული ბავშვია. საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის მეორე ნაწილის „ ა“ ქვეპუნქტით კანონმდებელი ხაზს უსვამს სისხლის სამართლის კანონით დაცული ობიექტის, ადამიანის განსხვავებულობას მის განსაკუთრებულ მდგომარეობას და ამ პირთა მიმართ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კანონის გამკაცრებით გამოხატავს განსაკუთრებულ ზრუნვას ამ კატეგორიის დაზარალებულის მიმართ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად მიუხედავად იმისა პირი მოწმეა, დაზარალებული თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი 18 წლის ასაკამდე ის ითვლება არასრულწლოვანად.²⁰⁰

ასაკის განსაზღვრისას კანონმდებელი ითვალისწინებს პირის უნარს სრულად გააცნობიეროს თავისი ქმედების ან მის მიმართ მიმართული ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, სწორად უხელმძღვანელოს საკუთარ ქმედებას, 18 წლამდე პირი ითვლება, რომ არის შეზღუდულ ქმედუნარიანი, რადგან ასაკის გამო შეიძლება სრულად ვერ გააცნობიეროს მასთან დაკავშირებული მოვლენები.

200არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2877281>

უმნეო მდგომარეობად ითვლება პირის მდგომარეობა, როდესაც პირს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არა აქვს შესაძლებლობა რეალურად შეაფასოს არსებული ვითარება პირს არ გააჩნია საკუთარი თავის დაცვის უნარი და იძულებულია დაემორჩილოს მის მიმართ გამოყენებულ ქმედებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, ესენი არიან პირები, რომელთაც ფიზიკური თუ ინტელექტუალური შესაძლებლობებიც შეზღუდულია, ამ შეზღუდვის ხარისხის მიხედვით აღნიშნული პირები კლასიფიცირდებიან პირველი მეორე და მესამე ჯგუფის ინვალიდებად. შეზღუდული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ეს პირები მოკლებულნი არიან სრულყოფილ შესაძლებლობას დაიცვან თავიანთი მდგომარეობა, მაგალითად სენსორული დარღვევების მქონე უსინათლო პირი შეიძლება გამოირჩევა მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობით, მაგრამ შეზღუდულია მისი გარემოში ორიენტაციის და გადაადგილების უნარი, ქრომოსომული გენეტიკური ცვლილების სინდრომის (დაუნის სინდრომის) ადამიანებს აქვთ შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობები, ესენი არიან ადამიანები შეზღუდული შესაძლებლობით, რის გამოც თითოეულ მათგანს, მათი უფლების დაცვას სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება. ამიტომ ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა (1999 წლის რედაქციამ) უზრუნველყო ამ პირთა, როგორც კანონით დასაცავი განსხვავებული ინდივიდუალური სიკეთის, დანაშაულის ობიექტის განსაკუთრებული დაცვა და სისხლის სამართლის კოდექსის მთელ რიგ მუხლებში მათ შორის საქართველოს სსკ 151¹-ე მუხლში ამ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაული სამართლიანად შერაცხა ქმედების დამამძიმებელ გარემოებად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა არაერთგზის - დანაშაულის დეფინიცია მოცემულია საქართველოს სსკ მე-15-ე მუხლში. კანონის მიხედვით სსკ 151¹-ე მუხლის მეორე ნაწილისთვის არაერთგზის დანაშაული ნიშნავს წინათ საქართველოს სსკ 151¹-ე მუხლით ნასამართლევ პირის მიერ ამავე სსკ 151¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. დანაშაულის არაერთგზის ჩადენილად, რომ ჩაითვალოს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის პირი კანონით დადგენილი წესით არ უნდა იყოს გათავისუფლებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ უნდა ჰქონდეს. თუ პირმა ჩაიდინა საქართველოს სსკ 151¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული და გარკვეული პერიოდის შემდგომ კვლავ ჩაიდინა იგივე საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ისე, რომ ის პირველად ჩადენილი დანაშაულისათვის გასამართლებული არ ყოფილა მისი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის მეორე ნაწილით, როგორც არაერთგზის ჩადენილი დანაშაული, რამდენადაც პირველი დანაშაულის ჩადენისათვის მის მიმართ არ იარსებებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. ამ შემთხვევაში თუ არ დადგინდება, რომ ეს ორი დანაშაული ჩადენილი იყო ერთიანი მიზნით და ერთიანი განზრახვით, დროის გარკვეულ შუალედში (განგრძობადი დანაშაული) მაშინ სახეზე იქნება ორი დამოუკიდებელი, საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლით გათვალისწინებული ორი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის ნიშნით (სსკ-ის მე-16-ე მუხლი).

საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად, ჯგუფური დანაშაული მომეტებული საზოგადოებრივი საფრთხის შემცველია, ამიტომ ითვლება ჯგუფური დანაშაული პასუხისმგებლობის, დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად.

ჯგუფური დანაშაული სამი სახითაა წარმოდგენილი სისხლის სამართლის კოდექს-

ში (მუხლი 27-ე) მარტივი, რთული და ორგანიზებული ჯგუფი, მომეტებულ შემთხვევაში კანონი არ აკონკრეტებს ჯგუფური დანაშაულის ჩადენას წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ამდენად დამამძიმებელ გარემოებად მოიაზრება დანაშაული ჩადენილი საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი სახის ჯგუფის მიერ. კერძოდ მარტივი ჯგუფია როცა დანაშაულის ჩადენაში წინასწარ შეთანხმებლად მონაწილეობს ორი ან მეტი ამსრულებელი, რთული ჯგუფია როდესაც დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. აღნიშნული ჯგუფური დანაშაულის ორივე მოცემულობაში აუცილებელია ორი ან მეტი ამსრულებელი, ადვენების შემთხვევაშიც დანაშაული ჯგუფურადაა, რომ ჩაითვალოს საჭიროა გამოიკვეთოს სულ ცოტა ორი თანაამსრულებელი.

დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი თუ ის განხორციელდა დროის განსაზღვრულ პერიოდში ამსრულებელმა შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის ჯგუფმა, რომლის წევრებიც წინასწარ შეკავშირდებიან ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად, ორგანიზებული ჯგუფის დეტალური დეფინიცია მოცემულია საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3-ე და მე-4-ე ნაწილებით, ხოლო სტრუქტურული ფორმის ჯგუფის განმარტება გაერთიანებულია მუხლზე დართული შენიშვნით. სსკ-ის 151¹-ე მუხლის შემთხვევაში ალბად ძნელი წარმოსადგენია ამ დანაშაულის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენა, ამიტომ კანონმდებელმა სწორედ არ გამოყო ეს გარემოება კიდევ უფრო დამამძიმებელ გარემოებად და შემოიფარგლა ზოგადად დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის მცნებით.

საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის მეორე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებად ითვლება დანაშაულის ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ამ შემთხვევაში სამართლებრივ ურთიერთობაში შემოდის სპეციალური სუბიექტი, პირი, რომელიც დანაშაულის ჩასადენად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, აქ არ არის საუბარი თანამდებობრივ მდგომარეობაზე, შესაბამისად დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც საჯარო მოხელე და მასთან გათანაბრებული პირი ასევე არასაჯარო სტრუქტურებში, კერძო ნებისმიერი იურიდიული ფორმის მქონე სტრუქტურაში დასაქმებული პირი, რომელიც თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებს დანაშაულის ჩასადენად, ეს პირი შეიძლება იყოს, როგორც ხელმძღვანელ თანამდებობებზე ასევე რიგით პოზიციაზე დასაქმებული პირიან ტექნიკური მუშაკი, მთავარია, რომ მას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა შესაძლებლობას აძლევდეს, რომ ეს ვითარება გამოიყენოს დანაშაულის ჩასადენად.

სუბიექტურ მხრივ განსახილველი დანაშაული განზრახია და ამასთან მისი ჩადენა შეიძლება მოხდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით დამნაშავესა გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, რომ ის ახორციელებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ადვენებას. ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ამ შედეგის დადგომა.

დანაშაულის სუბიექტია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს 14 წლის ასაკს მიღწეული ნებისმიერი შერაცხადი პირი, მის სქესს, მოქალაქეობას საქართველოს თუ უცხო ქვეყნის მოქალაქეა იგი მნიშვნელობა არა აქვს და დანაშაული სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეიძლება ჩაიდინოს სპეციალურმა სუბიექტმა, რის შესახებაც ზემოთ იქნა აღნიშნული.

თუ რა შეცნობილი შინაგანი მამოძრავებელი ძალა უქმნის პირს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, რა არის დანაშაულის მოტივი ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს დანაშაულის მოტივი შეიძლება იყოს სხვადასხვა, ეჭვიანობა, შური. სიყვარული და სხვა.

რას შეეხება ქმედების სასურველ შედეგს, რომლის ჩადის დამნაშავე დანაშაულს, დანაშაულის მიზანს, ქმედების კვალიფიკაციისათვის ასევე მნიშვნელობა არა აქვს. დანაშაულის მოტივს და მიზანს მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სასამართლოს მხრიდან სასჯელის დადგენისას.

გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით სტალკინგის, ადევნების, დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია დამნაშავის მიერ დაზარალებულის ან მისი ნათესავის და მასთან დაახლოებული პირის, სიცოცხლის, და ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება. აღნიშნულ შემთხვევაში სასჯელი მკაცრდება 3 დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო თუ დამნაშავის ქმედება გახდება დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის სიკვდილის მიზეზი ამ შემთხვევაში სასჯელი განსაზღვრულია ერთიდან ატ წლამდე პატიმრობით.

ეს ორივე დამამძიმებელი გარემოება, შეიძლება გახდეს საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის თანმდევად, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით აღნიშნული შედეგი დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებული არ არის. თუ ადევნებას შედეგად მოყვა დაზარალებულის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, ან თუ შედეგად მოყვა ჯანმრთელობის რომელიმე ხარისხის დაზიანება ან დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, მისი თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულებრივი შედეგი ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით.

საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლით და შესაბამისად დანაშაულის მაკვალიფიცირებელი თანმდევი მუხლით, როგორც აღინიშნა განსახილველი დანაშაულის შემოტანა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სიახლეა და ამ მუხლით ჩადენილი დანაშაულის ანალიზი და პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელს გახდის შესაბამისი კორექტივები დაზუსტების თუ დამატებების სახით განხორციელდეს, როგორც მუხლის დისპოზიციაში ასევე ქმედების დამამძიმებელ გარემოებათა განსაზღვრაში.

რეზიუმე

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენცია და აღკვეთა მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ამას მოწმობს სტამბოლის 2011 წლის 11 მაისის კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ.“ ამ პრობლემის მოგვარების მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელდა მთელი რიგი ნოვაციები ერთერთი მათგანია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ადევნების დასახელებით 151¹-ე მუხლის შემოტანა. ადევნება სტალკინგი საქართველოში საკმაოდ გავრცელებული დანაშაულია, (ამ დანაშაულის კრიმინალიზების მოკლე პერიოდის მიუხედავად მხოლოდ მიმდინარე წლის 5 თვეში სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო 24 სისხლის სამართლის საქმეზე) შესაბამისად თემა აქტუალურია, მასში განხილულია დანაშაულის ობიექტი. ობიექტური და სუბიექტური მხარის მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის ხერხი, მოტივი და მიზანი, წარმოდგენილია გერმანიის კანონმდებლობის მიდგომა ამ დანაშაულის მიმართ.

საკითხის აქტუალობიდან და მოცემული დანაშაულის კრიმინალიზაციის მოკლე დროის გათვალისწინებით, შესაძლებელია საჭირო გახდეს მუხლის დისპოზიციის შემდგომი დახვეწა დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებათა კორექტირება, რისთვისაც უნდა მოხდეს მოცემულ დანაშაულთა საქმეების განზოგადება, ჩადენილ დანაშაულთა ანალიზი და შესაბამისი საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღება.

RESUME

Prevention and elimination of violence against women and domestic violence is an important challenge for the World community, as evidenced by the Convention on Prevention and Elimination of Violence Against Women and Domestic Violence” concluded in Istanbul on May 11, 2011. In order to solve this problem, a number of innovations were introduced in Criminal Law of Georgia; one of them is the introduction of Article 151¹ into the Criminal Code of Georgia under the name “Unwanted Obsessive Attention”.

“Unwanted Obsessive Attention” - stalking - is a very common phenomenon in Georgia (despite the short period of criminalization of this crime, only this year, in just five months, criminal prosecution was started in 24 criminal cases). Thus, the topic is arguable, in it is considered the object of the crime, the characteristics of the objective and subjective side, the method of committing the crime, the motive and the goal, an approach is presented in the German legislation with respect to this type of crime.

Taking into account the seriousness of this issue and the short period of criminalization of this type of crime, further improvement of the article, correction of the aggravating circumstances of the crime, may be required. To this end, it is necessary to analyze and summarize the cases of these crimes and take an appropriate legislative decision.

РЕЗЮМЕ

Профилактика и предотвращение насилия в отношении женщин и насилия в семье является важным вызовом для Всемирного сообщества, о чем свидетельствует заключенная в Стамбуле 11 мая 2011 года Конвенция «О профилактике и предотвращении насилия в отношении женщин и насилия в семье». Для решения этой проблемы в уголовное законодательство Грузии был введен ряд нововведений. Одним из них является внесение статьи 151¹ в Уголовный кодекс Грузии под названием «нежелательное навязчивое внимание». «Нежелательное навязчивое внимание» - stalking – в Грузии весьма распространенное явление (несмотря на короткий период криминализации данного преступления, только в текущем году всего за пять месяцев было начато уголовное преследование по 24 уголовным делам). Таким образом, тема актуальная, она рассматривает объект преступления, характеристики объективной и субъективной стороны, метод совершения преступления, мотив и цель, представлен подход в немецком законодательстве в отношении преступления данного типа.

Принимая во внимание серьезность этого вопроса и краткий период криминализации указанного вида преступления, может потребоваться дальнейшее совершенствование статьи, корректировка отягчающих обстоятельств преступления. С этой целью необходимо проанализировать и обобщить дела по указанным преступлениям и принять соответствующее законодательное решение.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
3. საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2877281>
4. გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია თბილისი 2004 წელი გამომცემლობა „მერიდიანი“

5. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში <http://www.geostat.ge/?lang=-geo>
6. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი
7. https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p1986
8. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3789678>
9. 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ
10. 2011 წლის 11 მაისს სტამბოლში მიღებული ევროსაბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“

6. მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში

**მაგისტრანტი
უშანგი ვარდანაშვილი**

სტატიაში განვიხილავ სისხლის სამართლებრივ სივრცეში არსებულ ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს როგორც არის „მიზეზობრივი კავშირი“. მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელი სისხლის სამართლის დოგმატიკის ერთ-ერთი კლასიკური პრობლემათაგანია. ამდენად, სწორედ მისი აქტუალობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიმაჩნია საკვლევი თემის სიღრმისეული შესწავლა.

საქართველოს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა, წინა კოდექსებისა და ამ მხრივ, მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისაგან განსხვავებით ნორმატიულად განსაზღვრა მიზეზობრივი კავშირი. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე ავლნიშნავ, რომ მიზეზობრივი კავშირი მატერიალური დანაშაულის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანია. მის გარეშე შეუძლებელია პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ეს იმას ნიშნავს, რომ დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი აუცილებლად მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს პირის მიერ ჩადენილ ქმედებასთან. ამდენად, გვერდს ვერ აუვლით იმის აღნიშვნას, რომ მიზეზობრივი კავშირი, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფილოსოფიური საკითხი სისხლის სამართალში. ამასთან, დიდია მისი სამართალგამოყენებითი მნიშვნელობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის გარეშე შეუძლებელია შედეგიანი დანაშაულის და კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის დამთავრებულად გამოცხადება.

როგორც უკვე ავლნიშნე, მიზეზობრივი კავშირის პრობლემა სისხლის სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა და იგი საგანგებოდ გამოიკვლია პროფესორმა თინათინ წერეთელმა და უპირველესად მის შეხედულებებს შევეხები. თუმცა ამასთანავე, ნაშრომზე მუშაობისას არგუმენტირებული მსჯელობისათვის დამეხმარა ცნობილი ქართველი იურისტების შოთა ფაფიაშვილის, გურამ ნაჭყებია, ოთარ გამყრელიძის, მზია ლეკვეიშვილის, ნინო გვენეტაძის, მერაბ ტურავას, ჯემალ გაბელიას და სხვათა შეხედულებები. თითოეული მათგანის როლი მნიშვნელოვნად დიდია და საპატიო ადგილიც უკავიათ ქართულ სისხლის სამართლებრივ სივრცეში. მოცემული ნაშრომის მიზანია განსახილველი ინსტიტუტის

ჩამოყალიბების ისტორიული რაკურსის წარმოჩენა, მიზეზობრივი კავშირის არსებული თეორიებიდან, რომელთა რაოდენობა ოცზე მეტია, უმნიშვნელოვანესის გამოყოფა და მათი დეტალური გაშუქება, იმ წინააღმდეგობების წარმოჩენა, რაც შეიძლება არსებობდეს, მათი პრაქტიკული გამოყენებისას.

ცალკე გამოყოფილი მიზეზობრივი კავშირის განყვეტის პრობლემას და მოკლედ შევჩერდები მასზე, რისთვისაც მოვიტან გერმანული სისხლის სამართლის დოქტრინაში გავრცელებულ პოსტულატებს, სადაც ეს საკითხი, ისევე როგორც მთლიანად მიზეზობრივი კავშირი, მასზე მუშაობის დიდ ისტორიას ითვლის. შევეხები აგრეთვე მიზეზობრივი კავშირის ისეთი ფუნდამენტალური საკითხის გაშუქებას როგორცაა უმოქმედობის მიზეზობრიობის პრობლემა. ამასთანავე, გვერდს ვერ ავუვლი და ყურადღების ეპიცენტრში მოვაქცევ განსახილველი ინსტიტუტის ზოგად-ფილოსოფიურ ასპექტებსაც.

ანტიკური სამყაროდან იწყება, მიზეზობრიობის გააზრების დინამიკა. უკანასკნელი ამ ეპოქის აზროვნების მაღალი დონის შესაბამისად არის დასმული და არაერთ განზომილებაში განხილული. მიზეზის განმარტება უკვე სოკრატემდელ ფილოსოფიაში გვხვდება. დემოკრიტე და მისი თანამედროვე ბერძენი ფილოსოფოსები სამყაროს პირველმიზეზს მატერიაში - ატომებში ხედავდნენ. მიზეზობრიობის გაგება სხვადასხვაგვარად არის წარმოჩენილი პლატონთან და არისტოტელესთან.

მაგალითად: პლატონმა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში - „სახელმწიფო“, როდესაც იდეალური სახელმწიფოს შექმნის აუცილებელ კრიტერიუმებს აყალიბებს, აყენებს მიზეზობრიობის გაგების თვისობრივად განსხვავებულ თავისებურებებს.

სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირის შესახებ მსჯელობას, ადგილი აქვს უკვე XIV საუკუნიდან. როდესაც იტალიელი მეცნიერები ცდილობდნენ ამ საკითხის წინ წამოწევით შეეზღუდათ სიკვდილით დასჯის გამოყენება მკვლელობისათვის. პრობლემის განსაკუთრებულ აქტუალობას, ამ დროს, განაპირობებდა ის გარემოება, რომ მანამდე მკვლელობის ყველა შემთხვევა, იწვევდა სიკვდილით დასჯას, მათ შორის გახშირებული დუელებიც კი.

განსახილველ საკითხთან მიმართებით აღსანიშნავია რა, რომ თეორიას, რომელიც XIV-XVII საუკუნეების სისხლის სამართლებივ აზროვნებას გამოხატავს „კრიტიკული ვადების თეორიას“ უწოდებენ. XIX საუკუნის დასაწყისში ხდება ამ თეორიის უარყოფა შტუბელისა და ანსელმ ფოიერბახის მიერ. შტუბელს ზოგი ექვივალენტური თეორიის დამაარსებლად მიიჩნევს თუმცა მე არ ვეთანხმები ამ აზრს რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ როცა გადავალ უშუალოდ ექვივალენტურობის თეორიის განხილვაზე.

„კრიტიკული ვადების თეორიის“ თანახმად, ჭრილობის მიყენებასა და სიკვდილს შორის მიზეზობრივი ურთიერთობის ცნობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, კრიტიკული ვადების გასვლა - საფრანგეთში ორმოცი დღე, ინგლისში წელიწადი და ერთი დღე.²⁰¹

უახლოეს ისტორიაში გამოიკვეთა მიზეზობრიობის გაგებისა და აღქმის განვითარების ტენდენცია. შემუშავებულ იქნა მიზეზობრივი კავშირის არაერთი თეორია რომელთაგან მიზანშეწონილად მიმაჩნია უმნიშვნელოვანესის გამოყოფა და მათი დეტალური გაშუქება. ამ თეორიების განხილვა კი ფილოსოფიისგან განყენებულად წარმოუდგენელია რადგან ჰიუმის ფილოსოფია დაედო საფუძვლად ექვივალენტობის თეორიას, ჰიუმი ასევე იკვლევს კაუზალურობის პრობლემასაც. ინგლისელი პოზიტივისტი ფილოსოფოსი ჯონ სტიურტ მილის აზრით მიზეზი არის ერთად აღებულ დადებით და უარყოფით მოვლენათა სრული ჯამი, მთელი ერთობლიობა ყოველგვარი შემთხვევითობებისა, რომელთა არსებობა იწვევს შედეგს. თვისობრივი ახსნა ჰქონდა

201 Малинин В.В. Причинная связь в уголовном праве. Санкт-Петербург. 2000. С. 28.

მიზეზობრიობას კანტთან მისი სწავლებით იგი აპრიორული კატეგორიაა.²⁰² ამდენად, ყველა თეორიას ჰყავს თავისი წარმომადგენელი ფილოსოფოსი.

ბუნებრივია, ეს ქრონოლოგიური პირამიდა ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს მიზეზობრივი კავშირის აღქმისა და გააზრების, როგორც არსებითად მსგავს ისე არსებითად განსხვავებულ თავისებურებებს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ღრმა ექსკურსი, ვფიქრობ, ძალიან, რომ არ გაგვიგრძელდეს საკითხის ისტორიულ-ფილოსოფიურ ასპექტებზე საუბარი გადავალ ქართულ სისხლის სამართლებრივ სივრცეში მიზეზობრივ კავშირთან დაკავშირებით არსებული ძირითადი საკითხების გახილვას.

ავლნიშნავ, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მიზეზობრიობის პრობლემა საკმაოდ კარგადაა დამუშავებული და ეს სიკარგე პროფესორ თინათინ წერეთლის სახელთან არის დაკავშირებული. სწორედ ამის გამოა, რომ თ. წერეთლის შეხედულებამ გავლენა მოახდინა მოქმედ კანონმდებლობაზეც. სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი ამის უტყუარი საბუთია. სწორედ უკანასკნელი, მუხლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: მიზეზობრივი კავშირის დადგენა გვჭირდება მხოლოდ შედეგიან დანაშაულებში ან კონკრეტული საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის დროს.²⁰³ ზოგჯერ მიზეზობრივი კავშირი შედეგთან უდავოა, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როდესაც შერაცხვის ეს მარტივი კლასიკური სქემა არ არის გამოსადეგი, რის გამოც შედეგი ობიექტური შერაცხვის დროს ხდება სხვადასხვა ნორმატიული ასპექტების გათვალისწინება. მაგ: დაზარალებულის მიერ თვითსაფრთხის შექმნა. მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს ობიექტური შერაცხვის აუცილებელ წინაპირობას. მიზეზობრივი კავშირის თეორიებით, მოქმედებით ჩადენილ განზრახ დანაშაულებში დგინდება მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილ დელიქტებში - წინდახედულობის ნორმით დადგენილ მოვალეობათა დარღვევის კავშირი დამდგარ შედეგთან.²⁰⁴

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია რა, რომ უცხოურ სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში ყველაზე მეტად პოპულარულია როგორც მეცნიერებაში ისე სასამართლო პრაქტიკაში ორი თეორია: პირველი-ეს არის ექვივალენტურობის ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორია და მეორე -ადეკვატურობის თეორია.²⁰⁵ XX საუკუნის ცნობილი ქართველი სისხლის სამართლის სპეციალისტის, პროფესორის თინათინ წერეთლის სამეცნიერო შრომებიდან ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ძირითად თეორიათა შორის გამოარჩევდა ძირითადს. მან წინა პლანზე წამოწია ექვივალენტურობის (პირობათა) თეორია. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ექვივალენტობის (პირობათა) თეორია XIX საუკუნის პირმშოა. მას, პირდაპირი კავშირი აქვს ამ პერიოდის ინგლისის პოზიტიურ, აგნოსტიკურ ფილოსოფიასთან, რომლის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები არიან დავიდ ჰიუმი და ჯონ სტიუარტ მილი. თეორიის დამაარსებელი გახლავთ ავსტრიელი პროცესუალისტი იოჰანეს გლაზერი, მისი შემდგომი განვითარება კი დაკავშირებულია გერმანიის საიმპერიო სასამართლოს სისხლის სამართლის სენატის წევრის - მაქსიმილიან ფონ ბურის სახელთან.

უპირველესი, რაც ამ თეორიის დასახასიათებლად უნდა ითქვას, გახლავთ ის, რომ

202 ირაკლი თაბორიძე, მიზეზობრივი კავშირის თეორიები, აღმანახი 2004 №19, სისხლის სამართალი (III)

203 გ. ლობჯანიძე, ა. ტუკვაძე, გ. ჯაოშვილი, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, ქ. თბილისი, 2012 წ. გვ. 93

204 სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), ავტორთა კოლექტივი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი, 2016 წ. (იხ. სსკ-ის მე-8 მუხლის კომენტარი)

205 თ. წერეთელი, მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში, ქ. თბილისი, 1963 წ. გვ. 19-20

იგი არ განარჩევს მიზეზს და პირობას, როგორც თვისობრივად განსხვავებულ დეტერმინანტებს.²⁰⁶ ორი - „პირობათა ტოლფასოვნების“ და „აუცილებელი პირობის“ დებულება შეადგენს ექვივალენტობის თეორიის ორ მთავარ პოსტულატს. უკანასკნელს მრავალი მეცნიერი პირობითად, თეორიის ყველაზე ღირებულ ნაწილად მიიჩნევს, ვინაიდან ის მიზეზობრივი კავშირის მის განვითარებაში განხილვის საშუალებას იძლევა და იზღუდება მხოლოდ ქმედებითა და შედეგით.

ამ თეორიის მიხედვით ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისათვის თანაბარმნიშვნელოვანს (ექვივალენტურს) წარმოადგენს, თუკი დადგინდება, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა.

აქვე, დავსვამ ასეთ კითხვას - რა ხდება მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ? ბუნებრივია, შედეგის შერაცხვა უნდა მოხდეს სამ ეტაპად:

ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე - შედეგის ობიექტური შერაცხვა;

ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე - შედეგის სუბიექტური შერაცხვა (გაუფრთხილებელ დანაშაულს არა აქვს სუბიექტური შემადგენლობა);

ბრალის ეტაპზე - შედეგის ინდივიდუალური შერაცხვა.

XIX საუკუნის ბოლოს ექვივალენტობის თეორიის ნორმატიული გზით შეზღუდვის ინიციატივით გამოდის ადეკვატურობის თეორია. ეს თეორია, განსხვავებით ექვივალენტურობის თეორიისგან ემხრობა მიზეზისა და პირობის ერთმანეთისაგან გამიჯვნას.²⁰⁷

აღსანიშნავია რა, რომ მიზეზობრივი კავშირის დადგენისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს ის მომენტი, რომ ამა თუ იმ ქმედების ჩადენის დროს დამდგარი შედეგის გამონვევა გარკვეულწილად სავარაუდებელი იყო თუ არა. ამ მომენტის დასაბუთება კი ხდება შემდეგნაირად, ქმედება მაშინ ჩაითვლება შედეგის ადეკვატურ პირობად, თუ მისმა ჩადენამ შედეგის დადგომის ობიექტური შემადგენლობა არაუმნიშვნელოდ აამაღლა. ანუ ეს თეორია ატიპიურ მოვლენების დროს ობიექტურ შერაცხვას გამოირიცხავს. არატიპიური პირობები არ აიყვანება მიზეზის ხარისხში.²⁰⁸ ამ თეორიის არსი კარგად აქვს ფორმირებული პროფესორ თინათინ წერეთელს.

რელევანტურობის თეორია - დამდგარი შედეგის ობიექტური შერაცხვის შესაძლებლობის უარყოფას ცდილობს მიზეზობრიობის ეტაპზე. იგი ეკვივალენტურობის (პირობათა) თეორიას იმეორებს და მას უმატებს კიდევ ერთ პირობას, რომ ქმედება სისხლისსამართლებრივი კრიტერიუმებით აგრეთვე რელევანტური უნდა იყოს, რომ მოხდეს მისი ობიექტურად შერაცხვა.²⁰⁹

ალტერნატიული, ანუ ორმაგი მიზეზობრიობა სახეზეა იმ შემთხვევაში, როცა შედეგი გამოიწვია ორმა ან მეტმა ქმედებამ (პირობამ), მაშინ, როდესაც თითოეული ამ პირობათაგანი სავსებით საკმარისი იყო შედეგის დადგომისათვის. ალტერნატიული მიზეზობრიობა განსხვავდება იმ შემთხვევებისაგან, როცა უტყუარად ვერ დგინდე-

206 გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი, 2007 წ. გვ. 122

207 ეს თეორია იძლევა პასუხისმგებლობის დასაბუთების ზედმეტად ფართო, სხვა შემთხვევაში კი, ზედმეტად ვიწრო ჩარჩოებს და ამის გამო არ მოიცავს შედეგის შერაცხვის სისხლის სამართლებრივად რელევანტურ პირობებს.

208 შენიშვნა: ადეკვატურობის თეორიამ ვერ შეძლო მის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების ზუსტი კრიტერიუმების შექმნა. მისი დოგმატური სისუსტე მდგომარეობს იმაში, რომ ადეკვატურობის თეორიამ სცადა ექვივალენტურობის თეორიის ნაკლოვანებების გამოსწორება იმთავითვე მცდარი მიმართულებით. ეს თეორია უარყოფს მიზეზობრივი კავშირის არსებობას იქ, სადაც მხოლოდ პასუხისმგებლობის დამასაბუთებელი რელევანტურობაა უარსაყოფი. ვერ ანსხვავებენ მიზეზობრივი ურთიერთობების ფაქტის დადგენას ამ ურთიერთობების დანაშაულებრივ მიზეზობრიობად შერაცხვისაგან.

209 თ. წერეთელი, გ. ტყემელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, ქ. თბილისი, 1957 წ. გვ. 211-212

ბა, ორი ან მეტი პირობიდან უშუალოდ თუ რომელმა გამოიწვია სასიკვდილო შედეგი. ასეთ შემთხვევაში, ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ალტერნატიული მიზეზობრიობა გვაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უტყუარად დადგინდება, რომ ორიან მეტი ქმედებიდან თითოეული მათგანი ცალკე აღებული სავესებით საკმარისი პირობა იქნებოდა შედეგისათვის.

კუმულაციური მიზეზობრიობა არსებობს იმ შემთხვევაში, როცა შედეგი გამოიწვია ორმა (ან მეტმა) ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა ქმედებამ, მაგრამ თითოეული ქმედების ჩამდენი პირის წარმოდგენით მის მიერ შესრულებული ქმედება სავესებით საკმარისი იყო შედეგის დასადგომად. ამასთან, მათ არ იცოდნენ ერთმანეთის მოქმედებისა და განზრახვის შესახებ. მართალია ამ დროს მიზეზობრივი კავშირი არსებობს, მაგრამ ვინაიდან შედეგი მხოლოდ ერთობლივი ქმედების შედეგად დგება ერთიანი განზრახვის გარეშე, პირს არ შეიძლება ობიექტურად შეერაცხოს შედეგი, რომლის ავტორიც იგი ვერ იქნებოდა, თუ არა მეორე პირის მოქმედება. კუმულაციური მიზეზობრიობა არის ის შემთხვევა, როცა ობიექტური შეერაცხვის თეორია გამოიყენება, რათა, მიზეზობრივი კავშირის არსებობის მიუხედავად, ქმედების ობიექტური შემადგენლობის ეტაპზევე დამთავრებული დანაშაულისათვის დასჯადობა იქნეს უარყოფილი.²¹⁰

ჰიპოთეტური მიზეზობრიობა არსებობს იმ შემთხვევაში, როცა ქმედებამ გამოიწვია (დააჩქარა) შედეგი, რომელიც მოგვიანებით სხვა მიზეზით, რომელიც მესამე პირის მიერ არ იყო შექმნილი, მაინც დადგებოდა. ჰიპოთეტური მიზეზობრიობის დროს შედეგი ყოველთვის ობიექტურად შეერაცხება იმ პირს, ვინც თავისი მოქმედებით შედეგის დადგომა გამოიწვია (დააჩქარა).

სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს ე.წ. „განწყვეტილ მიზეზობრიობას“ რომელიც იმით განსხვავდება ჰიპოთეტური მიზეზობრიობისაგან, რომ ჩადენილი ქმედებაც აუცილებლად გამოიწვევდა შედეგს, მაგრამ შედეგის დადგომამდე ჩადენილ იქნა სხვა ახალი მოქმედება, რომელმაც შედეგი მანამდე უშუალოდ გამოიწვია. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს პირველი მოქმედების მიზეზობრივი კავშირი შედეგთან, რადგან იგი განყდა.²¹¹

ამასთანავე, არსებობს, მიზეზობრიობის შემთხვევათა ისეთი ჯგუფი, რომელსაც პირობითად „გამსწრები მიზეზობრიობა“ ეწოდება. ამ შემთხვევაშიც, მართალია, უშუალო შედეგი ახალმა მოქმედებამ გამოიწვია, მაგრამ თავდაპირველი მოქმედების გარეშე ეს შედეგი არ დადგებოდა, ე.ი. პირველი მოქმედებაც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, რის გამოც შედეგი ობიექტურად მასაც შეერაცხება და არა მარტო იმას, ვინც ასეთი შედეგი უშუალოდ გამოიწვია.²¹²

ადამიანის უმოქმედობა ფართო ცნებაა როგორც სამართლებრივი ისე ფილოსოფიური ასპექტების მხედველობაში მიღებით. ამიტომ არ შეიძლება, რომ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ შედეგთან მიზეზობრივად ყოველგვარი უმოქმედობა იყოს დაკავშირებული. კანონის თანახმად უმოქმედობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს მიზეზობრივად დაკავშირებული ასეთ შედეგთან ან შედეგის წარმოშობის კონკრეტულ საფრთხესთან, როცა ადამიანს ჰქონდა „მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული“. ასე, რომ თუ მიზეზობრიობა მოქმედების დროს ფაქტობრივი ხასიათისაა და რეალურ ცხოვრებაში მიმდინარეობს, უმოქმედობის მიზეზობრიობა ნორმატიული ხასიათისაა.

210 მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-9 გამოცემა), გამომცემლობა - „მერიდიანი“, ქ. თბილისი 2013 წ. გვ. 96

211 მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-9 გამოცემა), გამომცემლობა - „მერიდიანი“, ქ. თბილისი 2013 წ. გვ. 102

212 იქვე:

თუმცა ნორმატიული მიზეზობრიობა შემდეგ ფაქტობრივი ხასიათს იძენს და რეალურ ცხოვრებაში ინვესს ჩვლილებებს.²¹³ სისხლის სამართლის კანონი იცნობს ორის სახის უმოქმედობას: 1. წმინდა უმოქმედობის დელიქტს (მაგალითად, სსკ-ის 129-ე მუხლი „დაუხმარებლობა“ და 2. შერეული უმოქმედობის დელიქტს (მაგ.: სსკ-ის 108-ე მუხლი „განზრახ მკვლელობა“). ამასთანავე, როცა უმოქმედობის მიზეზობრიობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა წმინდა უმოქმედობის, არამედ შერეული უმოქმედობის დელიქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინდა დავასკვნა, რომ მე შევეცადე ამომწურავად წარმომედგინა ქართულ სისხლის სამართლის სივრცეში არსებული ისეთი ურთულესი ინსტიტუტის რაობა, როგორცაა მიზეზობრივი კავშირი. განხილულ საკითხთან მიმართებით სიახლის წარმოჩენა რთულია, მეტწილად მკრეხელობაც არის ან რა უნდა ითქვას ახალი როცა მიზეზობრიობის პრობლემა თავის დროზე ამომწურავად თვით პროფ. თინათინ წერეთელმა დაამუშავა. ამდენად, მოკლე რაკურსით მიმოვიხილე მიზეზობრივი კავშირი თავისი ისტორიულ-ფილოსოფიური ასპექტების ექსკურსით, ვიხელმძღვანელებ რა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლით რომლის ანალიზის საფუძველზეც შევეცადე ამეხსნა მიზეზობრივი კავშირის ადგილი სისხლის სამართლებრივ სივრცეში, ამრიგად დაისვა და შესაბამისად გაეცა პასუხი ისეთ კითხვებს როგორცაა: რა შემთხვევაში და რა დროს გვჭირდება მიზეზობრივი კავშირის დადგენა? მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს კი, ობიექტური შერაცხვის აუცილებელ პირობას? რა ხდება მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ? რა შეგვიძლია ვთქვათ, უმოქმედობის მიზეზობრიობაზე? ამასთანავე, ლიტერატურაში არსებულ უამრავ თეორიათა შორის გამოვარჩიე შედარებით მნიშვნელოვანი და მოვახდინე მისი დეტალური გაშუქება. მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში სადისკუსიო პრობლემათა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის შესწავლაც დღითი დღე მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე სამყაროში საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისა და სოციალურად საშიშ ქმედებათა ახალი ფორმების გამოვლინების ფონზე. საკითხი აქტუალურია მით უფრო იმ ფონზე, რომ შემუშავებულია მიზეზობრიობის არაერთი თეორია, მაგრამ თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა მიზეზობრივი კავშირის დადგენის საკითხისადმი, რაზედაც ვფიქრობ სამომავლოდ უნდა გადაიდგას მკვეთრი და ნაყოფიერი ნაბიჯები ვინაიდან რადგანაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის გარეშე წარმოუდგენელია ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების სიღმისეული შესწავლა.

რეზიუმე

ნაშრომში ზოგად ასპექტებში განხილული და გადმოცემულია მიზეზობრიობასთან დაკავშირებით არსებულ ცალკეულ ავტორთა შეხედულებები. სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირის დადგენის არსი და მნიშვნელობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის თვალთახედვით.

RESUME

In the work there are discussed and told the opinions connected to the causality by separate authors. In Criminal Law establishing of causality connection essence and meaning according to the point of view of the eighth chapter of Criminal Law of Georgia.

213 აქვე, მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-9 გამოცემა), გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი 2013 წ. გვ. 104

РЕЗЮМЕ

В труде в общих аспектах рассмотрены и переданы существующие взгляды отдельных авторов в связи с причинностью. В криминальном праве, сущность и значение установления причинностной связи – согласно главе восемь криминального права Грузии.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2018 წლის 10 მარტის მდგომარეობით
2. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), ავტორთა კოლექტივი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი, 2016 წ.
3. ა. შენგელია, თ. დოლიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო), გამომცემლობა - "იურისტების სამყარო", ქ. თბილისი, 2016 წ.
4. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი, 2007 წ.
5. გ. ლობჯანიძე, ა. ტუკვაძე, გ. ჯაოშვილი, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, ქ. თბილისი, 2012 წ.
6. თ. დონჯაშვილი, რედ. შ. ფაფიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილი, ქ. თბილისი, 2007 წ.
7. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, ქ. თბილისი, 1957 წ.
8. თ. წერეთელი, მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში, ქ. თბილისი, 1963 წ.
9. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი, 2013 წ.
10. ირაკლი თაბორიძე, მიზეზობრივი კავშირის თეორიები, ქ. თბილისი, აღმანახი 2004 №19 სისხლის სამართალი (III)
11. მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მე-9 გამოცემა), გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი 2013 წ.
12. მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი, 2011 წ.
13. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, ქ. თბილისი, 2010 წ.
14. შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი, 2013 წ.
15. შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, ტომი 1 - დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა, გამომცემლობა - "მერიდიანი", ქ. თბილისი, 2007 წ.
16. Малинин В.Б. Причинная связь в уголовном праве. Санкт-Петербург. 2000.
17. http://www.bt.pvt.ge/blog/kmedebis_obiekturi_shemadgenloba/2016-10-25-49 -უკანასკნელი იქნა გადამონმეებული 01.05.2018
18. <https://www.youtube.com/watch?v=H7qdvQmiTJg> - ვიდეო ლექცია №1. დავით სალუქვაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თავისუფალი უნივერსიტეტი. უკანასკნელი იქნა გადამონმეებული 01.05.2018

1. ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და ევნისტიკური კვლევის მეთოდები სამართალში

პროფესორი

გივი ლობჯანიძე

მეთოდოლოგიას ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ადრე, უძველეს დროსა და შუა საუკუნეებში მუშავდებოდა მეთოდოლოგიურ-სამართლებრივი პროფილის პრობლემატიკა, როგორც ცალკე მიმართულება, ხოლო XX საუკუნის შუაწლებიდან სამართლის მეთოდები იწყებს ჩამოყალიბებას, სასწავლო დისციპლინის სახით.

სამართლის მეთოდების ცალკე გამოყოფის საკითხი უფრო აქტუალური გახდა გასული საუკუნის ბოლოს. მაშინდელ იურიდიულ ლიტერატურაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა მოსაზრება და ფაქტობრივად გამოყოფდნენ სამართლის თეორიიდან სხვადასხვა ფილოსოფიურ კატეგორიებს და უსახავდნენ მას განსაკუთრებულ მიზნებს²¹⁴

სამართლის მეთოდები პირველად ქართულ სამართლებრივ სივრცეში გამოჩნდა ცნობილი გერმანელი იურისტების სავიგნისა და ციპელიუსის ნაშრომებით. მანამდე კი მეცნიერთა ნაწილის აზრით, იურისპრუდენცია შედგებოდა სამი პირობითი ნაწილისაგან: იურიდიული დოგმატიკა, პოზიტიური სამართალი და სამართლის ისტორია.

იურიდიული დოგმატიკისათვის, რომელიც დაკავებულია მოქმედი (პოზიტიური) სამართლით და წარმოადგენს „იურიდიულ ხელობას“, საკმარისი არ არის ემპირიული ცოდნა და ამიტომ მოითხოვს სამართლის მეთოდების დახვეწა-განვითარება, რამაც გამოიწვია „სამართლის შემეცნების გონივრულ საფუძველს“ დამატებოდა მეთოდოლოგია.

პარალელურად სამართლის ისტორია მონოდედებული იყო ეჩვენებინა, რომ სამართალი ყალიბდება ისტორიულადაც და არ იქმნება მარტო კანონმდებლის მიერ.

სამართლის მეთოდოლოგია არ არის „შიშველი შესაძლებლობის ნაწილობრივი მეტაფიზიკა, ნაწილობრივი პოლიტიკა სამართლის მიზანშეწონილობასთან მიმართებაში, არამედ არის მისი განხორციელების ხერხი და საშუალება“²¹⁵

პოზიტიური სამართლისა და სამართლის ისტორიულობა მის განმარტებაში რაციონალისტურ და პოზიტიურ ხასიათს ატარებდა და მიმართული იყო გონივრული სამართლის ბუნებით, ამიტომ სამართლის მეთოდოლოგია ფილოსოფიური ხასიათის დისციპლინაა და არა მარტო იურიდიული. თუმცა, არსებობდა მეტ-ნაკლებად განსხვავებული აზრიც „პოზიტიურ სამართალში ის რაც კანონზომიერია, არის იმის შემეცნების წყარო, რაც არის სამართალი, ან კაცმა რომ თქვას, რაც არის სამართლიანი.

ამით პოზიტიური მეცნიერება არის ისტორიულიც, რომლის პრინციპად ითვლება ავტორიტეტი. ყველაფერი დანარჩენი – განსჯის საგანია და ეხება გარკვეულ წესრიგს. შეფასებას, თანამიმდევრობას, შემდგომ გამოყენებას და სხვა იურიდიულ

214 Sternberg, Eintuhrung in ie Rechtswisseneche ft. Teid. 1917, 171

215 Hugo G., Beitrhge zur zivilischen Bueherkenntnis, Berlin, 18 23. B. is 372

მეცნიერებას. ჰეგელი აფასებს, როგორც „გონებით მეცნიერებას“ და ამტკიცებს, რომ გონების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს. და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იურისპრუდენციის განსაზღვრა და ცნებების განმარტება დაკავშირებულია დედუქციასთან ანუ პროცესში ერთვება მეთოდოლოგია. მეცნიერებათა დიდი პროცენტის აზრით სამართლის მეთოდები არის ფილოსოფიის ნაწილი, ამიტომ სამართლის მეცნიერების განვითარება სხვათა განვითარებაზეცაა დამოკიდებული.

შესაბამისად, მეცნიერებას სამართლის შესახებ აქვს საგნად სამართლის იდეა – სამართლის გაგება, მისი განხორციელება, რაც მიიღწევა მეთოდების საშუალებით. სამართლის მეთოდების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მიღწეულ იქნას სამართლის საფუძველში ჩადებული აზრების წვდომა, ეს კი მხოლოდ სწორად შერჩეული მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი.

სამართლის მეთოდების საგნის განმარტება განპირობებულია უკვე მისი ფილოსოფიური კატეგორიებით აზროვნებისა და ყოფიერების, გონივრულისა და სინამდვილის სიახლოვეთ. აქედანაა სამართლის მეთოდების დანიშნულება „ჩანვდეთ იმას, რაც არის, რამეთუ ის, რაც არის არის გონება“. სამართლის მეთოდების საგნისა და ამოცანების ჩამოყალიბებას მკვეთრად განსაზღვრავს პოზიტიური სამართლისა და ბუნებითი სამართლის შინაარსობრივი მხარე.

როგორც თვითონ მეთოდოლოგია, ისე შესაბამისი სამართლის მეთოდების განმარტებები ახდენდნენ და დღესაც ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მთელ იურიდიულ მეცნიერებაზე, მის ფარგლებში განვითარებად ფილოსოფიურ-სამართლებრივ მდგომარეობაზე და კონცეფციებზე, მაგრამ იურისპრუდენციაც მნიშვნელოვნად მოქმედებს სამართლებრივი მეთოდების ჩამოყალიბებაზე. ასეთი ურთიერთგავლენა და ურთიერთხემოქმედება ფილოსოფიისა და იურისპრუდენციისა ამა თუ იმ ზომით ახასიათებს ყველა სამართლებრივ მოვლენას.

მეთოდოლოგიის, როგორც მეცნიერული პროფილის და როგორც სასწავლო დისციპლინის კუთვნილების შესახებ, რამდენიმე მიდგომა არსებობს. თუ საუბარია მეთოდოლოგიის შესახებ, მთლიანობაში საქმე გვაქვს დისციპლინათა შორის — მეცნიერებაზე, მაგრამ თუ ვიმსჯელებთ სამართლის მეთოდებზე, საქმე გვექნება მინიმუმ, ორი – იურიდიულ და ფილოსოფიურ მეცნიერების ამა თუ იმ საწყისთან. ასე რომ ეს დისციპლინათაშორისი კომპონენტი ითვლება საერთოდ ყველა ვერსიისათვის, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი დამუშავებული დარგების მიხედვით.

თუგავითვალისწინებთაზრთასხვადასხვაობასფილოსოფოსებსადაიურისტებს შორის, ასევე ცალკე იურისტებს შორისაც, მეტი საფუძველი ექნება ჩვენს დასკვნას, რომ სამართლის მეთოდოლოგია (მეთოდები) იურიდიულიცაა და ფილოსოფიურიც, რომელიც გვეხმარება საერთოდ იურიდიული სივრცის კვლევაში. საქმე ძირითადი პრობლემისადმი მიდგომების დროს თავს იჩენს ზოგიერთი კონცეპტუალური სხვაობა, რაც განპირობებულია მეთოდების სიმრავლით და იურიდიული დისციპლინების თავისებურებებით.

იურისპრუდენციისაკენ მიმავალი გზა მეთოდების მეშვეობით ფილოსოფიიდან მოდის.მეთოდოლოგიისპოზიციებიდანდამუშავებულსამართლებრივკონცეფციებში, მიუხედავად მათი განსხვავებისა, დომინირებს კვლევის სამართლებრივი მოტივები, პროფილი კი დგინდება სამართლებრივი სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე ფილოსოფიურ გააზრებაში. საბოლოოდ კი ასახვას პოულობს ადამიანის სოციალური ცხოვრების ფორმირებაში, შემეცნების გზებისა და საშუალებების, ნორმათა

ღირებულებით მეთოდოლოგიური სისტემის სიმყარეში და ა.შ. რაც შეეხება ფუნქციას, ის არის მოქმედების პროცესი. მაგ. სახელმწიფოს ფუნქციები საზოგადოებაში, სამართლის ზემოქმედების ძირითადი მიმართულებები²¹⁶

ჩვენთვის საინტერესოა ფუნქციის თვისება, რაც ვლინდება მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის მოქმედებაში, დამდგარი შედეგი განსაზღვრავს სამართლის მეთოდების ფუნქციურ დამოკიდებულებას სამართლის სხვა ფენომენების მიმართ. ეს არის ობიექტთა ორი ჯგუფის კავშირი, როდესაც ერთის ცვლილება იწვევს მეორის ცვლილებას²¹⁷

სამართლის მეთოდებზე ყურადღება გაამახვილა არაერთმა ქართველმა მეცნიერმა, მათგან აღსანიშნავია: პროფ. ალ. ვაჩიშვილი, რომელიც სამართლის მეთოდების ორ ფუნქციას აღიარებდა, ეს იყო მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. თეორიულ ფუნქციაში მოიაზრებდა არსებულის კვლევას, ხოლო პრაქტიკულში გულისხმობდა სამართლის შესახებ ცოდნის დანერგვას.

რამდენადაც მეთოდოლოგია მეცნიერებათაშორისია, – მეთოდების შერჩევა დარგობრივ მეცნიერებათა პრიორიტეტია, აქედან გამომდინარე, სამართლის მეთოდები იყენებს ცოდნის საერთო მიღწევებს, ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს ონტოლოგიურ, გნოსეოლოგიურ და ევრისტიკული კვლევის მეთოდებთან.

ონტოლოგიური მეთოდი არის ყოფიერების შესახებ მოძღვრების შემეცნების საშუალება, რა დროსაც ვლინდება ყოფიერების საფუძვლები, პრინციპები, მისი სტრუქტურა და თავისებურებანი.

ონტოლოგიური კვლევის განხორციელებისას პასუხი გაეცემა პრობლემურ კითხვებს: რა არის სახელმწიფო და სამართალი, როდის და რა ფაქტორებმა განაპირობა მათი ჩამოყალიბება, როგორი იქნება სახელმწიფოსა და სამართლის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტების ბედი მომავალში.

ცალკე კვლევის საგანია გარე მოვლენები, რომლითაც იქმნება სამართალი როგორც მთელი „სისტემური ორგანიზმი“, თავისი ონტოლოგიური ბუნების შინაგანი წინააღმდეგობით. მიუხედავად ამისა იკვეთება სამართლის სოციალური ფენომენი და სამართალი როგორც განსაზღვრული მონესრიგების სისტემა, რომელიც გვევლინება უკვე არსებული სამართლის ერთიანობის არსით, და არა მარტო ერთი და იმავე ონტოლოგიური რიგის საზღვრებში, არამედ, როგორც ყოფიერების ძირითადი კატეგორიების სხვადასხვაობაში²¹⁸

სამართალში ასევე ონტოლოგიური მეთოდი გულისხმობს მის საფუძვლებში ყოფიერი არსის გარკვევას. ცალკეული დარგების ინსტიტუტების და სხვა კატეგორიებისაგანდამოუკიდებლობის შესახებ. დიდიხნის განმავლობაში ონტოლოგია გაიგივებული იყო არისტოტელისეულ მეტაფიზიკის იდეასთან ყოფიერების შესახებ. განსაკუთრებით ამ იდეის სრულყოფა მოხდა თომა აკვინელის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ სისტემაში. ტერმინი ონტოლოგია ეკუთვნის გერმანელ ფილოსოფოსს რ. გოკლენიუსს (1613). თანამედროვე გაგებით ონტოლოგიური მეთოდი ემსახურება სამართლის არსის უზოგადესი ცნებების სისტემის შესწავლას.

გნოსეოლოგიური მეთოდი, მიზნად ისახავს სამართლებრივი შემეცნების განვითარებას თეორიული კონსტრუქციებითა და ხერხებით, რომელიც ადამიანს

216 ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995, გვ. 10

217 ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ., 1987, გვ. 622

218 სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002, გვ. 44

საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა შესახებ ცოდნას აძლევს. აგრეთვე, მეცნიერული მეთოდოლოგიის და ამასთან დაკავშირებული შესაბამისი პრობლემების გულმოდგინე დამუშავება გვაძლევს გნოსეოლოგიურ ანალიზს²¹⁹

გნოსეოლოგიური, ანუ შემეცნების მეთოდოლოგია არის ფილოსოფიური კატეგორია (ნაწილი) და გვასწავლის საკვლევე ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთობის პროცესში, ცოდნის მიმართებას სინამდვილესთან, სტუდენტის მიერ სამართლის ფასეულობათა შემეცნების შესაძლებლობას, ცოდნის ჭეშმარიტების და მისი პრაქტიკაში გამოყენების კრიტერიუმებს.

შემეცნების მეთოდების ჩამოყალიბების ისტორია სათავეს იღებს ფილოსოფიაში საკითხის დასმით იმის შესახებ, თუ რა არის ცოდნა, ეს პრობლემა ნათლად სჩანს პლატონის დიალოგში „თეეტეტი“, თუმცა სამეცნიერო მიმოქცევაში თვით ტერმინი „შემეცნების თეორია“ უფრო გვიან გამოჩნდა.

შემეცნების პროცესი კანტის მიხედვით არის კვლევის სპეციფიკური მეთოდების ერთობლიობა (მათემატიკური, ლოგიკური, სემიოტიკური, ინფორმატიული, ფსიქოლოგიური), რაც იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას.

შემეცნების პროცესში ჩართულია თანამედროვე სპეციფიკურ მეცნიერებათა მონაცემები, და წარმოადგენს ფილოსოფიურ-სამართლებრივ მეთოდოლოგიურ საფუძველს, სტუდენტი პრაქტიკული მოქმედების პროცესში ჩართული მხარეა, თავისებურებები და მიმართებები ობიექტისა გარკვეული მიზნით შეისწავლებიან მოცემულ პირობებსა და ვითარებაში, რომელიც საბოლოო ანგარიშით პრაქტიკული მოქმედების საფუძველზე და მასთან ურთიერთობაში ხორციელდება.

სამართლის გნოსეოლოგიურ მეთოდს თავის დროზე ყურადღება მიაქცია სამართლის ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა იურისტმა ლ. პეტრაჟიციმ²²⁰ მაგრამ გნოსეოლოგიური მეთოდის გამოყენება ახლა იმკვიდრებს ადგილს სამართალში.

ევრისტიკური მეთოდი შედარებით უფრო გამოყენებადი და ჭეშმარიტების მიღწევის ეტაპობრივ პრინციპს ეყრდნობა, იგი ახალი აღმოჩენების და ნოვაციების ხელოვნებაა. სამართლის მეთოდები აღარ იფარგლება სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების შემეცნებით და განმარტებით, იგი ჩვენს დროში, ანუ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, იკვლევს ინტელექტუალური ბაზრის მოთხოვნებს სამართალმცოდნეთა მიმართ, ხსნის მისი განვითარების ახალ კანონზომიერებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ევრისტიკული ნიშნავს ფორმულას “ვინც ეძებს ის პოულობს”, ანუ იგი ემსახურება შემოქმედებით მოღვაწეობას, ახლის აღმოჩენასა და სწავლებაში გამოყენებულ მეთოდებს, რომელთა საშუალებით სტუდენტის წინაშე დასახული ამოცანის გადაწყვეტის პროცესს ვაჩქარებთ.

არის შემთხვევები, როდესაც გადასაწყვეტი ამოცანა განხილულია, როგორც ლაბირინთი, ხოლო ამოცანის გადაწყვეტის ძებნის პროცესი – როგორც ლაბირინთში ხეტიალი, “არიადნას ძაფის გარეშე”. ევრისტიკული მეთოდი კავშირშია კიბერნეტიკულ და სხვა მეთოდებთან. თავის დროზე პრობლემასთან დაკავშირებით პროფ. ირ. სურგულაძე წერდა: ჭეშმარიტების ერთიანობა შეესაბამება, ერთსა და იმავე მეცნიერებაში ერთიან საგნობრიობას. ეს არის ერთიანობა დარგებისა, ისე, რომ სამართლის მეთოდოლოგიას ძალუძს ამ ფუნქციის შესრულება. ხშირად

219 იქვე:44

220Петражиций Л. И., Теория права и государства, с. н., 2000, стр. 9-10

იურისპრუდენციის სფეროში აღმოჩნდება ხოლმე, უფრო კონკრეტული საკითხები, ისეთები, მაგალითად, როგორიცაა იურიდიული კვლევების მეთოდები და ამოცანები, იურიდიული არგუმენტაციის ხერხები, იურიდიულ მტკიცებულებათა ბუნება, პოზიტიური სამართლის წყაროთა იერარქია, მოქმედი სამართლის სრულყოფა, სხვადასხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, ნებელობა სამართალში, კანონშემოქმედება და სამართალგამოყენებითი პროცესი, სამართალ-სუბიექტურობა, სამართლის ნორმის, ხელშეკრულების, უფლებებისა და ვალდებულებების ურთიერთ-შესაბამისობა, მართლწესრიგი და სამართალდარღვევა, ბრალისა და პასუხისმგებლობის ბუნება, დამნაშავეობის, ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთის პრობლემები და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში მთავარია, არა თემებისა და პრობლემების ჩამონათვალი, არამედ მათი გააზრებისა და განმარტების არსი, სამართლის მეთოდების საგნის პოზიციიდან, მათი გაშლისა და კონკრეტიზაციის კალაპოტში წარსულისა და თანამედროვე აზრის კონტექსტში.

სამართლის მეთოდების განვითარების ხარისხი, მისი რეალური ადგილი და მნიშვნელობა მეცნიერებათა (ფილოსოფიური და იურიდიული) სისტემაში უშუალოდაა დამოკიდებული იურისპრუდენციის სფეროს მდგომარეობაზე ქვეყანაში. ამასთან მნიშვნელოვან როლს თამაშობს, აგრეთვე, პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფაქტორები, სამეცნიერო ტრადიციები.

ჩვენს ლიტერატურაში ფილოსოფიურ-სამართლებრივი ხასიათის პრობლემატიკა უმეტესწილად (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ტრადიციულად ისტორიულ-ფილოსოფიურ ქრილში შუქდება და უფრო მეტი ყურადღება ეთმობოდა, აშკარად არასაკმარისი, იყო იურიდიულ მეცნიერებაში. აქ სამართლის მეთოდები, რომელიც უნინ მუშავდებოდა სამართლის ზოგადი თეორიის ფარგლებში როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, თანდათანობით ჩამოყალიბდა ზოგადსამეცნიერო სტატუსის მქონე დამოუკიდებელ იურიდიულ დისციპლინად სამართლის თეორიის, სამართლის ფილოსოფიის, სამართლის შესავლის, სამართლის ისტორიის გვერდით.

სამართლის მეთოდები – ამ რანგშიც მონოდებულია შეასრულოს აქსიოლოგიური ხასიათის მთელი რიგი ზოგადსამეცნიერო ფუნქციები, როგორც დისციპლინათაშორისი კავშირების ქრილში, იურისპრუდენციისა ფილოსოფიასთან და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან, ასევე თვითონ იურიდიულ მეცნიერებათა სისტემაში.

და ბოლოს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ონტოლოგიური მეთოდის მოშველიება შეიძლება ბაკალავრიატში. გნოსეოლოგიური და ევრისტიკული კვლევის მეთოდების გამოყენება უფრო სწავლების მეორე და მესამე საფეხურზე.

რეზიუმე

სტატია მომზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სამართლის მეთოდების“ ფარგლებში.

სტატიაში გაანალიზებული და შესწავლილია ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და ევრისტიკური კვლევის მეთოდები სამართალში. ავტორის მიერ გამოთქმულია მოსაზრება სამართლის მეთოდოლოგიის შესახებ.

Resume

The article is prepared within the scope of scientific research project “Law Methods” of the Faculty of Law and International Relations of Georgian Technical University.

In the article is analyzed the methods of ontological, gnomonological and eunitic research in law. The author’s opinion is expressed on the methodology of law.

Резюме

Статья подготовлена в рамках научно-исследовательского проекта «Юридические методы» факультета юридического и международных отношений Грузинского технического университета.

В статье анализируются методы онтологического, гномонологического и евнусового исследований в области права. Высказывается мнение автора о методологии закона.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლობჯანიძე გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2018
2. სურგულაძე ირ., ხელისუფლება და სამართალი, თბ., 2002,
3. ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ., 1987,
4. ხეცურიანი ჯ., სამოქალაქო სამართლის ფუნქციები, თბ., 1995,
5. ჰეგელი, სამართლის ფილოსოფია, მ., 1990,
6. Петражицкий Л. И., Теория права и государства, с. н., 2000,
7. Hugo G., Beitrhge zur zivilischen Bueherkenntnis, Berlin, 18 23,
8. Sternberg, Eintuhrung in ie Rechtwisseneche ft. Teid. 1917.

2. გლობალიზაციისა და ეროვნული კულტურის სტრუქტურული მოდელის საკითხისათვის

პროფესორი ირმა კეცხოველი

საქართველო მსოფლიოს განუყოფელი ნაწილია, და ბუნებრივია, მისი განვითარება საერთო ტენდენციების კალაპოტში ხვდება. თუმცა, ნაციონალური, ანუ ეროვნული ელიტა რაღაც შუალედურ პოზიციას იკავებს; სხვადასხვა ცვლილებების ვექტორი აბსოლუტურად განსაზღვრულია. ასე რომ, იქმნება ორმაგი მორალი და ორმაგი ენა. ჰანს პეტერ მარტინმა და ჰერალდ შუმანმა გააერთიანეს მსოფლიო, მაგრამ იმავდროულად ანგრევენ (მათ შეიძლება XXI საუკუნის ანარქისტები ვუნოდოთ). ფაქტურად ისინი პარალიზებას უკეთებენ მცირე ერების თვითმყოფად კულტურას და ტრადიციებს, რომლებმაც ცივილიზაციათა განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს.

გლობალიზაციის პროცესი არ წარმოადგენს ერთმნიშვნელოვან ფენომენს-მასში ერთის მხრივ, იგულისხმება, პიროვნების, ეროვნული კულტურის, კაცობრიობის ჰარმონიული განვითარებისა და სრულყოფის შესაძლებლობები, ცალკეული ადამიანების ურთიერთ დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ფაქტორები, მსოფლიო საბაზრო ეკონომიკაში სხვადასხვა ქვეყნების ჩართვის, ინტეგრირების ტენდენციები, ხოლო მეორე მხრივ - ეს პროცესი მოიცავს, ისეთ შესაძლებლობებს, რომელთა რეალიზაცია ხელს უწყობს საკაცობრიო კულტურის მრავალფეროვნების ნიველირებას: სპობს ადამიანთა არსობრივი განვითარების აუცილებელ პირობებს და მსოფლიოს ემუქრება უმუშევრობის ზრდა, სიმდიდრისა და სიღარიბის პოლარიზაცია, ძალადობისა და აგრესიის ახალი ფორმების გაღვივებით.²²¹

ეს მოვლენები ჩვენს დროში ძალზედ სწრაფად ვითარდება და უმეტესად მცირერიცხოვანი ერების პრობლემა ხდება, მაგრამ უახლოეს დროში ის დიდი ერების საზრუნავადაც მოგვევლინება ერებისა და ხალხების ბედი, მათი მცირერიცხოვნობისა, თუ სიდიდის მიუხედავად. ყველა ეს მოვლენები დამოკიდებულია ისტორიული განვითარების პროცესებზე, ვინაიდან ერისა და ეროვნული ხასიათის იდენტიფიკაცია ზოგადი პრობლემებით ხასიათდება. აქედან გამომდინარე, გლობალიზაცია, როგორც ერთიან უნივერსალურ ცივილიზაციად ყალიბდება, მაგრამ აქვს მასშტაბური ალტერნატიული მოდელი – თითოეულ ცივილიზაციას და მათში შემავალ ცალკეულ ერებს უნდა შეეძლოთ სხვებთან ერთად თანაარსებობა დაპირისპირებათა გარეშე; მასაშასადამე ისახება გლობალური, გამარტივებული სამყარო, რომელიც ალბათ ადვილი სამართავი იქნება; მაგრამ ისიც ხომ გასათვალისწინებელია ამ შემთხვევაში – რაჯიკარგება?

კაცობრიობის თანამედროვე განვითარების დინამიკაში გლობალიზაციას მიეკუთვნება თითქოს უმთავრესი როლი და ჩვენი ცხოვრების რეალობაც ხდება, მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ „გლობალიზმი“, როგორც ტერმინი, შეიცავს რაღაც ბანალურსაც; ჯერ კიდევ XIX საუკუნის მკვლევარები ამტკიცებდნენ ერთიანი მსოფლიო სივრცის შექმნის აუცილებლობას საბაზრო-ეკონომიკური ცივილიზაციით. გლობალიზაცია პირველ რიგში ეკონომიკურს ნიშნავს- ეს არის დიალექტიკური პროცესი, რომელიც ქმნის ტრანსნაციონალურ და სოციალურ კავშირებს სივრცეში, როცა ღირებულებას კარგავენ ლოკალური კულტურები და იქმნება მესამე სუბკულტურა, ან კულტურები.²²²

221 Мидоуз Данелла, Мидоуз Денин, Рандерс, за пределами допустимого, Антология, М.,1999. 36

222 ბარათაშვილი ნ., გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და, თბ., 2004, გვ15

ცნობილია, რომ ადამიანის გონის ესთეტიკური ფუნქცია ჭეშმარიტად უნივერსალურია. არ არსებობს ისეთი ხალხი, რომელიც არ მიისწრაფვოდეს თავისი გარემომცველი სამყაროს და საკუთარი ყოფიერების კანონების მიხედვით გარდაქმნისავენ. უფრო მეტიც, ყველა ხალხს, კულტურული განვითარების რა დონეზეც უნდა იყოს იგი, ახასიათებს ესთეტიკური შემოქმედების ძირითადი ფორმები (საკაცობრიო ისტორიაში არ მოიძებნება ისეთი ხალხი, ან ეთნოსი, რომელიც არ ქმნიდეს თავისებური ფორმისა და შინაარსის მუსიკას, პოეზიას, მხატვრობას, ცეკვას, არქიტექტურას, თეატრალურ სანახაობებს, თამაშებსა და ა.შ.).

მსოფლიო ბაზრის შექმნითა და მისი დომინირებით ეროვნული ეკონომიკის განვითარების პროცესში იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც ყველაფერი, რაც ემართება ამა თუ იმ ნაწილში (ერში, კულტურაში) განსხვავებულ კაცობრიობას, არ დაიყვანება ლოკალურ ცდომილებაზე. ყველა გამოგონება, ყველა გამარჯვება, ყველა სტიქიური თუ სოციალური კატასტროფა, რაც კი მსოფლიოს ამა თუ იმ წერტილში ხდება, მთელ სამყაროზე ახდენს არსებით გავლენას და ამ განზომილებაში უნდა იქნას განხილული. გლობალიზაცია წარმოადგენს გლობალური მსოფლიოს ფორმირების პროცესს, ხოლო გლობალიზმი (მსგავსად ფსიქოლოგიზმის, ტექნიციზმის, სოციოლოგიზმისა და ა.შ.) არის გარკვეული იდეოლოგია.²²³

გლობალიზაციის პროცესის ცალმხრივი გაგება, როდესაც მთელი მისი მრავალფეროვნება ან წინააღმდეგობრივი ხასიათი არის უგულვებელყოფილი, მთლიანად ეკონომიკური ფაქტორით შემოისაზღვრება. ამ შემთხვევაში უარყოფილია გლობალიზაციის საფუძველზე აღმოცენებული და მის მიერ ბალანსირებული ეკოლოგიური, კულტურული, ენობრივი, პოლიტიკური, სოციალური, მორალური ფაქტორები-სწორედ ის, რაც ეწინააღმდეგება ტოტალურ გლობალიზაციას, კაცობრიობის შიდასტრუქტურული (პიროვნული, ეროვნული, კულტურული) მრავალფეროვნების რღვევას, კაცობრიობის გადაქცევას ერთფეროვან მიუზნეობრივ სუბიექტად. სწორედ ამ ბალანსის რღვევის წერტილებში წარმოებს გადაუჭრელ წინააღმდეგობათა აღმოცენება, რაც ძალადობის სხვადასხვა ფორმებს უკავშირდება²²⁴

მართალია, შეფასების ძირეულ პრინციპად მიჩნეულია ადამიანი, თავისი ადგილით ეროვნულ, ეთნიკურ და საკაცობრიო სტრუქტურებში, მაგრამ ამავე დროს პოზიტიურთან ერთად ცნობილია, რომ გლობალიზაცია ამსხვრევს ტრადიციულ სისტემებს და ეჭვის ქვეშ აყენებს ცალკეული ეთნოსებისა და ეროვნულობის საკითხს. იგი გარკვეულწილად უპირისპირდება თვითმყოფადობის პრინციპს და ხშირ შემთხვევაში ამკვიდრებს სრულიად ახალ, მიუღებელ ფორმებს; თითქოს მკვიდრდება ღია საზოგადოებაში და, ერთი შეხედვით, გვაფიქრებინებს, რომ იგი ჰარმონიაში მოდის დღევანდელობასთან, მეორე მხრივ კი ეწინააღმდეგება მას იმ უპირატეს საფუძველში, რაც საუკუნეთა მანძილზე რომელიმე ეთნოსს, კულტურას ან ტრადიციებს თვითგანვითარების გზით აქვთ მოპოვებული.

თუ მოხერხდა გლობალიზაციის პროცესის სათანადო კალაპოტში ჩაყენება ადამიანის, ეროვნულ კულტურათა, ერთა და სახელმწიფოთა დიალოგის ურთიერთობაზე გადართვით, მაშინ დიდი ალბათობაა იმისა, რომ ნეგატიური ფაქტორები ასევე იქნებიან ნეიტრალიზებული; ბეკის აზრით (ბეკი, 1999 : 91, 92), შედარებით ერთიანი სტრუქტურის უწვეტ მთლიანობას წარმართავს ერი, როგორც სუბიექტი, ვინაიდან კულტურული მემკვიდრეობა არის ამ ერთიანობის მატარებელი. ტრადიცია არ უნდა გავიგოთ, როგორც მუდმივი დაბრუნება ერთი და იმავე მდგომარეობისაკენ, როგორც ერთი და იგივე ღირებულებების მარტივი კვლავწარმოქმნა. ეს იქნებოდა ერის ისტორიის, მისი რეალური დროის უარყოფა, რადგან იმას, რაც მარადიულად მეორდება, არ

223 Пригожин и Стенгерс, Время, Хаос, к решению парадокса времени, М., 1994

224 Чешков М., Глобальное видение и новая наука, М., ИМЭМО, 1998, с. 17

აქვს არც წარსული, არც აწმყო, არც მომავალი. აქედან გამომდინარე, ტრადიცია უნდა გავიგოთ, როგორც აქტიური და დინამიკური მემკვიდრეობა, უწყვეტი ორგანული განვითარება; ტრადიცია და განახლება თანამედროვე ეროვნული პროცესების დახასიათების დროს წარმოადგენენ არაურთიერთდაპირისპირებულ, არამედ თანმხვედრ მომენტებს, რომლებიც თან ახლავს ძველისა და ახლის კონფლიქტს. გლობალიზმის დახასიათების დროს შეიძლება მოვიშველიოთ ინერცია - საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დასავლური ცივილიზაცია ყველასთვის მისაღებია და, ამდენად, მომავალში შესაძლებელია ერთიანი უნივერსალური ცივილიზაციის ჩამოყალიბება. დღეს, როდესაც ამ კულტურის ბევრმა ელემენტმა მართლაც მოიცვა დანარჩენი სამყარო, სიღრმისეულ დონეზე დასავლური წარმოდგენები და იდეები კვლავაც ძირეულად განსხვავდება იმათგან, რომლებიც დამახასიათებელია სხვა ცივილიზაციებისათვის. თავად ევროპაში გავრცელებული შეხედულებით, ისლამურ, კონფუციურ, იაპონურ, ინდუისტურ, ბუდისტურ და მართლმადიდებლურ კულტურაში თითქმის ვერ პოულობს გამოძახილს ისეთი დასავლური იდეები, როგორებიცაა: ინდივიდუალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტიტუციონალიზმი, ადამიანის უფლებები, თანასწორობა, თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსგან და ა.შ.²²⁵

თუ რამდენად სწორია ასეთი შეხედულება სხვა ცივილიზაციებზე, კერძოდ, მართლმადიდებლურ კულტურაზე, ამის შესახებ გაფრთხილებას ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, სტრატეგიული კვლევითი ცენტრის დირექტორი ს. ჰარნიგტონიც იძლეოდა: „დასავლეთს მოეთხოვება სხვა ცივილიზაციათა ფუნდამენტური რელიგიური და ფილოსოფიური საფუძვლების უფრო ღრმა გაგება; მან უნდა გაიგოს, როგორ ესახებათ ამ ცივილიზაციათა წარმომადგენლებს საკუთარი ინტერესები“.

თანამედროვე ევროპული კულტურა და დასავლური ცივილიზაცია განამტკიცებს ჩვენი იდენტურობის შეგნებას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური რეგიონალიზმის გაძლიერების პერსპექტივებსაც ბადებს, მაგრამ მსოფლიოს უახლესი დროის გამოცდილება მიგვანიშნებს _ ეკონომიკური რეგიონალიზმი შესაძლოა ყოფილიყო წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ცივილურ ერთიანობას ემყარება. გიდენსის მიხედვით, საკმაოდ რთული სურათი წარმოგვიდგება: თანამედროვე საბაზრო სისტემის ახალ ტექნოლოგიურ ბაზაზე ფუნქციონირებისათვის საკმარისია მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტი - ყველაზე კვალიფიციური მუშახელი, მეცნიერები, სპეციალისტები. ეს კი კატეგორიულად აყენებს საკითხს, თუ რა ეშველება მოსახლეობის დანარჩენ, ამასთან უმეტეს ნაწილს _ 80 პროცენტს. ფაქტობრივად ჩამოყალიბებული შეფარდება „მსოფლიო - 20/80-ზე“ ერთი მეხუთედის საზოგადოებას“ ნიშნავს. გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს უაღრესად დიდ სიძნელეებს უქმნის აგრეთვე სიმდიდრის უთანასწორო გადანაწილება. მაგალითად: დიდი ბრიტანეთის მოსახლეობის 1% - „ზედა ფენა“ ფლობს ეროვნული სიმდიდრის 21%-ს, მოსახლეობის 80% კი ამ სიმდიდრის მხოლოდ მესამედის მფლობელია. მეტ-ნაკლებად ანალოგიური ვითარებაა აშშ-ში, დასავლეთის სხვა ქვეყნებში²²⁶.

რაც შეეხება ერისა და ეროვნული ხასიათის იდენტიფიკაციას _ ზოგადი პრობლემაა. სამყაროს გლობალური ხედვა და ამ მიმართულებით ნებისმიერი პროპაგანდა, სხვა არაფერია, თუ არა ისეთივე დამოკიდებულება, როგორც ოდესღაც პტოლომეს გააჩნდა დედამიწის მიმართ. თავის მხრივ, ინვესს მტრულ რეაქციას და ხელს უწყობს ერებში საკუთარი კულტურის ძირძველ ფასეულობათა განმტკიცებას. ამიტომაც ხში-

225 Пригожин и Стенгерс, Время, Хаос, к решению парадокса времени, М., 1994.76

226 Гидденс Э., Социология, М., 1999. 205

რად ვმსჯელობთ აზიაში იაპონიის „დაბრუნების“, ინდოეთში ნერუს იდეების აღსასრულისა და მისი „ინდუიზაციისა“, თუ მახლობელი აღმოსავლეთის „რეისლამიზაციის“ შესახებ. შედეგი კი გახლავთ ის, რომ თანამედროვე მსოფლიოში ვერ მოვიძიებთ ერს, რომელიც ყოველი ღონით არ ცდილობდეს, დახვეწოს თვითმყოფადობის შენარჩუნების ფორმები, წარმოაჩინოს ეროვნული ფასეულობები, იამაყოს თავისი ხალხის ღირსებით.

გლობალიზაციას, როგორც ერთიანი უნივერსალური ცივილიზაციის ჩამოყალიბებას, აქვს მასშტაბური ალტერნატიული მოდელი: თითოეულ ცივილიზაციას და მათში შემავალ ცალკეულ ერებს უნდა შეეძლოთ სხვებთან ერთად თანაარსებობა დაპირისპირებათა გარეშე. გლობალიზაციის პროცესი თანამედროვე მსოფლიოში თითქოს ძალდაუტანებლად მიმდინარეობს და მცირერიცხოვან ერთა თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ საფრთხესთან ერთად, კაცობრიობისთვის რიგ პრობლემათა გადაჭრის გზაზე გარკვეული პროგრესიც მოაქვს, მაგრამ პროგრესმა იმის შეგნებაც ხომ უნდა მოიტანოს, თუ როგორ შეინარჩუნონ ერებმა ეთნიკური თავისთავადობა. ამ დროს გლობალიზაცია მსოფლიო ცივილიზაციათა სხვადასხვა მიმართულებების და მიდგომების განხილვათა სპექტრია, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება კულტურათა ურთიერთობის საკითხს, რომელიც ძირეულად ცვლის, ანდა ცდილობს ზოგჯერ შეცვალოს გლობალიზაციით თავსმოხვეული პოლიტიკა; ამიტომაც ჩვენც შევეცდებით შევეხოთ კულტურის მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც მუდამ თან სდევს ჩვენს ყოფას და ნებისმიერ შემთხვევაში გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად, როდესაც ვიხილავთ გლობალიზაციის ნებისმიერ სფეროს.

ვინაიდან კულტურა არის კონკრეტული მრავალმხრიობის მატარებელი ფენომენი, მას აქვს მთლიანი სტრუქტურა, რომელიც სხვადასხვა ელემენტისა და ნაწილებისაგან შედგება. დღეს ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი თვალსაზრისი, რომელშიც გახსნილი იქნებოდა კულტურა, როგორც სტრუქტურული მთლიანობა, ანდა მოდელი. კულტურის პრობლემა ორგანულადაა დაკავშირებული საზოგადოებრიობის პრობლემასთან. ჩვენი ეროვნული კულტურის ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს, ყოფას, ტრადიციებსა და მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს. დღეს, როდესაც პრეტენზიას ვაცხადებთ ეროვნული კულტურის თვითმყოფადობასა და სტრუქტურაზე, შესაძლებელია ვიმსჯელოთ ქართულ ხასიათზეც.

ვინაიდან, ეროვნული კულტურის ერთ-ერთი კომპონენტია ენა და ფსიქიკური წყობა, ერთიც და მეორეც ეროვნული კულტურის გალერეაში განიხილება, როგორც ფუნქციონალური მაჩვენებელი, და აქედან გამომდინარე, ეს ერთობლიობაც ეროვნულ ხასიათს წარმოადგენს. მაგალითად, გერმანული რომანტიზმის ფილოსოფიაში ეროვნული ხასიათი სუნსტაციზირებული იყო „ხალხის გონის“ სახით, როგორც ეროვნულ თავისებურებათა საფუძველი. ერი არ არის მხოლოდ წარმოშობითი ბუნებრივი ერთობა, არამედ იგი, ამავე დროს, კულტურული ერთობაცაა, რაც, ერთი მხრივ გავლენას ახდენს ისტორიის ბედის ერთობით წარმოქმნილი და მემკვიდრეობით გადატანილი თვისებების მეშვეობით, ხოლო მეორე მხრივ, კულტურის დოვლათის გადაცემის გზით.

ეროვნული ხასიათი წარმოადგენს ერის ფსიქიკურ წყობაში დაფიქსირებულ ისტორიას, ვინაიდან ფსიქიკური წყობის ერთობა, თავის მხრივ, გულისხმობს ეროვნული თვითცნობიერებისა და ეროვნული გრძნობის ერთობლიობასაც, აქედან გამომდინარე, კულტურის ფუნქციონალური ანალიზი შეიძლება ავიყვანოთ ეროვნული, ადამიანური, მათ შორის პოლიტიკური ქცევის შეგნებულ ფაქტორამდე.

რაც შეეხება ეროვნულ შეზღუდულობას, საფუძვლად უდევს ეთნოცენტრიზმი _ ყოველგვარი ცხოვრებისეული მოვლენის აღქმა შეფასება საკუთარი ეთნიკური ტრადი-

ციების აყვანა საყოველთაო ეტალონის რანგში. მაგალითად, ამერიკელი მკვლევარები ცდილობენ, მკვეთრი განსხვავება მოახდინონ თავის თავსა და სხვებს შორის. მხოლოდ საკუთარი მიკროჯგუფი და ყველაფერი ის, რაც იქ კეთდება, არის ჭეშმარიტება, ვინც მას არ განეკუთვნება, უცხადებენ უნდობლობას.

ეთნოცენტრიზმის ხარისხი დამოკიდებულია მოცემილი ეთნიკური ჯგუფის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ინტენსიურობაზე. არის შემთხვევები, როცა ეს სფერო შეზღუდულია, მაშინ ადგილობრივი ტრადიციები და ღირებულებები უნიფიცირდება. თუ ინტენსიური ურთიერთობა სხვა ჯგუფებთან არ ატარებს კონფლიქტურ ხასიათს, რაც ხშირად თავს იჩენს ცხოვრების რეალურ ვითარებაში, მაშინ შესაძლებელი ხდება ეთნიკური შეზღუდულობის გადალახვა, რაც ამ დროს უფრო იოლია, როგორც საკუთარი, ისე უცხო კულტურის გაგება.

გლობალიზაციის პრობლემის შესწავლის დროს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მრავალფეროვნების ძიება, ვინაიდან გლობალიზაცია და პროფილის ჰორიზონტალური კავშირების აქტიური გენერირება ახდენს მსოფლიო გლობალიზებას ქვემოდან. პირველი ტიპის გლობალიზმის იდეოლოგია წარმოადგენს მსოფლიოს დაყოფას ცენტრად და პერიფერიად, გაანყვეტილებების მიღებად და მათ მორჩილ თანამიმდევრად. მეორე ტიპის იდეოლოგია წარმოადგენს ჰუმანისტურ დამოკიდებულებას, სოლიდარობას და კოოპერაციას²²⁷

აქვე უნდა გავითვალისწინოთ, ისიც რომ გლობალიზაცია არამარტო შეზღუდავს გლობალური მსოფლიოს შემოქმედებით პოტენციალს, არამედ გააღრმავებს სტიქიურ წინააღმდეგობას დისკრიმინირებულთა მხრიდან. სხვა საქმეა დემოკრატიული გლობალიზაცია ჰორიზონტალზე, ურიცხვი მრავალფეროვნების თვითმოქმედი ინიციატივების საფუძველზე. პირველ შემთხვევაში ჩვენ უნდა მოველოდეთ დემოკრატიული პრაქტიკის და საგანმანათლებლო იდეოლოგიის საყოველთაო უკან დახევას და მათ ჩანაცვლებას არქაული სეგრეგაციული პრაქტიკით. მეორე შემთხვევაში, ჩვენ მოგვიხდება წარსულში დამუშავებული კლასიკური მოდელის დემოკრატიული პრაქტიკა წამოვნიოთ ნაციონალური დონიდან გლობალურ დონემდე, ამით გავანთავისუფლოთ კაცობრიობის ინიციატივა და ენერჯია დღემდე წარმოუდგენელი მასშტაბებით. აქ შეიძლება მოვიშველიოთ მოძღვრება „კოლექტიური ინტელექტის შესახებ“ ვინაიდან, კოლექტიური ინტელექტი ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მცნებაა. ასეთ შემთხვევაში იმარჯვებს და ინტენსიურად ვითარდება ორი პროცესი: 1. კაცობრიობა გადაიქცევა ერთიან ბიო-სოციალურ ორგანიზმად და 2. პლანეტალური კოლექტიური ინტელექტი ყალიბდება. ეს პროცესი ჯაჭვური რეაქციით მიმდინარეობს და როდესაც შეერწყმება ერთმანეთს ასეთ საზოგადოებას შესაძლებელია ვუნოდოთ ინფორმაციული, ხოლო კაცობრიობა მიიღებს საზოგადოების ახალ ფორმას უფრო სწორად, ევოლუციის ახალ სტადიას; ასეთ შემთხვევაში ღრმა გარდაქმნების პროცესები და თვითორგანიზებაზე გადასვლა გარდაუვალი იქნება. ეს პოზიცია საშუალებას იძლევა ახლებურად დავაყენოთ პლანეტაზე ადამიანის „გადარჩენის“ პრობლემა. ჩვენი დამოკიდებულება ნააგავს უფრო სურვილებს, ვინემ ასახავს საქართველოში შექმნილ მდგომარეობას და გვიბიძგებს იმისკენ რომ უფრო კრიტიკულნი ვიყოთ ზოგიერთი დეგრადაციული მოვლენების მიმართ. ფრიად სამწუხაროა, რომ, დღეისათვის შედეგები თითქმის შეუქცევადი ხდება და ასეთი მდგომარეობა რამდენიმე ათწლეულში საქართველოს უქადის საკმაო ჩამორჩენას საერთაშორისო არენაზე, ვინაიდან, ამ დროს რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამოიწურება ის ფუნდამენტური, სამეცნიერო და ინტელექტუალური მონაპოვარი, რომელიც გააჩნდა და გააჩნია ჩვენს ქვეყანას. მეო-

227 ი.კეცხოველი, საქართველოს გლობალიზაციის არეალში, გორის სასწავლო უნივერსიტეტი შრომათა კრებული # 9, 2016.

რე მნიშვნელოვანი საკითხია და მეტად ყურადსაღებია ის, რომ ქვეყნიდან გაედინება სამეცნიერო, საინჟინრო, საკონსტრუქტორო კადრები; ჩვენი ქვეყანა დამოკიდებული ხდება უფრო გარედან შემოტანილი მეცნიერული იდეების, გრანტების, პროექტების, და ა.შ. აღნიშნული მოვლენების მორჩილ სუბიექტად.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი აზრით, საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია სათანადო საბაზო რესურსები, რათა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში გამონახოს და დაიმკვიდროს თავისი ისტორიული ადგილი ინტელექტუალურ სივრცეში, როგორც ძლიერ კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებულმა, ვინაიდან ამ განვითარების პროცესს მთელი რიგი საინტერესო თავისებურებები ახასიათებს. ამჟამად საქართველოს განვითარების ტენდენციაა დირექტიული ეკონომიკის გადმონაშთებისაგან განთავისუფლებას და დემოკრატიული სისტემის დამკვიდრებას ცდილობს, რაც ნიშნავს და მოიცავს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევას, გლობალურ პროცესებში ჩართვას და ა.შ.

ძველი ყოფისა და ურთიერთობების გლობალურად შეცვლა და ახალი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისაკენ ლტოლვა ჩვენი დროის გამოკვეთილი ნიშანია. ეს საკმაოდ რთული პროცესია და ამიტომაც არის, რომ ძველის ნგრევისა და ახლის შენების პროცესი საქართველოში გაჭიანურდა და უაღესად მტკივნეულად მიმდინარეობს. რის შედეგადაც განვითარდა ღრმა ეკონომიკური კრიზისი და ამიტომ დღევანდელი მდგომარეობა სასწრაფოდ მოითხოვს კრიზისის დაძლევას, ძალების მოზიდვას, ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის სწორ კონცეფციების შემუშავებას, ჯანსაღი ძალების მოზიდვას. ამავ დროს, ჩვენი აზრით, და არა მარტო ჩვენი აზრით, მთლიანად უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი სფეროები, მოხდეს სისტემური ტრანსფორმაცია, საქართველოს გარემოსთვის შესაფერისად. ეს უნდა მოხდეს ეროვნული ტრადიციებისა და ორიენტაციის გათვალისწინებით; საქართველომ დღესვე უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ეპოქისათვის შესატყვისი ზნეობრივი, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის წანამდგრების ჩამოყალიბება, რისთვისაც გამუდმებით უნდა იზრუნოს სათანადო გარემოს შესაქმნელად, ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიოს მოწყობის კიბერნეტიკური და სინერგეტიკური მოდელები. ვინაიდან მომავალი მსოფლიოს კონსტრუქციული მოდელების გააზრებისას ხელახლა უნდა განვიხილოთ ვერტიკალური ორგანიზაციის და ჰორიზონტალური თვითორგანიზაციის ალტერნატიული მოდელები გლობალურ მსოფლიოსთან მიმართებაში.

პირველი - კიბერნეტიკული-მმართველი პოტენციალის კონცენტრირება მსოფლიო პირამიდის ზედა სართულებში. ამ ტენდენციას გამოხატავს ერთპოლუსიანი მსოფლიოს კონცეფცია. მეორე-სინერგეტიკური მოდელი გულისხმობს ყველანაირი დონის გლობალიზაციის პოზიტივებზე ორიენტირებულმა ქვეყანამ იმის გათვალისწინებით თუ რა, მოაქვს თავსმოხვეულ გლობალიზაციას. ამიტომ ქვეყანას უნდა გააჩნდეს გამოკვეთილი, ერთმნიშვნელოვანი ანტიგლობალისტური სახელმწიფოებრივი კურსი. ვიმედოვნებთ რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ მეცნიერთა და სპეციალისტთა რჩევებს და გამოკვლევებს, რომლებიც დაიცავენ არამარტო მსოფლიო გლობალური ინტერესების დაჩქარებული წესით დამკვიდრებას, არამედ გაითვალისწინებენ ყველა იმ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და ნორმატივებს, რომლებიც ჯერ კიდევ გააჩნია ქართულ საზოგადოებას.

თანამედროვე ეპოქა კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის, ინვესტიციების, ურთიერთდაახლოების, სამეცნიერო-ტექნიკური და სახელოვნებო ინფორმაციით ურთიერთგამდიდრების ეპოქაა. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ მსოფლიოში არ რჩება ერი, რომელიც არ ცდილობს დახვეწოს თვითმყოფადობის შეარჩუნების ფორმები, დაიცვას ნაციონალური პრიორიტეტები, წარმოაჩინოს ეროვნული ღირებულებები და

ეს ბუნებრივია; ვინაიდან ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებთა დიდი ნაწილისათვის სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ სიცოცხლის გადარჩენა დედამიწაზე მხოლოდ მრავალსახეობის შენარჩუნებითაა შესაძლებელი.

ბოლო ათწლეულში კავკასიაში, ღია და ლატენტურმა კონფლიქტებმა დაპირისპირებულ ომში ჩაითრია რეგიონში მცხოვრები ხალხები. ყველაფერმა ამან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და მეცნიერული შესწავლის ობიექტიც გახდა. ეთნოკონფლიქტების ხასიათმა, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ნავთობს, რელიგიას და სხვა, რომლებიც ერთ შეხედვით თითქოს ეთნოლოგიური, თუ ისტორიული მეთოდებით შესწავლას განაპირობებს, არ იძლევა სრულყოფილ სურათს, პრობლემა უფრო მძაფრია და საგანგებო წვდომას მოითხოვს გეოპოლიტიკური მიდგომებისა და პრინციპების შესწავლის გზით.

მთლიანობაში კავკასია-ეს არის სივრცე, რომელიც იმსახურებს განსაკუთრებულ ინტერესს. როგორი იქნება საერთაშორისო სისტემა - საერთოდ დისკუსიის საკითხია, მაგრამ შესაძლებელია ვიგულისხმოთ, რომ მომავალი განისაზღვრება, როგორც უნივერსალური სისტემა. საქართველო მთელი თავისი ისტორიული და საინტერესო ტრადიციული კულტურით კავკასიის ხალხთა ერთობას უკავშირდება; მაგრამ გლობალიზაციის პოლიტიკა, ალბათ უფრო განისაზღვრებოდა ისეთი პოლიტიკით, სუპერსახელმწიფოებთან ურთიერთობაში, სადაც დასაცველი ხდება საკუთარი ღირებულებები, ხოლო სუპერსახელმწიფოები თავის მხრივ უფრო მეტი ყურადღებით უნდა ითვალისწინებდნენ და აფასებდნენ მცირე სახელმწიფოთა მრავალფეროვან ღირებულებებს.

თანამედროვე შეხედულებით გლობალიზაციის პრობლემა უფრო მეტად დასავლური ცივილიზაციების პოზიციით გამოიხატება. მაშინ, როდესაც თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალიზაციის შედეგი, ამავე დროს მაშინ, როცა ვიხილავთ სოციალური ურთიერთობების ერთობლიობაში - დღეისათვის ეს საკითხი ჯერ კიდევ ღია რჩება.

საქართველო XXI საუკუნის მიჯნაზე ცდილობს შეაფასოს და განიხილოს ზემოთხსენებული პროცესები ადამიანური ფაქტორის ძირითადი ღირებულებების ფონზე (ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ). დღეს ძლიერნი ამა ქვეყნისა, სუპერსახელმწიფოები ერთი მხრივ ითვალისწინებენ საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, მაგრამ ამავე დროს ყველა ღონეს ხმარობენ, რათა საქართველო და, საერთოდ, მთელი კავკასია დაუმორჩილონ თავიანთ გეოპოლიტიკურ ინტერესებს. რეგიონში საქართველო ითვლება როგორც საკვანძო ევროაზიური კომუნიკაციური კორიდორი. ამავე დროს ანალიტიკოსები თვლიან და ხშირად აღნიშნავენ-თუკი საქართველო დასავლეთ ევროპის შეხედულებათა საწინააღმდეგოდ განვითარდება, მაშინ კავკასიის რეგიონი და ცენტრალური აზია დარჩება მსოფლიო გლობალური პროცესების მიღმა, რაც გავლენას მოახდენს გეოპოლიტიკურ ორიენტაციებზე- ამ რთულ და საინტერესო რეგიონალურ სივრცეში.

ვინაიდან, ქართული ცივილიზაცია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ნუსხაში შედის, არ არის ინტეგრირებული რომელიმე ცივილიზაციასთან და თვითმყოფადი პარამეტრების მატარებელია, დასავლეთის და აღმოსავლეთის ცივილიზაციათა გასაყარზე მდებარეობს, სწორედ აქ არის გასათვალისწინებელი ის გეოპოლიტიკურიც, ეკოლოგიურიც, ეთნოკონფესიურიც, ისტორიულ-კულტურული, სოციო-ეკონომიკური და სხვა საკითხები, რომლებიც უნდა აღელვებდეს და ითვალისწინებდნენ დასავლური ორიენტაციის მქონე ანალიტიკოსები.

სამყაროს მრავალსახეობის ჰარმონიზაცია XXI საუკუნის ამოცანაა. კონტრაპუნქტის პრინციპი მომავალი პლანეტარული საზოგადოების მშვიდობიანი განვითარე-

ბის სქემად წარმოვიდგინოთ. ეს ადვილი არ არის, მაგრამ შესაძლებელია. ამისათვის კონტრაპუნქტის ეს მთავარი პრინციპი გრაფიკულად უნდა გამოვხატოთ, შემდეგ კი ამ გამოსახულებაში ჩავსვათ დედამინაზე არსებული ერები და მათი განვითარების ტენდენციები. ამით რას მივალნევთ? – იმას, რომ შევძლოთ შევქმნათ სტრუქტურა, რომლის მთავარი მიზანი ის მექანიზმი იქნება, ავტომატურად რომ დაიცავს გვერდით მდგომ სუბიექტს. ეს მის ინტერესებში შევა. ამ გზაზე გასულებს ბევრი სიურპრიზი გველის, მაგრამ პრინციპი, ვფიქრობ, ნათელია და თანაც პერსპექტიული. „კონტრაპუნქტი“ ნაბოძები მაღლია, რომლის ახლებური გააზრებაც შესაძლებლობას მოგვცემს, დავიცვათ საკუთარი თავი და ერთმანეთი.

რეზიუმე

გლობალიზაცია არსებითად ახალი ფენომენია, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე დამკვიდრებას. გლობალიზაციის პროცესი შეიძლება გაგებულ იყოს და ბევრ რამეში განიმარტოს. განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინება. რელიგიური კულტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალიზაციის პროცესში. უახლოეს მომავალში გლობალიზაცია დამოკიდებულია ისტორიულ განვითარებაზე, რის შედეგადაც იგი ერთიანი ცივილიზაციის სახით ჩნდება. საქართველო მსოფლიო მასშტაბის პროგრესის ფარგლებში ვითარდება.

გლობალიზაცია ერთის მხრივ პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ მეორეს მხრივ, ის ცდილობს შექმნას უნიკალური კულტურა, ღირებულებები და ტრადიციები. კავკასიის მიმართ ზესახელმწიფოთა ინტერესები ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მისი ევრო-აზიური საკომუნიკაციო დერეფნის გამო. უფრო საფუძვლიანი კვლევები უნდა ჩატარდეს კავკასიის შესახებ თავისი ბუნებრივი რესურსების, ისტორიის, გეოგრაფიის, სულიერი ეთნო-გენეზისის და კულტურის შესახებ.

ასევე ცნობილია, რომ საქართველოს კულტურა არ არის ინტეგრირებული სხვა კულტურაში და ის უნიკალურია, რომელიც წარმოადგენს ორი დასავლური და აღმოსავლეთ ცივილიზაციის ნაზავს. სტატია ეხება მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციისა და სტრატეგიის პრობლემას. ის შეისწავლის ქვეყნის შესაძლებლობებს, რომელიც ცდილობს იპოვოს თავისი ადგილი ევროპის ოჯახში, განაგრძოს თავისი გზა დამოუკიდებელ და მშვიდობიან რეგიონში.

RESUME

Globalization in essence is a new phenomenon striving to establish on international and local levels. The process of globalization could be understood and interpreted in many ways. In the process of development it is significant to take into consideration cultural diversity. Religious cultures also plays an important role in the globalization process. In the nearest future, globalization is dependent on historical development and in the result it emerges as one unified civilization. Georgia is a part of the world is developing within global progress.

Globalization is a positive phenomena on the one hand, but on the other hand, it seeks to create unique intermingle of different cultures, values and traditions. The superpower countries' interest towards Caucasus is extremely important, particularly because of its Euro-Asian communication corridor. More thorough researches should be carried out about Caucasus concerning its natural resources, history, geography, spiritual ethno-genesis and culture.

It is also well-known that culture of Georgia is not integrated into other cultures and it is rather unique representing a mix of the two – Western and Eastern civilizations. The article deals with a

problem of political orientation and strategy of Georgia towards its neighbor countries. It studies the opportunities of the country that strives to find its place in the European family, pursues its way to independent and peaceful coexistence in the region.

РЕЗЮМЕ

Глобализация по сути является новым явлением, стремящимся к установлению на международном и местном уровнях. Процесс глобализации можно было бы понять и интерпретировать по-разному. В процессе развития важно учитывать культурное разнообразие. Религиозные культуры также играют важную роль в процессе глобализации. В ближайшем будущем глобализация зависит от исторического развития, и в результате она становится единой цивилизацией. Грузия является частью мира, развивается в рамках глобального прогресса.

С одной стороны, глобализация является позитивным явлением, но, с другой стороны, она стремится создать уникальное сочетание разных культур, ценностей и традиций. Интерес сверхдержав к Кавказу чрезвычайно важен, особенно из-за его евро-азиатского коридора связи. Необходимо провести более тщательные исследования о Кавказе в отношении его природных ресурсов, истории, географии, духовного этногенеза и культуры.

Известно также, что культура Грузии не интегрирована в другие культуры и является весьма уникальной, представляющей собой смесь двух - западной и восточной цивилизаций. В статье рассматривается проблема политической ориентации и стратегии Грузии в отношении соседних стран. Он изучает возможности страны, которая стремится найти свое место в европейской семье, стремится к самостоятельному и мирному сосуществованию в регионе.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Мидоуз Данелла, Мидоуз Денин, Рандерс, за пределами допустимого, Антология, М.,1999.
2. ბარათაშვილი ნ., გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი, თბ., 2004
3. Пригожин и Стенгерс, Время, Хаос, к решению парадокса времени, М., 1994.
4. Чешков М., Глобальное видение и новая наука, М., ИМЭМО, 1998, с. 17..
5. კეცხოველი. გლობალიზაცია თუ ლოკალური ინტერესები. ახალციხის უნივერსიტეტის შრომათა კრებული, გამომც. უნივერსალი, 2009, გვ. 415-419.
6. beki u., ra aris globalizacia? Tb., 1999.
7. Гидденс Э., Социология, М., 1999.
8. ი.კეცხოველი, საქართველოს გლობალიზაციის არეალში, გორის სასწავლო უნივერსიტეტი შრომათა კრებული # 9, 2016.

3. დანაშაულის არსის გნოსეოლოგიური ფაქტორები

ასოცირებული პროფესორი
ნათელა მაისურაძე

დანაშაულის არსის წარმოსაჩენად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება მის გნოსეოლოგიურ ფაქტორს, ვინაიდან ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი შემეცნებით-სააზროვნო პროცესია და მისი არასრულყოფილება დანაშაულის მნიშვნელოვანი საფუძველია.

გნოსეოლოგია არის ფილოსოფიური მოძღვრება მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობების, ფორმებისა და საშუალებების, შემეცნების თეორიული გააზრებისა და ამ გააზრების სარწმუნოების შესახებ. იგი მოიცავს აზროვნების აუცილებლობას, უდიდეს მოთმინებას ჭეშმარიტების მისაღწევად და ცნებათა ზუსტ გამოყენებას მიღწეულის გადმოსაცემად.

შემეცნებით, რომელიც გრძნობად-ემპირიულ (შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა-წარმოსახვა) და თეორიულ-აბსტრაქტულ (ცნება, მსჯელობა და დასკვნა) საფეხურებს მოიცავს, შესაძლებელი ხდება გარკვეული ცოდნის მიღება²²⁸.

რაც შეეხება დანაშაულის შეგრძნებას, ის ინდივიდუალურია და მოიცავს შემეცნების ყველა საფეხურს, როგორც გრძნობად-ემპირიულს(შეგრძნების, აღქმის, წარმოდგენა-წარმოსახვის), ასევე თეორიულ-აბსტრაქტულს(ცნების, მსჯელობისა და დასკვნის)სახით. დანაშაულის შეგრძნებით ადამიანი, როგორც ინდივიდუალური და განუმეორებელი არსება, თავისებურად განიცდის მას, ზოგი უფრო მძაფრად, ზოგი – უფრო მსუბუქად. მაგრამ ბრალის შეგრძნება²²⁹ ყველა შემთხვევაში სახეზეა, როგორც საკუთარი თავის, ასევე საზოგადოებისა და ღმერთის წინაშე და ინვესს იხეთ უარყოფით ემოციებს, როგორიცაა შიში, უიმედობა, გაღიზიანება, დაუკმაყოფილებლობა, გაღიზიანება და, რაც მთავარია, საკუთარი არსებობის საზოგადოებისაგან და საკუთარი თავისაგან დამალვისა და გაქცევის სურვილი. ბრალის შესახებ არსებობს სამი ძირითადი თეორია: ნორმატივისტული, ფსიქოლოგიური და ნორმატივისტულ-ფსიქოლოგიური(ანუ ამ ორის ნაზავი).

ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, ბრალი არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დამდგარ შედეგთან. ნორმატივისტული თეორია კი მიუთითებს, რომ ბრალი არის გაკიცხვა. ბრალში აისახება ჩადენილი ქმედების არსი, რომელიც მოიცავს დანაშაულებრივ ქმედებასა და დამნაშავის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თავისი დანაშაულისადმი, რასაც მოჰყვება სახელმწიფო ბრალმდებლისა და სასამართლოსაგან აღმკვეთი ნორმის დადგენით შეფასება. ამასთან, სახეზე გვაქვს სტრესი, რომელიც დამნაშავის თანმდევი თვისებაა და ლაბილური(არამდგრადი, მერყევი) ფსიქიკის, სუსტის ნებისყოფის, თავდაჯერებას მოკლებული, დაბალი თვითშეფასების მქონე ადამიანებს ახასიათებს. ასეთი ადამიანები ადვილად ემორჩილებიან სტრესს და მის თანმდევ ნევროზულ პროცესებს. სწორედ ასეთი ადამიანები არიან პოტენციური დამნაშავეები, რომლებიც თავიანთი დანაშაულებრივი და ბრალეული ქმედებით დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ კიდევ უფრო ძლიერ სტრესულ ზემოქმედებას ახდენენ, როგორც ფიზიკური, ასევე მატერიალური და სულიერი დანაკარგის სახით.

შეგრძნებები და აზრები კი, რომლებიც სრულ კორელაციაშია ერთმანეთთან, იზიდავს მისსავე იდენტურ შეგრძნებებს, განცდებს და აზროვნებას და მათგან განთავისუფლება იოლი არ არის. მაგრამ, თუ ეს ემოციები შემანუხებელი, მძიმე და დამრთვე-

228 <https://geolaw.wordpress.com/tag/ბრალი/>

ნავი იქნება მისი ჩამდენი პირისათვის, დანაშაულის შეგრძნებით გამოწვეული უარყოფითი ემოციები უნდა გახდეს მისგან განთავისუფლების ერთ-ერთი საფუძველი. ამასთან, ადამიანის ღმერთთან წილნაყარობა ანიჭებს მას უნარსა და იმედს – მართოს საკუთარი ემოციები და აზრები და ეს მაკავშირებელი ძაფი რომელიც „ანათებს“ მის არსებობას, არ უნდა დაიკარგოს, როგორც მნიშვნელოვანი გზა, ხერხი და საშუალება დარჩეს განათებულად და არ ჩაქრეს. დამნაშავე – სულიერად ჩამქრალი და განადგურებული არსებაა, რომელსაც სულიერების სუვერენიტეტზე წარმოდგენაც კი არა აქვს. მას ნებისმიერი მანანნალა სჯობია, რადგან მანანნალობა მისი ცხოვრების წესის არჩევანია, მაგრამ არა სულის ქრობა, რაც დამნაშავესაგან რადიკალურად განასხვავებს მას.

დანაშაულის აღქმაში მონაწილეობს დამნაშავეც, სამართალდამცავებიც და მთელი საზოგადოებაც. მათ მიერ დანაშაულის აღქმა განსხვავდება ერთმანეთისაგან. დამნაშავის მიერ მისივე ჩადენილი დანაშაულის აღქმა უკავშირდება ბრალის შეგნებას და მისგან გამოწვეულ ეფექტებს. სამართალდამცავთა მიერ დანაშაულის აღქმა ჩვეულებრივი, ტრივიალური და ყოველდღიური საქმიანობის შემცველია, რაც მათ ფსიქიკას განასხვავებს სხვა ადამიანებისაგან იმით, რომ მათ ყველა დამნაშავე ჰგონიათ და დანაშაულს ხედავენ ყველგან და ყველაფერში. ამიტომ მათთვის არ არსებობს წესიერი ადამიანი. ამასთან, მათთვის დამახასიათებელია გასაოცარი უნარი - ისინი დამნაშავეს ერთი შეხედვითაც ცნობენ. საზოგადოებისათვის, სამწუხაროდ, მთავარია დანაშაულის არა მისი მიზეზების ძიება და აღმოფხვრა, არამედ დამნაშავესთან ბრძოლა, დევნა, გაკიცხვა და საზოგადოებისაგან მოწყვეტა, რითაც სრულიად უგულებელყოფენ იმ ადამიანებსაც, რომლებიც დანაშაულის ჩადენის ზღვარზე დგანან.

ისინი, ვისაც აზროვნებაში გარკვეული პრობლემები აქვთ, ვერ ხედავენ გამოსავალს და მიიწევენ იმ უფსკრულისკენ, რომელსაც დანაშაულის ჩადენა ჰქვია. მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ამის სურვილი, ეს უკანასკნელი იძულებულნი არიან, ბოლომდე ჩაეფლონ კრიმინალის მორევი და მიჰყვნენ დინებას. ამ დროს კი საზოგადოება მშვიდად უყურებს სეირს და ხელსაც კი არ ანძრევს იმისთვის, რომ მათმა თანამოძმემ თავისი პრობლემა დანაშაულის ჩადენის გარეშე მოაგვაროს. სამაგიეროდ, მას შემდეგ, რაც დაინახავენ დამნაშავედ ქცეულ ადამიანს, საშველად უხმობენ „სამართალს“, რომლის ერთადერთი იარაღი – სასჯელია. ან სულაც მათი თავიდან მოშორება, რაც, როგორც საუკუნეების გამოცდილება გვიჩვენებს, ნამდვილად არ არის გამოსავალი, პირიქით, უფრო მეტ დანაშაულს წარმოშობს.

დანაშაულის წარმოდგენა ნებისმიერ ადამიანს ალაშფოთებს, შეაძრწუნებს და კიდევ ერთხელ შეახსენებს თავის უსუსურობას, რომ საუკუნეების განმავლობაში არსებული ეს სენი ვერანაირი ხერხით ვერ აღმოფხვრა. არადა, თინეიჯერების საღად მოაზროვნე მშობლები ხშირად არჩევენ მათზე ისეთი ზემოქმედების მეთოდებს, რაც დამოუკიდებლობის ძიების გზაზე არც მის ახალგაზრდულ - გაძლიერებულ თავმოყვარეობას შელახავს და არც მის ქმედებას დატოვებს კრიმინალური ნებელობის სათარეშოდ. ასეთი მიდგომით ახალგაზრდას სწორი შეფასებითი დამოკიდებულება უყალიბდება დანაშაულებრივი სამყაროს მიმართ, საკუთარი შესაძლებლობების პროგრესულად წარმართვისათვის და შედეგიც სახეზეა. საზოგადოებასაც უნდა გააჩნდეს ასეთი დამოკიდებულება შესაძლო ქმედებების პრევენციისათვის, რათა ყოველი ადამიანი ჩართული იყოს ამ პროცესებში. უფრო მეტიც, ისევე როგორც დახმარების აუცილებლობა განერილია სისხლის სამართალში, ასევე უნდა შეიქმნას სპეციალური მუხლი დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელი დახმარებისა და დაუხმარებლობის შემთხვევაში საზოგადოების ნებისმიერი წევრის პასუხისმგებლობის შესახებ. ეს პოზიცია უნდა დაფიქსირდეს აღმზრდელობის ყველა დონეზე, რაც აღმოფხვრის ცნობილ - „შენ ვინ გკითხავს“ პრინციპს და ორმაგი ვიქტიმიზაციის (ერთი - დანაშაულის

უშუალო მსხვერპლი, ხოლო, მეორე, დანაშაულის აღსაკვეთად ჩარეული მსხვერპლი) შემთხვევებიც აღარ გვექნება.

დანაშაულის წარმოდგენა დამნაშავეს განზრახვის სახით უყალიბდება პირდაპირი, არაპირდაპირი და ევენტუალური(შემთხვევითი) სახით, რომლებშიც მონაწილეობს, როგორც გონითი ფაქტორი, ასევე ნებელობა და დანაშაულებრივი ქმედების წინაპირობებს განსაზღვრავს.

ჯერ კიდევ წარმოდგენით ეტაპზე, ხოლო შემდგომ მსჯელობებით ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ რეალიზდება აზროვნება, რის შედეგადაც პოტენციურ დამნაშავეს კარგად გაცნობიერებული, გათვლილი და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული გეგმა აქვს. მართლწინააღმდეგობის გაცნობიერების ელემენტით ევენტუალური განზრახვა მსგავსია პირდაპირი განზრახქმედების ახვისა იმდენად, რამდენადაც პირდაპირი განზრახვის დროსაც პირი ითვალისწინების ქმედების მართლწინააღმდეგობას და მის შედეგებს.

ცნობილია, რომ ადამიანი ადვილად ეჩვევა ნებისმიერ პირობებს. ამ თვალსაზრისით, იგი ასევე ეჩვევა დანაშაულის ჩადენის დაგეგმვასა და განხორციელებას და ეს ქმედება მისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს და სამწუხაროდ, ეს მისი ცხოვრების წესად იქცევა.

დასკვნები კი, რომლებიც ერთხელ ჩადენილი დანაშაულის შედეგია, სრულიად შლის დამნაშავეში იმ ღვთაებრივ „ნათებას“, რომელსაც ნებისმიერი ადამიანი უნდა უფრთხილდებოდეს, როგორც სრულ სიბნელეში არსებული ერთადერთი სათლის ციალს, და შედეგად ვღებულობთ საკუთარ თავთან და საზოგადოებასთან სრულიად გაუცხოებულ არსებას, რომელიც, არცთუ იშვიათად, გარეგნულად თვითკმაყოფილი სახითაც კი გამოიყურება. და თუ ამას ქვეყანაში არსებული სახელისუფლებო განწყობაც ემთხვევა, დამნაშავეობას გადამდები თვისება გააჩნია, რაც, სამწუხაროდ, ყველაზე მეტად ახალგაზრდებზე მოქმედებს, რომლებსაც, არცთუ იშვიათად, საამაყოფადაც კი მიაჩნიათ დამნაშავეთა სამყაროს წევრობა.

საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ურთიერთობები, რომლის იდეოლოგიური საფუძველი ფულზე ორიენტირებული ადამიანის მგლური დამოკიდებულებაა გვერდით მყოფი ადამიანის მიმართ, ახალი დანაშაულისაკენ უბიძგებს მათ. ამ თვალსაზრისით, ფულზე ორიენტაცია და ფულის, როგორც ადამიანის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმის არსებობა დანაშაულისაკენ საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის ნაქეზებაა.

შემეცნების აქტივობის შედეგია ცოდნა, რომელიც მიიღწევა გარკვეული ფასეულობების, ცნებების, მიდგომების, წესების, ნორმების, მეთოდების, გამოცდილების, ჩვევების, შესაძლებლობების, ხერხების. ცოდნით ვაფასებთ საგნებსა და მოვლენებს, საკუთარ და სხვათა ქცევას, მიღწეულ წარმატებებს თუ შეცდომებს, ვამატებთ ახალ ცოდნას და გადავცემთ მას მომავალ თაობებს, რათა მათ გაუადვილდეთ განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ცოდნით ვახერხებთ ჩვენს წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტას. ცოდნა არ ფუნქციონირებს ადამიანების გარეშე, იგი მჟღავნდება ადამიანთა საზოგადოებაში და ისიც გარკვეულ სიტუაციაში. ამასთან, როგორც ილია მეორე მიუთითებს: ზერელე ცოდნა გვაშორებს რწმენას, ხოლო სიღრმისეული – მასთან გვაახლოებს. ცოდნა სიკეთეს უნდა ემსახურებოდეს, თორემ მის გარეშე ეშმაკისეული ხდება. ილია ჭავჭავაძე წერდა: ცოდნა სიმდიდრეა, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება.

აქედან გამომდინარე, დანაშაულის არსისეული ცოდნა სრულიად აუცილებელია, რათა ადამიანმა სრულად გააცნობიეროს მისი უარყოფითი შედეგები. მისი სიღრმისეული გაგება რწმენას განამტკიცებს და ღმერთამდე მივყავართ. შემთხვევითი არ

არის, რომ სწორედ რწმენაში გაღრმავებით არაერთი ადამიანი განთავისუფლდა დანაშაულისა და ნარკომანიის ტყვეობიდან. დამნაშავეთა სამყაროს რელიგიურობასთან სიახლოვე თითქმის ერთდერითი საშუალებაა დანაშაულის შემცირებისათვის, ვინაიდან სწორედ რელიგიურობა ანიჭებს ადამიანს სიკეთის ქმნადობის უნარს. მისი შეგონებები: „არა კაც ჰკლა, არ იპარო, გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა მოყვასი შენი“ და ა.შ. უპირობო და უანგარო სიკეთისაკენ მიგვითითებს²²⁹.

რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება დანაშაულის გნოსეოლოგიურ ასპექტებს. მასში განხილულია დანაშაულის გრძნობად-ემპირიული წარმოდგენა-წარმოსახვა როგორც ბრალის შეგრძნება, აღქმა, და თეორიულ-აბსტრაქტული - ცნება, მსჯელობა და დასკვნა.

ბრალში დამნაშავის ფსიქიკურ დამოკიდებულება თავისი დანაშაულისადმი და სტრესი, რომელიც დამნაშავის თანმდევი თვისებაა და ლაბილური(არამდგრადი, მერყევი) ფსიქიკის, სუსტი ნებისყოფის, თავდაჯერებას მოკლებული, მქონე ადამიანებს ახასიათებს.

დამნაშავე წარმოდგენილია, როგორც სულიერად ჩამქრალი და თვითგანადგურებელი არსება, რომელსაც სულიერების სუვერენიტეტზე წარმოდგენაც კი არა აქვს.

RESUME

The work is devoted to the epistemological aspects of the crime. It contains a sense of guilt - an empirical imagination, as a sense of guilt and the theoretical-abstract stages of cognition - concept, reasoning and conclusion.

The work also examines the criminal attitude of the criminal to the crime, his guilt and stress, characteristic of the criminal and his labile (unstable) weak will and self-esteem.

The offender is presented as a spiritually neglected and self-destructive being, which does not even have an idea of spiritual sovereignty.

РЕЗЮМЕ

Работа посвящена гносеологическим аспектам преступления. Он содержит чувство вины - эмпирическое воображение, как чувство восприятия вины и теоретико-абстрактные ступени познания - понятие, рассуждение и заключение.

В труде также рассматривается психическое отношение преступника к преступлению, его вины и стресса, характерные для преступника и его лабильной (неустойчивой) слабой воли и самооценки.

Преступник представлен как духовно заброшенное и саморазрушительное существо, которое не имеет даже представление о духовном суверенитете.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. Философский словарь. М., Полоточеская литература, 1986.
2. ნ. მაისურაძე. დანაშაულისა და სასჯელის ფილოსოფია. თბ., იურისტთა სამყარო“, 2018.
3. <https://geolaw.wordpress.com/tag/ბრალი/>

229 ნ. მაისურაძე. დანაშაულისა და სასჯელის ფილოსოფია. თბ., იურისტთა სამყარო“, 2018, გვ. 68-69.

დიდი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი

ასოცირებული პროფესორი გივი აბაშიძე



საინტერესო წიგნი, რომელიც მეცნიერ-იურისტის, ჭეშმარიტად გამორჩეული პიროვნების პროფესორ შოთა ფაფიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საოცარ სამყაროს გვაზიარებს

ჭეშმარიტად ბედნიერია ის კაცი, ვინც ქვეყნის წინაშე კეთილსინდისიერად იხდის ვალს და მისი გავლილი გზაც მისივე ცხოვრებაში კეთილკვალს ტოვებს. ასეთი ადამიანები თავიანთი ცხოვრების წესით მაგალითს აძლევენ სხვებს.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის კაცი, რომელმაც ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო, ჩვენი წიგნის მთავარი პერსონაჟი, იურისპრუდენციის ჩინებული მოღვაწე ბატონი შოთა ფაფიაშვილი.

სწორედ ღირსეული მეცნიერის დაბადების 80 და მრავალფეროვან სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლისთავს ეძღვნება წიგნი, რომელსაც ავტორი შემდგენელმა „გზა მართლისა სამართლისა“

დაარქვა.

დღეს სწორედ მის შესახებ გვინდა მოგითხროთ, რომელიც მეცნიერის საოცარ სამყაროს გვაზიარებს და რომელშიც მკითხველი ბევრ საინტერესო მასალას გაეცნობა.

უნდა ითქვას, რომ ბატონმა შოთამ თავიდანვე, სტუდენტობის პირველი დღიდანვე შეითვისა ქართული იურიდიული სკოლის ფუძემდებლების, გამოჩენილი ქართველი მეცნიერების თინათინ წერეთლის, ალექსანდრე ვაჩიშვილის, ისიდორე დოლიძის, სერგო ჯორბენაძის, გივი ინკირველის, ლევან ალექსიძის, ბეჟან ხარაზიშვილის და სხვა მრავალ ღირსეულ ქართველ იურისტ-მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული სამართლის აზროვნების პრინციპები და შემდგომში თვითონ როგორც მეცნიერმა მრავალი საინტერესო მონოგრაფია და სახელმძღვანელო გამოსცა, ჩამოაყალიბა კრიმინალისტური მიმართულების ახალი მეცნიერული კვლევა-ძიების შემოქმედებითი ლაბორატორია, რომელმაც პოპულარობა მოიპოვა არა მარტო ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

იმის მიუხედავად, რომ ბატონი შოთას ქართული იურიდიული საზოგადოება ისედაც კარგად იცნობს, აღნიშნული წიგნის გაცნობით კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგექმნებათ ამ მართლაც ღირსეულ და კეთილშობილ პიროვნებაზე, შესანიშნავ მოქალაქეზე, მეტად განსწავლულ მეცნიერზე, საზოგადოებისათვის მაგალითის მიმცემ ადამიანზე და უღალატო მეგობარზე, დიდ მეოჯახეზე, ღირსეულ მამაზე და მადლიერების გრძნობით განიმსჭვალებით მის მიმართ. ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

წიგნის შემდგენელმა დასაწყისშივე შოთა ფაფიაშვილის მონოლოგი შემოგვთავაზა, სადაც ის მის ბავშვობის, ყრმობის, წინაპრების, მშობლების, სტუდენტობის წლების, სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობის და კვლევა-ძიების ურთულეს სამყაროში გატარებული წლების შესახებ გვესაუბრება.

მართლაც საინტერესო ცხოვრების გზა განვლო შოთა ფაფიაშვილმა. დაიბადა 1936 წელს, მოსამსახურის ოჯახში. 1954 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა 37-ე სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო სისხლის სამართლის კათედრის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მიიწვიეს ამავე უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრაზე. 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და არჩეული იქნა სისხლის სამართლის კათედრის დოცენტად. 1970 წელს დაინიშნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, სადაც იმუშავა 1976 წლამდე.

1985 წლიდან ბატონი შოთა იყო საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრი. 1987 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და იმავე წელს აირჩიეს საპროკურორო ზედამხედველობისა და მართლმსაჯულების კათედრის პროფესორის თანამდებობაზე. შემდეგ ბატონი შოთა მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის უფროსის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

2000-2005 წლებში კონკურსის წესით ეკავა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის გამგის თანამდებობა.

მრავალი წლის განმავლობაში იყო იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, არაერთი სადისერტაციო ნაშრომის ოფიციალური ექსპერტი და ოპონენტი არა მარტო უნივერსიტეტში და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ პოსტსაბჭოური ქვეყნების სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. პარალელურად იყო საქართველოს სპორტის აკადემიის იურიდიული ფაკულტეტის იურიდიული დისციპლინების კათედრის გამგე.

2005 წლიდან ლექციების წასაკითხად მიწვეული იყო ილია ჭავჭავაძის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. დიდი მადლიერების გრძნობით და კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ უფრო ადრე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბატონი შოთა პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა აგრეთვე ჩვენს უნივერსიტეტში.

ამჟამად ბატონი შოთა არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი და პარალელურად სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გამოქვეყნებული აქვს 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ნახევარზე მეტი გამოცემულია მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების სახით. როგორც მეცნიერსა და მკვლევარს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში.

მისი ხელმძღვანელობით მრავალმა მაძიებელმა, ასპირანტმა და დოქტორანტმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მას ძალიან მოწონს პედაგოგიური საქმიანობა და ახალგაზრდებს სიამოვნებით გადასცემს თავის ცოდნას, ხანგრძლივ პრაქტიკულ გამოცდილებას და აზიარებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მართლმსაჯულების განხორციელებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანურ ფაქტორს, რომ სახელმწიფო შემდგარად მაშინ ითვლება, როცა თითოეული მოქალაქის უფლებები მაქსიმალურად არის დაცული, რომ ჩვენ ღირსებით სავსე სამოქალაქო საზოგადოება გვჭირდება, რომელიც უკეთეს ქვეყანას ააშენებს და მთელი არსებით დაიხარჯება სამშობლოს სამსახურში.

2000 წელს ის არჩეული იქნა საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, 2002 წელს კი აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

სამეცნიერო პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. სხვადასხვა დროს შოთა ფაფიაშვილი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს გენერალური პროკურატურის სასწავლო ცენტრის უფროსი და სხვა.

ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ბატონი შოთა 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ასევე დაჯილდოებულია სხვა სამთავრობო ჯილდოებით, კერძოდ ჯავახიშვილის სახელობის მედლით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი აკადემიის საიუბილეო მედლით და სხვა. მინიჭებული აქვს იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის (იუსტიციის გენერლის) უმაღლესი სპეციალური ნოდება.

შოთა ფაფიაშვილმა თავისი ძალები მოსინჯა დიდ სპორტში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიღწია. უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი სპორტშიც მონაწილე იყო. ხუთჯერ გაიმარჯვა უნივერსიტეტის სპარტაკიადაში ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, გახდა „ბურევესტნიკის“ ჩემპიონი, სტუდენტთა საკავშირო პირველობის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში.

ამ მშრალ ბიოგრაფიულ ცნობებში უდიდესი გარჯა, ცოდნის შეძენის სურვილი, თავისი საქმისადმი ერთგულება და დასახული მიზნისაკენ სწრაფვა ჩანს. თუმცა, ჩვენი საზოგადოებისათვის ისედაც კარგად არის ცნობილი მართლმსაჯულებისა და კანონიერების ხაზით ბატონ შოთას ფასდაუდებელი ღვაწლი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა.

ბატონი შოთას მონოლოგის შემდეგ წიგნში გადმოცემულია მეტად საინტერესო მასალები მის მიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ სარბიელზე გატარებული წლებისა და დაოჯახების შესახებ.

შესანიშნავი ქართული ოჯახი აქვს ბატონ შოთას. მეუღლე, ორი ქალიშვილი და შვილიშვილები – ეს მისი სიმდიდრე და სიამაყეა. ქალიშვილი ლალი ფაფიაშვილი სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, მეორე შვილი - ნინო ასევე მეცნიერებათა კანდიდატია და საქართველოს მთავარ პროკურატურაში ერთ-ერთი დაპარტამენტის პროკურორად მუშაობს.

წიგნის შემდგომ თავში განხილულია სამეცნიერო კვლევა-ძიების ურთულესი სამყარო, მზადება სადოქტორო დისერტაციისათვის და წიგნია მთავარი პერსონაჟის პრინციპული პოზიციები, შეუდრეკელი მონდომება და სიძნელეებთან ბრძოლის სანიშნო მაგალითი სადოქტორო დისერტაციის დაცვის პროცესში ოფიციალურ ოპონენტებთან პაექრობის დროს თავისი სიმართლის დასაცავად.

განსაკუთრებით ყურადსაღებია დამნაშავეობასთან ბრძოლის ფორმებსა და კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე სხვადასხვა წლებში პროფესორ შოთა ფაფიაშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატიები და შენიშვნები, რომლებიც მეტად საინტერესოდ იკითხება.

მის მიერ გამოცემული ნაშრომების საჯაროდ განხილვას და მათზე დაწერილ და გამოქვეყნებულ რეცენზიებს ეხება წიგნის მომდევნო თავი, სადაც ბატონ შოთას ნაშრომებს მოიხსენიებენ, როგორც ყველა იურისტისათვის სამაგიდო წიგნს და ქართულ იურისპრუდენციაში მნიშვნელოვან შენაძენს.

წიგნში შოთა ფაფიაშვილი იხსენებს სამეცნიერო ხარისხის მაძიებელ პირებთან მუშაობის პრაქტიკას. მას ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული მოღვაწეობის პერიოდში არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა იურისტისათვის გაუწევია სამეცნიერო ხელმძღვანელობა სადისერტაციო ნაშრომების მომზადებაში. ასევე მრავ-

ვალრიცხოვანია იმ პირთა წრე, რომელთა ოფიციალური ოპონენტიც და ამავე დროს ოფიციალური ექსპერტიც გახლდათ. მათ ფართოდ გაიკაფეს გზა მეცნიერებისაკენ.

ნიგნში მრავლად არის ბატონ შოთას მეგობრებისა და კოლეგების მოგონებები და მათი მილოცვები იუბილარისადმი. ნიგნი მთავრდება შოთა ფაფიაშვილის მოკრძალებული სამადლობელი სიტყვებით, სადაც ის გულწრფელ მადლობას უხდის ნიგნის იდეის ავტორს და მის შემდგენლებს, რომელთაც შეძლეს მისი ბიოგრაფიული მონაცემების და სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი პრაქტიკული საზოგადოებრივი საქმიანობის წარმოჩენა.

ნიგნს გარკვეულ დადებით ეფექტს სძენს შოთა ფაფიაშვილის ცხოვრების ამსახველი ფერადი ფოტოები, მაღალია ნიგნის პოლიგრაფიული გაფორმების დონე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განსახილველ ნიგნში მეტად საინტერესოდ არის წარმოდგენილი მეცნიერებისა და პრაქტიკის ანალიზი, მეცნიერული კვლევა-ძიების განახლებული ეტაპი, რასაც ნიგნში ცალკე თავები აქვს დათმობილი.

ამიტომ, არ შეიძლება ცალკე არ ვისაუბროთ შოთა ფაფიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ, როგორც ქართული იურისპრუდენციის ჩინებულ მოღვაწესა და დიდ მეცნიერზე.

უკვე ვთქვით, რომ შოთა ფაფიაშვილის მიერ გამოქვეყნებული ასეულობით სამეცნიერო ნაშრომიდან დიდი ნაწილი გამოცემულია მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების სახით. რა თქმა უნდა მისი სრული განხილვა და წარმოჩენა ამჟამად შეუძლებელია, მაგრამ მათგან არ შეიძლება არ გამოვყოთ უკანასკნელ წლებში გამოცემული კრიმინალისტიკის სამტომეული, რომელიც ეხება დანაშაულთა გამოძიებისა და გახსნის მეთოდოლოგიას და ტექნიკას, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკას და მეთოდიკას, ასევე კრიმინალისტიკის სახელმძღვანელო (ზოგადი და კერძო ნაწილები).

განსაკუთრებული საყოველთაო აღიარება მოიპოვა 2013 წელს მის მიერ გამოცემულმა კრიმინალისტიკის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის სახელმძღვანელოებმა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორივე სახელმძღვანელო არა მარტო სტუდენტებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კუთვნილებაა, არამედ ყველა იურისტისათვის საჭირო სამაგიდო ნიგნია.

წარმოდგენილი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოს ორტომეული ფუნდამენტური გამოკვლევაა ჩვენს სინამდვილეში, რომელიც გამოირჩევა მაღალი სამეცნიერო დონით და ვთვლით, რომ მისი გამოცემა მართლაც საშური საქმე იყო, რაც ბრწყინვალედ გააკეთა ღვანლმოსილმა მეცნიერმა და ადრე მის მიერ გამოქვეყნებულ კრიმინალისტიკის სამტომეულთან ერთად, რასაც დიდი და წარმატებული გამოხმაურება მოყვა სწავლული იურისტებისა და პრაქტიკოსი მუშაკების მხრიდან, კიდევ ერთი უნიკალური ნაშრომი შემატა არა მარტო ქართულ, არამედ ზოგადად იურიდიულ მეცნიერებას.

სწორედ ზემოაღნიშნულ ნიგნებზე გამოქვეყნდა ჩემს მიერ 2015 წელს საკმაოდ ვრცელი და დადებითი რეცენზია გაზეთ `ბათუმის უნივერსიტეტში“.

პროფესორი შოთა ფაფიაშვილი, რომელიც თითქმის ექვსი ათეული წელია უმნიკვლოდ და უანგაროდ ემსახურება მომავალი იურისტების სწავლა-განათლების საქმეს, თავისი გამორჩეული კეთილშობილებით, წესიერებით, დიდი ადამიანური თვისებებით როგორც ჩემი, ასევე ყველა თაობის სტუდენტების საყვარელი და მისაბაძი პიროვნებაა, სანიმუშო ლექტორია. მისი მეცნიერული მოღვაწეობა ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მე ბედნიერად აღმინანად ვთვლი თავს, რომ როგორც საქმიანი, ისე ადამიანური ურთიერთობა მიწევს ისეთ შესანიშნავ ადამიანთან, განსწავლულ მეცნიერთან და მაღალი დონის პროფესიონალთან, უღალატო და ერთგულ მეგობართან, დიდ პიროვნებას-

თან, ღირსეულ ქართველთან, როგორც შოთა ფაფიაშვილი გახლავთ.

ბატონი შოთა დღესაც ენერგიულად ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. ის შესანიშნავი კოლეგა და აღმზრდელია, ყოველთვის სასიამოვნოა მის გვერდით მუშაობა და სამეცნიერო საქმიანობა. ამ ყველაფრისათვის მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ შოთა ფაფიაშვილს და ვუსურვო მხნეობა, ჯანმრთელობა და წარმატებები შემდგომ სამეცნიერო საქმიანობაში.

ბოლოს, მადლობა მინდა მოვასხენო წიგნის იდეის ავტორს და მის შემდგენელს ჯემალ გაბელიას, წიგნის რედაქტორებს ბატონებს ჯემალ გახოკიძეს, ირაკლი გაბისონიას, ივანე ჯაგოდნიშვილს და დავით სოლომონიშვილს განუული შრომისათვის და მკითხველისათვის მეტად საინტერესო წიგნის მიწოდებისათვის.

მილოცვები ირაკლი გაბისონია

ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე ყველა პიროვნება მიისწრაფვის, ცხოვრებაში რაღაცით იყოს გამორჩეული სხვებისაგან. ამიტომაც, თითოეულს საკუთარი მიზანი აქვს დასახული და მუდმივი ლტოლვა გააჩნია სანადელის მისაღწევად. ასეთ ასპარეზს თვითონ წუთისოფელიც გვკარნახობს, რომელიც მთებზე მთაა მოწყობილი, ზოგჯერ



მთის მწვერვალზე ხარ მოქცეული, შემდეგში ჩამოდიხარ, ცოტას ივლი, მერე ისევ მოგიწევს ცოცვა-ძრომიანი და კვლავ მთის მწვერვალზე ადიხარ. ასე, რომ თუ გინდა გამოირჩეოდე რაიმე წესიერებით ამისათვის „ცოცვა-ძრომიანში“ ანუ მუდმივ მოძრაობაში უნდა იყო. გულმართალი, მონდომებული და დაუზარებელი (მებრძოლი) ადამიანი კი ცხოვრებაში ბევრს მიაღწევს, მიუხედავად იმისა, თუ რა სფეროში მოღვაწეობს. ამასთან სწორი და გადაუჭარბებელი შეფასება უნდა მისცე, როგორც წარმატებით გამოწვეული სიხარულის, ასევე დამარცხების მწარე გემოსაც. ზოგადად ასე შეიძლება შევაფასოთ ირაკლი გაბისონიას მიერ დღემდე განვლილი გზა. მან ბევრი რამ გადაიტანა, სიკვდილსაც ბევრჯერ ჩახედა თვალებში, მაგრამ

კოლხი კაცის ბუნებიდან გამომდინარე, ვაჟკაცურად გაუძლო ყველა გასაჭირს. დღეს კი, ბატონი ირაკლი მის მიერ შექმნილი სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი და ახალგაზრდების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება.

ფაკულტეტის დეკანი მუდმივ ძიებაშია, ეძებს და პოულობს აღზრდის ახალ-ახალ ფორმებს და მეთოდებს, გამოსავალს რთული სიტუაციიდან. განიცდის, მაშინ როცა ვერ პოულობს სწორ გზას ახალგაზრდის გულისაკენ და ბავშვივით უხარია თითოეული მათგანის წარმატება. ბატონო ირაკლი ყველა სტუდენტში საკუთარ შვილს ხედავს და ცდილობს გააკეთოს ის, რასაც შვილს მომავლისთვის გაუკეთებდა.

ხალასი, ლალი იუმორით გამოირჩევა. ჩხორონყუს ჰაერივით სუფთა და წმინდა კოლხისათვის დამახასიათებელი შემართებით, ფართოდ ერუდირებული, ალალი, გონებასხარტი, წიგნიერი, კეთილმოსურნე, უბოროტო და ვერცხლისწყალივით მოძრავი-ასე იცნობენ შინაურები, ახლობლები, სამეგობრო თუ სანაცნობო წრეში. ერთი ჩვეულებრივი კაცი, არაჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს და არაჩვეულებრივი ოჯახის თავკაცია, მისი სიმდიდრე და სიამაყე უმშვენიერესი შვილები: მათი და ნიკოლოზია. მივულოცოთ ირაკლი გაბისონიას დაბადების დღე, კვლავაც მრავალი წელი ყოფილიყოს იგი ჩვენს გვერდით, ჩვენი საიმედო და დასაყრდენი. სიძლიერე, სიმრავლე, სიყვარული და სიხარული ნუ მოგაკლოთ მაღალმა ღმერთმა თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

შოთა ფაფიაშვილი

გახსოვთ რა სიტყვებით მიმართა ნაპოლეონმა გეოთეს?! „შენ ხარ კაცი!“ დიახ, კაცობით მოიპოვა ბატონმა შოთამ ყოველივე რაც გააჩნია.

მართლაცდა, საქმისადმი თავდადებული და ენერგიული კაცია შოთა ფაფიაშვილი. ეს ღრმად იგრძნობა მასთან ურთიერთობაში. განსაკუთრებით დიდია იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ჟურნალ „იურისტის“ რედაქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორის შოთა ფაფიაშვილის დამსახურება სისხლის სამართლის და სისხლის საპროცესო სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის საქმეში. მისი შემოქმედების გვირგვინი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოებია, რომელთა შექმნასაც მან რამდენიმე წელი მოახმარა. შოთას მონდომებამ და პრინციპულმა პოზიციამ, კრიმინალისტიკა კვლავ დააბრუნა სამართლებრივ სივრცეში. ბატონი შოთა, არის სტუდენტისადმი საყვარელი მოძღვარი, მისი ლექცია გამოირჩევა ორიგინალობით და ის, ჟღერს, როგორც კარგი პოეზია. პროფესორი შოთა ფაფიაშვილის ყოველდღიური საზრუნავი იყო და არის ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდა. მისი ხელმძღვანელობით ოცდაათამდე ადამიანმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.



ჩვენ ვამაყობთ მასთან მეგობრობით. ბედნიერი ვართ, რომ ჩვენს გვერდით არის ისეთი ადამიანი, ვისაც ჩვენი ტკივილი-სტკივა და სიხარული უხარია.

ბატონო შოთა, არ შეცდებით თუ ვიტყვით, რომ ნამდვილად ბედნიერი ადამიანი ხართ, იმიტომ რომ გყავთ კარგი ოჯახი, ბრწინვალე შვილები და შვილიშვილები, უამრავი მეგობრები... თქვენ გაფასებენ და პატივს გცემენ. არც ჩვენი დიდი კოლექტივია გამონაკლისი. თქვენ, თითოეული ჩვენი თანამშრომლის ახლობელი და გულშემატკივარი ხართ.

ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე ყოველივე ქმედება, რასაც სიკეთე და გულკეთილება ჰქვია სათავეს სიყვარულით იღებს. თქვენი ცხოვრების მეგზური ეს ცნებები იყო, რასაც დიდი დიდი გულის ნყალობით აღწევდით. ამ გულის ნყალობით მოვიდა თქვენთან ის დიდი აღიარება და სიყვარული. ნათქვამია-„დიდი გონების წინაშე თავს დაბლა ვიხრი, დიდი კეთილშობილური გულის წინაშე მუხლებს ვიყრი“. თუკი დიდი ადამიანებიც კი მუხლს იყრიან დიდი კეთილშობილური გულის წინაშე, ალბათ არც ჩვენ უნდა ვიდგეთ შორს, ჩვენს გვერდით მყოფი იმ გამორჩეული ადამიანებისადმი, რომელთა გულს, მზის სითბოს ძალა აქვს და რომელსაც ჩვენივე კეთილდღეობის გამო ხარჯავენ, ვიყოთ მადლიერები მათ მიმართ და ნუ მოგვერიდება, თუნდაც სიცოცხლეშივე, მუხლი მოვიყაროთ ხალხის სამსახურში დაღლილი, ამ დიდი კეთილშობილური გულის წინაშე. თქვენ ეს ნამდვილად დაიმსახურეთ.

ჩვენო შოთა!

გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, სიძლიერე, სიმრავლე, სიყვარული და სიხარული ნუ მოგაკლოთ ღმერთმა, თქვენს არაჩვეულებრივ ოჯახთან ერთად.

გივი ლობჯანიძე

70 წელი შეუსრულდა საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიის წევრს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პოლიციის გენერალ-მაიორს, ქ.ქუთაისის საპატიო მოქალაქეს პროფესორ გივი ლობჯანიძეს.

ბატონი გივი დაიბადა 1948 წლის 3 მაისს ონის რაიონის სოფელ ლებში და დღემდე სახელოვნად განვლო შრომითი საქმიანობის ეს არც თუ ისე მცირე პერიოდი. 1969 წელს წარმატებით დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილდა და საქართველოს შსს სისტემაში მუშაობის პარალელურად სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამართლის ისტორიისა და პოლიტიკურ მოძღვრებათა აქტუალურ საკითხებზე. 1994 წელს კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.



აღსანიშნავია, რომ მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მარტოოდენ სახელმწიფო სამართლის თეორიისა და ისტორიის საკითხების კვლევა-ძიებით არ შემოიფარგლება. იგი საკმაოდ ფართო პორიზონტის მეცნიერ-მკვლევარი და ახალგაზრდა იურისტების საუკეთესო გამზრდელია.

საყურადღებოა, რომ ბატონი გივი საქართველოს შსს სისტემაში მუშაობას პრაქტიკულ საქმიანობას კარგად უხამენდა პოლიტიკურ და სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. იყო პირველი მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი და საქართველოს შსს- პოლიციის აკადემიის უფროსის მოადგილე. 2004 წლიდან საკმაოდ დიდხანს იყო საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ამასთან ლექცია-სემინარების ჩასატარებლად მიწვეულია სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემია ულოცავს ბატონ გივის დაბადებიდან 70 და პრაქტიკულ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს და უსურვებს კანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავის შესანიშნავ, ლამაზ ოჯახთან ერთად.

სამძიმარი
დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე
შოთა კოზმანაშვილი

საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემია და პრაქტიკოს-იურისტთა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა-გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემიისა და ამერიკის სასამართლო მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, პროფესორი შოთა კოზმანაშვილი. ქართველი იურისტებისა და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს არ სჭირდება იმის შეხსენება, თუ ვინ იყო და რა მოღვაწეობას ეწეოდა შოთა კოზმანაშვილი. იგი დაიბადა 1946 წლის 18 სექტემბერს ქალაქ მცხეთაში. მან წარმატებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, მაგრამ იგი ამით არ დაკმაყოფილდა და ასევე წარმატებით დაამთავრა ყუბანის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რომლის შემდეგ იგი წარმატებულ მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, სადაც მან დაამთავრა ასპირანტურა და სიდნეის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურა. რის შემდეგაც მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებაში და შემდეგ სადოქტორო დისერტაცია სამართლის აქტუალურ საკითხებზე.



ბატონი შოთა იყო უაღრესად თავმდაბალი და გამოჩენილი სპორტსმენი. საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მუსიკოსობაში. მუშაობდა თბილისის გლდანისა და შემდგომ ჩუღურეთის რაიონის მოსამართლედ. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზების კვლევითი ცენტრის უფროსად. 1994-1997 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო ეკონომიკური წარმომადგენელი ავსტრალიაში. 2000-2005 წლებში შეთავსებით მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. შემდეგ იყო საქართველოს საინჟინრო ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, სამეცნიერო პედაგოგიური და პრაქტიკული მუშაობისათვის დაჯილდოვებულია ღირსების ორდენი.

მრავალმხრივი საზოგადოებრივი დატვირთვის მიუხედავად, ბატონ შოთას ყურადღება არ მოუკლია თავისი საყვარელი ოჯახისათვის. მან თავის მეუღლესთან, ცნობილ პიანისტ დალი გეგელაშვილთან ერთად სამი შესანიშნავი შვილი აღუზარდა სამშობლოს.

ბატონი შოთა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი დადებითი ადამიანური თვისებებით იყო თავმდაბალი, პატიოსანი თავის საქმისა და მეგობრობის ერთგული, დიდი მამულიშვილი. მან უერთგულა არამხოლოდ მის არაჩვეულებრივ ოჯახს და საყვარელ საქმეს, უერთგულა და უპატრონა თავის უსაყვარლეს მცხეთას. იგი თავისი შემოქმედებით ერთგულად დაიხარჯა თავისი საქმისა და ქვეყნისათვის და დატოვა ღირსეული მეცნიერი პიროვნების სახელი. ამასთან, მან გული დასწყვიტა თავის მეგობრებს ასე მოულოდნელი გარდაცვალებით და ვერ შეძლო თავისი მრავალმხრივი, ფართო გეგმების სრული განხორციელება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ავტორთა საყურადღებოდ!

„იურისტი“ არის საერთაშორისო, რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, რომელიც მიეწოდება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, მწერალთა კავშირის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკებს.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

–სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე;

–ნაშრომს სათაურის წინ უნდა მიეთითოს ავტორის სახელი და გვარი და აკადემიური თანამდებობა ;

–ნაშრომს თან უნდა დაერთოს რეზიუმე (10–12 სტრიქონი) სამ ენაზე (ქართული, ინგლისური და რუსული). სამივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი;

–ქართულ ენაზე ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით. რუსულ და ინგლისურ ენებზე Time New Roman შრიფტით, (ასევე ამ ენებზე წარმოდგენილი რეზიუმეები). შრიფტის ზომა 11, სათაურებისათვის–12, სტრიქონებს შორის 1,5 ინტერვალი. : მარცხნივ და ზევიდან 2 სმ, მარჯვნივ და ქვევიდან 2,5 სმ;

ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4 ზომის 7-9 ნაბეჭდ გვერდს, გამოყენებული ლიტერატურის (არაუმეტეს 8–10 დასახელები-სა) და რეზიუმეების ჩათვლით;

ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონულ ვერსიასთან ერთად ამობეჭდილი 4 ზომის ქალაქდზე **ორ ეგზემპლარად**, მას თავფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: სახელი, გვარი, აკადემიური თანამდებობა, მისამართი (ბინის, სამსახურის, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართი);

სტატიის ჟურნალში დაბეჭდვის ან დაბეჭდვაზე უარის თქმის **შეტყობინება** ხდება წარდგენიდან **3 თვის ვადაში**;

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი: **ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, №75**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:

ტელეფონი 599 94 01 14

ელ-ფოსტა law.academy@mail.ru